კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის პრინციპების ხელშეწყობისათვის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში ისრაელსა და საქართველოში

Curricular Reform For Democratic Principles and Civic Education in Teacher-Training Programs in Israel and in Georgia(CURE)

საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის

# აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა

# Promoting Active Citizenship

"The European Commission's support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein."

თბილისი 2019

აღნიშნული კურსი შეიქმნა ერაზმუს+ პროექტის „კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის პრინციპების ხელშეწყობისათვის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში ისრაელსა და საქართველოში“ პროექტის ნომერი: 573322-EPP-1-2016-IL-EPPKA2-CBHE-JP

**ევროკომისიის მიერ ამ პუბლიკაციის გამოცემა არ ნიშნავს მისი შინაარსის მხარდაჭერას, რაც მხოლოდ ავტორების აზრია. ამდენად კომისია არ იღებს პასუხისმგებლობას შინაარსში მოცემული ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენებაზე.**

პროექტის ხელმძღვანელი: რონდა სოფერი, გორდონის აკადემიური კოლეჯი, ისრაელი. პროექტის კოორდინატორი საქართველოდან: შორენა მაღლაკელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო

კურსის სამეცნიერო რედაქტორები: **პროფ. შორენა მაღლაკელიძე, პროფ. დავით მალაზონია**

რედაქტორი: გვანცა ბურდული

The Course was developed in the framework of ERASMUS+ project „Curricular Reform For Democratic Principles and Civic Education in Teacher-Training Programs in Israel and in Georgia(CURE)" Project number: 573322-EPP-1-2016-IL-EPPKA2-CBHE-JP

Project General Coordinator: **Rhonda Sofer,** Gordon Academic College **, Israel Project Local** Coordinator from Georgian side: **Shorena Maglakelidze, Ilia State University, Tbilisi, Georgia**

Academic editors of the course: **Prof. Shorena Maglakelidze, Prof. David Malazonia**

Editor: Gvantsa Burduli

# აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა

## თემა I. დემოკრატიის თეორია და პრაქტიკა და მისი როლი აქტიურ დემოკრატიულ მოქალაქეობაში

ირმა ქურდაძე, სამცხე-ჯავახთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. დემოკრატია და აქტიური დემოკრატიული მოქალაქეობა

შესავალი

1.1. დემოკრატიული მოქალაქეობა და უფლება განათლებაზე

1.2. სწავლება დემოკრატიული/აქტიური მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - სამი განზომილება

1.3 განათლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის/აქტიურ დემოკრატიულ საზოგადოებაში

1.4 დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლების მონაწილეობითი განზომილება: დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „მიზნით“ სწავლა.

1.5. განათლება - აქტიური დემოკრატიული მოქალაქეობისათვის

1.6. დემოკრატიული მოქალაქეობისთვის სწავლების კომპეტენციები

1.7. დემოკრატიული მოქალაქობისთვის საჭირო კომპეტენციები და მათი გამოვლენა

2. აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო ჩართულობა- ელგუჯა დეისაძე, ქუთაისის უნივერსიტეტი

2.1. შესავალი - დემოკრატია პრაქტიკაში

2.2. რას ნიშნავს აქტიური მოქალაქეობა?

2.3. მონაწილეობის ფორმებისა და სამოქალაქო ჩართულობის ახალი ტიპოლოგია

Promoting Active Citizenship

თემა I. **დემოკრატიული საზოგადოების ხედვა**

**1. დემოკრატიული საზოგადოება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დონეები დემოკრატიულ გარემოში**

დავით მალაზონია, პროფესორი,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1. 1. უფლებები და პასუხისმგებლობები დემოკრატიულ სახელმწიფოში

1.2. მოქალაქეობა დემოკრატიულ სახელმწიფოში

1.3. ინდივიდუალური უფლებები და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობები

1.4. მთავრობის როლი თანამედროვე დემოკრატიაში

2. **აქტიურ მოქალაქეობის ხელისშემშლელი და მამოტივირებელი ფაქტორები** - მადონა მიქელაძე-ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2.1. აქტიური მოქალაქეობის განვითარება

2.2. რატომ უნდა სურდეს ადამიანს იყოს აქტიური მოქალაქე?

III. მრავალფეროვნება

1. **განათლება მრავალფეროვნებისთვის: განსხვავებულად ყოფნის უფლება**-დავით მალაზონია, პროფესორი, შორენამაღლაკელიძე, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**1.1.** განსხვავებულობა და მულტიკულტურული საზოგადოება

**1.2.** იდენტობის ასპექტები და დონეები

**1.3.** დემოკრატიული პრინციპების პოპულარიზაცია მულტიკულტურულ და მრავალფეროვან საზოგადოებებში

**1.4.** მულტიკულტურული განათლების პარადიგმა: კონტექსტი და თეორიები

**1.5.** მულტიკულტურული განათლება სკოლაში

თემა IV. მედია და დემოკრატია

1. **მედია დემოკრატიულ საზოგადოებაში: რაციონალურობა და მიზნები** - თამარ ტალიაშვილი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**1.1.** მედიაწიგნიერების უნარის განვითარება

**1.2.** კრიტიკული მედიაწიგნიერება ,როგორც კრიტიკული პედაგოგიკის მიმართულება

**1.3.** მედიაწიგნიერების ინსტრუმენტები, ძირითადი პრინციპები და კითხვები:

**1.4.** რა არის სოციალური მედია და რა განაპირობებს მის განსაკუთრებულობას?

**1.5.** რა არის სოციალური მედია და რა განაპირობებს მის განსაკუთრებულობას?

2. **მედიაწიგნიერება და სამოქალაქო ჩართულობა** - შორენა მაღლაკელიძე, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2.1 მედიაწიგნიერების განვითარება

2.2 მედიაწიგნიერება როგორც დემოკრატიული მოქალაქეობის ჩამოყალიბების საფუძველი

2.3. მედიაწიგნიერება – დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი კომპეტენცია

## თემა V. სამოქალაქო მორჩილება

**1. სამოქალაქო მორჩილება: მასწავლებელთა როლი მორჩილებათა ინდოქტრინაციაში, პრევენციაში**-შორენა მაღლაკელიძე, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

1.1. სოციალური გავლენები, მათი ფაქტორები და შედეგები

1.2. მორჩილება

1.3. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა

1.4. მასწავლებლის როლი მორჩილების ინდოქტრინაციის პრევენციასა და ინტერვენციაში

## VI. აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა

იზაბელა პეტრიაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ინა ბარათაშვილი, განთლების მეცნიერებათა დოქტორი,ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. განათლება და სამოქალაქო აქტივობა

2 .აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო საზოგადოება (დემოკრატიული საზოგადოების მახასიათებლები)

## VII. საზოგადოებრივი სივრცის როლი

**ლოლიტა შენგელია, დოქტორანტი,** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

1.1. რა არის საჯარო სივრცე?

1.2. საჯარო სივრცის მონაწილეები

1.3. საჯარო მომსახურების მოდელი

1.4. საჯარო სივრცის როლი საზოგადოებაში

Promoting Active Citizenship

# I. დემოკრატის თეორია და პრაქტიკა და მისი კავშირი აქტიურ დემოკრატიულ მოქალაქეობასთან

ირმა ქურდაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

## 1. დემოკრატია და აქტიური დემოკრატიული მოქალაქეობა

შესავალი

დემოკრატია ეფუძნება ადამიანის უფლებათა სტანდარტებსა და პრინციპებს. არსებობს შემთხვევები, როდესაც ადამიანის უფლებების შესახებ თავს იჩენს ცრუ წარმოდგენები, როდესაც იგი აღიქმება სისტემად, სადაც პიროვნება სრული თავისუფლებით სარგებლობს. რა თქმა უნდა, ეს ადამიანის უფლებების მცდარი ინტერპრეტაციაა.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არ არის აბსოლუტური. მნიშვნელოვანია ასევე სხვათა უფლებების დაცვა. გარკვეულ შემთხვევებში, თავს იჩენს უფლებათა შორის კონფლიქტიც. დემოკრატიული პროცესები ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ხალხი სარგებლობს მინიჭებული თავისუფლებებით და, ამავდროულად გარკვეული, აუცილებელი შეზღუდვებით.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისას ეწყობა დისკუსიები, სადაც მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, მაგრამ მათი მოსაზრებების ჩამოყალიბებისთვის განსაზღვრული დრო შეზღუდულია - შესაძლებელია ძალიან მკაცრადაც. სწორედ ამავე მიზეზით არის დაწესებული რეგლამენტი გამომსვლელებისათვის, საპარლამენტო ან სატელევიზიო დებატების დროსაც. საავტომობილო გზებზე მოძრაობის წესების უმრავლესობა ზღუდავს ჩვენი მოძრაობის თავისუფლებას. ესენია:

სიჩქარეზე დაწესებული შეზღუდვა, საგზაო შუქნიშანზე წითელი სიგნალისას გაჩერების აუცილებლობა და ა.შ. ნათელია, რომ ეს წესები ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება.

დემოკრატია, მმართველობის სხვა სისტემებთან შედარებით ყველაზე მეტ თავისუფლებას აძლევს, როგორც ხალხს, ასევე ინდივიდებს, იმ პირობით, რომ ეს თავისუფლებები სისტემაში, გარკვეულ ინსტიტუციურ ჩარჩოებში იქნება მოქცეული. სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის დემოკრატიას სჭირდება სტაბილური სახელმწიფო, რომელშიც დაცულია კანონის უზენაესობა და კეთილდღეობის თანაბარი გადანაწილების მისაღები დონე. სუსტი სახელმწიფო ან კანონის უზენაესობის არასათანადო უზრუნველყოფა იმის მანიშნებელია, რომ მთავრობას არ ძალუძს იმოქმედოს კონსტიტუციურ ჩარჩოებში და უზრუნველყოს კანონის დაცვა.

დემოკრატია არის სისტემა, რომელიც მოქალაქეებს უყენებს მოთხოვნებს და განსაზღვრავს ამ პროცესებში მოქალაქეების აქტიურ ჩართულობასა და მხარდაჭერას. როგორც ჩამოყალიბებული დემოკრატიის მქონე, ასევე, ჩამოყალიბების ეტაპზე მყოფი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებში, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს იმ პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებაში, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატია, მისი აყვავებისა და შენარჩუნების მიზნით.

### 1.1 დემოკრატიული მოქალაქეობა და უფლება განათლებაზე

ადამიანის უფლებების ყოველმხრივ დაცვას უზრუნველყოფს საერთაშორისო და რეგიონული რესურსების ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებებს, ჰუმანიტარულ სამართალსა და კანონს ლტოლვილთა შესახებ. ბავშვები სარგებლობენ უფლებებით, რომლებიც საყოველთაო ხელშეკრულებებშია მოცემული. გარდა ამისა, შემუშავებულია მთელი რიგი სპეციალური ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა დაცვის დამატებით მექანიზმებს, რაც იძლევა მოზარდების ჯანსაღი განვითარებისა და საზოგადოებაში ჩართულობის მეტ გარანტიას.

„ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ“ (შემდგომში „კონვენცია“) შეიცავს დებულებებს, რომლებიც ბავშვთა უფლებების დაცვას ემსახურება (მაგალითად, ოქმი 1, მუხლი 2, „უფლება განათლებაზე“). ბავშვის უფლებების შესახებ არსებულ ყოვლისმომცველ დოკუმენტს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1989 წელს მიღებული კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ. აღნიშნული კონვენცია წარმოადგენს პირველ ხელშეკრულებას, რომელიც ბავშვის უფლებებს ეხება და რომლის თანახმადაც, სახელმწიფო პასუხს აგებს ბავშვთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

გაერთიანებული ერების კონვენციის მიხედვით ბავშვები სარგებლობენ თავიანთი უფლებებით, მათ გააჩნიათ ასაკის შესაბამისი ვალდებულებები და არ წარმოადგენენ მხოლოდ მშობლების საკუთრებას ან კმაყოფაზე მყოფ უსუსურ, დაუცველ არსებებს. ბავშვთა უფლებები მოიცავს ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრების ყველა მხარეს, რომელთა დაყოფაც შესაძლებელია შემდეგ ძირითად კატეგორიებად:

- გადარჩენისათვის აუცილებელი უფლებები: სიცოცხლის უფლება და ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების უფლება (მაგალითად, ცხოვრების სათანადო პირობები, თავშესაფარი, კვება, სამედიცინო მომსახურება);
- განვითარებისათვის აუცილებელი უფლებები: უფლებები, რომლებიც საშუალებას აძლევს ბავშვებს, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობა (მაგალითად, განათლება, გართობა და დასვენება, კულტურული ღონისძიებები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება);
- მონაწილეობის უფლებები: უფლებები, რომლებიც საშუალებას აძლევს ბავშვებსა და მოზარდებს, აქტიურად ჩაებან საზოგადოებრივ პროცესებში (მაგალითად, აზრის გამოხატვის თავისუფლება, გადაწყვეტილების მიღების უფლება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ ცხოვრებას ეხება, ასოციაციებში გაწევრიანების უფლება);
- უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფს დაცვას: უფლებები, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვებისა და მოზარდების დაცვას დაუდევრად მოპყრობისა და ექსპლოატაციისაგან (მაგალითად, განსაკუთრებული ზრუნვა ლტოლვილი ბავშვებისთვის და ბავშვების დაცვა შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვისგან, ბავშვთა შრომის, სექსუალური ძალადობის, წამებისა და ნარკოტიკების მსხვერპლად ქცევის დაუშვებლობა).
- განათლების უფლება, როგორც საკუთარი და სხვათა უფლებების რეალიზების აუცილებელი საშუალება. საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც მოიცავს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, უკეთ უზრუნველყოფს საკუთარი ძირითადი მისიის განხორციელებას, რაც მაღალი ხარისხის განათლების თანაბარ მისაწვდომობას გულისხმობს.

ამგვარად, ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს ადამიანის უფლებების შესახებ სწავლის შესაძლებლობას და ადამიანის უფლებათა საფუძვლების პრაქტიკულ გამოყენებას საკლასო გარემოში. სკოლები, რომლებიც

ბავშვის უფლებათა დაცვის პრინციპებით ხელმძღვანელობენ, მეტად არიან ორიენტირებული ბავშვის ღირსების დაცვაზე.

განათლების უფლება საყოველთაო ხასიათისაა განურჩევლად შესაძლებლობებისა, რასისა, ეთნიკური წარმოშობისა, რელიგიისა, სქესისა, ეროვნებისა, სექსუალური ორიენტაციისა, კლასისა ან სხვა რომელიმე ფაქტორისა, რომელიც პიროვნების იდენტობას განსაზღვრავს. გარდა ამისა, განათლება, როგორც ეს განმარტებულია ბავშვთა უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციაში, არ უნდა ლახავდეს მოსწავლეების ღირსებასა და ადამიანის საყოველთაო უფლებებს. ძირითად პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებს, წარმოადგენს დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაუცველ ჯგუფებს.

### 1.2. სწავლება დემოკრატიული/აქტიური მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - სამი განზომილება

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რისი კეთების უნარს უნდა ფლობდნენ მოსწავლეები და არა იმაზე, თუ რა უნდა ასწავლოს მათ მასწავლებელმა. სამი ძირითადი პრინციპი, რომლითაც იმართება მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სწავლის პროცესი, შესანიშნავად გამოიხატება შემდეგი მაგალითით:

- საკუთარი აზრის ქონისა და მისი გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის აუცილებელ პირობას და ძირითად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში მოსწავლეები იძენენ ცოდნას აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ, აფასებენ ამ უფლებას და იციან, როგორ არის იგი დაცული ეროვნული კონსტიტუციით. ეს წარმოადგენს სწავლის შემეცნებით განზომილებას (ცოდნა, ცნებები და გაგება).
- მოსწავლეები სწავლობენ, როგორ გამოიყენონ ეს ძირითადი უფლება. ვინაიდან ამ უფლებით აქტიურად სარგებლობა უმნიშვნელოვანესია დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩართულობისათვის. ამ გზით ხელი ეწყობა მოსწავლეების წახალისებას ჩამოაყალიბონ და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები სხვადასხვა გზით, მათ შორის, საჯარო გამოსვლების საშუალებით (უნარებზე დაფუძნებული სწავლის განზომილება).

- აზრის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას მოსწავლეებს სჭირდებათ მხნეობა, რათა საკუთარი მოსაზრება გამოხატონ მაშინაც კი, როცა უმრავლესობას საწინააღმდეგო შეხედულება აქვს. ისინი ისმენენ სხვათა მოსაზრებებს, არიან შემწყნარებლები განსხვავებული პოზიციების მიმართ. საკითხის შესახებ განსხვავებული მოსაზრებების გამო უთანხმოებისა და დაპირისპირების მოთოკვით შესაძლებელია კონფლიქტების არაძალადობრივი საშუალებებით მოგვარება (ურთიერთგაგებაზე, დამოკიდებულებებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული განზომილება).

ზემოთ მოყვანილი მაგალითები შეიძლება განზოგადებულ იქნას, არა მარტო იმ თვალსაზრისით, თუ რა უნარს უნდა ფლობდეს მოსწავლე ადამიანის უფლებებით სარგებლობისას, არამედ რა მიმართულებით უნდა ავითარებდეს სკოლა ამ სახის ცოდნასა და უნარებს.

იმისათვის, რომ მოსწავლეთა ქმედებები ადეკვატური იყოს და განვითარედეს მათი კომპეტენციები, სწავლა უნდა მიმდინარეობდეს ზემოთაღნიშნული სამი, ურთიერთშემავსებელი განზომილებით (ცოდნა, კონცეფციები და გაგება; უნარები; დამოკიდებულებები და ღირებულებები).

რა უნდა გააკეთოს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე ასუხისმგებელმა მასწავლებელმა იმისათვის, რომ შექმნას სწავლის ადეკვატური შესაძლებლობები? პასუხი შემდეგია: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ ახალგაზრდა მოქალაქეებად, რომლებსაც:

- აქვთ ცოდნა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები და ის პირობები, რომლებზეც ამ უფლებების დაცვაა დამოკიდებული (რაც ხორციელდება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების „შესახებ“ სწავლის საშუალებით);
- აქვთ სკოლაში, როგორც მიკროსაზოგადოებაში ყოფნის გამოცდილება, სადაც დაცულია მოსწავლეთა თავისუფლება და თანასწორობა;
- აქვთ ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები (რაც ხორციელდება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის „საფუძველზე“ სწავლით).

### 1.3. განათლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის აქტიურ დემოკრატიულ საზოგადოებაში

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შემეცნებითი განზომილება გულისხმობს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, საგნის - „მე და საზოგადოება“ სწავლების ამოცანაა მოსწავლეები გაეცნონ ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებს, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია) და ამ პროცესში გამოყენებული იქნას აქტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგია (როლური თამაში, სიტუაციების ანალიზი, მცირე პროექტები და სხვ.).

მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველა ადამიანს შეუძლია ისარგებლოს თავისუფალი აზრის ქონისა და მისი გამოხატვის თავისუფლებით. ასევე, მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი მედიასაშუალებით, რომელიც თავისუფალია ცენზურისაგან. გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ეს ბავშვის შემეცნებითი და მორალური განვითარების მიზნით ხდება და ისიც, მხოლოდ გარკვეულ გარემოებებში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10).

ქვეყნის კონსტიტუცია და სამართლებრივი გარემო უნდა ასახავდეს და იცავდეს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს და მოსწავლეებისათვის მათ შესახებ ცოდნის გადაცემაც ამ კუთხით უნდა წარმოებდეს. მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ეს უფლება დემოკრატიისათვის.

ასევე, მოსწავლეები უნდა იცნობდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–14 მუხლს. რომელიც ეხება თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპებს: ქალი და კაცი, მდიდარი და ღარიბი, ახალგაზრდა და მოხუცი, მოქალაქე და ემიგრანტი – ჩვენ ყველა თანაბრად ვსარგებლობთ ამ უფლებებით. ამ უფლებებით სარგებლობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც განვითარებას ექვემდებარება და ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული დემოკრატიული სისტემების მქონე სახელმწიფოების დღის წესრიგში მუდმივად დგას.

დაბოლოს, მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, თუ რატომ უნდა იცავდეს თავისუფლებას კანონი და რომ მათ, ასევე, ეკისრებათ პასუხისმგებლობაც (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 29). კონსტიტუციამ, წესებმა და კანონებმა უნდა უზრუნველყოს ისეთი გარემო, რომელიც გარკვეულად შეზღუდავს ძლიერთა თავისუფლებებს და დაიცავს სუსტებს – განსხვავებათა ლეგალიზაციის გარეშე. ყველა პრობლემა წესებით ვერ გვარდება, ასე რომ საზოგადოების წევრებს უნდა გააჩნდეთ ურთიერთპასუხისმგებლობა. ადამიანის უფლებები სამართლებრივ ჩარჩოებს ქმნის, მაგრამ ისინი, ასევე, ნორმატიული ხასიათისაც არის.

აქედან გამომდინარე, მოსწავლეები უნდა აცნობიერებდნენ თუ რა დოზით შეუძლიათ მათ ისარგებლონ ადამიანის უფლებებით სკოლის საზოგადოებაში და, ზოგადად, ფართო საზოგადოებაში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი).

### 1.4. დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლების მონაწილეობითი განზომილება: დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „მიზნით" სწავლა.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩართულობა გულისხმობს მოსწავლეებმა ისწავლონ თუ როგორ გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლებები და თავისუფლებები. მაგალითად, საკუთარი უფლება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, თავისუფალი აზროვნების, აზრის გამოხატვის თავისუფლება. მათ, აგრეთვე, უნდა ჰქონდეთ სხვებთან ურთიერთობის გამოცდილება – მაგალითად, ჯგუფში თავიანთი ინტერესების გამოხატვა, მოლაპარაკებები ან შეთანხმება იმის თაობაზე, თუ როგორ განიმარტება „საყოველთაო კეთილდღეობა" (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 29). მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დადგენილი წესების ფარგლებში მოქმედება და დაწესებული შეზღუდვების დაცვა. ისინი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ სხვათა კეთილდღეობას და ინტერესებს. ადამიანის უფლებები განმარტებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს და სხვა ორგანიზაციების მიერ და მოიცავს თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპებს; მონაწილეობას, ჩართულობასა და ანგარიშვალდებულებას.

ცოდნა და უნარები ადამიანს აძლევს საშუალებას, მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიულ პროცესებში, თუმცა მხოლოდ ფიზიკური მონაწილეობა ადამიანის ჭეშმარიტ დემოკრატ მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის საკმარისი არ არის. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ამგვარ ცოდნასა და უნარებს ფლობს რასისტი, მაშინ იგი ბოროტად გამოიყენებს მათ. აქედან გამომდინარე, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას გააჩნია კულტურული განზომილება. სწავლებისა და სწავლის კულტურა უნდა ასახავდეს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითად გზავნილს. ცოდნის შეძენა შესაძლებელია სწავლებისა და ინსტრუქციების მიღების საშუალებით (ლექციის მოსმენა, კითხვა); კომპეტენციების დაუფლება-განვითარება შესაძლებელია ტრენინგის საშუალებით (დემონსტრირება, პრაქტიკა, წვრთნა).

ამგვარად, მოსწავლეები გამოცდილებით იძენენ ღირებულებებს. მათ ასევე გამოცდილებით უყალიბდებათ დამოკიდებულებები. მაგალითად, ახალგაზრდებს თვითშეფასება უყალიბდებათ მშობლებისა და მასწავლებლების წყალობით. მხოლოდ ის მოსწავლეები ეპყრობიან

პატივისცემით თავიანთ თანატოლებს, რომელთაც აქვთ მასწავლებლების მხრიდან პატივისცემით მოპყრობის გამოცდილება.

მაშინ, როცა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების „შესახებ“ სწავლება გარკვეულ სასკოლო საგანთა (მაგ. სოციალური მეცნიერებები, ისტორია, სამოქალაქო განათლება) ამოცანას წარმოადგენს, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „საფუძველზე“ განხორციელებული სწავლების პროცესი გამოწვევაა მთლიანი სკოლისთვის – დემოკრატია და ადამიანის უფლებათა დაცვა სკოლის საზოგადოების ძირითად პედაგოგიურ პრინციპს წარმოადგენს და ასევე ქმნის იმ სპექტრს, რომელშიც განიხილება სკოლის მმართველობის ყველა ელემენტი.

### 1.5. განათლება - აქტიური დემოკრატიული მოქალაქეობისათვის

ადამიანის უფლებათა, ისევე როგორც დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება ეფექტურად ხორციელდება ინტერაქტიული და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენებით. ადამიანის უფლებათა სწავლებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ასპექტები:

- ემპირიული და აქტიურობაზე დაფუძნებული სწავლება: მოიცავს იმ ცოდნის გამოყენებას, რომელსაც ფლობენ მოსწავლეები და სთავაზობს მათ აქტივობებს, რომელებიც ავლენენ მათ გამოცდილებასა და ცოდნას;
- პრობლემის წამოჭრა: წარმოშობს კითხვებს იმ ინფორმაციასთან და ცოდნასთან დაკავშირებით, რომელსაც მოსწავლეები ფლობენ;
- ჩართულობა: წაახალისებს მოსწავლეებს ჯგუფებში განმარტონ ცნებები, გააანალიზონ თემები და შეასრულონ აქტივობები;
- დიალექტიკური მეთოდი: მოსწავლეებისაგან მოითხოვს საკუთარი ცოდნის შედარებას სხვა წყაროებთან;
- ანალიტიკური მეთოდი: მოსწავლეები ფიქრობენ და ეძებენ პასუხებს კითხვებზე, თუ რატომ ჩნდება ესა თუ ის მოვლენა და რა მიზეზით არის განპირობებული ამ მოვლენათა წარმოშობა;
- პროდუქტიული სწავლება: ხდება ადამიანის უფლებათა წინ წამოწევა, როგორც პიროვნულ, ასევე, პიროვნებათშორის ურთიერთობებში.
- სტრატეგიულ აზროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა: უბიძგებს მოსწავლეებს დასახონ საკუთარი მიზნები და გამონახონ მათ მისაღწევად საჭირო გზები;
- მიზანსა და მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება: საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დაგეგმონ მათ მიზნებთან დაკავშირებული მოქმედებები.

მრავალი ქვეყნის სასწავლო პროგრამაში ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება შერწყმულია დემოკრატიული მოქალაქეობისა და მსოფლიო მოქალაქეობის შესახებ სწავლებასთან, სადაც მოქალაქეობის შესახებ განათლების ძირითად კონცეფციათა განზოგადება/ განხილვა მიმდინარეობს. ასევე მნიშვნელოვანია ძირითადი კონცეფციებისა და ფაქტების შესახებ ცოდნისა და სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრებული დამოკიდებულებებისა და უნარების განზოგადება და მათი მისადაგება გლობალური სოციალური პასუხისმგებლობების, სამართლიანობისა და სოციალური ქმედებებისადმი.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება პირდაპირ უწყობს ხელს მოსწავლეებს შორის სოციალური პასუხისმგებლობისა და ქმედებების ჩამოყალიბებას. ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება არ შემოიფარგლება მხოლოდ მონაწილეობის ხელშეწყობით. ქმედების გახორციელება შესაძლებელია შინაგანად აღქმული იყოს, როგორც ქმედითი ინსტრუმენტი ადამიანის უფლებით სარგებლობის პროცესში. ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ფართო ნორმატიულმა ჩარჩოებმა და პოტენციურ შემსწავლელთა ფართე სპექტრმა განაპირობა ადამიანის უფლებათა სწავლების გზების სიმრავლე.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება საერთაშორისო (და ზოგან რეგიონალური) სტანდარტების უნივერსალურ ჩარჩოებშია მოქცეული, კონკრეტული თემები და მოსწავლეებისათვის მათი გადაცემის საშუალებები განისაზღვრება ადგილობრივი და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო გარემოში ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება მორგებული იყოს მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფებსა და, ასევე ეროვნული, რეგიონული და სკოლის საგანმანათლებლო პოლიტიკის პირობებზე.

ადამიანის უფლებების თემა და მისი შინაარსი, სკოლის საგანმანათლებლო პოლიტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია განხორციელდეს კულტურათაშორისი სწავლების ფორმის საშუალებით.

### 1.6. დემოკრატიული მოქალაქეობისთვის სწავლების კომპეტენციები

„მე ვისურვებდი, ჩემს მოსწავლეებს შეეძლოთ...“.

„მას შემდეგ, რაც პრეზენტაციის ტექნიკა დავამუშავეთ, მე ვისურვებდი, რომ ჩემმა მოსწავლეებმა შეძლონ დაუბრკოლებლად მიმართონ კლასს...“.

„მას შემდეგ, რაც ჩვენ ექვსი გაკვეთილი მივუძღვენით ქვეყნის კონსტიტუციის საფუძვლების შესწავლას, ყველაზე მცირე, რასაც მე ველი ყველა ჩემი მოსწავლისაგან, არის ის, რომ ისინი

ახსნიან, როგორ მუშაობს საარჩევნო სისტემა და მოცემულ მომენტში რომელი პარტია დგას ხელისუფლების სათავეში...“.

„რამდენიმე თვის წინ კლასში პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ საკითხის განხილვისას მოსწავლეები არ უსმენდნენ ერთმანეთს და აწყვეტინებდნენ საუბარს იმ მოსწავლეს, რომლის მოსაზრებასაც არ იზიარებდნენ. ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებაზე და იმაზე, რომ ამ უფლებით სარგებლობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ერთმანეთს პატივისცემით ვეპყრობით. სასწავლო წლის დასასრულისათვის, ვიმედოვნებ, რომ ბევრი მოსწავლე გააცნობიერებს ამას და ეცოდინება, როგორ მოიქცეს დისკუსიის დროს“.

ზემოთ მოყვანილი ციტატები წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ რას ფიქრობს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე პასუხისმგებელი მასწავლებელი გაკვეთილების დაგეგმვის პროცესში:

- განისაზღვრება გაკვეთილის (კონკრეტული აქტივობის) მიზნები
- მასწავლებელი გეგმავს, თუ რისი კეთება უნდა შეძლონ მისმა მოსწავლეებმა და რისი მიღწევა შეუძლიათ მათ, იმ შემთხვევაში, თუ ძალისხმევას არ დაიშურებენ
- შემდეგ მასწავლებელი გეგმავს სწავლება-სწავლის პროცესს და განსაზღვრავს მოსწავლეების საჭიროებებს საწყის ეტაპზე, მათ შესაძლებლობებსა და სირთულეებს, რომელთა დაძლევაც მოსწავლეებს დასჭირდებათ.

ასეთი სახით მოსამზადებელი სამუშაო კვალიფიციური მასწავლებლებისათვის სიახლეს არ წარმოადგენს. ეს კარგად აპრობირებული პრაქტიკაა. მასწავლებელთა უმრავლესობა არა მარტო გაკვეთილის თემასა და შესწავლის საგანზე ახდენს ყურადღების კონცენტრირებას - „არდადეგებამდე მე-19 საუკუნე უნდა დავასრულოთ“ - არამედ იმასაც განსაზღვრავს, თუ რა შედეგების მიღება სურს მოსწავლეებისაგან.

ცხოვრების მანძილზე მოსწავლეებს მოუწევთ მასწავლებლის გარეშე გაართვან თავი შექმნილ სიტუაციებს. სწავლების ტრადიციული მოდელი - ფორმალური ინსტრუქციები, მკაცრად განსაზღვრული სასწავლო პროგრამები არ უწყობს ხელს მოსწავლის ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ, თავდაჯერებულ და კომპეტენტურ პიროვნებად, იმ თვალსაზრისით, რომ სწავლების ტრადიციული მოდელი არ არის ორიენტირებული ისეთ განზომილებებზე, როგორიცაა უნარები, დამოკიდებულებები და ღირებულებები.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი კომპეტენციების განვითარების სხვადასხვა განზომილებას გულისხმობს:

პირველი განზომილება გულისხმობს აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტის დამყარებასა და თავისუფლად საუბარს, ეხება შინაგან შესაძლებლობებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული შინაარსზე, მაგრამ მოსწავლეებს სძენს უნარს, რომელიც მათ ყოველთვის გამოადგებათ ცოდნის გამომჟღავნებისა და სხვებისათვის გადაცემის პროცესში. ამ შემთხვევაში მოსწავლეს უვითარდება უნარი ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებებით და მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიულ პროცესებში, რაშიაც მას ეხმარება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლება.

მეორე განზომილება გულისხმობს საარჩევნო სისტემის საფუძვლების გაგებას და ინფორმაციის ფლობას იმის შესახებ, თუ ვინ გაიმარჯვა უკანასკნელ არჩევნებში, რომელმა პოლიტიკურმა ძალამ შეადგინა ამჟამად მომქმედი მთავრობა. ეს არის დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ სწავლების ერთ-ერთი მაგალითი. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ თუ რა უფლებებს ანიჭებს მათ კონსტიტუცია (მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება) და რა მნიშვნელობა ენიჭება მათ ქვეყნის პოლიტიკური სისტემისთვის.

მესამე განზომილება კი გამოხატავს ღირებულებებისა და დამოკიდებულებების მნიშვნელობას დემოკრატიული მოქალაქეობისათვის. დემოკრატიას განსაზღვრავს პოლიტიკური კულტურა, რომელიც ყალიბდება იმ დამოკიდებულებებისა და ღირებულებების საფუძველზე, რომლის მიმართაც ერთგულებას იჩენენ მოქალაქეები.

დემოკრატიის პირობებში ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს წარმოადგენს ურთიერთპატივისცემა და იმ მოსაზრებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება, რომელსაც მოსწავლეები შეიძლება არ იზიარებდნენ. ისინი უნდა აცნობიერებდნენ, რომ მათი უფლება - იყვნენ თავისუფალნი, უნდა ითვალისწინებდეს სხვათა უფლებებსაც. აქედან გამომდინარე, თავისუფლება გულისხმობს ვალდებულებებსაც.

დემოკრატიული მოქალაქეობის პრინციპების მიხედვით პიროვნების ინდივიდუალობის საფუძველს წარმოადგენს:

- რა ცოდნას ფლობს და რას აცნობიერებს;
- უნარები, რომლებიც პიროვნებას საშუალებას აძლევს გამოიყენოს საკუთარი ცოდნა;
- იმ ცოდნისა და უნარების შეფასება, რომელსაც ფლობს პიროვნება

ბოლო პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მასწავლებელი არა მხოლოდ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი მოსწავლეები ფლობენ დემოკრატიულ კომპეტენციას, არამედ თავად მოსწავლეებიც უნდა აცნობიერებდნენ საკუთარ კომპეტენტურობას. მათ

შეგნებული უნდა ჰქონდეთ, თუ რა ცოდნას ფლობენ ისინი და რა ამოცანისა თუ პრობლემის გადასაჭრელად უნდა გამოიყენონ ის. გარდა ამისა, მოსწავლეებს სჭირდებათ, იყვნენ თავიანთ შესაძლებლობებში დარწმუნებულები, რათა მიიღონ გამოწვევები და გაუმკლავდნენ სირთულეებს.

**1.7. დემოკრატიული მოქალაქობისთვის საჭირო კომპეტენციები და მათი გამოვლენა**

კომპეტენციები გულისხმობს ჩვენ „შიგნით" არსებულ უნარებსა და პოტენციალს. აქედან გამომდინარე, ისინი ზოგჯერ დაფარულ უნარებსა და შესაძლებლობებს წარმოადგენს. მაშინ, როგორ შეუძლია მასწავლებელს აღმოაჩინოს და განსაზღვროს, თუ რა კომპეტენციებს ფლობენ მისი მოსწავლეები? უნდა გვესმოდეს, რომ კომპეტენცია არ არსებობს ვიზუალური გამოხატულების გარეშე, მაგრამ ასევე არ არსებობს არც ერთი მოქმედება კომპეტენციის გარეშე. მასწავლებლები თავიანთი მოსწავლეების კომპეტენციის განვითარებას აფასებენ მათ მიერ შესრულებული ქმედებებით - რისი კეთებაც მათ შეუძლიათ.

პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული სწავლა მოსწავლეებს აძლევს კომპეტენციების დახვეწის შესაძლებლობას, ხოლო მასწავლებლებს აძლევს მიღწევების შეფასებისა და მათი საჭიროებების განსაზღვრის საშუალებას. აღნიშნული დებულება ვრცელდება არა მარტო დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე, არამედ ზოგადად, სწავლებასა და სწავლაზე.

**კომპეტენციები - ანალიზისა და მსჯელობის განვითარებისთვის.** დემოკრატიული მოქალაქეობა გულისხმობს, რომ მოქალაქეებს უნდა ესმოდეთ საკითხი, რომელსაც განიხილავენ, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მათ ინფორმირებულობას და იმას, რომ ფლობდნენ პრობლემების, განსახილველი საკითხისა და კონფლიქტის ანალიზის უნარს. ეს წარმოადგენს კომპეტენციების განვითარების შემეცნებით განზომილებას (პოლიტიკური საკითხების „შესახებ" სწავლა).

აღქმისა და შემეცნების ამ დონის გარეშე მოქალაქე დემაგოგების, ლობისტებისა და პოპულისტების იოლ სამიზნედ იქცევა და ვერ შეძლებს ინდივიდუალური თუ ჯგუფის ინტერესების განსაზღვრას და მასზე მოლაპარაკებების წარმოებას. ჩვენ ვართ დამოკიდებული მედიაზე, როგორც ინფორმაციის წყაროზე და უნდა ვფლობდეთ მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის უნარს. პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა, ისევე როგორც ნებისმიერი ცხოვრებისეული ქმედება წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიცით რისი მიღწევა გვსურს. ჩვენ უნდა შეგვეძლოს საკუთარი ინტერესებისა და მიზნების განსაზღვრა, მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს შორის, ღირებულებებსა და პასუხისმგებლობებს შორის

ბალანსის გამონახვა. პოლიტიკა არის გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც პრობლემების გადაჭრასა და კონფლიქტების მოგვარებას ემსახურება, ხოლო გადაწყვეტილების მიღება მსჯელობის გარეშე შეუძლებელია.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წარმოადგენს იმ ძირითად საშუალებას, რომელიც მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, მუდმივად იყვნენ ჩართული მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

**პიროვნული და სოციალური კომპეტენციების განვითარება.** კომპეტენციის ცნება გარკვეულწილად რთულდება, როდესაც ღირებულებებისა და დამოკიდებულებების განზომილებას ესადაგება. მეორე მხრივ, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ართმევს თავს მოსწავლე დავალებას, როგორ იქცევა იგი. აქედან გამომდინარე, მოქმედებისათვის მზადყოფნა შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს კომპეტენციად. კომპეტენციის განვითარების ეს განზომილება ესადაგება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „საშუალებით“ სწავლას. იგი მოიცავს შემდეგს:

- საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება და თვითშეფასება;
- თანაგრძნობა;
- ურთიერთპატივისცემა;
- კომპრომისზე წასვლის აუცილებლობის გაცნობიერება;
- პასუხისმგებლობა;
- ადამიანის უფლებათა, როგორც საერთო ღირებულებების გაცნობიერება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მშვიდობის, სამართლიანობისა და სოციალური ერთობის შენარჩუნება.

**ლიტერატურა**

1.როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, ოლაფ ოლაფსდოტირი, ვილტრუდ ვეიდინგერი, განათლება დემოკრატიისათვისსწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ _ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013

2. მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო, სტრასბურგი, 2009 წელი

3. ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ , თბილისი, 2012

ელგუჯა დეისაძე, ქუთაისის უნივერსიტეტი

# 2. აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო ჩართულობა

### 2.1 შესავალი - დემოკრატია პრაქტიკაში

დემოკრატიის განვითარება ქვეყანაში აქტიური მოქალაქეების არსებობასთან პირდაპირ კავშირშია. რაც უფრო მეტი მოქალაქე მონაწილეობს დემოკრატიულ პროცესებში, ქვეყნის მართვას ხელისუფლება გაზრდილი პასუხისმგებლობით ეკიდება. შესაბამისად, მოქალაქის ერთგვარი მორალური ვალდებულებაა, მაქსიმალურად გამოიყენოს კონსტიტუციით და კანონით მინიჭებული შესაძლებლობები და აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფოს, ან თუნდაც საკუთარი ქალაქის ან მუნიციპალიტეტის მართვაში.

მსოფლიო ისტორიის მანძილზე დემოკრატია არასოდეს ყოფილა ასე ფართოდ დამკვიდრებული და განმტკიცებული, როგორც 21-ე საუკუნის დასაწყისში. „დემოკრატია" ბერძნული სიტყვაა: „დემოს" ნიშნავს ხალხს, ხოლო „კრატოს" - ძალაუფლებას. შესაბამისად, დემოკრატიას ხშირად განსაზღვრავენ როგორც „ხალხის ბატონობას": ეს არის სისტემა, სადაც ხალხი ადგენს წესებს და ემორჩილება მათ. თანამედროვე მსოფლიოში ხალხებისა და ქვეყნების უმეტესობას მიაჩნია, რომ მმართველობის ერთადერთი მოქმედი და სიცოცხლისუნარიანი სისტემა დემოკრატია უნდა იყოს.

დემოკრატია ორ ძირითად პრინციპს ეფუძნება:

- „ინდივიდუალური ავტონომიის" პრინციპი: რომ არავინ უნდა დაექვემდებაროს წესებს, რომლებიც სხვათა მიერ არის დაწესებული;
- „თანასწორობის" პრინციპი: რომ ყველას უნდა ჰქონდეს ერთნაირი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება ადამიანებს საზოგადოებაში.

მმართველობის სხვა ფორმები არღვევს ორივე ამ პრინციპს, ვინაიდან ძალაუფლება გადაწყვეტილების მიმღები კონკრეტული ადამიანის ან სოციალური კლასის ხელშია და ისინი დანარჩენი მოსახლეობის სახელით იღებენ ყველა გადაწყვეტილებას.

დემოკრატია შეიძლება სხვადასხვა ფორმის იყოს. მაგალითად, პირდაპირ დემოკრატიაში მოქალაქეები უშუალოდ მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღებაში. თუმცა დემოკრატიის ყველაზე გავრცელებულ ფორმას ლიბერალური ანუ წარმომადგენლობითი დემოკრატია წარმოადგენს, სადაც მოქალაქეები ირჩევენ წარმომადგენლებს, რომლებიც ქმნიან კანონებს და

პოლიტიკას და ნიშნავენ სახელმწიფო მოხელეებს. თეორიულად, წარმომადგენლობითი დემოკრატია გულისხმობს ხელისუფლების თავისუფალ და სამართლიან არჩევას ხალხის ხმათა უმრავლესობით. ლიბერალური დემოკრატიისთვის დამახასიათებელია კანონის უზენაესობა, ძალაუფლების გაყოფა, ადამიანის უფლებათა და უმცირესობათა დაცვა. კანონის უზენაესობა არის პრინციპი, როდესაც ხელისუფლება და სასამართლო მხოლოდ დაწერილი კანონების შესაბამისად მოქმედებენ. აღნიშნული პრინციპი მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალაუფლების გაყოფის პრინციპთან, რომლის თანახმად ხელისუფლების საკანონმდებლო (პარლამენტი), აღმასრულებელი (მთავრობა) და სასამართლო შტოები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. დემოკრატიული ხელისუფლების პირობებში ადამიანის უფლებები საერთო ფასეულობების სისტემას წარმოადგენს. შესაბამისად, მცირე წარმომადგენლობის მქონე ნებისმიერი სოციალური ჯგუფი, როგორიცაა ბავშვები, ქალები, ემიგრანტები, რელიგიური ან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, დაცული არიან დისკრიმინაციისგან და ხდება მათი ინდივიდუალობისა და მონაწილეობის ხელშეწყობა.

ტერმინი „დემოკრატია“ აღნიშნავს საზოგადოების გარკვეულ ტიპს, ასევე მმართველობის გარკვეულ მოდელსაც. დემოკრატიული საზოგადოება უზრუნველყოფს მმართველობის ყველაზე სამართლიან მეთოდს უმეტესი ხალხისთვის და მაქსიმალურ თანასწორობას; გაცილებით მეტი ადამიანია აქტიური და არა პასიური მონაწილე. დემოკრატიისთვის დამახასიათებელია ადამიანის უფლებათა დაცვა და ხელშეწყობა ყველა ადამიანისთვის, ჯგუფისთვის თუ საზოგადოების შემადგენელი ყველა თემისთვის. ვინაიდან დემოკრატიული საზოგადოება მუდმივად ცდილობს სოციალური საკითხების გადაჭრას ხალხის უმრავლესობის სასარგებლოდ, უფრო სავარაუდოც არის, რომ ადამიანებმა პატივი სცენ ასეთ გადაწყვეტილებებს. დემოკრატია არსებობს როგორც ადგილობრივ, ისე სახელმწიფო დონეზე.

დემოკრატიული სისტემები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და არცერთი მათგანი არ შეიძლება ჩაითვალოს მოდელად სხვათათვის. დემოკრატიულმა ხელისუფლებამ შეიძლება მიიღოს რამდენიმე ფორმა, მათ შორის *საპრეზიდენტო მმართველობის* (როგორიცაა საფრანგეთში, რუმინეთში ან რუსეთში) ან *საპარლამენტო მმართველობის* (როგორც დიდ ბრიტანეთში, სლოვაკეთში, ესპანეთში ან საქართველოში). სხვა ქვეყნებს, როგორიცაა გერმანია, *ფედერალური მმართველობის* ფორმები აქვთ. ზოგიერთი საარჩევნო სისტემა პროპორციულია, ხოლო ზოგი მათგანი მაჟორიტარული. თუმცა ზოგადი პრინციპებია ყველა მოქალაქის თანასწორობა და ყველა ადამიანის უფლება გარკვეულ ინდივიდუალურ ავტონომიაზე. მაგრამ ინდივიდუალური ავტონომია არ ნიშნავს იმას, რომ ყველას შეუძლია იმის კეთება, რასაც

მოისურვებს. ის გულისხმობს, რომ მმართველობის სისტემა ყოველ მოქალაქეს თანაბარი ხმის უფლებას აძლევს, აღიარებს, რომ თითოეულ ადამიანს შეუძლია ჰქონდეს დამოუკიდებელი არჩევანის შესაძლებლობა და რომ მის არჩევანს ანგარიში უნდა გაუწიონ. ამის შემდეგ ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია ცალკეული მოქალაქეების ინიციატივებზე, პროცესებში მონაწილეობასა და ჩართულობაზე, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდაში წვლილის შეტანაზე. გამომდინარე აქედან, დემოკრატიული მოქალაქეობა შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც პრაქტიკა - ჩვენს საზოგადოებაში აქტიური როლის შესრულების პრაქტიკა. ასეთი მონაწილეობა შეიძლება განვახორციელოთ  ფორმალური თუ არაფორმალური სოციალური ჯგუფის მეშვეობით ჩვენს უშუალო გარემოცვაში (სამეზობლოში), ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში.

დემოკრატიული სისტემები ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმის გათვალისწინებითაც, თუ რამდენად სცემენ ისინი პატივს თანასწორობას და აძლევენ მოქალაქეებს იმის საშუალებას, რომ გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებებზე. ადამიანებს, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ, შეიძლება ნაკლები ხმის უფლება ჰქონდეთ; ქალებს, რომლებიც ნაკლებად არიან წარმოდგენილი საზოგადოებაში, შეიძლება ნაკლები შესაძლებლობები ჰქონდეთ გადაწყვეტილების მიღების დროს, მაშინაც კი, როცა აღნიშნული გადაწყვეტილებები კონკრეტულად ქალებს ეხება; ზოგიერთ სოციალურ ჯგუფს, როგორიცაა ბავშვები და უცხო ქვეყნის მუშები, შეიძლება არ ჰქონდეთ ხმის მიცემის უფლება. ამავე დროს ბევრ ადამიანს სჯერა, რომ მათ წესები ისეთმა არჩეულმა პირებმა დაუდგინეს, რომლებიც მათ ინტერესებს არ წარმოადგენენ.

ამგვარად, სად არის ძირითადი დემოკრატიული პრინციპები? რამდენად შეგვიძლია შევიგრძნოთ „საკუთრება" ნებისმიერ კანონზე და ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე?

დემოკრატია არასოდეს არის იდეალური და ყოვლისმომცველი. დემოკრატია მხოლოდ მაშინ "მუშაობს", როცა მოქალაქეები აქტიურები არიან!

დემოკრატიული საზოგადოება გაცილებით მეტია, ვიდრე დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება და ეროვნული ინსტიტუტების სისტემა. დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი გამოვლინებებია: ძლიერი და დამოუკიდებელი ადგილობრივი ხელისუფლება; განვითარებული და აქტიური სამოქალაქო საზოგადოება[1] სახელმწიფო და ადგილობრივ

---

[1] **სამოქალაქო საზოგადოება** - მისი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული განმარტება სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორს - ლარი დაიმონდს ეკუთვნის. **სამოქალაქო საზოგადოება** - ესაა ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც თვითწარმოქმნადი და

დონეებზე და დემოკრატიული სული სამუშაო ადგილებზე და სასწავლო დაწესებულებებში. დემოკრატია პრაქტიკული პროცესია, რომლის სწავლაც ყოველდღიურად და ყველგან არის საჭირო.

დემოკრატია შეიძლება უფრო ეფექტიანი იყოს და უფრო უკეთ ემსახურებოდეს მოქალაქეების ინტერესებს, თუ ადამიანები ჩამოაყალიბებენ მოთხოვნებს, მეტ ზეგავლენას მოახდენენ და ხელისუფლების მოქმედებას კონტროლს მუდმივად გაუწევენ. თანამედროვე საზოგადოებაში არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია მოქალაქეთა კონტროლის ძირითად საშუალებებს წარმოადგენენ. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ დაიცვან, ასწავლონ და ყურადღების მობილიზაცია მოახდინონ საზოგადოების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე და ხელისუფლების ან სხვა მმართველობითი ორგანოების ქცევის მონიტორინგი აწარმოონ. არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით მოქალაქეებს შეუძლიათ გახდნენ მამოძრავებელი ძალა და მთავარი მოქმედი პირები უფრო დემოკრატიული მსოფლიოს მშენებლობის გზაზე.

დემოკრატიულ საზოგადოებებში მედიას მეტად ძლიერი ფუნქცია აკისრია. მედიის საშუალებით ხორციელდება ახალი ამბების გაგება და სხვადასხვა სოციალურ სფეროში ჩაბმული ადამიანების აზრის წარმოჩენა. მედია მოქალაქეების სახელით ასრულებს ე.წ. „მეთვალყურის“ როლს. მაგრამ ამგვარი ფორმა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალი არიან ხელისუფლების ან კორპორატიული ინტერესებისგან და ზეგავლენისგან, თუ მათ იციან საზოგადოების სამსახურის ფასი და საკუთარ როლს სერიოზულად უდგებიან.

### 2.2. აქტიური მოქალაქეობის კონცეფცია

მოქალაქეობრივი აქტიურობა, ან აქტიური მოქალაქეობის კონცეფცია მრავალმხრივი და მრავალფუნქციურია. მისი დახასიათებისა და ჩამოყალიბებისათვის მრავალი ერთმანეთის შემავსებელი და გამომრიცხველი მოსაზრება შეიძლება მოვიყვანოთ. თუმცა, ამ საკითხის განხილვა ბევრად უფრო გამარტივდება, თუ პირველად ზოგადად მოქალაქეობის კონცეფციებს

---

თვითგნვითარებადია, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით. არსებობს სხვა განსაზღვრებებიც, თუმცა ზოგადი, საერთო მოსაზრებით, **სამოქალაქო საზოგადოება** - ეს არის საზოგადოების ნებაყოფლობითი ორგანიზების ტიპი, სადაც ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ეს არის ასოციაციური ცხოვრება ან ასოციაციისა და ჯგუფების ერთობლიობა სახელმწიფოებრივ საჯარო სივრცეში, რომელიც ერთნაირი ან დაახლოებული სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების მატარებელ ინდივიდებს აერთიანებს.

და განზომილებებს განვიხილავთ, აგრეთვე გავარჩევთ მსოფლიოში იმ პრობლემებსა და გამოწვევებს, რაც ზოგადად მოქალაქეობის წინაშე დგას.

2.1 მოქალაქეობის ისტორიული და თანამედროვე კონცეფციები

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მოქალაქის კონცეფციის განხილვისას შესაძლებელია გამოიყოს სამი ელემენტი (კომპონენტი): (1) მოქალაქეობა როგორც სტატუსი, (2) მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები და (3) პოლიტიკური თანასაზოგადოების წევრობა (მიკუთვნებულობა), რაც იდენტობის აშკარად ხილულ წყაროს წარმოადგენს (Cohen 1999; Kymlicka & Norman 2000; Carens 2000).

აბსოლუტურად ცხადია, რომ სამივე კონცეფცია ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. პირველი აღწერითი ხასიათისაა, თუმცა მეორე და მესამე კონცეფციები, ფაქტობრივად, აყალიბებენ მოქალაქის სამართლებრივ-საზოგადოებრივ ხასიათს და მოქალაქეობრივ მსოფლმხედველობას.

მოქალაქეობის უფლება უაღრესად მნიშვნელოვანია ნებისმიერ ქვეყანაში ინდივიდთა ყოველდღიური ცხოვრებისთვის. ქვეყნის მოქალაქის სტატუსი იძლევა მრავალ იურიდიულ უპირატესობას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს - ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე - არჩევნებში მონაწილეობის უფლებას; საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებას; სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, საჯარო განათლების მიღების, შრომის უფლებას, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის და მიწის ნაკვეთის ფლობის უფლებას და სხვ.

და მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ქვეყანას შეუძლია გადაწყვიტოს, თუ ვინ ითვლება მის მოქალაქეებად და რა უფლებები და მოვალეობები უნდა გააჩნდეს მათ, ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული საერთაშორისო დოკუმენტები მოქალაქეობის რეგულირების კუთხით აწესებს ერთგვარ ლიმიტებს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შესაზღუდად. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანთა უფლებების სფეროში ისეთი საყოველთაო პრინციპები, როგორიცაა არადისკრიმინაცია და მოქალაქეობის გარეშე დარჩენა, ზღუდავს სახელმწიფოთა თავისუფალი მოქმედების საშუალებას მოქალაქეობასთან დაკავშირებულ ეროვნულ რეგულაციებში.

დღეს არსებული „მოქალაქეობა“ სცილდება უბრალოდ სამართლებრივ ურთიერთობებს ადამიანებსა და სახელმწიფოს შორის. მას არა მხოლოდ სამართლებრივი ასპექტი ახასიათებს, რომელიც მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებსა და მოვალეობებს გულისხმობს, არამედ ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტებიც. მოქალაქეობა ადამიანის ინდივიდუალობის

(იდენტობის) ნაწილია. შენ გიყვარს შენი საზოგადოება (თემი)[2], რადგან მისი ნაწილი ხარ და სხვებისგანაც ამას ელი და გინდა, რომ ისინი შენთან ერთად ზრუნავდნენ მთელი საზოგადოების საერთო კეთილდღეობაზე. აქტიური მოქალაქეობა სწორედ საკუთარი საზოგადოების სრულყოფის მიმართულებით საქმიანობას, თანამონაწილეობის გზით საზოგადოების თითოეული წევრის ცხოვრების გაუმჯობესებას გულისხმობს. იგი ეფუძნება იმ შეხედულებებს და რწმენას, რომ მოქალაქე არის როგორც უფლებების და მოვალეობების „მიმღები“ (ინგლ. „Receiver”), ასევე „მონაწილე“ ანუ „აქტორი“ (ინგლ. „Actor“), რომელიც მონაწილეობას ღებულობს იმ ჯგუფის ცხოვრებაში, რომლის ნაწილადაც თავს აღიქვამს.

მოქალაქეობის ტრადიციები და მისდამი დამოკიდებულებები საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა და ისინი ძალიან მრავალფეროვანია სხვადასხვა ქვეყნების, მათი ისტორიის, საზოგადოებების, კულტურისა და იდეოლოგიის მიხედვით. მოქალაქეობის ისტორიული განვითარების იდეის გააზრება გვეხმარება მოქალაქეობის მრავალმხრივი ასპექტების ახსნაში.

მოქალაქეობის ერთ-ერთი ადრეული კონცეფცია უკავშირდება ძველი საბერძნეთის ქალაქსახელმწიფოებს, სადაც „მოქალაქეებად“ ითვლებოდნენ ისინი, ვისაც სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის იურიდიული უფლება გააჩნდათ; მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ყველანი მოქალაქეები იყვნენ. მაგალითად, მონები, გლეხები, ქალები ან უცხოელი რეზიდენტები არ ითვლებოდნენ მოქალაქეებად. მათთვის კი, ვისაც მოქალაქის პრივილეგირებული სტატუსი ჰქონდა, "სამოქალაქო ღირსების" იდეა ან "კარგი მოქალაქის" გაგება ამ კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, ვინაიდან მონაწილეობა განიხილებოდა არა მხოლოდ როგორც უფლება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც მოვალეობა. მოქალაქე, რომელიც არ ასრულებდა თავის მოვალეობას, მიიჩნეოდა საზოგადოებრივი საფუძვლების ძირგამომთხრელ ადამიანად.

მოქალაქეობის ცნებამ სერიოზული გაუფასურება განიცადა ფეოდალურ საზოგადოებებში, განსაკუთრებით, აბსოლუტური მონარქიის პირობებში, სადაც ყველა ტიპის ძალაუფლება მონარქის ხელში იყო თავმოყრილი. სამეფოში მცხოვრები ადამიანები იყვნენ არა მოქალაქეები, არამედ მეფის ქვეშევრდომები, რომლებიც ცხოვრების ყველა სფეროში მონარქის ნებას უნდა დამორჩილებოდნენ. თანამედროვე გაგებით მოქალაქეობის ცნების ჩამოყალიბება ინგლისის

---

[2] გეოგრაფიული თვალსაზრისით, **„საზოგადოება“** (ინგლ. „Community”) ჩვეულებრივ განისაზღვრება ორ ძირითად დონეზე, როდესაც ხდება დიფერენცირება ადგილობრივ საზოგადოებას (ინგლ. „Local Community“) თუ თემსა (რომელშიც ცხოვრობს ადამიანი) და სახელმწიფოს (რომელსაც ეკუთვნის) შორის.

(XVII საუკუნე) და საფრანგეთის (1789 წ.) რევოლუციებთან არის დაკავშირებული, როდესაც უკმაყოფილო ქვეშევრდომებმა დაამხეს აბსოლუტური მონარქია.

მოქალაქეობის ასოცირება ეროვნულ კუთვნილებასთან მეცხრამეტე საუკუნეში წარმოიშვა, როდესაც ევროპის მთელი მასშტაბით ჩნდებოდა ეროვნული სახელმწიფოები და როცა „მოქალაქის“ სამართლებრივი სტატუსი ხშირად უკავშირდებოდა ეროვნულ სახელმწიფოს, მაშინაც კი, როცა აღნიშნულ ტერიტორიაზე რამდენიმე ეთნიკური წარმოშობის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. ამ პერიოდში მოქალაქეობასა და პატრიოტიზმს შორის კავშირი კიდევ უფრო გაძლიერდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეობა განსხვავდება ეროვნებისგან ანუ ეთნიკური იდენტურობისგან. აღნიშნულ კონტექსტში ორი უკანასკნელი ტერმინი სინონიმებია კულტურული და ენობრივი ნიშნით დაჯგუფებისთვის. ევროპის უმეტესი ქვეყნები რამდენიმე სხვადასხვა ეროვნების ადამიანებით არის დასახლებული. თუმცა ერთი და იმავე ეროვნების ადამიანები შეიძლება მეზობელ ქვეყნებშიც ცხოვრობდნენ. თუ სახელმწიფო პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს, ერი კულტურული და/ან ეთნიკური ერთეულია. მოქალაქეობა დაკავშირებულია სახელმწიფოსთან და არ არის დამოკიდებული ეროვნებაზე.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლი აღიარებს ეროვნული კუთვნილების (ინგლ. Nationality) უფლებას, უფლებას შეიცვალო ეროვნული კუთვნილება და იმის უფლებას, რომ თვითნებურად არ ჩამოგვერთვას ეროვნული კუთვნილება. საერთაშორისო ნორმების კონტექსტში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, "ეროვნული კუთვნილება" და "მოქალაქეობა" (ინგლ. “Citizenship”) სინონიმებად ითვლება.

მუხლი 15.

1. ყველას აქვს მოქალაქეობის უფლება.
2. არავის შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.

*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია*

მოქალაქეობის ლიბერალური გაგება, რომელიც საფრანგეთის რევოლუციასთან ერთად წარმოიშვა, ყურადღებას ამახვილებდა ყველა მოქალაქისთვის უფლებების მინიჭების მნიშვნელობაზე, კონსტიტუციის ერთგულებაზე და არა ეთნიკურ წამომავლობაზე. რაც უფრო მეტ ადამიანს ეძლეოდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება, სამართლიანობა და პოლიტიკური უფლებები უფრო მეტი ადამიანისთვის იქცეოდა რეალობად.

„სოციალური მოქალაქეობის“ კონცეფცია XX საუკუნის პროდუქტია. „სოციალური მოქალაქეობის“ მხარდამჭერები უფრო შორს წავიდნენ და აღიარეს, რომ მოქალაქეებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები სახელმწიფოსგან უნდა ჰქონოდათ მინიჭებული. გასულ საუკუნეში მდიდარი სახელმწიფოების აღმავლობა მნიშვნელოვანწილად იმ მოაზროვნე ადამიანებს უნდა უმადლოდეს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მოქალაქეების უფლებები მათ საარსებო და სამუშაო პირობებსაც უნდა გულისხმობდეს.

დღეს მოქალაქეობას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, რომლებიც ურთიერდაკავშირებული და ურთიერდამოკიდებულია. „ევროპის მოქალაქეობა“ სხვადასხვანაირად ესმით ადამიანებს. ევროკავშირის შესახებ მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ჩამოაყალიბა კონცეფცია, რომ ევროკავშირში შემავალ სახელმწიფოთა მოქალაქეებს გარკვეული უფლებები და მოვალეობები აქვთ როგორც მთლიანად კავშირის, ისე საკუთარი სახელმწიფოების მიმართ. ევროკავშირის მოქალაქეებისთვის მინიჭებული ამგვარი უფლებები გულისხმობს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიეზე გადაადგილების თავისუფლებას და ცხოვრების უფლებას, ასევე ევროპის პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისა და საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლებას[3]. ამჟამად ევროპის მოქალაქეობა სადღაც ხელშესახებ რეალობასა და შორეულ იდეალს შორის იმყოფება. ევროპის მოქალაქეობა იძლევა სხვადასხვა ფასეულობის (ინგლ. „Value“) სისტემებისადმი - ადამიანის უფლებების, ეროვნების, ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის, ადგილობრივი თემის, ოჯახის, იდეოლოგიური ჯგუფისადმი და ა.შ. - კუთვნილების გრძნობას. კუთვნილების აღნიშნული მრავალფეროვანი და დინამიკური სისტემა, რომელსაც გულისხმობს ევროპის მოქალაქეობა, არ მოდის წინააღმდეგობაში არცერთ ეროვნულ იდენტობასთან, იგი მოცულობითია და მოქმედებს ადგილობრივ დონეზე.

„მსოფლიოს მოქალაქეობა“ შედარებით ახალი კონცეფციაა, რომელიც წარმოიშვა იმ შეხედულებიდან, რომ ყველა ადამიანი მსოფლიოს მოქალაქეა. თუმცა, სამართლებრივი თვალსაზრისით, ცნება „მსოფლიოს მოქალაქე“ არ არსებობს. „მსოფლიოს მოქალაქეობა“ (ინგლ. “Global Citizenship”) გულისხმობს უსამართლობისა და უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროების გათვითცნობიერებას, ასევე ამ მიმართულებით აქტიურად მოქმედების სურვილს და შესაძლებლობას. ეს არის დედამიწის უნიკალურობის ერთგვარი აღქმა და მომავალი

---

[3] ევროკავშირის ქვეყნები კიდევ უფრო შორს წავიდნენ - ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, ამ ქვეყნის მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც ევროკავშირის სხვა ქვეყნის მოქალაქეა, შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ არჩევნებში.

თაობებისთვის მისი დაცვისა და შენარჩუნების სურვილი. მსოფლიოს მოქალაქეობა არსებობს ნებისმიერი სხვა მოქალაქეობის პარალელურად.

ამჟამად, ადამიანების უმეტესობის გაგებით, მოქალაქეობა შეიცავს ყველა აღნიშნული კონცეფციის ელემენტებს, თუმცა სხვადასხვა ხარისხით. ზოგი ადამიანი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს „მოვალეობებს“, მაშინ, როცა სხვებმა შეიძლება „უფლებებს“ უფრო მეტი მნიშვნელობა შესძინონ. ზოგიერთებისთვის პატრიოტიზმი და კავშირი რომელიმე ერთ სახელმწიფოსთან უმთავრესია, მაშინ, როცა სხვა ადამიანები მოქალაქეობის მნიშვნელობას უფრო ფართოდ გაიაზრებენ.

**მოქალაქეობის განზომილებები.** ცალკეულ ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებში შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი განზომილება, რომლებიც შეესაბამება საზოგადოებაში არსებულ ოთხ ქვესისტემას და უმნიშვნელოვანესია ამ საზოგადოების არსებობისთვის: პოლიტიკური/სამართლებლივი განზომილება, სოციალური განზომილება, კულტურული განზომილება და ეკონომიკური განზომილება.

მოქალაქეობის პოლიტიკური განზომილება გულისხმობს პოლიტიკურ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს პოლიტიკურ სისტემასთან[4] მიმართებაში. ამ განზომილების განვითარება უნდა მომდინარეობდეს პოლიტიკური სისტემის ცოდნიდან, დემოკრატიული ფასეულობების ხელშეწყობიდან და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უნარ-ჩვევებიდან.

მოქალაქეობის სოციალური განზომილება დაკავშირებულია საზოგადოებაში მოქალაქეთა ქცევასთან და მოითხოვს ლოიალობისა და სოლიდარობის განსაზღვრულ ხარისხს. ამ განზომილების განვითარებისთვის აუცილებელია სოციალური უნარ-ჩვევები და საზოგადოებაში სოციალური ურთიერთობების ცოდნა.

მოქალაქეობის კულტურული განზომილება ეხება საერთო კულტურული მემკვიდრეობის გაცნობიერებას. ეს კულტურული განზომილება უნდა აიგოს კულტურული მემკვიდრეობის ცოდნასა და ისტორიაზე, ძირითად უნარ-ჩვევებზე (ენის ცოდნა, ზეპირი და წერითი კომუნიკაცია).

მოქალაქეობის ეკონომიკური განზომილება გულისხმობს ურთიერთკავშირს ინდივიდსა და შრომის და სამომხმარებლო ბაზარს შორის. იგი გამოიხატება შრომის უფლებითა და არსებობის

---

[4] **პოლიტიკური სისტემა** - ეს არის საზოგადოებაში პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობათა სისტემა, რომლის კონცენტრირებულ გამოხატულებას სახელმწიფო ხელისუფლება წარმოადგენს.

მინიმალური დონით. ამ ეკონომიკური განზომილების რეალიზებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკური უნარ-ჩვევები (დაქირავებულ შრომასთან ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული) და პროფესიული მომზადება.

მოქალაქეობის ეს ოთხი განზომილება რეალიზდება სოციალიზაციის პროცესებით, რომლებსაც ადგილი აქვს სკოლაში, უნივერსიტეტში, ოჯახებში, კერძო ორგანიზაციებსა და საჯარო დაწესებულებებში, პოლიტიკურ პარტიებში, აგრეთვე, ასოციაციებში, მასმედიაში, თემში, სამეზობლოში და თანატოლების ჯგუფებში. ისევე როგორც სკამს აქვს ოთხი ფეხი წონასწორობის უზრუნველსაყოფად, ასევე თითოეულ ადამიანს უნდა შეეძლოს მოქალაქეობის ამ ოთხი განზომილების რეალიზება თანაბრად და ბალანსირებულად; სხვაგვარად, სრული მოქალაქეობა (ინგლ. Full Citizenship) არაბალანსირებული გამოვა.

**მოქალაქეობა: პრობლემები და გამოწვევები.** მოქალაქეობის საკითხებზე დღესაც ბევრი დისკუსია იმართება. მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ უნდა გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა და მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების პროცესებში. ხდება სულ უფრო მეტი გაცნობიერება იმისა, რომ არჩევნებში ხმის მიცემა ანუ პერიოდულად არჩევნებში უბრალო მონაწილეობა საკმარისი არ არის, არამედ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არჩევნებს შორის პერიოდში გავზარდოთ არჩეულ ხელმძღვანელთა ანგარიშვალდებულება[5] და რიგით მოქალაქეებს შორის განვამტკიცოთ საკუთარი უფლებამოსილებების შეგრძნება. გარდა ამისა, არჩევნებში მოქალაქეთა აქტიურობის ანუ ხმის მიცემის

დაბალი მაჩვენებლები[6] იწვევს პოლიტიკურ აპათიას მოსახლეობაში, რაც სერიოზულად აფერხებს დემოკრატიის ეფექტიან ფუნქციონირებას.

წუხილს იწვევს იმ მოქალაქეთა მდგომარეობაც, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ გააჩნიათ მოქალაქეობასთან დაკავშირებული მთელი რიგი შეღავათები, რისი ერთ-ერთი ასპექტიც სხვადასხვა საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებული დისკრიმინაციაა: ძალიან ხშირად უმცირესობათა ჯგუფებს შეიძლება ჰქონდეთ იმ ქვეყნის ფორმალური მოქალაქეობა, სადაც ისინი ცხოვრობენ, მაგრამ მაინც მათ არ შეეძლოთ იმ საზოგადოებაში საკუთარი უფლებამოსილების თავისუფლად და სრულად განხორციელება.

---

[5] **ანგარიშვალდებულება** - ხელისუფლების წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას აღიქვამს არა როგორც პრივილეგიას, არამედ როგორც პასუხისმგებლობას და თითოეულ საჯარო მოხელეს გააზრებული აქვს, რომ ის ვალდებულია ხალხის წინაშე.

[6] არჩევნებზე მისულ მოქალაქეთა რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებში 1980 წლიდან 2013 წლამდე 87%-დან 65%-მდე შემცირდა.

პრობლემის მეორე ასპექტი მზარდი გლობალიზაციის შედეგია, რომელიც მოიცავს შრომისა და მიგრაციის ახალ ფორმებს, რასაც მივყავართ ისეთ სურათამდე, რომ მთელ მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობს საზღვარგარეთ, ითვლებიან იქ რეზიდენტებად[7] და არ შეუძლიათ ოფიციალური მოქალაქეობის მიღება. ამ რეზიდენტებს შორის არიან იმიგრანტი მშრომელები, დევნილები (ლტოლვილები), დროებით მაცხოვრებლები და ისეთებიც, რომლებმაც გადაწყვიტეს მუდმივ საცხოვრებელ ადგილად სხვა ქვეყნის არჩევა.

მესამე ასპექტი არის მოქალაქეობის არმქონე პირთა საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობის უფლება წარმოადგენს ადამიანის უფლებას, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, მსოფლიოში მილიონობით ადამიანია, რომლებიც არ არიან რომელიმე ქვეყნის მოქალაქეები. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მონაცემებით, 2010 წლის ბოლოს მსოფლიოში 12 მილიონი მოქალაქეობის არმქონე პირი ცხოვრობდა. მოქალაქეობის უქონლობა ხშირად განპირობებულია ქვეყნების დაშლით, როგორც ეს იყო საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის შემთხვევაში; მაგრამ მოქალაქეობის არმქონე პირებს შორის შეიძლება იყვნენ იძულებით გადაადგილებული პირები, გადასახლებული მიგრანტები და ისინიც, რომელთა დაბადება არ იყო რეგისტრირებული შესაბამისი ორგანოების მიერ.

დღევანდელ მსოფლიოში არსებობს რამდენიმე სოციალური ფენომენი, რომლებიც მოქალაქეობის ტრადიციულ მოდელს პრობლემებს უქმნის. ზოგიერთ ადგილებში ეთნიკური კონფლიქტები და აშკარად გამოხატული ნაციონალიზმი აფერხებენ მოქალაქეობის ახალი ფორმების წარმოქმნას. გარდა ამისა, მოქალაქეობის ცნებისთვის ახალი გამოწვევაა თანამედროვე მიგრაციის მნიშვნელოვანი მასშტაბიც. მოქალაქეობის გააზრებაში სიძნელეებს ქმნის ზოგიერთი ეთნიკური უმცირესობის წარსულში აკრძალული კოლექტიური თვითმყოფადობის ახალი ფორმების გამოჩენა, საკუთარი ავტონომიის გაზრდის მოთხოვნები და თანასწორობის ახალი ფორმები. სოციალური ერთობისა და ადამიანებს შორის სოლიდარობის შესუსტება, ასევე ტრადიციული პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ მზარდი უნდობლობა მუდმივად

---

[7]**რეზიდენტი** - ეს არის რომელიმე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მუდმივად უცხო ქვეყანაში ცხოვრობს.

საჭიროებს დემოკრატიული მოქალაქეობის[8] ხელახალ გააზრებას და ამ სფეროში განათლების მისადაგებას ახალ რეალობასთან.

**აქტიური მოქალაქეობის კონცეფციები: მონაწილეობის თუ ჩართულობის ფორმები.** ადამიანის უფლებათა თეორიისათვის ძირითად კონცეფციად თანდაყოლილი ადამიანური ღირსების ცნება მიიჩნევა. ადამიანის უფლებები და თავისუფლება არ არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სიკეთე. ისინი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობენ. ადამიანის უფლებები ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც, ერთი მხრივ, ეროვნულ საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში აისახება, ხოლო, მეორე მხრივ კი, განსაზღვრავს ადამიანის საზოგადოების წევრებთან და სახელმწიფოსთან თანაცხოვრებისა და ურთიერთმიმართების პირობებს.

ღირსებისა და თანასწორობის პრინციპებიდან, რომლებიც ადამიანის უფლებებს უდევს საფუძვლად, გამომდინარეობს, რომ:

თუ ინდივიდი, როგორც საზოგადოების წევრი, სარგებლობს მოცემულ საზოგადოებაში არსებული რესურსებითა და შესაძლებლობებით საკუთარი კეთილდღეობისთვის, მაშინ იგი ვალდებულია კიდევაც, დაემორჩილოს ამ საზოგადოებაში თანაცხოვრების წესებს;

- თუ ინდივიდი უგულებელყოფს სხვის უფლებებს, მაშინ მან საკუთარი უფლებებიც უნდა დათმოს;
- თუ ინდივიდი ახორციელებს საკუთარ უფლებებს, მაშინ მან სხვებსაც უნდა მისცეს ამის საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვებს აქვთ უფლება, შეზღუდონ მისი უფლებების განხორციელება.

ეს პრინციპები და მათგან გამომდინარე დასკვნები აქტუალურია როგორც ხელისუფლების, ისე ყოველი ცალკეული მოქალაქის საქმიანობასთან დაკავშირებით. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებლებს სწამდათ, რომ სახელმწიფოს ძირითადი დანიშნულებაა ადამიანების უფლებების დაცვა და საყოველთაო კეთილდღეობის ხელშეწყობა. საყოველთაო კეთილდღეობის საფუძველია მოქალაქეობრივი მოწოდება, რომ საზოგადო ინტერესები პირად ან ვიწრო ჯგუფურ (კლანურ, ინსტიტუციურ, უწყებრივ და ა. შ.) ინტერესებზე მაღლა დააყენოს.

[8] **დემოკრატიული მოქალაქეობა** - იგი „აქტიურ მოქალაქეობასთან“ მჭიდროდ დაკავშირებული კონცეფციაა, რომელიც აქცენტს აკეთებს იმის რწმენაზე, რომ მოქალაქეობა დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებზე, როგორიცაა პლურალიზმი, ადამიანის ღირსების პატივისცემა და კანონის უზენაესობა.

სწორედ ასეთი ინდივიდები უნდა დააყენოს მოსახლეობამ ქვეყნის სათავეში არჩევნებით ან რამე სხვა გზით.

უფრო მეტიც, ინდივიდმა არა მარტო უნდა გაიზიაროს საზოგადოებაში მიღებული წესები, არამედ უნდა იღვაწოს კიდეც საზოგადოების განვითარებისთვის, საკუთარი წვლილი შეიტანოს მის გაუმჯობესებაში, რათა მორალურად მართალი იყოს იმ თანამოქალაქეების წინაშე, ვინც ქმნის და ემსახურება საზოგადო სიკეთეს. აქტიური მოქალაქე სწორედ ამგვარ ინდივიდს წარმოადგენს. ეს კონცეფცია მორალური და ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარეობს და პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების გრძნობას უკავშირდება საზოგადოების წინაშე. ამ პრინციპების მიხედვით, საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაში მონაწილეობა მოქალაქეობის კარგად გაცნობიერებული, სრულუფლებიანი წევრობის სურვილის მქონეს ინდივიდებს ძალუძთ, რომლებიც, ერთი მხრივ, საკუთარ სარგებელს სახალხო სიკეთისა და შესაძლებლობების სამართლიანად და დამსახურებულად გამოყენებაში ხედავენ, ხოლო, მეორე მხრივ კი, სურთ, რომ სხვებმაც ისარგებლონ იდენტური სიკეთეებითა და შესაძლებლობებით.

აქტიური მოქალაქეობა მრავალი ტიპის მონაწილეობასა და ჩართულობას[9] აერთიანებს და მხოლოდ პოლიტიკურ განზომილებით არ შემოიფარგლება. აქტიური მოქალაქეობა თანაბრად სასარგებლოა, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის პირობებშიც.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ფორმებია, მაგალითად:

- ხმის მიცემა არჩევნებზე;
- მონაწილეობა პოლიტიკურ დებატებში;
- პეტიციების შედგენა ან ხელმოწერა;
- თანხის გაღება რომელიმე პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ;
- საარჩევნო კამპანიის წარმართვა;
- მუშაობა საჯარო სამსახურში;
- სხვადასხვა ფორმით სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გამოხატვა.

თუ კანონები ან ხელისუფლების მოქმედებები ეწინააღმდეგება მოქალაქის შეხედულებებსა და მრწამსს იმის თაობაზე, თუ რა არის მართებული და რა - არა, მოქალაქე რთული არჩევანის წინაშე დგება. უნდა დავემორჩილოთ თუ არა კანონებს და მთავრობის გადაწყვეტილებებს?

---

[9] **მონაწილეობა** (ინგ. “Participation”) და **ჩართულობა** (ინგლ. “Engagement”) არ არის იდენტური ცნებები; ეს უკანასკნელი ქმედების ფსიქოლოგიური მომენტია, მაშინ როდესაც “მონაწილეობა” - უფრო ქცევითი.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მორჩილებასაც თავისი საზღვარი აქვს - თუ კანონი ან გადაწყვეტილება არ ვარგა, მაშინ მოქალაქე არაა ვალდებული, დაემორჩილოს მას. ზოგიერთი აჯანყებასა და რევოლუციას ირჩევს, ზოგი პროტესტის ნაკლებად ძალადობრივ ფორმებს ეძებს. პროტესტის არაძალადობრივი გამოხატვის სხვადასხვა ფორმები არსებობს, მაგალითად, დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღება, ოფიციალური პირებისთვის საჯარო (ღია) წერილების მიწერა პრესის საშუალებით, ბოიკოტებში მონაწილეობა. როდესაც პროტესტის ასეთი ფორმები შედეგს არ იღებს, რა არჩევანი აქვს მოქალაქეს? რამდენად შეიძლება იგი დაუპირისპირდეს ხელისუფლებას? ამ შემთხვევაში მოქალაქეები მიმართავენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას, რაც წარმოადგენს პროტესტის ერთ-ერთ, არაძალადობრივ ფორმას.

ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისას ინდივიდებმა შესაძლოა:

- საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა საზოგადოებაში, მაგალითად, გახდნენ თანატოლთა მხარდამჭერნი ან მასწავლებლები;
- შეიტანონ წვლილი გადაწყვეტილების მიღებაში, მაგალითად, გამოძალვის თუ დისკრიმინაციის საწინააღმდეგო მეთოდებისა და პრაქტიკის ფორმირებით;
- შეხვდნენ და ესაუბრონ ადამიანებს სამეზობლოდან ან უფრო ფართო საზოგადოებიდან, მაგალითად რელიგიურ ლიდერებს, პოლიციის თანამშრომლებს, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოხალისეთა ჯგუფების წევრებს;
- განიხილონ სოციალური და მორალური დილემები წინასწარგანწყობებისა და დისკრიმინაციის ჩათვლით;
- მოიძიონ ინფორმაცია და რეკომენდაციები საინფორმაციო მომსახურების, ცხელი ხაზების და სხვა საშუალებების ჩათვლით;
- გაიაზრონ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები და დაგეგმონ ამ ცვლილებებისადმი ადაპტაციის სტრატეგიები.

**საზოგადოებრივ ღონისძიებებში** მონაწილეობის მიღებისას მათი წვლილი შესაძლოა მოიცავდეს:

- მონაწილეობას სხვადასხვა გაერთიანებებში, რომელსაც რეალური პასუხისმგებლობა აკისრია საზოგადოების წინაშე;
- თანატოლთა შორის შუამავლობასა და დამეგობრებას;
- სათემო გაზეთის ან ჟურნალის გამოცემას;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილეობას;
- თანატოლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზებას;

- საქველმოქმედო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობას და/ან მათ ინიცირებას;
- თემისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიის მოწყობასა და წარმოჩენას.

ინდივიდებს შეუძლიათ განივითარონ მონაწილეობისა და პასუხისმგებლობით მოქმედების უნარ-ჩვევები ეროვნული/სახელმწიფო დღესასწაულების, საზოგადოებრივი/სათემო ღონისძიებების ორგანიზებისა და წარმართვის გზით. იმისათვის, რომ საბოლოო ანგარიშით ინდივიდებმა შეძლონ აღნიშნულ ღონისძიებათა დამოუკიდებლად წარმართვა, მიზანშეწონილია, ისინი ჩართული იყვნენ შემდეგი დავალებების შესრულებაში:

1. **იდეის გენერირება** - საიდან მომდინარეობს ღონისძიების განზრახვა: ინდივიდებისგან? საზოგადოებისგან? ვისთანაა საჭირო კონსულტაცია, თუკი ღონისძიება მართლაც შედგება?
2. **მიზნების დასახვა** - რა საჭიროა ეს ღონისძიება? რა მიიღწევა ამ ღონისძიებით? ვისთვისაა იგი განკუთვნილი? ხელისუფლებისთვის? ადგილობრივი საზოგადოებისთვის? რა თანხაა საჭირო ღონისძიებისთვის? სად და რა გზებით მოვიძიოთ საკმარისი თანხა? შემოწირულებათა შეგროვებით? გრანტებით?
3. **პროგრამის/პროექტის დაგეგმვა** - რა მოხდება და როდის? რამდენად რეალისტურია ეს? ვინ დაგვეხმარება? ადგილობრივი ორგანიზაციები? მოწვეული სტუმრები?
4. **პროგრამის/პროექტის განხორციელება** - საჭიროა საკვები? ავტომობილების სადგომი? ვინ დაუკავშირდება სხვა ორგანიზაციებს? ხელმძღვანელები? თანამშრომლები?
5. **საჯაროობა და მარკეტინგი** - როგორ შეიტყობენ ღონისძიების შესახებ: ვებ-გვერდით? მოსაწვევით? რა როლს შეასრულებს ამ პროცესში ადგილობრივი მედია?
6. **გამოხმაურება ღონისძიებაზე** - წარმატებული იყო ღონისძიება? საიდან იცით? რა დასკვნები გამოიტანეს მონაწილეებმა? რა უნდა გაკეთდეს შემდეგ ჯერზე ღონისძიების უკეთ ორგანიზებისთვის?
7. **შედეგების გაზიარება** - სხვა ადამიანები როგორღა გაიზიარებენ დაგროვილ გამოცდილებას: პრეზენტაციის საშუალებით? ბუკლეტიდან?

უბრალოდ ღირსეული მოქალაქეობისთვის ინდივიდი იმას მაინც უნდა ეცადოს, რომ *აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია* შეიმუშაოს:

- **იყოს ინფორმირებული** - გაერკვეს, რა ხდება მის მახლობლად, მის ქვეყანაში და მსოფლიოში;

- **მიაპყროს საზოგადოების ყურადღება პრობლემურ საკითხებს** - გაახმაუროს ესა თუ ის პრობლემა, გადასცეს სხვებს ინფორმაცია, დააინტერესოს მასმედია;
- **კავშირი დაამყაროს არსებულ ორგანიზაციებთან** - მოიძიოს მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, შესთავაზოს საკუთარი თავი მოხალისედ სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად, გაწევრიანდეს ამ ორგანიზაციებში, მოიძიოს რესურსები ამ ორგანიზაციის ხელშეწყობისთვის;
- **მიაღწიოს შედეგებს** - გეგმაზომიერად და მიზანდასახულად გადადგას კონკრეტული ნაბიჯები კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად.

ზემოთ განხილული მოქალაქეობის განზომილებების ჭრილში მონაწილეობის მინიმალურად მოსალოდნელი ფორმები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

**ცხრ. 1 . მონაწილეობის ფორმები მოქალაქეობის განზომილებების ჭრილში**

| მოქალაქეობის განზომილებები | მონაწილეობის მინიმალურად მოსალოდნელი ფორმები |
|---|---|
| 1. პოლიტიკური მონაწილეობა | • ხმის მიცემა ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ არჩევნებში და რეფერენდუმებში;<br>• გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის მოხდენა, როდესაც ამის შესაძლებლობები არსებობს ან არაფორმალური გზებით (ლობირება);<br>• მოქალაქეთა ინტერესების დაცვა საჯარო მოხელეებთან ან პოლიტიკოსებთან დაკავშირების გზით. |
| 2. სოციალური მონაწილეობა | • გაერთიანებების ნებაყოფლობითი წევრობა;<br>• ასოციაციის გამგეობის წევრად გახდომა ან ასოციაციის სხვა საქმიანობებში მონაწილეობის მიღება; |
| 3. კულტურული მონაწილეობა | • დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა;<br>• სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. |
| 4. ეკონომიკური მონაწილეობა | • საწარმოო პროცესში წვლილის შეტანა: შრომა<br>• კომპანიის თანამშრომელთა საბჭოს წევრობა;<br>• სიმდიდრის არათანაბარი გლობალური განაწილების წინააღმდეგ ქმედებების განხორციელება. |

**მონაწილეობა** ბავშვის უფლებათა კონვენციის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპიცაა. ამ შეთანხმებაში ნათქვამია, ბავშვებს (თვრამეტ წლამდე ასაკის ყველა ადამიანი) აქვთ უფლება, რომ მათ მოუსმინონ, როდესაც მოზრდილები იღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებათ; უფრო მეტიც, ბავშვებს აქვთ უფლება, რომ მათი აზრი და შეხედულებები გათვალისწინებულ იქნას მათი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად; ბავშვებს აქვთ ინფორმაციის

მიღების, აზრის გამოხატვის და გაზიარების უფლება, თუ ეს ინფორმაცია არ არის მათთვის და სხვისთვის საზიანო.  კონვენცია აღიარებს ბავშვთა პოტენციალს იმაში, რომ მათ შეძლონ ზეგავლენის მოხდენა მათთვის რელევანტურ გადაწყვეტილებების მიღებაზე, გასცვალონ შეხედულებები და ამ გზით იღებდენ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც მოქალაქეები და ცვლილებების შემომქმედები („აქტორები“).

ადამიანის უფლებების სრული სპექტრის გარეშე მონაწილეობის უზრუნველყოფა რთულია და წარმოუდგენელიც კია.  სუსტი ჯანმრთელობა, განათლების დაბალი დონე, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, სიღარიბე და ა.შ. - ყველა ეს ფაქტორი ზეგავლენას ახდენს ჩვენს შესაძლებლობებზე მივიღოთ მონაწილეობა ისეთ პროცესებში და სტრუქტურებში, რომლებიც გვეხება ჩვენ და ჩვენს უფლებებს. ამასთან, მონაწილეობის გარეშე რთულია ვუზრუნველყოთ ადამიანის მრავალი უფლება. მხოლოდ მონაწილეობის მეშვეობით შეგვიძლია ავაშენოთ საზოგადოება, რომელიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებებზე, განვავითაროთ სოციალური ინტეგრაცია, მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი ხმა გაგონილი იქნას ხელმძღვანელების მიერ, განვახორციელოთ ცვლილებები და, ბოლოს და ბოლოს, გავხდეთ ჩვენი საკუთარი ცხოვრების სუბიექტები და არა ობიექტები.

უკვე კარგა ხანია, რაც „აქტიური მოქალაქეობა“ წარმოადგენს ევროკავშირის სტრატეგიას და მისი სოციალური პოლიტიკის მექანიზმს. 2009 წელს ევროკომისიის ერთობლივი კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა - **ბრაიან ჰოსკინსმა** და **მასიმილიანო მაშერინიმ,** კვლევითი პროექტის „აქტიური მოქალაქეობა დემოკრატიისთვის“ ფარგლებში, „აქტიური მოქალაქეობა“ შემდეგნაირად განმარტეს:

„აქტიური მოქალაქეობა - ეს არის სამოქალაქო საზოგადოებაში, ადგილობრივი თემის  და /ან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა, რომელიც ხასიათდება იმით, რომ ეფუძნება ურთიერთპატივისცემასა და არაძალადობას და შესაბამისობაშია ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიასთან.“

ეს განმარტება (დეფინიცია) ყოვლისმომცველია თავისი ხასიათით და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან წარმოდგენა-შეხედულებებს, როგორიცაა მონაწილეობითი აქტივობები სხვადასხვა სფეროში, ურთიერთპატივისცემის და არაძალადობრივი დამოკიდებულებები, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის ფასეულობები (ღირებულებები). ჰოსკინსი და

მაშერინი აქტიურ მოქალაქეობას განიხილავენ აქტივობებად[10] (ქმედებებად), რომელიც მოიცავს ოთხ სფეროს:

1. **პირველ სფეროს** მიეკუთვნება „წარმომადგენლობითი დემოკრატია“. ამ სფეროში ინდივიდი აქტიური მოქალაქეობის პრაქტიკას გადის არჩევნებში ხმის მიცემით, პოლიტიკურ პარტიაში ჩართულობით ან არჩეულ წარმომადგენლებთან და სამთავრობო მოხელეებთან მუშაობით.
2. **მეორე სფეროს** წარმოადგენს "საზოგადოებრივი ცხოვრება" (ინგლ. "Community life"). ინდივიდი, რომელიც აქტიური მოქალაქეობის დემონსტრირებას ახდენს ამ სფეროში, შეიძლება იყოს ის, ვინც ეხმარება და ამდიდრებს თავის საზოგადოებას/თემს ქველმოქმედებით ან კიდევ რელიგიურ, კულტურულ, ბიზნეს, განათლების ან სპორტულ ორგანიზაციებში მოხალისედ მუშაობით.
3. **მესამე სფეროს** მიეკუთვნება „პროტესტი და სოციალური ცვლილებები“. ამ სფეროში აქტიური მოქალაქეები იღწვიან საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და სოციალური სამართლიანობის კუთხით ისეთ აქტივობებში მონაწილეობით, როგორიცაა საპროტესტო აქციები, ბოიკოტები, დემონსტრაციები და გაფიცვები.
4. **მეოთხე სფეროში** შედის „დემოკრატიული ღირებულებები“. აქტიური მოქალაქის ყველა ქმედების (აქტივობის) საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ღირებულებები, რომლებიც თანხვედრაში იქნება საზოგადოების ყველა წევრის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან. ასეთ ღირებულებებს (ფასეულობებს) მიეკუთვნება დემოკრატიული მონაწილეობა, ადამიანის უფლებები და არადისკრიმინაცია.

ჰოსკინსის და მაშერინის კონცეფციაში თითოეული ეს სფერო „აქტიური მოქალაქეობის“ ერთგვარი განზომილებებია, რომლებიც, თავის მხრივ, დაიყო ქვეგანზომილებებად ანუ კომპონენტებად. ამგვარად შეიქმნა აქტიური მოქალაქეობის საოპერაციო მოდელი, რომელიც შედგება 4 განზომილებისა და 17 ქვეგანზომილებისგან (იხ. **სურ.1**.). ამ მოდელის საფუძველზე კი შემუშავდა აქტიური მოქალაქეობის 60-ზე მეტი რთული ანუ შედგენილი ინდიკატორი[11], რომელსაც ევროკავშირში დღესაც იყენებენ სამოქალაქო აქტივობის დონის გასაზომად.

**სურ. 1. აქტიური მოქალაქეობის საოპერაციო მოდელის სტრუქტურა**

[10] აქვე უნდა დავსძინოთ, რომ აქტიური მოქალაქეობისთვის მხოლოდ აქტივობები არ არის მთავარი განსმსაზღვრელი ფაქტორი; შეიძლება მოვიშველიოთ ნაცისტური გერმანიისა და კომუნისტური ევროპის მაგალითები, სადაც მასების მონაწილეობას ყოველთვის არ მოჰქონდა დემოკრატიული შედეგები. მონაწილეობა უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატიულ ღირებულებებს, ურთიერთპატივისცემასა და ადამიანის უფლებებს.

[11] **შენიშვნა:** ამ ინდიკატორების გარჩევა არ წარმოადგენს წინამდებარე თავის შესწავლის ობიექტს.




## 2.3. მონაწილეობის ფორმებისა და სამოქალაქო ჩართულობის ახალი ტიპოლოგია

აქტიურ მოქალაქეობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ცნება „სამოქალაქო ჩართულობა“ რომლის ზუსტ დეფინიციაზე დღესაც არ არის მიღწეული სრული კონსესუსი.

მისი ყველაზე ხშირად ციტირებადი განსაზღვრება ეკუთვნის საქველმოქმედო ფონდის „Pew Trust“-ის ყოფილ თანამშრომელს მაიკლ დელი კარპინს, რომელიც „სამოქალაქო ჩართულობას“ აღწერს, როგორც „ინდივიდუალურ და კოლექტიურ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია ისეთი პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრისკენ, რომლებიც იწვევს საზოგადოების ინტერესს, ზრუნვას, შეშფოთებას“. ” (Delli Carpini, 1996). კარპინი თავის განსაზღვრებაში გულისხმობდა

მხოლოდ ისეთ აქტივობებს, რომლებიც სოციალური პრობლემების მოგვარებისკენ იყო მიმართული.

თომას ერლიხი თავის წიგნში „სამოქალაქო პასუხისმგებლობა და უმაღლესი განათლება" (Ehrlich, 2000) იძლევა „სამოქალაქო ჩართულობის" უფრო ფართო განსაზღვრებას: „სამოქალაქო ჩართულობა ნიშნავს ქმედებას, რომელიც მიმართულია ჩვენი საზოგადოების/თემის სამოქალაქო ცხოვრებაში ცვლილებების შეტანაზე, და ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და მოტივაციის კომბინაციას ამ ცვლილებების მისაღწევად. ეს გულისხმობს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობას თემში პოლიტიკური და არაპოლიტიკური პროცესების გზით". თავის განმარტებაში ერლიხი არ შემოიფარგლა მხოლოდ სოციალური პრობლემებით და სამოქალაქო ჩართულობაში იგულისხმა პოლიტიკური მონაწილეობის და არაპოლიტიკური აქტივობების (მაგ.: კულტურული ღონისძიებები) ერთობლიობა, რომლებიც თემის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისკენ იქნებოდა მიმართული.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმაც რობერტ პატნემმა ფართოდ განსაზღვრა „სამოქალაქო ჩართულობა" და მასში პოლიტიკური აქტივობის ორივე ფორმა, ფორმალური (ლეგალური) და არაფორმარული (არალეგალური) შეიყვანა. Putnam (2000). ადლერმა და გოგგინმა თავიანთ კვლევებში მოგვცეს ამ ტერმინის 4 დეფინიცია: „ (1) სამოქალაქო ჩართულობა, როგორც საზოგადოებრივი სერვისი (ინგლ. Community Service"); (2) სამოქალაქო ჩართულობა, როგორც კოლექტიური ქმედება (ინგლ. „Collective Action"); (3) სამოქალაქო ჩართულობა, როგორც პოლიტიკური ჩართულობა (ინგლ. „Political Involvement"); და (4) სამოქალაქო ჩართულობა, როგორც სოციალური ცვლილება (ინგლ. „Social Change"). (Adler and Goggin 2005).

არსებობს უამრავ სხვა მკვლევართა განმარტებებიც, რომლებშიც „სამოქალაქო ჩართულობა" სხვადასხვა კონტექსტშია (პროცესი და არა მოვლენა; კოლექტიური და/ან ინდივიდუალური ქმედება; ფორმალური თუ არა არაფორმალური აქტივობა; მონაწილეობა და ჩართულობა; საზოგადოების წევრთა ქვემოდან წამოსული ინიციატივა თუ „ზემოდან" ძალაუფლებით აღჭურვა და სხვ.) მოყვანილი. ასე მაგალითად:

დილერის მიხედვით, „სამოქალაქო ჩართულობა" - ეს არის ნებისმიერი აქტივობა, სადაც ხალხი იკრიბება ერთად, რათა შეასრულოს თავი როლი, როგორც მოქალაქეებმა". Diller (2001).

„სამოქალაქო ჩართულობა" შეიძლება განისაზღვროს, როგორც საშუალება (ხერხი), რომლის მეშვეობით ინდივიდები მოქმედებენ კოლექტიურად და გავლენას ახდენენ სამოქალაქო საზოგადოებაზე" (Richard and Judy 2005).

ზლატარევა (2008) აღნიშნავდა, რომ „სამოქალაქო ჩართულობა“ - ეს არის მონაწილეობა, პარტნიორობა და უფლებამოსილებებით აღჭურვა. საქმე ეხება იმას, თუ როგორ ახერხებენ მოქალაქეები სხვა ინსტიტუტებთან (მ.შ. არასამთავრობო ორგანიზაციებთან) ერთად თავიანთი კოლექტიური ქმედებების ფორმირებას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, როგორ გადმოცემენ საკუთარ პრიორიტეტებს და იცავენ თავიანთ ინტერესებს.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მკვლევარები „სამოქალაქო ჩართულობას“ განსაზღვრავენ, როგორც პროცესად და არა მოვლენად, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან ხალხს ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში. იგი გულისხმობს ხალხის ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მათი როლის განმტკიცებას „კარგი მმართველობის“ ხელშეწყობაში.

ლორნა მაკ-კიუსა და ტანია სტიუარტის მიხედვით, „სამოქალაქო ჩართულობა“-ში ჩვეულებრივ იგულისხმება საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისკენ მიმართული ქმედებები, რომლებიც ინიცირებულია და წარმართულია საზოგადოების წევრების (ინგლ. “Community members”) მიერ და არა მთავრობის, დაწესებულებების თუ მსხვილი ორგანიზაციების მიერ.“

როგორც ვხედავთ, არაინგლისურენოვანი და თუგინდ ინგლისურენოვანი მკითხველისთვის ცოტა დამაბნეველიც კია ზემოთ აღნიშნული ყველა ამ ტერმინის (მონაწილეობა, პოლიტიკური მონაწილეობა, სამოქალაქო და სოციალური ჩართულობა, სამოქალაქო მონაწილეობა და სხვ.) მნიშვნელობების ზუსტი აღქმა. სწორედ ამიტომ, შვედმა მეცნიერებმა იოაკიმ ეკმანმა და ერიკ ამნამ შემოგვთავაზეს პოლიტიკური ჩართულობის, სამოქალაქო ჩართულობის და მონაწილეობის ფორმების ახალი ტიპოლოგია (იხ. სურ. 2.).

სურ. 2. არმონაწილეობის, ჩართულობის, სამოქალაქო ჩართულობის და პოლიტიკური მონაწილეობის სხვადასხვა ფორმების ტიპოლოგია

| | არმონაწილეობა (გათიშულობა) | | სამოქალაქო მონაწილეობა (ლატენტურ-პოლიტიკური) | | პოლიტიკური მონაწილეობა (აშკარა) | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აქტიური ფორმები (ანტიპოლიტიკური) | პასიური ფორმები (აპოლიტიკური) | სოციალური ჩართულობა (ყურადღება) | სამოქალაქო ჩართულობა (ქმედება) | ფორმალური პოლიტიკური მონაწილეობა | აქტივიზმი | |
| | | | | | | ლეგალური პროტესტები და აქციები | არალეგალური პროტესტები და აქციები |
| **ინდივიდუალური ფორმები** | ხმის არ მიცემა<br><br>გაზეთების კითხვისგან და ტელევიზორის ყურებისგან აქტიურად თავის არიდება, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკურ საკითხებს<br><br>პოლიტიკაზე საუბრისგან თავის არიდება<br><br>პოლიტიკის აღქმა, როგორც ამაზრზენი<br><br>პოლიტიკური უკმაყოფილება | ხმის არ მიცემა<br><br>პოლიტიკის აღქმა, როგორც უინტერესო და არაარსებითი<br><br>პოლიტიკური პასიურობა | პოლიტიკისა და საზოგადოების მიმართ ინტერესი<br><br>პოლიტიკის აღქმა, როგორც მნიშვნელოვანი, არსებითი | მიმოწერა რედაქტორთან<br><br>ქველმოქმედებაში ფულის დახარჯვა<br><br>პოლიტიკური და სოციალური საკითხების განხილვა მეგობრებთან ან ინტერნეტში<br><br>გაზეთების კითხვა და ტელევიზორის ყურება, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკურ საკითხებს<br><br>რეციკლირება (ნარჩენების გადამუშავება) | არჩევნებში და რეფერენდუმებში ხმის მიცემა<br><br>არჩევნებში ხმის არ მიცემის ან ცარიელი ბიულეტენის ჩაგდების მიზანმიმართულ აქტები<br><br>პოლიტიკურ წარმომადგენლებთან ან საჯარო მოხელეებთან დაკავშირება (კონტაქტი)<br><br>საჯარო ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობა<br><br>ფულის შემოწირვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისთვის | ბოიკოტირება და პოლიტიკური "კონსიუმერიზმი"<br><br>პეტიციების ხელმოწერა<br><br>პოლიტიკური ბუკლეტების (პროკლამაციების) დარიგება | სამოქალაქო დაუმორჩილებლობა<br><br>პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმები საკუთრებაზე |
| **კოლექტიური ფორმები** | მიზანმიმართული არაპოლიტიკური ცხოვრების წესები, მაგ. ჰედონიზმი, "კონსიუმერიზმი"<br><br>უკიდურეს შემთხვევაში: არაპოლიტიკური ძალადობის აქტები (არეულობა), რომელიც ასახავს იმედგაცრუებას, გაუცხოებას ან სოციალურ იზოლაციას | მკვეთრად გამოხატული არაპოლიტიკური ცხოვრების წესი | ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა საზოგადოებასთან ფოკუსში<br><br>განსაზღვრულ იდეოლოგიასთან და/ან პარტიასთან იდენტიფიკაცია<br><br>ცხოვრების სტილთან დაკავშირებული ჩართულობა: მუსიკა, ჯგუფისადმი კუთვნილება, ჩაცმა და სხვ.<br><br>მაგ.: მკაცრი ვეგეტარიანიზმი, მემარჯვენეობა -"სკინჰედობა", მემარცხენეობა - ანარქისტობა და "პანკობა" | სოციალურ სფეროში მოხალისედ მუშაობა, მაგ.: ქალების და მოხუცებულების თავშესაფრის მხარდაჭერა და უსახკაროების დახმარება<br><br>საქველმოქმედო სამუშაო ან რწმენაზე დაფუძნებული სათემო მუშაობა<br><br>სათემო ორგანიზაციებში საქმიანობა | პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციისს ან პროფკავშირის წევრობა<br><br>პლიტიკურ პარტიაში, ორგანიზაციაში ან პროფკავშირში საქმიანობა (მოხალისედ მუშაობა ან შეხვედრების ჩატარება) | ახალ სოციალურ მოძრაობებსა და ფორუმებში ჩართულობა<br><br>დემონსტრაციები, გაფიცვებში, საპროტესტო აქციებში და სხვა აქციებში (მაგ.: ქუჩის ფესტივალები მკაფიო პოლიტიკური დღის წესრიგით) მონაწილეობა | სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ქმედებები (აქციები)<br><br>საავტომობილო გზების და რკინიგზების საბოტაჟი ან ბლოკირებები<br><br>შენობების უკანონოდ დატაცება<br><br>ძალადობრივ დემონსტრაციებში ან ცხოველთა უფლებების დაცვის ღონისძიებებში მონაწილეობა<br><br>ძალადობრივი კონფრონტაციები პოლიტიკურ ოპონენტებთან ან პოლიციასთან |

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ახალ ტიპოლოგიას არამარტო წმინდა თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან მასზე დაყრდნობით, როგორც ეს ჰოსკინსის და მაშერინის „აქტიური მოქალაქეობის“ საოპერაციო მოდელის ფორმირების შემთხვევაში მოხდა, შემუშავდა ინდიკატორები დემოკრატიულ ქვეყნებში სამოქალაქო ჩართულობის და მონაწილეობის სხვადასხვა ფორმების აქტივობის ხარისხის გასაზომად.

**ჰედონიზმი** [ბერძ. hēdonē სიამოვნება] - ეთიკის იდეალისტური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრების მიზანს წარმოადგენს უდიდესი სიამოვნება, სიტკბოება.

**კონსიუმერიზმი** - მომხმარებელთა საპროტესტო მოძრაობის ფორმა, ბაზარზე ხელოვნურად წარმოქმნილი საქონელ-გაცვლების უსამართლო თანაფარდობის აღმოსაფხვრელად, იმპორტის გაზრდის, ექსპორტის შემცირების და სხვა გზით ბაზრის გაჯერებისათვის.

**სავარჯიშო** „შესაძლო მომავლის სცენარები“
თემა - ინდივიდების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში
მონაწილეთა რაოდენობა - 15-20

დრო - 100-120 წუთი

შინაარსი - სავარჯიშოს შესრულებისას განიხილება ინდივიდისა და საზოგადოების მომავლის ფორმირების, საზოგადოების წევრთა ერთობლივი თანაცხოვრებისა და ურთიერთქმედების საკითხები.

ამოცანები - საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, საზოგადოების წევრის უფლება-მოვალეობების შესახებ ცოდნის გაფართოება; ღია პოლემიკის უნარ-ჩვევების განვითარება; სამყაროს აღქმა, როგორც განვითარებად შესაძლებლობათა სისტემისა, რომელშიც საზოგადოების თითოეულ წევრს შეუძლია შეიტანოს წვლილი.

მასალები - ქაღალდი, მარკერები, წებო, ადგილობრივი გარემოსა და ადამიანების ძველი ფოტოები, კოლაჟების დასამზადებლად საჭირო სხვა მასალა.

ინსტრუქციები - შესთავაზეთ მონაწილეებს, გაიხსენონ, როგორ შეიცვალა უკანასკნელი წლების განმავლობაში მათი საცხოვრებელი გარემო: რაიონი, საზოგადოება, ურთიერთობები, ნორმები. ჰკითხეთ, რატომ მოხდა ეს ცვლილებები, ვინ იღებდა გადაწყვეტილებებს, სად რა შეცვლილიყო და როგორ? ჩაატარეთ გონებრივი იერიში საკითხზე: „რას შეცვლიდნენ მონაწილეები თავიანთ გარემოში, უფლებამოსილნი რომ იყვნენ?“. გამოკვეთეთ კავშირი ადამიანის უფლებებსა და იმ გადაწყვეტილებების მიღებას შორის, რომლებიც სხვა ადამიანების ცხოვრებაზე ახდენს ზეგავლენას. დაყავით მონაწილეები მცირე ჯგუფებად და სთხოვეთ, მოკლე ტექსტის ან ლიტერატურული ჩანახატის საშუალებით (დასაშვებია გამოხატვის სხვა ფორმებიც) წარმოადგინონ მომავლის საკუთარი ხედვა, სადაც აღწერილი იქნება მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარები, თვითონ როგორ მოახდენენ

პირად ზეგავლენას ამ მოვლენებზე. მონაწილეთა თითოეული ჯგუფის პრეზენტაცია უნდა დასრულდეს შეკითხვებითა და ახსნა-დასაბუთებებით. საერთო დისკუსია ჩატარდება ბოლოს, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების მიზნით.

ანალიზი და შეფასება - გაარკვიეთ, როგორ მიმდინარეობდა მუშაობა ჯგუფებში, როგორ იღებდნენ გადაწყვეტილებას, როგორ ახერხებდნენ ჯგუფის თითოეული წევრის შესაძლებლობების საუკეთესოდ გამოყენებას. ჩაეძიეთ, რას განიცდიდნენ საკუთარი გეგმების შესახებ სხვისი აზრის მოსმენისას და სხვის გეგმებზე საკუთარი აზრის გამოთქმისას. დააზუსტეთ, არიან თუ არა მზად, დათმონ ზოგიერთი საკუთარი იდეალი და მისწრაფება მთელი ჯგუფის ერთიანი გეგმის შესამუშავებლად, სადაც სხვების ინტერესებიც იქნება გათვალისწინებული. ჰკითხეთ, სასიამოვნოა თუ არა „საკუთარი მომავლის არქიტექტორობა“, რამ გააკვირვათ ყველაზე მეტად სხვის გეგმებში, რა უნდა გააკეთონ დაუყოვნებლივ, რათა ზეგავლენა მოახდინონ მათი მომავლის განმსაზღვრელ პროცესებზე.

რჩევები წამყვანისთვის - იმისათვის, რომ ცხადად წარმოაჩინოთ ცვლილებები, წინასწარ აჩვენეთ მონაწილეებს ძველი ფოტოები, ესაუბრეთ გლობალურ ცვლილებებზე. საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული კითხვებით დაეხმარეთ მონაწილეებს მომავლის წარმოდგენაში. კერძოდ, შეეხეთ ამ კითხვებში მათ სამუშაოს, ტექნიკურ ინოვაციებს, გარემომცველ ბუნებას, თავისუფალ დროს, სოციალურ უზრუნველყოფას, ოჯახის მოწყობას, დამოკიდებულებას მეზობლებთან, ნათესავებთან, თანამშრომლებთან, უცხოელებთან და ა. შ.

ვარიანტები - შესაძლებელია, თითოეული ჯგუფი ერთ კონკრეტულ საკითხზე მუშაობდეს (მაგალითად, განათლება, თემი, დასაქმება და სხვ.). შეჯამებისას ხდება ცალკეულ წარმოდგენათა შეერთება საერთო სურათში.

შემდგომი განვითარება - მოუწოდეთ მონაწილეებს, დაინტერესდნენ და გაერკვნენ თავიანთი სამოსახლოსა და უშუალო გარემოს ბედით: რამდენად სამართლიანია მისი განვითარების გზები; ხომ არ მოვიდა დრო, რომ პირადად ჩაერთონ გადაწყვეტილებათა მიღების ან მათი განხორციელების პროცესში?

იდეები მოქმედებისთვის - ჯგუფის ნამუშევარი შესაძლოა საინტერესო აღმოჩნდეს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. ეცადეთ, მიმართოთ მათ და დააინტერესოთ თქვენი პროექტით.

**სავარჯიშო „საჩუქარი“**

**თემა** - საზოგადოება, ღირებულებანი, უმცირესობასა და უმრავლესობას შორის მიმართება.
**მონაწილეთა რაოდენობა** - 15-20 მონაწილე
**დრო** - 30 წუთი
**შინაარსი** - სავარჯიშოს საშუალებით ხდება იმის გააზრება, თუ რამდენად განსაზღვრავს ადამიანის ქცევას, მის დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისადმი ამა თუ იმ სტატუსის მქონე ჯგუფისადმი მისი **კუთვნილება**.
**ამოცანები** - პოზიტიური/კონსტრუქციული დამოკიდებულების გამომუშავება უმცირესობებისადმი.
**მასალები** - როლების აღმნიშვნელი წარწერები, ფურცლები და მარკერები, ფორმატის ქაღალდი.
**ინსტრუქციები** - მონაწილეები იყოფიან 4 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს ეძლევა როლი და შესაბამისი წარწერა: „უმრავლესობა“, „ხელისუფლება“, „უმცირესობა N1“ და „უმცირესობა N2“. ტრენერი ჯგუფებს სთხოვს, თითოეულ სხვა ჯგუფს ორი საჩუქარი გაუკეთონ. ყველა ჯგუფი გადასცემს საჩუქარს დანარჩენ ჯგუფებს სიტყვიერად, წერილობით, ნახატის სახით ან კომბინირებულად. საჩუქრის მიმღებს შეუძლია მიიღოს საჩუქარი ან უარი თქვას მასზე. მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი გაცვლის საჩუქრებს, იწყება განვლილი პროცესის ერთობლივი განხილვა.
**ანალიზი და შეფასება** - ტრენერი სვამს კითხვებს: რამდენად გაგიადვილდათ როლში შესვლა? რატომ შეურჩიეთ ამა თუ იმ ჯგუფს ესა თუ ის საჩუქარი? მოეწონათ თუ არა ჯგუფებს შეთავაზებული საჩუქარი? თუ მოეწონათ — რატომ? თუ არ მოეწონათ და უარი თქვეს — რატომ? რა მოლოდინი ჰქონდათ ჯგუფებს ერთმანეთის მიმართ? ტრენერი მონაწილეებს სთხოვს, შეაჯამონ მსჯელობა დასკვნების სახით.
რჩევები წამყვანისთვის - გაითვალისწინეთ, რომ ინსტრუქცია არ კრძალავს ჯგუფების წევრთა ერთმანეთთან მიმოსვლას ან გამოკითხვას; და კიდევ, თუ „როლში შესულ“ მონაწილეებს გაუჭირდებათ გადართვა ვითარების მშვიდად განხილვაში, ტრენერი ნეიტრალური კითხვებით უნდა ეცადოს ამის შესრულებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. „კომპასიტო“. ქართული თარგმანი © 2009 წ. ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრი /ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში.
2. შალვა ტაბატაძე და ნათია გიორგაძე. „გახდი თანამონაწილე“. პრაქტიკული გზამკვლევი ახალგაზრდებისთვის. გამომცემლობა „საიმედო“. თბილისი 2012.
3. გრიერ ბუროუსი, ზვიად აბაშიძე, ქეთევან მუხიგული, სალომე დუნდუა, თამარ ქარაია. „დემოკრატია და მოქალაქეობა“. IFES 2017.
4. გიორგი ნოზაძე. „დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა“. სატრენინგო მასალები. თბილისი 2007.
5. S. Mark Pancer. The Psychology of Citizenship and Civic Engagement. Oxford University Press 2015.
6. Anders Hingels, Andrea Saltelli, Anna Rita Manca, Massimiliano Mascherini, Bryony Hoskins. “Growing Cohesive Societies: The Characterization of Active Citizenship”. The 3-rd OECD World Forum on “Statistics, Knowledge and Policy”. 2009.
7. Seyed Hamid Mohammadi, Sharifah Norazizan and Ali Reza Shahvandi. “Civic Engagement, Citizen Participation and Quality of Governance in Iran“. 2011

8. Joakim Ekman and Eric Amna. “Political Participation and Civic Engagement: Towards A New Typology”. HUMAN AFFAIRS *22*, 283–300, 2012.
9. https://www.civiceducation.ge
10. https://www.coe.int/en/web/compass/citizenship-and-participation
11. https://plato.stanford.edu/entries/citizenship/#toc
12. http://hclinkontario.ca/images/2016/civicengagement.pdf
13. http://s3.amazonaws.com/zanran_storage/crell.jrc.ec.europa.eu/ContentPages/52915869.pdf
14. http://www.niagaraknowledgeexchange.com/wp-content/uploads/sites/2/2016/10/civicengagement.pdf
15. http://nesetweb.eu/wp-content/uploads/NESET2_AHQ1.pdf

## თემაII -**დემოკრატიული საზოგადოების ხედვა**

დავით მალაზონია, პროფესორი,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

### 1. დემოკრატიული საზოგადოება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დონეები დემოკრატიულ გარმოში

#### 1.1. უფლებები და პასუხისმგებლობები დემოკრატიულ სახელმწიფოში

##### 1.1.1.მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ახლებური ხედვა

თანამედროვე სახელმწიფოს ფუნდამეტური ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანა უკეთეს საცხოვრებელ ადგილად იქცეს ყველასთვის - სადაც ყველას ექნება რეალური როლი და მოქმედების ასპარეზი საკუთარ თემში; ყველა იქნება დაცული და უფლებამოსილი და ეცოდინებათ, რომ პიროვნება ფასდება საზოგადოების განვითარებაში საკუთარი განსაკუთრებული წვლილისა და უნიკალური ადამიანური ღირსების გამო.

ჯერ კიდევ 1980-იან წლებში ტერმინის - „საზოგადოება“ მიმართ იყო საკმაოდ სკეპტიკური დამოკიდებულება. კონსერვატორულ ინგლისში მას ერთგვარ გროტესკულ ცნებად მიიჩნევდნენ და უპირატესობას ანიჭებდნენ ინდივიდუალიზმს, რაც ხშირად უპირისპირდებოდა კიდეც საზოგადოების საერთო ინტერესს.

ქვემოთ მოცემულია ექვსი კონკრეტული ცვლილება, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ჩვენთვის სასურველი თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების შენებას.

- ხელისუფლების გადაცემა ხალხისთვის

- ადგილობრივი მთავრობის რეფორმირება - ადგილობრივი ორგანოებისთვის უფლებამოსილების მინიჭება
- ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება
- პარლამენტის რეფორმირება
- ახალი დემოკრატიული კანონები
- დამოუკიდებელი საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბება.

მთავარი ცვლილება კი მდგომარეობს პერამანენტულ დემოკრატიულ რეფორმებში, რომლებიც დაგვეხმარება დემოკრატიული საზოგადოების მიმართ ჩვენი ხედვის რეალობად ქცევაში.

### 1.1.2. მიზნები და ფილოსოფია

რატომ ვესწრაფით სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ახალი ურთიერთობის დამყარებას? ამ კითხვაზე ძირითადი პასუხი შემდეგია - ჩვენ გვსურს შევცვალოთ საზოგადოების კულტურა და შევქმნათ რეალობა, სადაც მაქსიმალურად წახალისებული იქნება საზოგადოებრივი ქმედებები და კერძო პირის კეთილდღეობა დაუკავშირდება მის მოქალაქეობრივ აქტიურობას. ეს მიდგომა/ფილოსოფია ცვლის სახელმწიფოს ფუნქციისადმი არსებულ დამოკიდებულებას, თითქოს ის მტრულად არის განწყობილი პიროვნული თავისუფლებისა და უფლებებისადმი და რომ, ერთადერთი, რასაც სახელმწიფოსთვის მნიშვნელობა აქვს, ეს არის ცალკეული გამორჩეული (ე.წ. ელიტარული) პირები და მათი ოჯახები.

სახელმწიფოს როლის ასეთი ნეგატიური შეფასება საფუძველს იღებს იმ გარემოებიდან, რომ დღემდე გაურკვეველი ჩანს ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის არსი და დიაპაზონი. ადამიანის უფლებები კი რეალურ მნიშვნელობას სწორედ მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობის არსებული (სახელმწიფოზე ორიენტირებული) კონტექსტის შეცვლაში შეიძენს, ანუ მაშინ, როდესაც აღნიშნული ურთიერთობების ვექტორი პიროვნებისკენ იქნება მიმართული. ჯერ კიდევ 200 წლის წინ ტომ ფლეინი წერდა: „ის, რაც ჩემი, როგორც ადამიანის უფლებაა, ასევეა სხვისი უფლებაც და მე მევალება არამარტო ვფლობდე, არამედ დავიცვა კიდეც იგი”. ტომ ფეინისთვის „უფლებების დეკლარაცია“ იმავდროულად „მოვალეობების დეკლარაციაცაა“ და ისინი „ერთმანეთშია შერწყმული“.

ასე რომ, ინდივიდის უფლებები მჭიდროდ უკავშირდება, უფრო მეტიც, გაერთიანებულია მის პასუხისმგებლობებთან. უფლებებისა და პასუხისმგებლობების/მოვალეობების სწორედ ასეთ

სინთეზი აკავშირებს ერთმანეთთან მოქალაქეებს, თემებსა და სახელმწიფოებს და ზრდის მათ შორის ნდობასა და ურთიერთდამოკიდებულებას.

გარდა აღნიშნულისა, მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბების აუცილებლობას განაპირობებს გლობალური ეკონომიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები, რაც საზოგადოების გარდაქმნას იწვევს. მიუხედავად გარკვეული სკეპტიციზმისა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ცვლილებები გაზრდის ადამიანის თავისუფლებას, მისცემს მას ავტონომიური მოქმედების მეტ ასპარეზს და, საერთო ჯამში, განამტკიცებს ჩვენს კეთილდღეობას. თუმცა, არსებობს გარკვეული რისკებიც - გლობალური ეკონომიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები, როგორც წესი, ასუსტებს სამოქალაქო კულტურის გარკვეულ ასპექტებს და შესაძლოა გამოიწვიოს ახალი უთანასწორობები და არასამართლიანობა. ამდენად, დღეისთვის შეიძლება გამოიკვეთოს სამი აქტუალური კითხვა:

1. როგორ შეუწყობს ხელს აღნიშნული ცვლილებები (გლობალური ეკონომიკა, ახალი ტექნოლოგიები) მოქალაქეთა უფლებების და პასუხისმგებლობების განმტკიცებას?
2. როგორ დაეხმარება მიმდინარე ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროცესები ადამიანებს განახორციელონ სრული კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე?
3. როგორი უნდა იყოს ოცდამეერთე საუკუნის შესაბამისი მოქალაქეობის კონცეფცია?

### 1.1.3.კანონი ადამიანის უფლებების შესახებ

დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური ლიდერები არ აღიარებენ ადამიანის უფლებების შესახებ დამატებითი კანონების მიღების აუცილებლობას იმ მოტივით, რომ „ადამიანები უკვე თავისუფალნი არიან“. ზოგიერთი პოლიტიკოსი ეყრნობა ჰობსის მოსაზრებას, რომ „ადამიანი თავისუფლებას კანონის სიჩუმეში ჰპოვებს“[12] და რომ ადამიანს შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რაც სურს, თუ ეს კანონით არ იკრძალება. ეს დოქტრინა შესანიშნავად ჟღერს მანამ, ვიდრე არ აღმოვაჩენთ, რომ ის რეალურად უფრო სახელმწიფო ორგანოების გაძლიერებას ემსახურებოდა, ვიდრე ადამიანის თავისუფლების დიაპაზონს ზრდიდა.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“ (2013) (European Cinvention on Human Rights –ECHR), რომელიც იძლევა ერთგვარ კონსტიტუციურ გარანტიებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური პრინციპების დაცვა. კონვენცია შეიძლება შევაფასოთ, როგორც ადამიანის

[12]იგულისხმება, რომ კანონი თავისი არსით უფლებას კი არ ანიჭებს ადამიანს, არამედ, გარკვეული დათქმებით, ზღუდავს მის თავისუფლებას.

უფლებათა დაცვის ერთგვარი ეთიკური საფუძველი სახელისუფლებო ორგანოებისთვის, რომელიც ამკვიდრებს სამართლიანობას და წარმოშობს მთავრობათა ვალდებულებას წაახალისოს მოქალაქეთა პოლიტიკური და სოციალური აქტიურობა.

მეორეს მხრივ, აღნიშნულმა კონვენციამ, როგორც სამართლიანობის გარანტიამ, ხელი უნდა შეუწყოს სახელისუფლებო ორგანოებისადმი ნდობის ამაღლებას, რაც არის კიდეც დემოკრატიული საზოგადოების განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. საბოლოო ჯამში, კონვენცია მიზნად ისახავს პოლიტიკაში საზოგადოებრივი მონაწილეობის უზრუნველყოფას და ჩვენთვის სასურველი დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებას. თუმცა, კანონი ადამიანის უფლებების შესახებ უფრო მეტია, ვიდრე ადამიანისთვის უფლების მიცემა - კანონი მოქალაქეს უფლებას აძლევს უჩივლოს სახელისუფლებო ორგანოებსდა/ან შეაჩეროს მათი გადაწყვეტილებები თუ ისინი მოქალაქეთა ძირითად უფლებებს არღვევენ.

### 1.2. <u>ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება</u>

ჩვენ ვესწრაფით დავამკვიდროთ ღიაობის კულტურა საჯარო სექტორში. გვსურს დავანგრიოთ ის ბარიერები, რომლებმაც შეიძლება ცალკეულ ადამიანებს სახელმწიფო „კაფკას ციხესიმაგრედ“ მოაჩვენოს. ჩვენ გვსურს უფზლებამოსილება მივცეთ საჯარო მოხელეებს ყველა დონეზე, რომ პოზიტიურად იფიქრონ იმაზე, თუ რა სახის ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს და რისი გაცემა შეიძლება საქმის დაუზარალებლად.

საჯარო სამსახურები ახლა უფრო მეტადაა გახსნილი, ვიდრე წინათ. წარსულთან შედარებითსახელისუფლო შტოები უფრო მეტ ინფორმაციას აქვეყნებენ შიდა პროცესების შესახებ, რაც ხელს უწყობს და ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას. ინფორმირებულობა კი, თავის მხრივ, უფლებამოსილი და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი საწინდარია.

#### 1.2.1. <u>უფლება-ვალდებულებების გადაცემა</u>

იმისთვის რომ, ადამიანებს გაუჩნდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოებრივ საქმიანობაზე, საჭიროა მათ მიიღონ ქმედითი მონაწილეობა საკვანძო გადაწყვეტილებებში. დემოკრატიულ პროცესებში არ მონაწილეობა ან მისი დეფიციტი - რეალურ პრობლემას წარმოადგენს. დემოკრატიული მმართველობები ცდილობენ გააძლიერონ კავშირები ცალკეულ პირებს, თემებს და სახელმწიფოს შორის და დაადგინონ მათი ეფექტურობა, ეფექტურობის გაზრდის შესაძლებლობები და მექანიზმები.

ჩვენ, მოქალაქეები, მთავრობის გადმოსახედიდან ვაფასებთ სიტუაციას. გვწამს რომ არჩეული მერები შეძლებენ საზოგადოების ინტერესის გამოცოცხლებას და ხალხის იმ განწყობის განმტკიცებას, რომ მათ შეუძლიათ ცვლილებების განხორციელება ხმის მიცემის გზით. ამასთან, ჩვენ ვეძებთ გადაწყვეტილების მიღებისა და მისი ხორცშესხმის უფრო ეფექტურ პროცესებს თვით პარლამენტსა და ადგილობრივ საბჭოებში. ჩვენ ვალამაზებთ პოლიტიკას ახალი გამჭვირვალე პროცედურების შემოღებით, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების დასარეგულირებლად ვაფუძნებთ დამოუკიდებელ საარჩევნო კომისიას, რომელსაც ექნება რეალური უფლებამოსილება; ვქმნით ბიუჯეტს მოქალაქეობის თანამედროვე კონცეფციის გასაძლიერებლად და პარტიების დასაფინანსებლად და ა.შ.

### 1.2.2. პასუხისმგებლობები

დემოკრატიული მთავრობები ცდილობენ მოქალაქეთა უფლებების გაძლიერებას, რათა მათ კრიტიკულად შეაფასონ, იყვნენ საქმის კურსში და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თანამედროვე სახელმწიფო ადამიანებისგან ითხოვს საკუთარი ვალდებულებების შესრულებას. რეფორმებმა ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო დაწესებულებების ან პოლიტიკური პროცესების მიმართ ადამიანთა მხრიდან ცინიზმის და უნდობლობის შემცირებას.

როგორც ჩანს, ზოგ ადამიანს გამოხატვის თავისუფლებად მიიჩნია ის, რომ ხმამაღლა ჩართოს მუსიკა, რაც არღვევს მეზობლის უფლებას საკუთრების მშვიდობიანი სარგებლობის შესახებ. ასეთი ადამიანები საერთოდ არ გრძნობენ პასუხისმგებლობას სხვათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე. თავისუფლების უფლება და გამოხატვის თავისუფლება უფლებამოსილებას არ ანიჭებს ადამიანებს, რომ ხმაურიანი სკანდალები გამართონ ქუჩებში და ხმამაღლა იყვირონ უხამსი ფრაზები. მათ არ ანაღვლებთ ის, რომ ანტისოციალური ქმედებით აშინებენ და ზოგადად უხერხულობაში აგდებენ საზოგადოებას. ეს არის ეგოისტური უფლებების მემკვიდრეობა, რომელიც არ ითვალისწინებდა ვალდებულებებს. უფლებები პასუხისმგებლობების გარეშე არ ქმნიან თანმიმდევრული მორალური თუ სოციალური წესრიგის ნაწილს.

მოქალაქეობის არსი გულისხმობს ხელმისაწვდომობას განათლებაზე, ჯანდაცვაზე, საარსებოდ აუცილებელ შემოსავალზე, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე. დემოკრატიული მთავრობები აუმჯობესებენ სტანდარტს და აფართოებენ საზოგადოებრივ სიკეთეებს. ადამიანს აკისრია პასუხისმგებლობა გამოიყენოს შემოთავაზებული

საგანმანათლებლო შესაძლებლობები, აღიჭურვოს ცოდნით, რათა იპოვოს სამსახური, რომელიც მას უზრუნველყოფს მატერიალურად. ამ პასუხისმგებლობის გაზიარება არაა ყოველთვის ადვილი. რაც შეეხება მთავრობის პასუხისმგებლობას, ის იკვეთება სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობისა და საგანმანათლებლო სტანდარტების ზრდაში, რაც მუდმივად უნდა ესადაგებოდეს, თუ არ უსწრებდეს, საზოგადოების მოთხოვნებს და ტექნოლოგიების განვითარების პროცესს.

ასეთი მიდგომა - სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის გაზიარებული ორმხრივი პასუხისმგებლობა, იძლევა საშუალებას მოქალაქემ მიაღწიოს წარმატებას, იყოს თავდაჯერებული და განვითარებაზე ორიენტირებული.

### 1.2.3. <u>მოქალაქეობრივი განათლება</u>

კარგ მოქალაქეობას, როგორც სხვა ყველაფერს, სწავლა სჭირდება. ამ მიზნით გახდა მოქალაქეობრივი განათლება სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. ის ითვალისწინებს შემდეგი მიდგომების განვითარებას:

- სოციალური და მორალური პასუხისმგებლობა - პატივისცემის, შემწყნარებლობის და თანამშრომლობის სწავლა ადრეული ასაკიდან;
- საზოგადოების ჩართულობა - სასარგებლო საქმიანობა სკოლების და ადგილობრივი თემების ცხოვრებაში;
- პოლიტიკური განათლება - ცოდნის და უნარების შეძენა, რათა ინფორმირებულმა მოქალაქეებმა სრულყოფილი როლი შეასრულონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მოქალაქეობრივი განათლება მოიცავს ცოდნას ადამიანის უფლებების და მოვალეობების, სახელმწიფოს ძირითადი ინსტიტუტების (პარლამენტი, მთავრობა, სასამართლოები და პოლიცია) შესახებ, რომლებიც განმსაზღვრელ როლს თამაშობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ საკითხების ცოდნა აუცილებელია, რომ ყველა მოქალაქემ განახორციელოს საკუთარი უფლებები და მოვალეობები.

უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეობრივი განათლება ახდენს ისეთი კულტურის სტიმულირებას, რომელშიც დაფასებულია მრავალფეროვნება, პატივისცემა და ურთიერთგაგება. ეს აუცილებელია იმ შემთხვევაში თუ გვსურს შევქმნათ უფრო მეტად ინკლუზიური და დემოკრატიული საზოგადოება.

### 1.2.5. <u>მოხალისეობა</u>

საზოგადოებაში მოქალაქეობრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია მოხალისეობრივ საქმიანობას. ასეთი აქტივობები აერთიანებს, მათ შორის, რადიკალურად განსხვავებული მსოფლმხედველობის და სოციალურ-კულტურული იდენტობის მქონე ადამიანებს და ხელს უწყობს მათში სოლიდარობის განცდის შექმნას, რაც თანამედროვე საზოგადოებებში ხშირად დეფიციტურია.

მოხალისეობრივი საქმიანობისას ადამიანები ავლენენ ერთმანეთის მიმართ პატივისცემას, უყალიბდებათ ნდობა საზოგადოების/თემის მიმართ და საკუთარ თავს აღიქვამენ მის წევრად - „ჯანსაღ დემოკრატიებს კარგად ინფორმირებული მოქალაქეები სჭირდებათ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საკუთარი ადგილობრივი თემებით". დემოკრატიული რეჟიმები მხარს უჭერენ მოხალისეობრივ საქმიანობებს, რითაც ქმნიან მოქალაქეობრივი აქტიურობის წამახალისებელ გარემოს.

### 1.3. საოჯახო პოლიტიკა

ადამიანებს ჰყავთ შვილები. ჩვენი უმრავლესობა ოჯახის ნაწილს წარმოადგენს. უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ოჯახი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოა - ჩვენი უფლებები და პასუხისმგებლობები პირველსახით სწორედ ოჯახში ყალიბდება. მთავრობა აღიარებს, რომ ოჯახური ცხოვრება ქმნის ფუნდამენტს, რაზეც შენდება ჩვენი საზოგადოება და ქვეყანა. დოკუმენტი - „ოჯახების მხარდაჭერა" განსაზღვრავს სახელმწიფოთა საოჯახო პოლიტიკას, რომლის ფორმულირებაც ასე შეგვიძლია: ხელისუფლება არ ერევა ოჯახის საქმეებში, არ კარნახობს ადამიანებს როგორ იცხოვრონ, თუმცა იღებს ვალდებულებას სხვადასხვა საშუალებით (მათ შორის, ფინანსურად) მხარი დაუჭიროს ოჯახის სიმყარეს და მშობელთა ქმედებებს საკუთარი შვილების კარგ მოქალაქეებად აღსაზრდელად.

არსებობს მოხალისე არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც მხარს უჭერენ ოჯახებს და მშობლებს და ამისთვის ცალკეული ფონდები მილიონობით ევროს ხარჯავენ. ოჯახებისადმი ასეთი თანადგომის საფუძველს წარმოადგენს იმის გაცნობიერება, რომ „ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენივე მომავლისთვის", რადგან გრძელვადიან პერსპექტივაში ის ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

### 1.4. მოქალაქეობა დემოკრატიულ სახელმწიფოში

### 1.5. სამოქალაქო საზოგადოება

თანამედროვე გაგებით აქტიური მოქალაქეობა მოითხოვს, რომ ადამიანები იყვნენ ინფორმირებულნი საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ, ფლობდნენ შესაძლებლობას ერთად იმუშაონ მათ გადასაწყვეტად და საერთო სარგებლიანობის მისაღწევად.

სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს საერთო ინტერესებისა და ღირებულებების მქონე ადამიანების ერთობას. იგი ხასიათდება მრავალფეროვნებით და აერთიანებს სხვადასხვა ასაკის, ეთნოსის, განათლების და შემოსავლის მქონე ადამიანებს. საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა კი წარმოადგენს ინდივიდის მოვალეობას საზოგადოების მიმართ და მოიცავს თანამშრომლობას, პატივისცემას და საერთო საქმიანობაში მონაწილეობას.

ცალკეული პირი შეიძლება იყოს ორი ან მეტი საზოგადოების წევრი. მაგალითად, საცხოვრებლის გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის მიხედვით. ასევე, თითოეული ადამიანი ერთდროულად არის მცირე და დიდი თემების (საზოგადოებების) ნაწილი. ასეთი თემებია: ოჯახი, სამეზობლო, სოფელი, ქალაქი, სახელმწიფო, რეგიონი და მთელი მსოფლიო. ამავდროულად, ადამიანური პოტენციალის სრული რეალიზება შეუძლებელი იქნება თუ ინდივიდი საზოგადოების წნეხის ქვეშ მოყვება. ყველა თავისუფალ საზოგადოებაში წარმოიქმნება გარკვეული დაძაბულობა ადამიანის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს შორის.

ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანები ერთად იკრიბებიან საერთო მიზნით საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის და საზოგადოებაში კანონდარღვევის (წესრიგის დარღვევის) გამოსწორების განზრახვით. 1996 წელს რობერტ კენედი წერდა: „ყოველ ჯერზე ადამიანი იცავს იდეალს ან მოქმედებს სხვების ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ან აწყობს გაფიცვას უსამართლობის წინააღმდეგ... პროტესტის და აქტიურობის ეს ნაპერწკლები ქმნიან ნაკადს, რომელსაც შეუძლია ზეწოლის და წინაღმდეგობის უმტკიცესი კედლების პირწმინდად დანგრევა“.

### 1.6. სამოქალაქო პასუსიხმსგებლობის არსი

სამოქალაქო პასუხისმგებლობა მოიცავს სოციალურ მონაწილეობასთან დაკავშირებულ ისეთ ქმედებებსა და დამოკიდებულებებს, როგორიცაა ცენტრალურ და/ან ადგილობრივ მმართველობებში მონაწილეობა, მოხალისეობრივი გაერთიანებების წევრობა და სხვ. სამოქალაქო პასუხისმგებლობა უკიდურესად მნიშვნელოვანია დემოკრატიისა და ქველმოქმედების (ფილანტროპიის) წარმატებისთვის. ამასთან, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ტვირთვით მოქალაქეები უზრუნველყოფენ და მხარს უჭერენ დემოკრატიულ ღირებულებებს.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დოზით ევროპულ საზოგადოებაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, მისი, როგორც დემოკრატიის მოდელის სანქცირება ოფიციალურად 1787 წელს შეერთებული შტატების კონსტიტუციის რატიფიკაციით განხორციელდა. კონსტიტუციაში დეკლარირებულია: „ჩვენ, ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა, უფრო დახვეწილი გაერთიანების შესაქმნელად, სამართლიანობის დასამკვიდრებლად, შიდა სტაბილიზაციის დასამყარებლად, საერთო თავდაცვის უზრუნველსაყოფად, სოციალური დონის გასაუმჯობესებლად და ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის თავისუფლების გასამტკიცებლად, ვაარსებთ ამ კონსტიტუციას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის“.

კონსტიტუციის მიღებიდან მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით, ამერიკაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფოს პერსპექტივაზე. მოქალაქეები, დაწყებული მოხალისე მეხანძრეებით და გაგრძელებული ცნობილ ხელოვანთა წრეებით, აქტიურად მონაწილეობდნენ იმ პროექტებში, რომლებიც ახდენდა ამერიკელი საზოგადოების და საბოლოოდ, ამერიკელი ერის ფორმირებას. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამგვარი ინტერპრეტაციით მოქალაქეობრივი ფუნქცია გაგებულ იქნა, როგორც რიგითი ადამიანების შრომა, რასაც საქონელის წარმოებით სარგებელი მოჰქონდა საზოგადოებისთვის. განსხვავებულად აღიქმებოდა რიგითი ადამიანების და საზოგადოების მაღალი წრეების წარმომადგენელთა - ე.წ. „ჯენტლმენების“ მოქალაქეობრივი ფუნქციები. თუ რიგითი ადამიანებისათვის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა უკავშირდებოდა კეთილსინდისიერ შრომას, „ჯელტმენების“ ცხოვრების სტილი აღიქმებოდა ერთგვარად უფრო ამაღლებულად და ღირსეულად. სამოქალაქო პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების ამ სახით იდენტიფიცირებამ ხელი შეუწყო საკუთარი პიროვნული კეთილდღეობის მიების წახალისებას და საზოგადოებრივი სიკეთეების განაწილებას შორის დისბალანსის დამყარებას.

1960-იან წლებში უფრო აქტუალური გახდა საერთო ეროვნული პასუხისმგებლობის ცნება, რომელიც აღარ უკავშირდებოდა მოქალაქეთა სოციალურ და ინტელექტუალურ კუთვნილებებს. ცივი ომი და გამალებული შეიარაღება იყო ის საერთო საფრთხე, რამაც გააერთიანა შეერთებული შტატების მოქალაქეები. საერთო სამოქალაქო ღირებულებების და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ფორმირებას ხელი შეუწყო ვიეტნამში საომარი მოქმედებების საწინააღმდეგო გამოსვლებმა, გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციებისა და სტუდენტების საპროტესტო დემონსტრაციებმა. პროტესტის გამოხატვისას ადამიანები

ეყრდნობოდნენ ერთმანეთს, რათა დაპირისპირებოდნენ უსამართლობას და მიეღწიათ საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისათვის.

მაღალ სამოქალაქო აქტივობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1960-იან წლებში ამერიკელთა 62.8%-მა მონაწილეობა მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში. ადამიანები ჩართულნი იყვნენ პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებში. პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მაღალ ხარისხს განაპირობებდა თანამედროვე ტექნოლოგიებიც, რაც უფრო მეტ თავისუფალ დროს აძლევდა მომხმარებლებს. წარმატებული აღმოჩნდა თანასწორობისა და სამოქალაქო უფლებების გაფართოებისთვის წარმოებული მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მარტინ ლუთერ კინგი.

1980-90-იან წლებში ბევრმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ დაკარგა აქტივისტები. მაგალითად, ქალთა ორგანიზაციებში გაწევრიანების მსურველები შემცირდა 89 %-ით, „მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციაში“ გაწევრიანების მსურველ მშობელთა რაოდენობა შემცირდა 60%-ით. ასევე მიშვნელოვნად (46%) იკლო „ქალ-ამომრჩეველთა ლიგისა“ და „ფერადკანიანთა დაწინაურების ეროვნულ ასოციაციის“ წევრობის მსურველთა რაოდენობამ (1999 წლის მონაცემები).

2001 წელს ამერიკელ ზრდასრულთა 44% გაწევრიანებული იყო მოხალისეუბრივ ორგანიზაციებში. 1999 წლისთვის კი მათი რაოდენობა 55% აღწევდა. შემცირდა მოხალისეობრივი ორგანიზაციების ფინანსური შემწეობებიც.

### 1.7. სამოქალაქო პასუხისმგებლობის მნიშვნელობა

დემოკრატიისა და ქველმოქმედების წარმატებისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობას უპირველესი მნიშვნელობა აქვს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზიარებით მოქალაქეები უზრუნველყოფენ და იცავენ გარკვეულ დემოკრატიულ ღირებულებებს, რომლებსაც აღიარებს დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციები და საერთაშორისო ორგანიზაციები. ეს ღირებულებები და მოვალეობები მოიცავს სამართლიანობას, თავისუფლებას, თანასწორობას, მრავალფეროვნებას, უფლებამოსილებას, კონფიდენციალურობას, საკუთრებას, მონაწილეობას, სამართლიანობას, პატრიოტიზმს, ადამიანის უფლებებს, კანონის უზენაესობას, შემწყნარებლობას, ურთიერთდახმარებას, თვითშეზღუდვას და საკუთარი თავის პატივისცემას. სკოლები მოსწავლეებს მოქალაქეობის საკითხებს იმ მიზნით ასწავლიან, რომ ისინი აღზარდონ პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებად და საზოგადოების აქტიურ წევრებად.

სამოქალაქო პასუხისმგებლობა ფილანტროპიულ სექტორთან მრავალი ფორმითაა დაკავშირებული. საზოგადოებრივი მომსახურების სწავლა გულისხმობს ადგილობრივ თემებში საქველმოქმედო ან მოხალისეობრივი პროექტების განხორციელებას. მომსახურების სწავლა არის საშუალება, რითაც ადამიანები მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას შეიმეცნებენ. მომსახურების სწავლის გზით, ისინი მონაწილეობენ პროექტებში, რათა დაეხმარონ ან მოემსახურონ სხვა ადამიანების საჭიროებებს. ფიზიკური შრომით მოქალაქეები იმეცნებენ სხვა ადამიანებისთვის სიკეთის განაწილების ღირებულებას და, ამავე დროს, თავს აღიქვამენ საზოგადოების პროდუქტიულ წევრებად.

ფილანტროპიულ საქმიანობაში განსაკუთრებული როლი სტუდენტებს აკისრიათ. ისინი მონაწილეობენ საქველმოქმედო პროექტებში - უანგაროდ მუშაობენ დაბალ შემოსავლიანი ოჯახების ბავშვების მზრუნველობისა და განათლების ცენტრებში, მიაქვთ საკვები უსახლკაროთა თავშესაფარებში, ასუფთავებენ დასასვენებელ პარკებს და სხვ.

ფილანტროპი ადამიანები და ორგანიზაციები, როგორიცაა ფონდები, კორპორაციები, დამსაქმებლებიდა სხვ. გულუხვად სწირავენ დროს, გამოცდილებასა და ფულს იმ ადამიანებისა და ჯგუფების საქმიანობების დასაფინანსებლად, რომლებიც საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშესაწყობად იბრძვიან.

არაკომერციული საქველმოქმედო ორგანიზაციები სოციალური პრობლემების გამომწვევი ძირითადი მიზეზების დასადგენად და საზოგადოებრივი სარგებლისთვის ცვლილების განსახორციელებლად მუშაობენ. ისინი მოქმედებენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოციალური მომსხურება, ადამიანის უფლებები და გარემოსდაცვა. არაკომერციული ორგანიზაციები მხარს უჭერენ ახალგაზრდულ ინიციატივებს, სურსათითა და თავშესაფრით ამარაგებენ უსახლკაროებს.

ცალკეული საქველმოქმედო ორგანიზაციების აქტიურობის პარალელურად აუცილებელია, ამ მხრივ, მეტი ინიციატივები გამოიჩინონ ადამიანებმა, როგორც საკუთარი თემის წინაშე პასუხისმგებელმა პირებმა. მათ უნდა გამონახონ დრო და საშუალება, რათა ხელი შეუწყონ თემის წევრთა საჭიროებების მოგვარებას, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ფილანტროპია ყოველთვის არ მოითხოვს ფინანსებს. ზოგჯერ საკუთარი ცოდნის და გამოცდილების გაზიარებით, სხვადასხვა მოხალისეობრივი საქმიანობით ჩვენ შეგვიძლია მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ ლოკალური პრობლემების მოგვარებაში.

ამდენად, მოხალისეობა მოქალაქეობრივი პასუხისმგელობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელიც მოითხოვს ადამიანისგან გარკვეული დროის გამოყოფას და შრომას ანაზღაურების გარეშე. მრავალი ადამიანი ეწევა მოხალისეობრივ საქმიანობას ეკლესიებში, ცხოველთა

თავშესაფრებში ან სისხლის ბანკებში. მოხალისეობა მოქალაქეებს აძლევს საკუთარი უნარების და ცოდნის გაზიარების, ასევე ახალი უნარების შეძენის შესაძლებლობას.

მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი აკისრია მოქალაქეობრივ განათლებას. მოქალაქეობრივი განათლებისა და სამოქალაქო ჩართულობის ცენტრების მიზანია პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ადამიანთა საქმიანობის ხელშეწყობა და მათი გამსჭვალვა დემოკრატიული პრინციპების მიმართ ერთგულებით. მოქალაქეობრივი განათლება არის ადამიანების აქტიური მონაწილეობის საშუალება დემოკრატიის პრაქტიკულ განხორციელებაში.

1.8. **თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პირები და ორგანიზაციები**

- **თომას ჯეფერსონი** იყო ამერიკის შეერთებული შტატების მესამე პრეზიდენტი. მისი ავტორობით მომზადდა ქვეყნის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რაც მოქალაქეებს სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერების ძიების განუყოფელი უფლებების გარანტიას აძლევდა. მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის საშუალებით, ამერიკელებს თავისუფლად შეუძლიათ ამ უფლებების განხორციელება და სხვა ინდივიდების მიერ იგივე ქმედების პატივისცემა.
- **მარტინ ლუთერ კინგი** იყო ბაპტისტი მღვდელი, სამოქალაქო უფლებების დამცველი აქტივისტი. მისი ბრძოლა თანასწორობისთვის დღესაც გრძელდება. „მისი ლექციები და საუბრები ადამიანებში აღძრავდა ინტერესს და მათში აღვივებდა თანასწორობის შეგნებას. კინგმა მნიშვნელოვანად შეცვალა ამერიკელთა აზროვნება და ცხოვრების წესი“.
- **ამერიკორპუსი (AmeriCorps)** არის ეროვნული მომსახურების პროგრამების ქსელი, რომელიც 50000-ზე მეტ ამერიკელს აძლევს საშუალებას დაიკმაყოფილოს მნიშვნელოვანი საჭიროებები განათლებაში, საზოგადოებრივ უსაფრთხოებაში, ჯანდაცვასა და გარემოს დაცვაში. ორგანიზაციის წევრები ემსახურებიან 2,100-ზე მეტ არაკომერციულ საზოგადოებრივ სააგენტოს და რელიგიურ ორგანიზაციას. ამერიკორპუსი შეიქმნა 1993 წელს და წარმოადგენს ეროვნული და საზოგადოებრივი მომსახურებისუზრუნველყოფისორგანიზაციას (http://www.nationalservice.gov/programs/americorps).
- **სამოქალაქო განათლების ცენტრი** დაარსდა 1964 წელს ლოს ანჯელესში (კალიფორნია, აშშ). ცენტრის დამფუძნებელია კალიფორნიის უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული სამოქალაქო განათლების ინტერდისციპლინარული კომიტეტი. სამოქალაქო განათლების ცენტრი ცდილობს ისეთი საგანმანათლებლო რესურსების შექმნას, რომელიც ფოკუსირებული იქნება

სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე. ცენტრმა შეიმუშავა და ახორციელებს პროგრამას „ჩვენ ადამიანები“, რომლის მიზანია დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეებს გააცნოს ამერიკის კონსტიტუცია, დემოკრატიის პრინციპები და ისტორია.  პროგრამა მრავალი სკოლის სასწავლო გეგმის ნაწილს წარმოადგენს (http://www.civiced.org ).

- **მშვიდობის კორპუსი** დაარსდა 1961 წელს პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის მიერ მსოფლიოში მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეწყობის მიზნით. მშვიდობის კორპუსის მისიას შემდეგი სამი მიზნის განხორციელება წარმოადგენს:

1. დაინტერესებული ქვეყნების მოსახლეობის გადამზადება და მათი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება;
2. მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა და მისი პოპულარიზება აშშ-ს საზოგადოებაში;
3. ამერიკელებისათვის სხვა ხალხების უკეთ გაცნობა ( http://www.peacecorps.gov ).

- **უფროსთა კორპუსი**  არის პროგრამების ქსელი,  რომელიც იყენებს უფროსი ასაკის მოქალაქეთა გამოცდილებას, უნარებს და ცოდნას ადგილობრივი თემების გამოწვევების გადასაჭრელად. სამი პროგრამის ფარგლებში - „ბებიების და ბაბუების წახალისება“, „უფროსი კომპანიონები“ და „პენსიონერები და უფროსი მოხალისეები“ კორპუსი აერთიანებს ნახევარ მილიონზე მეტ ამერიკელს, რომელთა ასაკი 55 წელზე მეტია, რაც მეორეს მხრივ, „კორპუსის“ აქციებში მონაწილეთა მაღალ სოციალიზაციასაც უწყობს ხელს(http://www.seniorcorps.org).

## 1.5. ინდივიდუალური უფლებები და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობები

## 1.6. ადამიანის  უფლებები, ფუნქციები და მოვალეობები

სპეციალისტები გამოყოფენ შემდეგ სამოქალაქო უფლებებს:

კანონისა და წესრიგის პატივისცემა -  ადამიანების მიერ წესებისა და კანონების ცოდნა მნიშვნელოვანია. მოქალაქეებს ამ წესების დაცვა ყველა დროს მოეთხოვებათ. კანონების და რეგულაციების დანერგვას დემოკრატიული მთავრობები ახორციელებენ, რათა უზრუნველყონ საკუთარი ხალხის უსაფრთხოება და დაცვა.

განსხვავებული აზრი - მთავრობის საწინააღმდეგო იდეების განცხადება დემოკრატიის პირობებში ადამიანის ლეგიტიმური უფლებაა.

თავაზიანობა - დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის უაღრესად მნიშვნელოვანი თვისებაა. მოქალაქეებს შორის თავაზიანი დამოკიდებულება ხელს უწყობს საზოგადოების ეფექტურ და გამართულ ფუნქციონირებას.

პოლიტიკური მონაწილეობა - დემოკრატია გულისხმობს, რომ მთავრობას ხალხი აყალიბებს/ირჩევს და აკონტროლებს. ამდენად, დემოკრატიული საზოგადოების წევრებისთვის მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკური აქტიურობა და პროცესებში მონაწილეობა: კანდიდატებისთვის ხმის მიცემა, საკუთარი აზრის გამოხატვა, უსამართლობის გაპროტესტება და ა.შ. არჩევნებზე აქტიურობა უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგან იგი გვაძლევს საშუალებას ავირჩიოთ ის კანდიდატი ან პარტია, რომლის მიმართაც მეტი ნდობა და მხარდაჭერა გვაქვს. უნდა გვახსოვდეს, რომ ვირჩევთ ჩვენს წარმომადგენელს, ვისაც ვაკისრებთ ვალდებულებას წამოაყენოს და დაიცვას ჩვენი შეხედულებები მთავრობაში.

მოქალაქეობრივი აქტიურობა - უზრუნველყოფს მთავრობის ანგარიშვალდებულებას მოქალაქეების მიმართ და არის ერთგვარი გარანტია საზოგადოებისთვის სასარგებლო რეფორმების გასატარებლად.

1.7. რა პასუხისმგებლობები აქვთ ადამიანებს?

*სამართლებრივი პასუხისმგებლობა.* ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეს უფლება აქვს იცოდეს კანონით მინიჭებული უფლებები და ასევე შეაფასოს საკუთარი სამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხი სახელმწიფოსა და სხვა მოქალაქეების მიმართ. დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეთა პასუხისმგებლობები ზოგჯერ დაჯამებულია სამ ძირითად მოვალეობად: ხმის მიცემა, გადასახადების გადახდა და კანონმორჩილება.

პასუხისმგებლობები ხშირად უფლებების შემადგენელ ან მათ საპირისპირო მხარეს წარმოადგენს. მაგალითად, სიტყვის თავისუფლების უფლებას მოსდევს ვალდებულებაც იგივე უფლება მისცე სხვასაც. ამასთან, ადამიანებს ხშირად აქვთ მოვალეობები, რომლებიც არაა ორმხრივი. მაგალითად, პასუხისმგებლობა შვილების მიმართ.

*მორალური პასუხისმგებლობა.* მორალური აზროვნებისა და მოქმედების გარეშე ვერ მოხდება სახელმწიფო კანონების ან სოციალური წყობის კრიტიკული შეფასება მათი სამართლიანობის კუთხით. ამიტომ, იმ კანონების სწავლებისას, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მოსწავლეებზე, უნდა მოხდეს მათი წახალისება, რათა კრიტიკულად შეაფასონ კანონების დანიშნულება და მათი შეცვლის ან გაუმჯობესების საშუალებები.

*პასუხისმგებლობის სწავლება.* მასწავლებლები მოსწავლეებს უნდა დაეხმარონ სხვების საჭიროებებისა და უფლებების შესახებ ცოდნის გაღრმავებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა მოახდინონ საკუთარი პასუხისმგებლობის დემონსტრირება მოსწავლეთა წინაშე.

მოსწავლეები შეგნებულ მოქალაქეობას სწავლობენ არა მხოლოდ კლასში/გაკვეთილზე მიღებული ცოდნით, არამედ პრაქტიკული გამოცდილებითაც. ამიტომ პედაგოგებმა უნდა წაახალისონ მოსწავლეების მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობასა და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობებში.

საბოლოო ჯამში, ექსპერტთა დასკვნების მიხედვით შეიძება გამოვყოთ ათი უმთავრესი მოვალეობა, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის.

1. დემოკრატიულ სახლემწიფოში მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ხმის მიცემის ვალდებულება. დემოკრატიული წყობილების საფუძველია ის, რომ ვირჩევთ ჩვენს წარმომადგენლებს. აზრი არ აქვს დემოკრატიას, თუ არ მივიღებთ მასში მონაწილეობას.
2. დემოკრატიულ ქვეყანაში მოქალაქემ უნდა იცოდეს მთავრობის უფლებამოსილებები და ვალდებულებები, რაც ზოგადადაა ჩამოყალიბებული კონსტიტუციაში. თუ ეს არ გვეცოდინება, მაშინ მთავრობა, რომელიც არ მოქმედებს სათანადოდ, ვერ გაკონტროლდება ხალხის მიერ და თავს აარიდებს საკუთარი მოვალეობების შესრულებას.
3. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქე ვალდებულია იცოდეს საკუთარი უფლებები, რომელიც ასევე ზოგადადაა ჩამოყალიბებული კონსტიტუციაში. თუ არ გვეცოდინება ჩვენი უფლებები, მაშინ ისინი ყოველგვარ აზრს დაკარგავს.
4. დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქემ ყოველთვის უნდა იცოდეს, ვინ არის მისი წარმომადგენელი. თუ არ ვიცით ვინ წარმოგვადგენს ჩვენ, არც ის გვეცოდინება, თუ რამდენად სათანადოდ წარმოგვადგენს იგი, ან ვისთან გამოვხატოთ უკმაყოფილება, ვის უნდა ვაცნობოთ ჩვენი აზრები და პრიორიტეტები.

5. დემოკრატიულ ქვეყანაში მოქალაქემ საკუთარ თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რომ იყოს ინფორმირებული იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ მთლიანად ქვეყანაზე. ეს საკითხებია: ეკონომიკა, საიმიგრაციო პოლიტიკა, გარემოს დაცვის პოლიტიკა და საგარეო პოლიტიკა.
6. დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქე მსოფლიოს მოქალაქეცაა და ვალდებულია ინფორმირებული იყოს იმ სერიოზული პრობლემების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვა სახელმწიფოებზე. გვალვამ ერთ ქვეყანაში შეიძლება გამოიწვიოს საგარეო დახმარების საჭიროება ან ფასების აწევა მოხმარების საგნებზე.
7. მოქალაქე დაინტერესებული და ინფორმირებული უნდა იყოს იმ ადგილობრივი პირობების შესახებ, რომელიც მასზე ახდენს უშუალო გავლენას. მაგალითად, რას აკეთებს ქალაქის მერი უსახლკაროთა პრობლემების მოსაგვარებლად.

დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია მოქალაქის ინფორმირებულობა, ვინაიდან ინფორმაცია, რომელიც ყველაზე ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, მოქალაქეს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიულ პროცესში.

8. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს გადასახადების გადახდის სურვილი, რადგან დემოკრატია მატერიალურად უნდა უზრუნველყოფდეს ყველა ადამიანს.
9. მოქალაქე უნდა იყოს დაემორჩილოს კანონს. დემოკრატია ვერ იარსებებს უკანონო საზოგადოებაში და მოქალაქეთა მხრიდან კანონისადმი მორჩილების სურვილის გარეშე. არც ერთ მთავრობას არ აქვს საკმარისი მატერიალური შესაძლებლობა ანარქიის შედეგთა გასაკონტროლებლად.
10. მოქალაქემ ყველა შესაძლო საშუალებით უნდა დაუჭიროს მხარი საზოგადოებრივ განათლებას, გადასახადების გადახდით და ადგილობრივი მოხალისეობრივი ძალისხმევით. საზოგადოებრივი განათლება წარმოადგენს დემოკრატიის საძირკველს, რაც გამიზნულია ბავშვებმა მიიღონ განათლება, რათა გაუჩნდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და გახდნენ დემოკრატიული პროცესის შეგნებული მონაწილეები.

2. მთავრობის როლი თანამედროვე დემოკრატიაში

**2.3. ხელისუფლების საკითხი სამოქალაქო საზოგადოებაში**

კითხვაზე - რა როლი აკისრია მთავრობას თანამედროვე საზოგადოებაში? არსებობს მეტ-ნაკლებად ყველა დემოკრატიული საზოგადოებისთვის მისაღები პასუხი - მთავრობის როლი

უნდა იყოს შეზღუდული და მის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ თვითგამდიდრების შესაძლებლობა, რადგან უნდა ვივარაუდოთ, რომ ადამიანები ხელისუფლებაში მოვიდნენ ხალხისა და ქვეყნის სიყვარულისთვის და არა საკუთარი კეთილდღეობისთვის.

მთავრობის ფუნქცია შეიძლება წარმოვიდგინოთ/შემოვფარგლოთ შემდეგი ამოცანებით:

1. უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და სტაბილური გარემო თავისუფალი ვაჭრობის, ინოვაციების, განვითარებისა და წარმოებისთვის.
2. უნდა დაიცვას სახელმწიფო საზღვრები ნებისმიერი შიდა და გარე საფრთხისაგან, რომელიც ემუქრება მოქალაქეთა უსაფრთხოებას და ცხოვრების წესს.
3. ქვეყნის მოქალაქეებს უნდა მისცეს ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საშუალება ყველა შესაძლო და კანონიერი ფორმით, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფით და ინფრასტრუქტურის (საცხოვრებელი გარემო, მუდმივი წყალი, ელექტროენერგია, ტელეკომუნიკაცია და სხვ.) შექმნით.
4. პოლიტიკური მოღვაწეების და საჯარო სექტორში წამყვანი ფიგურების ხელფასები, როგორიცაა პოლიცია და თავდაცვა, თავად საზოგადოების მიერ უნდა იქნას დამტკიცებული.

დემოკრატიულ სამყაროში ხელისუფლების მართვის სადავეები ქვეყნის მოქალაქეების ხელშია და ადამიანებმა არ უნდა გამოიჩინონ სისუსტე მთავრობის მიმართ დამოკიდებულებასა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვინაიდან ეს განამტკიცებს ხალხის ძალაუფლებას. მოქალაქეები არამარტო აძლევენ ხმას პოლიტიკოსთა ხელისუფლებაში მოსვლას, არამად მათ ის მოვალეობაც აკისრიათ, რომ მთავრობამ სწორი გზიდან არ გადაუხვიოს, რაც ხელისუფლებაზე მუდმივი კონტროლით მიიღწევა. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ფეოდალურ-მონარქიული მმართველობები, სადაც ადამიანის ვალდებულებად მმართველთა ბრძანებების (კაპრიზის) შესრულება მიიჩნეოდა. ახლა ძალაუფლების ვექტორი რადიკალურად არის შეცვლილი. ფორმულირება - ხალხი ემსახურება მმართველს უარყოფილია და მის მაგიერ ვამბობთ - მთავრობაა ხალხის მსახური. სამწუხაროდ, დღესდღეობით საზოგადოებაში არ არსებობს საფუძველი ასეთი შეხედულებისთვის, ვინაიდან ჩვენ არ ვიღებთ საკმარის პასუხისმგებლობას იმაზე, რომ აქტიურად ჩავებათ პოლიტიკურ პროცესებში და განვახორციელოთ მთავრობის კონტროლი. ეს არცთუ იოლი საქმეა, რადგან მოითხოვს პერსონალურ ცვლილებასაც, მათ შორის, საკუთარი თავის მართვის სწავლას და ჩვენთვის ჩვეული სიხარბისა და მომხვეჭელური მოთხოვნილების დაძლევას.

## 2.4.საზოგადოების წინაშე მთავრობის პასუხისმგებლობა

ყველაზე გავრცელებული განმარტებით მთავრობას აკისრია საზოგადოების დამცველის როლი - ხელისუფლება ძალადობისაგან იცავს საკუთარ მოქალაქეებს. თომას ჰობსის „ლევიათანი“ სამყაროს, მთავრობის გარეშე, სასტიკ, სახიფათო ადგილად წარმოაჩენს. მთავრობა კი კანონს და წესრიგს უზრუნველყოფს, მოქალაქეებს ერთმანეთისა და გარეშე მტრებისგან იცავს. ქმედითუნარიანი მთავრობის არ არსებობით გამოწვეული მძიმე შედეგები არაერთ სახელმწიფოში ფიქსირდება - ომის, ქაოსისა და უწესრიგობის წინააღმდეგ, სამხედრო დაჯგუფებების ძარცვისგან თავდასაღწევად, მოქალაქეებმა შეიძლება დესპოტური მთავრობა არჩიონ (მაგ., თალიბანი და ისლამური სახელმწიფო), რაც საზოგადოებას ახალი საფრთხეების წინაშე აყენებს.

მთავრობის, როგორც დამცველის შესახებ არსებული გაგება მოითხოვს გადასახადების აკრეფას შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის დასაფინანსებლად, სასამართლოების და ციხეების ასაშენებლად, მაღალი თანამდებობის პირების ასარჩევად ან დასანიშნად იმ კანონების განსახორციელებლად, რომელთა დარღვევაც მოქალაქეებს ეკრძალებათ. რაც შეეხება საფრთხეებს, მთავრობას, როგორც დამცველს, სჭირდება უნარი აწარმოოს მოლაპარაკებები სხვა სახელმწიფოებთან, ასევე ებრძოლოს კიდეც მათ. მთავრობის ფუნქციის ეს მინიმალისტური ხედვა ნათლად წარმოჩინდა ამერიკის შეერთებული შტატების საწყის დღეებში, რომლებიც ხასიათდებოდა მმართველი ინსტიტუტების შექმნით (პრეზიდენტი, კონგრესი, უზენაესი სასამართლო და ხაზინა), დამოუკიდებლობისათვის ომის წარმოებით და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობით.

საზოგადოების დამცველის ფუქნცია მთავრობას ადამიანთა იმ პროდუქციით/საშუალებით უზრუნველყოფის ვალდებულებასაც აკისრებს, რომლის მიღწევაც ცალკეულ პირებს არ შეუძლიათ. ამ თვალსაზრისით მთავრობა წარმოადგენს კოლექტიური პრობლემის გადაჭრის და საზოგადოებრივი სიკეთეების შექმნის საშუალებას (მაგ., განათლება, ჯანდაცვა, სოციალური გარანტიები, საკომინიკაციო ტექნოლოგიები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სხვ.).

მთავრობის, როგორც „საზოგადოებრივი სიკეთეების უზრუნველმყოფელის“ უფრო ფართო კონცეფციაა სოციალური სახელმწიფო. ამ კონცეფციით მთავრობას შეუძლია მოქალაქეებს თვითუზრუნველყოფის უუნარობა შეუმსუბუქოს, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ხანდაზმულობის, ავადმყოფობის, უნარშეზღუდულობის და უმუშევრობის დროს. სოციალური სახელმწიფო უზრუნველყოფს საჭირო ტექნიკური შესაძლებლობების ფართოდ ხელმისაწვდომობას, რათა მოქალაქეებს მიეცეთ გარანტირებული სოციალური და ეკონომიკური

კეთილდღეობა. მართვის ასეთი მოდელი აძლიერებს სოციალურ სამართლიანობას და მოქალაქეთა ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

მთავრობის საქმიანობა და მისი წარმატებული პერსპექტივა ემყარება საზოგადოების დაცვისა ვალდებულებებს. მთავრობა გააგრძელებს საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზრუნვას იმ დონემდე, რაც საჭიროა კონკურენტუნარიანი ეკონომიკისა და ეფექტური საზოგადოების უზრუნველსაყოფად გლობალური მასშტაბით. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ დააბანდოს კაპიტალი მოქალაქეთა შესაძლებლობების განვითარებაში, რათა მათ მისცეს სწრაფად და უწყვეტად ცვალებად გარემოში თვითუზრუნველყოფის შესაძლებლობა.

მთავრობის, როგორც ინვესტორის აღქმა მომდინარეობს თანამედროვე სამეწარმეო კულტურიდან. ტექნოლოგიების მწარმოებელმა გრეგორ ფერენშტაინმა გამოკითხა „სილიკონის ველის" მფლობელები და დაასკვნა, რომ „მათ ისეთი მთავრობა სურთ, რომელიც იქნება საკუთარი მოქალაქეების ინვესტორი და არა  კაპიტალიზმისგან დამცველი". მათ სურთ, რომ მთავრობამ აქტიურად დააფინანსოს განათლება, წაახალისოს აქტიური მოქალაქეობა, ფოკუსირებული იყოს სავალდებულო საერთაშორისო სავაჭრო კავშირების დამყარებასა და ლეგალური იმიგრანტებისთვის საზღვრების გახსნაზე". ერიკ შმიდტის აზრით - „სიახლეების, უფლებამოსილების და შემოქმედებითობის კომბინაცია იქნება ჩვენი პრობლემების გადაჭრის გზა".

რეალურად მთავრობას, როგორც ინვესტორს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სკოლების დაფინანსება და საზღვრების კონტროლია. მთავრობებმა კაპიტალდაბანდება უნდა განხორციელონ არამხოლოდ მოქალაქეთა შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, არამედ ისეთი რესურსებისა და ინფრასტრუქტურის შესაქმნელადაც, რაც  მოქალაქეებს მისცემთ საშუალებას საკუთარი ქმედებით და მთავრობისგან მაქსიმალური დისტანცირებით მიაღწიონ მასშტაბურ წარმატებებს.

### 2.5. კაპიტალდაბანდება განათლებაში

მთავრობისთვის, როგორც ინვესტორისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი განათლებაა, რომელსაც უწყვეტი ხასიათი აქვს და მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარეობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის ცხოვრების პირველი ხუთი წელი, ვინაიდან ამ დროს ხდება შემეცნებითი უნარების განვითარება, რაც განსაზღვრავს თუ რამდენად კარგად შეძლებენ ბავშვები სწავლას და ნასწავლის გააზრებას დარჩენილი ცხოვრების მანძილზე. ამდენად, მთავრობას ინვესტიციების განხორციელება მოუწევს ბავშვის განვითარების ყველა

ეტაპზე - მუცლადყოფნიდან დაწყებული, ფორმალური სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების ჩათვლით. აქ იგულისხმება ჩვილის კვებისა და ჯანდაცვის, მშობელთა განათლების, ბავშვის საცხოვრებელი პირობების კონტროლისა და განვითარებისათვის შესაფერისი ადრეული საგანმანათლებლო პროგრამები. მოზარდობის წლები გონების განვითარების კიდევ ერთი პერიოდია, როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო პროგრმები, წვრთნა და ოჯახის მხარდაჭერაა საჭირო.

უწყვეტი განათლების შესაძლებლობები მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მთელი ცხოვრების მანძილზე, ვინაიდან სამუშაო ადგილები სწრაფად იცვლება და ახალი ცოდნის შეძენაც ჩქარდება. თუმცა, თვით კარგად განათლებული მოქალაქეებიც ვერ შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას თუ არ ექნებათ ახალ სამუშაო გარემოსთან და ტექნოლოგიებთან ადაპტირების უნარი. თუ მთავრობას მართლა სურს მოქალაქეთა ნიჭში ინვესტიციების ჩადება, მას მოუწევს ისეთი სახის ეკონომიკური პლატფორმების შექმნა, სადაც მოქალაქეებს შეეძლებათ გონივრულად და ეფექტურად ისარგებლონ ყველა სოციალური სიკეთით - ჯანმრთელობის დაზღვევით და საგანმანათლებლო შესაძლებლობებით დაწყებული, ბიზნესის ლიცენზიებით და პოტენციურ ბიზნეს პარტნიორებთან საქმიანი ურთიერთობებით დამთავრებული.

მთავრობას, როგორც ინვესტორს, მოუწევს მოძებნოს გზა, რომელიც წაახალისებს მცირე საწარმოებსაც, სადაც უფრო მეტი პროდუქტიულობით და კმაყოფილებით ჩაერთვებიან ინიციატივიანი მოქალაქეები. დასაფასებელია იმ მთავრობების ხედვა, რომლებსაც სწამთ საკუთარი მოქალაქეების ნიჭი და პოტენციალი და შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის ინვესტირებას საკუთარ მოქალაქეებში ახდენენ, რათა ხელი შეეწყოს მათი შესაძლებლობების რეალიზებას. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა საშუალებას იძლევა თავიდან ავირიდოთ ეკონომიკური დისბალანსი და სახელისუფლო ბიუროკრატია. ამავე დროს, ინდივიდუალური და საოჯახო წარმოების ინვესტირებით მთავრობები აღიარებენ, რომ საკუთარი მოქალაქეები შემოქმედებითად რეაგირებენ ცვლილებებსა და ეკონომიკის მოთხოვნებზე და იღებენ სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებებს.

სამთავრობო ინვესტიციები ორიენტირებული უნდა იყოს მოქალაქეთა ცვალებად საჭიროებებზე მათი სიცოცხლის განმავლობაში და ხელს უნდა უწყობდეს ეკონომიკური რესურსების მიღებასა და საჭირო საქმიანი კავშირების გაფართოებას.

**დავალება**

როგორც განხილული თემიდან იკვეთება, დემოკრატია მოქალაქეებს უფლებების მინიჭებასთან ერთად, გარკვეულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებსაც აკისრებს. ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა არის მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობა.

დაიყავით მცირე ჯგუფებად. შეისწავლეთ საკუთარი თემის საჭიროებები. მათგან შეარჩიეთ ერთი ისეთი პრობლემა, რომლის მოგვარებაც შესაძლებელია მოქალაქეთა მოხალისეობრივი აქტიურობით.

დაგეგმეთ იდენტიფიცირებული პრობლემის მოგვარების მიზნით მოხალისეობრივი საქმიანობა: ა) განსაზღვრეთ მონაწილეთა ჯგუფი/ჯგუფები; ბ) გამოკვეთეთ მიზანი; გ) შეარჩიეთ რესურსები; დ) განსაზღვრეთ შესაძლო რისკები და დასახეთ მათი დაძლევის პერსპექტივა; ე) განმარტეთ განხორციელებული აქტივობის მოსალოდნელი შედეგები.

ჯგუფებმა მოახდინეთ მოხალისეობრივი საქმიანობის თქვენეული გეგმის/პროექტის პრეზენტაცია და გამართეთ დისკუსია თემაზე: რა ფაქტორები განსაზღვრავს მოხალისეობრივ საქმიანობებში მოქალაქეთა აქტიურ და/ან პასიურ მონაწილეობას.

**ლიტერატურა და წყაროები**


1. Bull B.L (2008), A Politically Liberal Conception of Civic Education, Stud Philos Educ , 27, 449–460
2. Cohen J.L (1998), American civil society talk, Philosophy and Public Policy Quarterly, 18 (3), 55-79.
3. Sabia D. (2012), Democratic/Utopian education, Utopian Studies, vol. 23, no.2 , 374-405.
4. J. ,Kahne J.(2004), Educating the “Good” Citizen: Political Choices and Pedagogical Goal, Political Science & Politics, 37 (2), 241-237
5. Rt Hon. Jack Straw (1999) Rights and Responsibilities in the New Democracy
6. J. Self. Civic Responsibility. https://www.learningtogive.org/resources/civic-responsibility
7. The Role of Government in Modern Society . https://www.news24.com/MyNews24/The-Role-of-Government-in-Modern-Society-20111121

WHAT ARE THE TEN ROLES OF CITIZENS IN A DEMOCRATIC SETTING. https://www.enotes.com/homework-help/what-ten-roles-citizens-democratic-setting-490636



მადონა მიქელაძე-ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## 1. აქტიურ მოქალაქეობის ხელისშემშლელი და მამოტივირებელი ფაქტორები

„დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე. უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებული შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში...“.

დიმიტრი უზნაძე. ,,ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები“, 1917 წელი.

### 1. აქტიური მოქალაქეობის განვითარება

თანამედროვე მსოფლიოში საზოგადოების სამოქალაქო ჩართულობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან მაღალი სამოქალაქო ცნობიერების, მოქალაქეობრივი მოწოდების, აქტიური მოქალაქის არსებობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის აუცილებელ წინაპირობად ითვლება.

სამოქალაქო საზოგადოება ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას. საზოგადოებაში დემოკრატიის დამკვიდრება არ არის მარტივი პროცესი. დემოკრატიის არსებობისთვის საჭიროა მთელი საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა მისი მთავარი პრინციპების დანერგვისა და განხორციელებისათვის. დემოკრატიის მნიშვნელოვანი საზომია სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის დონე, რადგან ჭეშმარიტი დემოკრატია ხელს უწყობს ადამიანთა აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეები საკუთარი ინტერესების მიხედვით ვითარდებიან, იყენებენ თავიანთ უფლებებს, იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ და გარშემომყოფთა კეთილდღეობაზე. ისინი ცოდნაზე არიან ორიენტირებულნი, რადგან განათლება, მართალია, ყველა სახის საზოგადოებისთვის არის საჭირო, მაგრამ განსაკუთრებით დემოკრატიული საზოგადოებისთვისაა მნიშვნელოვანი. სამოქალაქო განათლება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს აქტიურ მოქალაქეობას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

აქტიური მოქალაქე საზოგადოებრივ ინტერესებს კერძოზე მაღლა აყენებს. ასეთი მსოფლმხედველობის მქონე მოქალაქეების სიმრავლე განაპირობებს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და მათ დინამიურ განვითარებას. შესაბამისად, აქტიური მოქალაქე იმგვარ ინდივიდს წარმოადგენს, რომელიც ერთი მხრივ იზიარებს საზოგადოებრივ ღირებულებებს, მეორე მხრივ კი, თავად იღწვის საზოგადოების განვითარებისათვის. ეს

კონცეფცია მორალური და ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარეობს და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების გრძნობას უკავშირდება. ამ პრინციპების მიხედვით, საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაში მონაწილეობა მოქალაქეობის კარგად გაცნობიერებული, სრულუფლებიანი წევრობის სურვილის მქონე ინდივიდებს შეუძლიათ, რომლებიც, ერთი მხრივ, საკუთარ სარგებელს ხედავენ სახალხო სიკეთისა და შესაძლებლობების სამართლიანად და დამსახურებულად გამოყენებაში, ხოლო მეორე მხრივ, სურთ რომ სხვებმაც ისარგებლონ იდენტური სიკეთეებითა და შესაძლებლობებით (გორგაძე. გვ. 3).

ზოგადად, მოქალაქის რაობა სამ ძირითად ჭრილში განიხილება:

1. მოქალაქეობა - სამართლებრივი სტატუსი;
2. უფლებები და პასუხისმგებლობები - რის გაკეთება შეუძლია ან არ შეუძლია მოქალაქეს;
3. რას მოიმოქმედებს მოქალაქე - გამოცდილება და პრაქტიკა, რითაც მოქალაქე საზოგადოებასთან მიკუთვნების და მისი წევრობის დემონსტრირებას ახდენს (გორგაძე, გვ. 2).

ცხადია, სამივე კონცეფცია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. პირველი აღწერითი ხასიათისაა, მაგრამ მეორე და მესამე კონცეფციები, ფაქტობრივად აყალიბებენ მოქალაქის სამართლებრივ-საზოგადოებრივ ხასიათს და მის მოქალაქეობრივ მსოფლმხედველობას (გორგაძე, გვ. 3).

***რას გულისხმობს აქტიური მოქალაქეობა?*** ეს არის ცნება, რომელიც აღწერს ადამიანების ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საქმეში. ეს შეიძლება ხდებოდეს როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

აქტიურ მოქალაქეობას სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულად განმარტავს. მაგალითად, ტესსა ბრანანი და სხვები თვლიან, რომ აქტიური მოქალაქეობა არ ნიშნავს რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების პასიურ წევრობას. ის აქტიურობას მოქალაქეობის უმნიშვნელოვანეს პირობად თვლის (Brannan, John, Stoker, 2007). მკვლევართა აზრით, აქტიური მოქალაქეობა ხაზს უსვამს იმ უფლებებს, რომლებიც აუცილებელია, რათა დავიცვათ ინდივიდუალური თავისუფლება (მაგ, სიტყვის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება და სხვა);

აქტიური მოქალაქეობა მრავალი ტიპის ჩართულობასა და მონაწილეობას გულისხმობს. დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილებაზე დაყრდნობით მკვლევარები გამოყოფენ აქტიური მოქალაქეობის 7 ძირითად ***ინდიკატორს***: ა) მოხალისეობრივი მუშაობა ორგანიზაციებსა და ქსელებში; ბ) საზოგადოებრივი/სათემო ღონისძიებების ორგანიზება და საქმიანობა; გ) არჩევნებში მონაწილეობა; დ) პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა; ე) ინტერესის

ჯგუფებში ჩართულობა; ვ) მშვიდობიან პროტესტებში მონაწილეობა; ზ) საჯარო დებატებში მონაწილეობა. აქტიური საზოგადოებრივი პოზიციის მქონე მოქალაქეების სიმრავლე განაპირობებს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და დემოკრატიული საზოგადოების დინამიურ განვითარებას.

აქტიური და ეფექტური მოქალაქეობის ***მისაღწევად აუცილებელია შემდეგი უნარების*** კომპლექსური განვითარება:

- კომუნიკაციური - აერთიანებს კვლევისა და ანალიზის, საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბების, დებატებისა და დისკუსიის წარმართვის უნარ-ჩვევებს
- სააზროვნო - აერთიანებს ანალიზის, სინთეზის, დასაბუთების, რეფლექსიის და შეფასების უნარ-ჩვევებს
- თანამშრომლობითი - აერთიანებს გუნდში მუშაობის, საკუთარი როლის და ფუნქციის დანახვის, გუნდის წევრთა დაფასების, მათთან ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს
- პრობლემის გადაჭრის - აერთიანებს კონფლიქტების პრევენციისა და დარეგულირების, მედიატორულ და ფასილიტატორულ უნარ-ჩვევებს
- შრომითი - აერთიანებს საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის მოქმედების, საქმიოანობის ეფექტიანად წარმართვისა და შედეგზე ორიენტირებულობის უნარ-ჩვევებს.

სამოქალაქო მონაწილეობა **ორი ტიპის ჩართულობას** გულისხმობს: (ა) ჰორიზონტალურს (საზოგადოებრივს), რომელიც სათემო-საზოგადოებრივ დონეზე მონაწილეობით ხასიათდება და (ბ) ვერტიკალურს (სამოქალაქოს), რომელიც სახელმწიფო ინსტიტუციებში ჩართულობით ან ინსტიტუციებთან კავშირების არსებობით ხასიათდება.

პოლიტიკური მონაწილეობის ძირითად ფორმებს წარმოადგენს:

- ხმის მიცემა არჩევნებზე
- პოლიტიკურ დებატებსა და დიალოგში მონაწილეობა
- მშვიდობიანი პროტესტის სხვადასხვა ფორმები
- პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა თავად პარტიის ან კანდიდატისათვის ფინანსური დახმარების ან საინფორმაციო/საარჩევნო კამპანიაში ჩართვის გზით
- დამოუკიდებელი გამოძიების წარმართვა ხელისუფლების ან პოლიტიკური პარტიის დარღვევების აღმოჩენისათვის
- საჯარო სამსახური
- სხვადასხვა ფორმით სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გამოხატვა.

ეჭვგარეშეა, რომ აქტიური მოქალაქეობა თანაბრად სასარგებლოა, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში  აქტიური ჩართულობის პირობებშიც.

შეიძლება ითქვას, აქტიური მოქალაქეობა არის უფლებებისა და მოვალეობების დაბალანსებული გაცნობიერება. ხშირად პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მოქალაქის უფლებებისგან განსხვავებით, რაც კანონებში ნათლად არის გაწერილი,  პასუხისმგებლობები არ რის სათანადოდ განსაზღვრული. მაგალითად, არჩევნებზე მისვლა არ არის კანონით სავალდებულო და დასჯადი, შესაბამისად არიან ადამიანები ვისთვისაც ეს პირადი პასუხისმგებლობის საგანია, მაგრამ ასევე არიან ადამიანები, რომლებიც არ თვლიან თავს მოვალედ მონაწილეობა მიიღონ მსგავს საზოგადოებრივ აქტივობებში.

მკვლევართა აზრით, აქტიურ მოქალაქეობას აქვს ოთხი მიმართულება, რაც დაკავშირებულია სამოქალაქო პრაქტიკასთან. ეს მიმართულებებია: 1. უფლებამოსილება/შესაძლებლობა (როგორ შეუძლიათ ადამიანებს იმოქმედონ საკუთარ უფლებებზე დაყრდნობით); 2. კავშირი (სხვებთან ურთიერთობა); 3. გამოწვევა; 4. კონტექსტი (რამდენად აცნობიერებს ხალხი მრავალფეროვანი არჩევანის შესაძლებლობას სოციალური პრაქტიკის დროს) (Clarke, Missingham, 2009).

მკვლევარები აქტიური მოქალაქეობის 10 პრინციპს ასახელებენ:

1. აქტიური მოქალაქეობა ეხება **ყველას**;
2. ყველას გვაქვს **უფლებები და პასუხისმგებლობები**;
3. აქტიური მოქალაქეობა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს: **მიმღეობა, თანასწორობა და სოლიდარობა;**
4. ძლიერი და ჯანსაღი თემისთვის მისაღებია კულტურული **მრავალფეროვნება;**
5. **ღიაობა, პასუხისმგებლობა და ნდობა** ზრდის ჩართულობას დემოკრატიულ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
6. აქტიური მოქალაქეობის ერთ-ერთი საფუძველია ნებისმიერ მოქალაქეს, სოციალური სტატუსის მიუხედავად, **შესძინო გადაწყვეტილების მიღების უნარი და მიანიჭო ძალაუფლება;**
7. **დიალოგი** ხელს უწყობს ხელისუფლებას, მოქალაქეს და თემს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაში;
8. საზოგადოების წარმატება დამოკიდებულია მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოების, არჩეული სახალხო წარმომადგენლების, საჯარო სამსახურების, ბიზნესისა და სავაჭრო წრეების **თანამშრომლობაზე;**

9. ადამიანი არ იბადება, არამედ ყალიბდება აქტიურ მოქალაქედ - **სწავლა სიცოცხლის მანძილზე** ხელს უწყობს მას განვითარებაში ცხოვრების თითოეულ საფეხურზე;

10. აქტიური მოქალაქეობა საჭიროებს **ლიდერობას** - საკუთარ თემში ჩვენ ყველანი პოტენციური ლიდერები ვართ (Report of the Taskforce on active Citizenship, 2007).

***როგორ შეიძლება ადამიანები გახდნენ უფრო აქტიურები საკუთარ თემში?*** უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური როლის თამაშისა და პოზიტიური წვლილის შეტანის სურვილი. არსებობს სხვადასხვა გზა, რითაც შეიძლება მივაღწიოთ საზოგადოებრივ აქტიურობას. მაგალითად: ადამიანების ჩართულობა და მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში, მოხალისეობრივ აქტივობებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, საკუთარი თემისა თუ გარემოს მხარდასაჭერად გადაწყვეტილებების მიღებაში და სხვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქეობისთვის **ახალგაზრდების წახალისება და მხარდაჭერა**. დღეისათვის ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და ერთ-ერთი პრიორიტეტულია მთელ მსოფლიოში. განათლების სისტემაში შეტანილი ცვლილებები ითვალისწინებს ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას იმისათვის, რომ იყვნენ კანონმორჩილნი და გამოირჩეოდნენ პოზიტიური ქმედებით, განავითარონ ურთიერთობები სასკოლო გარემოს გარეთ, დაუპირისპირდნენ დისკრიმინაციას, ჰქონდეთ ნდობა საკუთარი სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართ, რათა წარმატებით გაუმკლავდნენ ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებზე არსებულ გამოწვევებს, ცვლილებებს და იყვნენ ღირსეული მოქალაქეები.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში საკუთარი პოზიტიური წვლილის შეტანისა და აქტიური მოქალაქეობის დანერგვის საქმეში საკვანძო მიმართულებაა ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება, რაც სარგებელს, უპირველეს ყოვლისა, ისევ ახალგაზრდობას და, რა თქმა უნდა, იმ საზოგადოებას მოუტანს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. პირველ რიგში, ეს მათ აძლევს შესაძლებლობას დადებითი ურთიერთობა დაამყარონ საზოგადოებასთან, აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარი და გარშემომყოფთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, განივითარონ ის უნარები, რაც აუცილებელია საზოგადოებაში ეფექტური არსებობისათვის. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, აისახება საზოგადოების კეთილდღეობაზე.

გარდა ამისა, აუცილებელია ამ პროცესში იმ ახალგაზრდების ჩართვაც, რომლებიც სოციალური იზოლირების ზღვარზე იმყოფებიან. მაგალითად, უსახლკარო ახალგაზრდები და შშმ ახალგაზრდები. ეს ადამიანები ყოველდღიურად შეიძლება წააწყდნენ მნიშვნელოვან

სოციალურ და პოლიტიკურ ბარიერებს, რაც მათ ხელს შეუშლის გახდნენ აქტიური მოქალაქეები. საზოგადოებრივ საქმეებში ჩართულობით სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები აცნობიერებენ საკუთარ უფლებებს და პასუხისმგებლობებს, ხდებიან უფრო თავდაჯერებულები და აღარ უჭირთ არსებული ბარიერების გადალახვა. ახალგაზრდების მოტივაცია გაცილებით იზრდება მაშინ, როცა გრძნობენ, რომ ღირსეული წვლილი შეაქვთ სამოქალაქო საზოგადოების შექმნაში.

**რატომ უნდა სურდეს ადამიანს იყოს აქტიური მოქალაქე?**

მოტივაცია უდაოდ მნიშვნელოვანი ელემენტია მთელ ამ პროცესში. მოტივაცია ფსიქიკური და ფიზიკური აქტივობების დაწყების, მათთვის მიმართულების მიცემისა და მართვის პროცესს ეწოდება. მოტივაცია მოიცავს პიროვნების საჭიროებებსა და მიზნებს, ისევე როგორც სტიმულაციას გარემოდან. როგორც ცნობილია, მოტივაცია ორი ტიპისაა: გარეგანი და შინაგანი. შინაგანი მოტივაცია არის ისეთი პიროვნული ქცევა, რომელიც წარმოიქმნება სასიამოვნო შეფასების შედეგად, როცა ხდება გაანალიზება არის თუ არა ქმედება სასიამოვნო და ინდივიდუალურად დამაკმაყოფილებელი. ამრიგად, შინაგან მოტივაციას აქვს პირდაპირი კავშირი შესრულებულ ქმედებასა და პიროვნულ თვისებებთან. აქედან გამომდინარე, მოხალისეობრივი სამუშაოს ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი წვლილის შეტანის შემდეგ სიამოვნების განცდა სწორედ შინაგანი მოტივაციის მაგალითია.

რაც შეეხება გარეგან მოტივაციას, ის ქმედების შედეგად პიროვნებისათვის ხილული სარგებლის მოლოდინით არის წახალისებული, რაც შეიძლება მოიტანოს გარკვეულმა ჯილდომ კონკრეტული ქმედებისათვის. გარეგან მოტივაციას პირდაპირი კავშირი არა აქვს მოქმედების გამო სიამოვნების განცდასთან. მაგალითად, როცა პიროვნება ერთვება მოხალისეობრივ საქმიანობაში გამოცდილების მიღების ან კარიერული წინსვლის გამო, ეს უკვე გარეგანი მოტივაცია სარგებლის მოლოდინით.

ჩართულობის მოტივაცია მრავალფეროვანია. ზოგიერთი მეცნიერი (Joseph A. Hafer, Bing Ran, 2016), თვლის, რომ ჩართულობის ფსიქოლოგიური მდგომარეობა არის მოტივაციური ასპექტი მოხალისეობრივი სამოქალაქო ჩათულობისა. უფრო მეტიც, ისინი ამბობენ რომ ზოგადი პოლიტიკური ინტერესი არის ჩართულობის კოგნიტური მოტივაციური წინამორბედი.

ჩართულობის წახალისება შესაძლებელი ასევე მოხდეს გარეგანი მოტივაციითაც. მაგალითად, საგანმანათლებო ან საკვალიფიკაციო სარგებელი. ეს მოიცავს განათლებას, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ მოქალაქეობასთან, რომელიც სოციალურ საკითხებზე ინფორმაციასთან წვდომის საშუალებას იძლევა, ასწავლის თუ როგორ გახდე

აქტიური მოქალაქე. ამგვარად,  ჩართულობა ხელს უწყობს სოციალურ სწავლას, რაც ეხმარება ადამიანს მოქალაქეობრივი იდენტიფიკაციის განვითარებაში (Joseph A. Hafer, Bing Ran, 2016).

მოქალაქეობრივი აქტივობა ადამიანის ბუნებიდან, მისი თანამონაწილეობის სურვილიდან, მოთხოვნილებებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეობს. მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება თავისთავად არ ხდება. ამისათვის აუცილებელია ინდივიდის მოქალაქედ აღზრდა. მოქალაქეობრივი აღზრდა დემოკრატიული პრინციპების, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების შესწავლით, უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ცნობიერების განვითარებით, პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლების გზით არის შესაძლებელი.

სამოქალაქო აქტიურობა გარკვეული წინაპირობების არსებობაზეა დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოზარდი თაობის სამოქალაქო განათლებას, რომელმაც, პირველ რიგში, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეგნება უნდა ჩამოაყალიბოს მათ. თავად სამოქალაქო ინიციატივები კი ისეთი დემოკრატიული უნარების განვითარებას უწყობს ხელს, როგორებიცაა: საკუთარი აზრის, იდეების ფორმულირება, კომპრომისებისთვის მზადყოფნა, თანამოქალაქეებთან ურთიერთობა.  სოლიდარობის განცდა, სხვების მიმართ ტოლერანტობის და პატივისცემის გამოხატულება დემოკრატიული საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი ღირებულებებია, რომლებიც მოქალაქეებს საზოგადოებრივი ამოცანების გადაჭრის პროცესში მონაწილეობის შედეგად უყალიბდებათ (ზუროუსი გ., რუხაძე ზ., კვაჭაძე მ., გაფრინდაშვილი ლ.,  იზორია ლ. , 2011. გვ. 276).

მოქალაქეს, რომელიც მონაწილეობს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა  სფეროში, ამოძრავებს იმის შეგნება, რომ მხოლოდ სახელმწიფოს რეგულირებასა და საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე არ არის დამოკიდებული საზოგადოებრივი თანაცხოვრება. არამედ, ასევე მნშვნელოვანია მოქალაქეთა საერთო ინტერესების განხორციელებაც. ამ პროცესში კი თითოეული მოქალაქემ აქტიური და შემოქმედებითი როლი უნდა შეასრულოს (ზუროუსი გ., რუხაძე ზ., კვაჭაძე მ., გაფრინდაშვილი ლ.,  იზორია ლ. , 2011. გვ. 277).

ადამიანის თანასწორობას, კანონის უზენაესობას, პლურალიზმს, უფლებების დაცვას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიული, დამოუკიდებელი მედია. მედია უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის აქტუალურ თემებზე დისკუსიებს, სადაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში. დამოუკიდებელმა მედიამ უნდა უზრუნველყოს აზრის გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს იმას, რომ მოქალაქეს აქვს უფლება, თავისი შეხედულებისამებრ გაავრცელოს

ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც არ ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას.

დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ხელისუფლების ინსტიტუტების გამჭვირვალობა, რაც გულისხმობს იმას, რომ საზოგადოებამ იცოდეს, რატომ და როგორ იღებს მთავრობა ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, როგორ იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც მოქალაქეთა გადასახადებიდან შედგება.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას ხელს უშლის როგორც მენტალური, ისე სოციალური და პოლიტიკური ბარიერები. მაგალითად, საზოგადოებაში დღემდე მყარადაა გამჯდარი მოსაზრება, რომ სახელმწიფო და საზოგადოება ორი სხვადასხვა, საპირისპირო მოვლენაა, რომ სახელმწიფო საზოგადოებაზე მაღლა დგას. სამოქალაქო აქტიურობა, ძირითადად, გაიგივებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობასთან. მოსახლეობის დიდ ნაწილს სოციალური პრობლემების გამო არ გააჩნია არც დრო და არც მოტივაცია საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრას მოახმარონ თავიანთი ენერგია.

საბჭოთა კავშირის დაშლამ ღირებულებათა გადაფასების შეუქცევად პროცესს დაუდო სათავე, რაც ყველა მოქალაქის ცხოვრებას შეეხო. გაუქმდა ის კავშირები (კომუნისტური პარტია, კომკავშირი, პროფკავშირი), რომლებიც მოქალაქეთა ცხოვრების კონტროლის მექანიზმებს წარმოადგენდნენ. პირველი სამოქალაქო საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბება საქართველოში ჯერ კიდევ 90-იან წლებში, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო. ეს, გარკვეულწილად, განპირობებული იყო ეროვნულ ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებით, რაც მოქალაქეთა ახალ მისწრაფებებსა და ინტერესებს აერთიანებდა.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ,,ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“. „უშუალო დემოკრატიის ფორმებს“ განეკუთვნება რეფერენდუმი, პლებისციტი, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მართლმსაჯულების პროცესში ნაფიც მსაჯულად მონაწილეობა, თვითმმართველობა და სხვა. საქართველოს უახლეს ისტორიაში ორი რეფერენდუმი ჩატარდა - 1992 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე და 2003 წელს პარლამენტის წევრთა რაოდენობის 235-დან 150-მდე შემცირების თაობაზე.

საქართველოს კონსტიტუცია მოქალაქეებს, არანაკლებ 30 ათას ამომრჩეველს, საშუალებას აძლევს პარლამენტში წარადგინონ კანონპროექტი, რომლის განხილვის ვალდებულებაც საქართველოს პარლამენტს აკისრია. ამავდროულად, მოქალაქეებს აქვთ უფლება საქართველოს პარლამეტს საკანონმდებლო წინადადებითაც მიმართონ.

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია გამოიყენოს აქტიური საარჩევნო უფლება და ხმა მისცეს მისთვის სასურველ კანდიდატს; ან პასიური საარჩევნო უფლება - საკუთარი კანდიდატურა წარადგინოს არჩევით თანამდებობაზე.

დემოკრატიის განვითარებაში მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა საზოგადოებრივ გაერთიანებებში გაწევრიანება. საქართველოს კონსტიტუცია ყველა მოქალაქეს საშუალებას აძლევს შექმნას ორგანიზაცია, რომლის მეშვეობითაც განახორციელებს სხვადასხვა, მათ შორის, დემოკრატიის განვითარებისათვის სასარგებლო პროექტებს, საკუთარ მოსაზრებებს მიაწოდებს ხელისუფლებას, გააკონტროლებს სახელმწიფო მოხელეების საქმიანობას და სხვა.

საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს მონაწილეობდეს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე საჯარო განხილვებში, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ერთ-ერთი გზაა. მოქალაქეს ასევე შეუძლია ინტერნეტის, მათ შორის სოციალური ქსელების ან სხვა საშუალებით, დაუკავშირდეს საკრებულოს, პარლამენტის ან მთავრობის წევრებს და გააცნოს მათ საკუთარი მოსაზრებები აქტუალურ საკითხებზე.

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (მუხლი 85) განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებს:

ა) დასახლების საერთო კრება

ბ) პეტიცია

გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა

ე) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

ამავე კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმებიც, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტები, აღიარებს შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის უფლებას. საჯარო გამოსვლების გზით, მოქალაქეებს შეუძლიათ პროტესტი გამოთქვან უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, მოითხოვონ მისი შეცვლა ან მათი აზრის გათვალისწინება.

საზოგადოებრივი კონტროლის თვალსაზრისით მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს ინფორმაციის გავრცელების და მიღების, მათ შორის, საჯარო ინფორმაციაზე წვდომის თავისუფლება. საქართველოს კონსტიტუციით ინფორმაცია (დოკუმენტი), რომელიც შექმნილია ან ინახება სახელმწიფო ორგანოში, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოქალაქეებისათვის.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ეფექტურია საზოგადოებრივი გაერთიანებების - არასამთავრობო ორგანიზაციების, ასოციაციების და კავშირების საქმიანობა.

ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას სხვადასხვა იდენტობის მქონე ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთიერთობა. პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოქალაქის ჩართულობას და მონაწილეობას, ქმნის სოციალური ერთიანობის და სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის მყარ გარანტიას.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. აქტიური მოქალაქეობის სახელმძღვანელო (2005). თავისუფლების ინსტიტუტი;
2. გორგაძე ნ., აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო ჩართულობა. ელ-რესურსი. წვდომა: http://www.academia.edu/4235006/აქტიური_მოქალაქეობა_და_სამოქალაქო_ჩართულობა;
3. ზუროუსი გ., რუხაძე ზ., კვაჭაძე მ., გაფრინდაშვილი ლ., იზორია ლ. დემოკრატია და მოქალაქეობა. საკითხავი მასალა სტუდენტთათვის. International Foundation for Electoral Systems. 2011;
4. როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე (სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო IX-XII კლასებისათვის, მოსწავლის წიგნი);
5. Clarke M., Missingham B. (2009), *Development in Practice.* Vol. 19, No. 8, pp. 955-963;
6. Brannan T., John P., Stoker G. (2007). Re-energizing Citizenship: Strategies for Civil Renewal. Palgrave Macmillan.
7. Report of the Taskforce on active Citizenship (2007). Secretariat of the Taskfore on Active Citizenship, Dublin;
8. Joseph A. Hafer, Bing Ran (2016), Developing a Citizen Perspective of Public Participation: Identity Construction as Citizen Motivation to Participate. Public Administration Theory Network. ელ. რესურსი, წვდომა: www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/10841806.2016.1202080?needAccess=true

კითხვები და დავალებები:

1. რატომ არის მოქალაქის აქტიურობა დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი?
2. ძირითადად რა ფორმით ვლინდება სამოქალაქო აქტიურობა საქართველოში?
3. ჩამოთვალეთ აქტიური მოქალაქეობის ხელისშემშლელი და წამახალისებელი ფაქტორები.
4. რა დოზით და ფორმით ხდება ახალგაზრდების ჩართულობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში?
5. გაიხსენეთ უკანასკნელი წლების განმავლობაში როგორ შეიცვალა თქვენი საცხოვრებელი გარემო (რაიონი, საზოგადოება, ურთიერთობები, ნორმები). ვინ იღებდა გადაწყვეტილებას ამ ცვლილებათა შესახებ?
6. გაანალიზეთ, რა სირთულეები შეიძლება უკავშირდებოდეს სახელმწიფოს გადაწყვეტილებებში მოსახლეობის მონაწილეობას?
7. დისკუსიაზე აგებული სავარჯიშო, რომლის დროსაც განიხილება:

- რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას?
- რატომ არის საჭირო ადამიანებმა გამოხატონ საკუთარი პოზიცია?

დისკუსიისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგი მაგალითი: ადამიანთა ერთ ჯგუფს არ სურს მონაწილეობის მიღება არჩევნებში. გაეცანით არგუმენტებს და ეცადეთ მათ გადარწმუნებას.

ა) ,,მე სრულებით არ მაინტერესებს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება. მეტისმეტად დაკავებული ვარ ჩემი პირადი პრობლემებით“;

ბ) ,,მე არ მესმის რა ხდება სახელმწიფოში. რთული პრობლემების გადაწყვეტა კომპეტენტური ადამიანების საქმეა, ანუ ქვეყნის პოლიტიკური ლიდერების. მე ვენდობი მათ მეთოდებს“;

გ) ,,მე დიდი ენთუზიაზმით მივიღე მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ, მას შემდეგ არანაირი არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ჩემი აზრით, ცხოვრება მხოლოდ დამძიმდა. ამიტომ ვერ ვხედავ აზრს ჩემი სამოქალაქო პოზიციის გამოხატვაში“;

დ) ,,მეც დიდი ენთუზიაზმით მივიღე მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ, მგონია, რომ პოლიტიკურ ლიდერებს არ აღელვებთ უბრალო მოქალაქეების ბედი“;

ე) ,,მე ყოველთვის ვცდილობ პოლიტიკური მოვლენების კურსში ვიყო და საკუთარ თავს ყოველთვის ვთვლი აქტიურ მოქალაქედ. მაგრამ წინა არჩევნებზე, როცა სასურველ პარტიას მივეცი ხმა, ჩემ მიმართ წამოვიდა მუქარა კონკურენტი პარტიის მომხრეების მხრიდან. არა მგონია, რომ მომავალში ისევ აქტიურად გამოვხატო ჩემი პოზიცია“.

შენიშვნა: წარმოდგენილი სავარჯიშოს სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ წიგნში ,,დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა“ (2007).

## III. მრავალფეროვნება

დავით მალაზონია, პროფესორი, შორენა მაღლაკელიძე, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

# 1. განათლება მრავალფეროვნებისთვის: განსხვავებულად ყოფნის უფლება

## 1.1. განსხვავებულობა და მულტიკულტურული საზოგადოება

თანამედროვე საზოგადოებაში ინტერესი კულტურული მრვალფეროვნებისადმი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. კულტურული მრავალფეროვნება თანამედროვე მსოფლიოს ერთ– ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. დღეს პრაქტიკულად წარმოუდგენელია ქვეყანა, სადაც თუნდაც ერთი კულტურული უმცირესობა არ არსებობდეს. კაციობრიობა არც წარსულში ყოფილა ერთგვაროვანი. გლობალიზაციის პროცესმა კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან მსოფლიოს ცალკეული ნაწილები და ამით მრავალფეროვნება უფრო თვალსაჩინო გახადა. ბოლო მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეიცავენ დაახლოებით 600 ცოცხალ ენათა ჯგუფს და 5000 ეთნიკურ ჯგუფს. ძალიან მცირე რაოდენობის ქვეყნებში შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოქალაქეები იზიარებენ ერთი და იმავე ენას, მიეკუთვნებიან ერთი და იმავე ეთნიკურ თუ ეროვნულ ჯგუფს. მნიშვნელოვანია, რომ მრავალფეროვნება ბადებს პოტენციურად განსხვავებულ კითხვების მთელ სერიას. უმცირესობები და უმრავლესობები სულ უფრო მეტად უპირისპირდებიან ერთმანეთს ენობრივ უფლებებთან, რეგიონალურ ავტონომიასთან, პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან, სასწავლო გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებში. მულტიკულტურალიზმთან დაკავშირებული პრობლემატიკა თანამედროვეობის ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს. საერთაშორისო სისტემაზე ზედაპირული დაკვირვებაც კი საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ თანამედროვე ეპოქის სახელმწიფოთა უმრავლესობა კულტურულად ჰეტეროგენული.

თანამედროვე პოლიტიკაში და პოლიტიკურ ფილოსოფიაში მულტიკულტურალიზმის იდეა მდგომარეობს შემდეგში: გავიგოთ თუ როგორ უნდა ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება კულტურულ და რელიგიურ მრავალფეროვნებას. მულტიკულტურალიზმის ცენტრალურ იდეას წარმოადგენს მოსაზრება, რომ კულტურულად განსხვავებული ჯგუფები შესაბამის გარემოში აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებენ. მულტიკულტურული პოლიტიკის ორი ძირითადი ელემენტია: განსხვავებულობის დაფასება, ჯგფური (კოლექტიური) უფლებების დაცვა და ამ ორ პრინციპზე აგებული სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია. მისი მთავარი ამოცანა კი არის დაძლიოს უმრავლესობა–უმცირესობის ურთიერთობებში გაუცხოებისა და უნდობლობის სინდრომი, გააფართოვოს თითოეული მოქალაქის ცნობიერი ,,კულტურული

ჰორიზონტი''. მულტიკულტურალიზმი არამარტო იწონებს და ადასტურებს კულტურულ პლურალიზმს, არამედ ცდილობს ხელი შეუწყოს სხვა ეთნიკური და კულტურული ჯგუფების აღიარებასა და პატივისცემას კონკრეტულ სახელმწიფოში. ის გულისხმობს კულტურული განსხვავებულობის აქტიურ მხარდაჭერას და ეწინააღმდეგება მათ მიმართ გამოხატურლ ყოველგვარ მტრობასა და უარყოფას, რათა მოხდეს მათი სრული ჩართვა საზოგადოებრივ სფეროში''. (Modood/მოდოდი. Multiculturalism, 2007, p.64). მულტიკულტურალიზმის გავრცელებული მეტაფორაა ე.წ. ,,სასალათე ჯამი'', რომლის მიხედვითაც, ისევე როგორც, სალათის შემადგენელი ინგრედიენტები არიან შერეული ერთმანეთში, მაგრამ თითოული მათგან თავის უნიკალურ თვისებებს ინარჩუნებს, მრავალფეროვანი საზოგადოებაც, ინარჩუნებს განსხვავებულ თვისებებს და არ ქმნის ერთ ჰომოგენურ კულკტურას. განსხვავებულიაე.წ. ,,მოსახარში ქვაბი'', სადაც ხდება ასიმილაცია და ეთნიკური ჯგუფები ვერ ახერხებენ საკუთარი კულტურული იდენტობის შენარჩუნებას. ასიმილაცია იყო დომინანტური მოდელი დასავლეთის ლიბერალურ დემოკრატიებში 1970–იან წლებამდე. ასიმილაციის პოლიტიკა აღიარებს სხვადასხვა ეთნოსებისა და კულტურების არსებობას, თუმცა აქტიურად ცდილობს ამ ეთნოსებისა და კულტურების შერწყმას დომინანტ ეროვნულ კულტურასთან. მაგალითად, ახალ ზელანდიაში ნაციონალური პოლიტიკა, რომელსაც ასიმილაციის ელფერი დაჰკრავდა, წახალისებული იყო ვინსენტ პიტერსის ,,ახალი ზელანდიის პირველი პარტიის'' მიერ. პარტიის პილიტიკური განცხადებები იყო შემდეგნაირი: ,,მაშინ როცა ჩვენ ვართ ხალხი სხვადასხვა წეს–ჩვეულებებით, ენით, რელიგიითა და კულტურით, ჩვენ ვართ ერთი ქვეყანა. ჩვენ ყველა ახალი ზელანდიელები ვართ უპირველეს ყოვლისა და ამიტომ მკაფიო ვალდებულებები და მოვალეობები უნდა იქნეს დაწესებული ახალი მიგრანტებისათვის, სანამ ისინი შეძლებენ ახალი ზელანდიის მოქალაქეობის მოპოვებას, მათ შორის ერთ–ერთია ინგლისური ენისა და კულტურის ცოდნა''. (მოდოდი, მულტიკულტურალიზმი. 2007, p.69-70).

ცნობილი კანადელი პოლიტიკური ფილოსოფოსი უილ კიმლიკა, განასხვავებს ორი სახის მულტიკულტურალიზმს: მრავალეროვან სახელმწიფოებს, ესაა სახელმწიფოები, სადაც ეროვნული უმცირესობები ცხოვრობენ. ეს უმცირესობა განსხვავებული ეროვნული ჯგუფია, საკუთარი ენით, კულტურითა და ტერიტორიით. მეორე ესაა ''პოლიეთნიკური სახელმწიფოები'', ანუ ქვეყნები, რომლებიც განიცდიან იმიგრაციას. ეს იმიგრანტები არიან ეთნიკური და არა ეროვნული ჯგუფები, რადგან მათ აქვთ ენა და კულტურა, მაგრამ არ გააჩნიათ განსაზღვრული ტერიტორია და არც აქვთ ამ საკითხზე პრეტენზია. ეთნიკური ჯგუფები როგორც წესი ინტეგრირდებიან ფართო საზოგადოებაში და ეს ინტეგრაცია ხდება მათი სურვილის

შესაბამისად. ზევრი სახელმწიფო ერთდროულად მრავალეროვანიცაა და პოლიეთნიკურიც, როგორიცაა მაგალითად: კანადა – ფრანგი და ინლისელი იმიგრანტებითა და ინუიტი ეროვნული ჯგუფით. როგორც წესი ამგვარ ჯგუფებს აქვთ განსხვავებული მოთხოვნები. მაგალითად: ეროვნულ ჯგუფებს ხშირად აქვთ თვითგამორკვევისა და ავტონომიის პრეტენზია. ეთნიკურ ჯგუფებს აქვთ საკუთარი ენისა და კულტურის დაცვის პრეტენზია, ისე რომ დიდ კულტურაში ინტეგრაციამ ზიანი არ მიაყენოს ზემოთხსენებულ მოთხოვნებს. თუმცა, ორივე ჯგუფმა შეიძლება მოითხოვოს სპეციალური წარმომადგენლობა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში, რათა უკეთ დაიცვან საკუთარი უფლებები.

მულტიკულტურალიზმი, როგორც პოლიტიკური ხედვა, წარმოადგენს ერთ-ერთ პასუხს კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების გამოწვევაზე, რომლის წინაშე დადგნენ დასავლეთის ქვეყნები კოლონიალიზმის ეპოქის დასრულების შემდეგ. ეს ქვეყნები თავის დროზე მეტ-ნაკლები ეთნიკური ერთგვაროვნებით ხასიათდებოდნენ, პოსტკოლონიურ პერიოდში კი ყოფილი კოლონიებიდან, შემდეგ - ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მიგრანტთა ტალღებმა შეცვალა დემოგრაფიული სურათი, რომელიც კულტურათა მოზაიკის სახით ყალიბდებოდა. 1960-იანი წლებიდან მულტიკულტურალიზმი წამყვანი პარადიგმა იყო დასავლეთისათვის. ეს კონცეფცია გავლენას ახდენდა პოლიტიკაზე - საერთაშორისო ურთიერთობებით დაწყებული, იმიგრაციის პოლიტიკითა და დემოკრატიული პროცესებით დამთავრებული. 1970-იანი წლებიდან მულტიკულტურალიზმი დასავლეთის არაერთი ქვეყნის ოფიციალურ პოლიტიკად იქცა, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში სხვადასხვა სახით ხორციელდებოდა და მჭიდროდ უკავშირდებოდა იდენტობის პოლიტიკას. მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა გულისხმობდა უმცირესობათა დაცვასა და მათი უფლებების აღიარებას, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. მართალია, ცნება მოიცავს ყველა სახის უმცირესობას, მაგრამ, ძირითადად, იგი კონცენტრირებულია ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებზე, უპირველეს ყოვლისა - იმიგრანტებზე. 21-ე საუკუნის დასაწყისიდან მულტიკულტურალიზმი სერიოზული პოლიტიკური გამოწვევის წინაშე დადგა. ეს ნაკლებად შეეხო ადგილობრივ ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენენ ამა თუ იმ ქვეყანაში. მულტიკულტურალიზმიდან უკან დახევა უცხოელი „სხვის“ მიმართ შიშმა განაპირობა. გაჩნდა წარმოსახვითი წარსულის ნოსტალგია, როცა ყველას საერთო იდენტობა და სოლიდარობა აერთიანებდა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავდება მაშინ, როცა ეკონომიკური სიტუაცია რთულდება (სამუშაო ადგილები და სხვა.), ან კითხვის ნიშნის ქვეშ დგება უსაფრთხოება - როგორც მოქალაქეების, ასევე ქვეყნის. დასავლეთის ქვეყნებმა აღიარეს, რომ

უცხოელთა ინტეგრაციისა და მათთვის რეალური ეკონომიკური შესაძლებლობების უზრუნველყოფის პოლიტიკა წარუმატებელი აღმოჩნდა. მულტიკულტურალიზმთან დაკავშირებული საკითხები იმდენად მრავალფეროვანია, რამდენადაც მრავალგვარია სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფების სპეციფიკური ინტერესები და მოთხოვნები, მაგალითად, დასავლეთ ევროპაში (საფრანგეთი, ბრიტანეთი...), სადაც ადგილობრივმა საზოგადოებებმა ყოფილი კოლონიებიდან დიდი რაოდენობით წამოსულ ემიგრანტთა მომძლავრება იგრძნეს. მულტიკულტურალიზმი, ძირითადად, რასასთან და თანასწორობასთან დაკავშირებულ ასპექტს მოიცავს: მთავარ ამოცანად იქცა ინსტიტუციურ დონეზე რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრა და, ამავე დროს, ყველა მოქალაქისათვის თანასწორუფლებრივი გარემოს უზრუნველყოფა. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, ბუნებრივია, ცენტრალური პრობლემა ასევე რასობრივი დისკრიმინაცია იყო, თუმცა საკითხი სხვაგვარად გამოიკვეთა: უკვე 1980-იან წლებში ბევრმა შავკანიანმა ინტელექტუალმა აღიარა სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის (civil rights movement, 60-70-იანი წლები) შეზღუდული წარმატება – უთანასწორობა შავკანიან და თეთრკანიან მოსახლეობას შორის ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი. ამის საფუძველზე გამოიკვეთა მულტიკულტურალიზმის სპეციფიკური ფორმა, რომლის მიზანს ამერიკული საზოგადოების ცხოვრებაში შავკანიანთა გაცილებით აქტიურად ჩართვა-მონაწილეობის სტიმულირება წარმოადგენდა. 1990-იანი წლებისათვის მთავარი აქცენტი განათლების სისტემის სისუსტეებზე გაკეთდა: ბევრის აზრით, საუნივერსიტეტო კურიკულუმები ადეკვატურად არ ასახავდა უმცირესობათა ინტერესებს. ამის საფუძველზე განვითარდა აფრიკული კვლევების მიმართულებები (ე.წ. Black studies) და შესაბამისი პროგრამები. 1996 წელს პიკს მიაღწია დავამ სასწავლებლებში აფრო-ამერიკული („არასტანდარტული") ინგლისური დიალექტის შემოღების მიზანშეწონილობაზე. მულტიკულტურალიზმი, როგორც კონცეფცია გაზიარებულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სამოქალაქო თანხმობისა და ინტეგრაციის მიზნით. მათ შორისაა შემდეგი ქვეყნები: დიდი ბრიტანეთი, კანადა, გერმანია, ახალი ზელანდია და სხვ. მიუხედავად ამისა, უკანასკნელი კვლევები და შეფასებები გვიჩვენებს, რომ მულტიკულტურალიზმის კონცეფციამ ბევრ ქვეყანაში დეგრადაცია განიცადა. ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე ეთნიკურ და რელიგიურ ექსტრემიზმს სწორედ მულტიკულტრალიზმს მიაწერს. ცხარე კამათი მიმდინარეობს ევროპასა და ამერიკაში მულტიკულტურალიზმის რელევანტურობის შესახებ.

**მულტიკულტურული განათლების აქტუალობა საქართველოსთვის.** საბჭოთა მემკვიდრეობამ სერიოზულ პრობლემად აქცია საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ

და რელიგიურ ჯგუფებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება და სამოქალაქო ინტეგრაცია. მულტიკულტურული ურთიერთობების გაღრმავებას აზრკოლებს ერთმანეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული ტრადიციებისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულებები. ყოველივე ეს განაპირობებს საქართველოს მრავალფეროვან მოსახლეობაში სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთგაუცხოებას, ჩაკეტილობას. აღსანიშნავია პრობლემის აქტუალობის კიდევ ერთი, ქართული რეალობისთვის მეტად მნიშვნელოვანი მხარე. კერძოდ, საქართველო, როგორც პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, ღია, სამოქალაქო საზოგადოების შექმნას ცდილობს. ამიტომ მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობების ადგილისა და როლის განსაზღვრა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. სამოქალაქო ინტეგრაციის შემაფერხებელ ერთ-ერთ ფაქტორს საქართველოს კულტურული მახასიათებლების ცოდნის, პატივისცემისა და კომუნიკაციის დეფიციტი წარმოადგენს.

მულტიკულტურული განათლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით საქართველოში რამდენიმე პრობლემა იჩენს თავს. მათგან ერთ-ერთია არაქართველი ახალგაზრდების სოლიდური ნაწილის მიერ უმაღლესი განათლების მიღება ქვეყნის საზღვრებს გარეთ (ძირითადად სომხეთსა და აზერბაიჯანში). უკანასკნელ წლებში იკვეთება საპირისპირო ტენდენციაც, თუმცა აღნიშნული პრობლემა ჯერ კიდევ სერიოზულად დგას ქვეყნის წინაშე. 2008 წელს უმაღლესი 3 განათლების მისაღებად ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა აზერბაიჯანულენოვანი 250 აბიტურიენტი და სომხურენოვანი 113 აბიტურიენტი. 2011 წლისთვის აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტთა რაოდენობა 335-მდე (34%-ით), ხოლო სომხურენოვან აბიტურიენტთა რაოდენობა 253-მდე (124%-ით) გაიზარდა.

დღემდე არსებით პრობლემად რჩება სხვადასხვა ეთნო-კულტურული იდენტობის მქონე მოქალაქეთა, ასევე საქართველოში მცხოვრებ დევნილთა (აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან), ლტოლვილთა (ჩრდილოეთ კავკასიიდან, ჩეჩნეთიდან) და რეპატრიანტთა (ე.წ. „თურქი მესხები“) უკონფლიქტო თანაცხოვრება, ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია, მობილობა და სხვა. ამასთან, ადგილი აქვს დაპირისპირებას ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე. ასეთი ფაქტები პერიოდულად ფიქსირდება საქართველოს სახალხო დამცველისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მულტიკულტურული განათლების არასახარბიელო მდგომარეობა, შესაბამის ურთიერთობათა დეფიციტი მნიშვნელოვნად აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ იცვლება საქართველოს ეთნიკური უმცირესობების რუკა. გლობალიზაციის შედეგად, ჩვენთვის ე.წ. „ტრადიციულ უმცირესობებთან“ ერთად (რუსები,

სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები და სხვ.), რომლებთან ურთიერთობის გარკვეული ემპირიული გამოცდილება არსებობდა, გაჩნდა ახალი ეთნოკულტურული უმცირესობები, ასევე გაიზარდა საქართველოს მოქალაქეთა გარე მობილობის გეოგრაფიული სივრცე. ახალმა რეალობამ კიდევ უფრო მძაფრად დააყენა მულტიკულტურული განათლებისა და კომპეტენციების საკითხი.

ზემოაღნიშნული ცხადჰყოფს მულტიკულტურული განათლებისა და ურთიერთობების არსებული მდგომარეობის მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობას, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და დავსახოთ გამოვლენილი პრობლემების დაძლევის სტრატეგიები.

2000-ინი წლებიდან მულტიკულტურული განათლების პოლიტიკა უფრო თანმიმდევრული გახდა. სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა შესაბამისი პროგრამები, გაიზარდა მათი განხორიელებისათვის გამიზნული ხარჯებიც, მაგრამ გატარებულმა ღონისძიებებმა ვერც ამჯერად გამოიღო მდგრადი შედეგები.

საქართველო აღიარებს ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ დეკლარაციებსა და დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ მულტიკულტურული განათლების პოლიტიკას. მათგან გამოვყოფთ განათლების მინისტრთა მუდმივმოქმედი კომისიის 21-ე სესიის საბოლოო დეკლარაციას (ათენი, 2003), ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა მესამე სამიტზე მიღებული სამოქმედო გეგმა (ვარშავა, 2005), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია რელიგიისა და განათლების შესახებ (2005) და სხვ.

შესაბამისად, შეიქმნა საქართველოში მულტიკულტურული განათლების პოლიტიკის განსაზღვრელი ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა: „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა“ (2009) და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული „მულტილინგვური განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ (2009). ამ გეგმის ფარგლებში შემუშავებული „მულტილინგვური განათლების პროგრამის“ ეგიდით ორმოც არაქართულენოვან სკოლაში განხორციელდა ბილინგვური განათლების პროგრამის პილოტირება.

მულტიკულტურული განათლებისა და ურთიერთიერთობების საკითხს ყურადღება ეთმობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ცალკეულ დოკუმენტებსა და სასწავლო გეგმებში. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვის ქართული ენა არ არის მშობლიური, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე. ამავე კანონის მე-13

მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია: „დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება“. იმავე მუხლის მე-6 პუნქტში კი აღნიშნულია: „სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა“ და ა.შ.

საზოგადოებრივი მეცნიერებების, უცხო ენისა და მშობლიური ენის სასწავლო გეგმები ითვალისწინებს მოსწავლის მულტიკულტურული კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული სასწავლო გეგმების ერთ-ერთ ძირითად მიზნად დასახულია ტოლერანტი, ადამიანის ღირსებების და უფლებების მცოდნე და დამცველი მოქალაქის ჩამოყალიბება. საგანმანათლებლო დოკუმენტებში გაწერილი ეს და სხვა მოთხოვნები საერთაშორისო გამოცდილების ადეკვატურია, თუმცა, ძირითად პრობლემად კვლავაც რჩება მიღებული გადაწყვეტილებების დეკლარაციული ხასიათი, პრაქტიკაში მისი განხორციელების უუნარობა.

## 2. იდენტობის ასპექტები და დონეები

იდენტობასთან დაკავშირებულმა საკითხებმა ბოლო ათწლეულების განმავლობაში მკვევართა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. იდენტობა მოიცავს იმის განსაზღვრას, ვინ ვართ, რას ვაფასებთ და რა ცხოვრებისეული მიზნები გვამოძრავებს. იდენტობა განისაზღვრა, როგორც „მე-ს” შესახებ თეორია, სადაც „მე” რაციონალური აგენტია - განსაზღვრული მიზნით მოქმედებს, პასუხისმგებლობას იღებს მოქმედებაზე და მათი ახსნა შეუძლია (Moshman, 1999). „მე-ს” ნამდვილი ბუნების ამგვარი ძიება მრავალ არჩევანს გულისხმობს – პროფესიას, პიროვნებათშორის ურთიერთობებს, საზოგადოებრივ საქმიანობას, ეთნიკური ჯგუფის წევრობას, ზნეობრივ, პოლიტიკურ და რელიგიურ იდეალებსა და სექსუალური ორიენტაციის გამოხატვას.

პოლიტიკის მეცნიერებებში ცნება ,,იდენტობა“ მძაფრ დისკუსიას იწვევს; პოლიტიკის მკვლევარებმა ბევრი ახალი კვლევა მიუძღვნეს რასის, სქესის და სექსუალობის „იდენტობის პოლიტიკას“. შედარებით პოლიტიკაში „იდენტობა“ ცენტრალურ როლს თამაშობს ეროვნებისა და ეთნიკური კონფლიქტების საკითხების განხილვისას (ჰოროვიცი 1985; სმიტი 1991; დენგი); ასევე პოლიტიკის თეორიაში ,,იდენტობა“ ნიშნავს მრავალრიცხოვან არგუმეტებს გენდეზე, ეროვნებაზე, ეთნიკურ კუთვნილებასა და კულტურაზე ლიბერალიზმთან და მის ალტერნატივებთან მიმართებაში (იუნგი 1990; კონოლი 1991; Kymlicka 1995; მილერი 1995; ტეილორი 1989)

„იდენტობის“ ცნების მკაფიოდ განმარტება არც ისე ადვილია. როჯერს ბრუბეიკერის აზრით, ტერმინი „იდენტობა“ უაღრესად ბუნდოვანია. მისი აზრით, „იდენტობას“ მრავალმნიშვნელოვანი, წინააღმდეგობრივი დატვირთვაც კი აქვს და აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: „გვჭირდება კი ასეთი გადატვირთული, ღრმად ორაზროვანი ტერმინი?“. ამ კითხვას ბრუბეიკერი იქვე პასუხობს: „დიდი უპირატესობით იმარჯვებენ ის მეცნიერები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენ ის გვჭირდება“ (Brubaker, 2000).

ლეა გრინფელდის აზრით, ტერმინი „იდენტობა“, მისი სემიოტიკური გაგებით, ეხება „სიმბოლურ თვითგანსაზღვრას“. ერთი მხრივ, ეს არის ადამიანის მდგომარეობის სურათი მის სოციალურ-კულტურულ „სივრცეში“ და, მეორე მხრივ, იდენტობა არის ასევე თვით ამ სოციალურ-კულტურული ნიადაგის სურათიც. აქედან გამომდინარე, გრინფელდის თანახმად, „ადამიანის იდენტობა წარმოადგენს ინდივიდუალიზებულ მიკროკოსმოსს იმ კულტურისა, რომელშიც ეს ადამიანი არის ჩაფლული“. გრინფელდი მიიჩნევს, რომ იდენტობა, პირდაპირი მნიშვნელობით, ადამიანის ძირითადი მენტალური პროცესია, რადგან ის არის შუალედური რგოლი ინდივიდის ტვინის ბუნებრივ, ბიოლოგიურ უნარებსა (როგორიცაა, მაგალითად, მეხსიერება, ადაპტაცია) და ინდივიდის, როგორც პიროვნების ფუნქციონირებას შორის. გრინფელდის განმარტებით, „იდენტობა ცნობიერების ცენტრალური „ორგანოა“, ხოლო ცნობიერება - კულტურის ყველაზე პატარა მოქმედი ერთეული“. შესაბამისად, გრინფელდის დასკვნით, იდენტობა ნამდვილად შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ადამიანის გონების ჯანსაღი ფუნქციონირების არსებითი ელემენტი - მომხდარ მოვლენებზე ემოციური რეაგირების, მათი გააზრებისა და შესაბამისი სოციალური ქცევის უნარი (Greenfeld, 2005).

სოციოლოგ მაქს ჰალერისთვის იდენტობა არის „ინდივიდის მიერ სოციალურად კონსტრუირებული განსაზღვრულობა“, რომელიც ყოველთვის „მოცემულ კულტურულ ნიმუშს და ინტერაქციის წესებს“ უკავშირდება (Haller, 1996).

ენტონი გიდენსი ყურადღებას ამახვილებს იდენტობის სახეცვლილებაზე მოდერნულ საზოგადოებაში. მისი აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანების მიერ იდენტობის ფორმირების პროცესი დაუსრულებელია, რადგან ინდივიდის თვითრეფლექსიის პროცესი, ფაქტობრივად, განუწყვეტლივ მიმდინარეობს, რასაც უკავშირდება მის მიერ გადაწყვეტილებების მიღება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს და ვინ უნდა რომ იყოს. ამგვარად, გიდენსისთვის იდენტობა „თხევადი“ და „ცვალებადია“ (Buckingham, 2008).

ინდივიდუალურ და კოლექტიურ იდენტობებს შორის ყველაზე დიდ განსხვავებად რიჩარდ ჯენკინსს მიაჩნია ის, რომ ინდივიდუალური იდენტობა, ძირითადად, კონცენტრირებულია

„განსხვავებებზე“, ხოლო კოლექტიური იდენტობა - «მსგავსებათა» წარმოჩენაზე. ჯენკინსის განმარტებით, მსგავსება და განსხვავება ყოველთვის თვალსაზრისის, გარკვეული ხედვის ფუნქციებია, რადგან „ჩვენი“ მსგავსება გულისხმობს „მათ“ განსხვავებას, და პირიქით, „მათი“ მსგავსება არის „ჩვენი“ განსხვავება. ამგვარად, მსგავსება და განსხვავება ასახავს ერთი მეორეს მთელი „საზიარო საზღვრის“ გასწვრივ და სწორედ საზღვართან აღმოვაჩენთ ვინ ვართ ჩვენ, იმის მეშვეობით, რომ ვიგებთ - ვინ არ ვართ (Jenkins, 1996). სოციალური იდენტობა ყოველთვის უკავშირდება ერთი ინდივიდის ან ჯგუფის გამიჯვნას სხვა ინდივიდისგან ან ჯგუფისგან. სოციალური იდენტობის განსაზღვრა მსგავსებისა და განსხვავების საფუძველზე ხდება და ის შედარების შესაძლებლობას იძლევა (Bornemann/Wakenhut, 1999). რიჩარდ ჯენკინსი განმარტავს, რომ სოციალური იდენტობა არის ჩვენეული გაგება - ვინ ვართ ჩვენ და ვინ არიან სხვა ადამიანები და, მეორე მხრივ, სხვა ადამიანების გაგება, ვინ არიან თვითონ ისინი და ვინ არიან სხვები (მათ შორის ვიგულისხმებით ჩვენც) (Jenkins 1996). ამგვარად, სოციალური იდენტობის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია მოხდეს ერთ - „ჩვენ“ ჯგუფთან იდენტიფიკაცია, რომელიც „სხვათა“ ან „უცხოთა“ ჯგუფს გაემიჯნება. „ჩვენ“ ჯგუფთან იდენტიფიკაცია განისაზღვრება მიკუთვნებულობის ხარისხით, თუ რამდენად ახლოს გრძნობენ ინდივიდები თავს ამა თუ იმ ჯგუფთან (Cohrs, 2005).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალურ იდენტობათა ერთობლიობა განსხვავდება კოლექტიური იდენტობისგან, რადგან ეს უკანასკნელი, ძირითადად, დეკლარაციების, მანიფესტებისა და პროგრამების საფუძველზე განისაზღვრება. აქვე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ ხდება ინდივიდის მიერ „თვით“ და „სხვათა“ აღქმა, ანუ ის თავის თავს, უპირველესად, ხედავს როგორც ინდივიდს, თუ როგორც ჯგუფის წევრს. საიმონისა და მამენდეის აზრით, თუ ინდივიდის მიერ „თვით“ და „სხვათა“ აღქმაში ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა დომინირებს, მაშინ სუსტდება ცალკეული ინდივიდისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა მნიშვნელობა და ძლიერდება მისი ჯგუფისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების წინ წამოწევა. ამასთანავე, უფრო მკვეთრდ გამოიყოფა სხვა ჯგუფისაგან მისი ჯგუფის განმასხვავებელი მახასიათებლები (Simon; Mummendey, 1997).

ჰენრი ტაიფელისა და ჯონ ტერნერის სოციალური იდენტობის თეორიის თანახმად, ინდივიდუალური იდენტობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სოციალური გარემოს ფონზე და სოციალური იდენტობა არის „შემეცნებითი მექანიზმი“, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ჯგუფური ქმედება. როცა ადამიანი თავის თავს აღიქვამს, რომელიმე ჯგუფის წევრად, ეს ჯგუფი მისთვის არის შიდა ჯგუფი (ingroup), ხოლო სხვა დანარჩენი ჯგუფები - გარე

ჯგუფები (outgroup). აქედან გამომდინარე, ამ კონტექსტში, ყალიბდება მენტალიტეტი: შიდა ჯგუფი - გარე ჯგუფი, ანუ „ჩვენ“ და „სხვები“. ტაიფელი და ტერნერი გამოყოფენ სამ პროცესს, რომლებიც განაპირობებენ ასეთი მენტალიტეტის ფორმირებას: სოციალური კატეგორიზაცია, სოციალური იდენტიფიკაცია და სოციალური შედარება. მათი თვალსაზრისით, ადამიანებისთვის დამახასიათებელია სოციალური კატეგორიზაცია, რაც გულისხმობს ადამიანის მიერ თავისი თავისა და გარშემომყოფების მიკუთვნებას სხვადასხვა სოციალური კატეგორიისადმი, მაგალითად, ასაკობრივი, რელიგიური, რასობრივი, პოლიტიკური კატეგორიებისადმი.

ეროვნული იდენტობა სოციალური იდენტობის ერთ-ერთი ფორმაა. მისი საკვანძო ობიექტი არის ერი. ეს არის კოლექტიური იდენტობა, რომელიც რომელიმე ეროვნული ჯგუფის წევრობას უკავშირდება, ანუ ინდივიდს აქვს ეროვნული ცნობიერება და თავისი თავის იდენტიფიკაციას ახდენს ერთან. ტერმინი «ეროვნული იდენტობა» ასახავს უპირატესად პოზიტიურ და სუბიექტურად მნიშვნელოვან ემოციურ კავშირს ერთან. ანდერსონის (2003) თანახმად, ეროვნული იდენტობა, როგორც ზოგადი კონცეფცია, ძირითადად, ფსიქოლოგიურ კონცეფციად უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული იდენტობის განსაზღვრისას ენტონი სმითი აღნიშნავს, რომ ეს ცნება „ფუნდამენტურად მრავალგანზომილებიანია“ (Smith, 1992). სმითი საუბრობს „ეროვნული იდენტობის პოპულარული კონცეფციის“ შესახებ, რომელიც, მისი სიტყვებით, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ეროვნული იდენტობა არის „განგრძობადი რეპროდუქცია და რეინტერპრეტაცია იმ სისტემის ღირებულებების, სიმბოლოების, მეხსიერებების, მითებისა და ტრადიციების, რომელიც ქმნის ერის გამორჩეულ მემკვიდრეობას და ინდივიდების იდენტიფიკაციას ამ მემკვიდრეობასთან და მის კულტურულ ელემენტებთან“ სმითის თანახმად, ამ განმარტებაში, და შესაბამისად, ეროვნული იდენტობის ზოგად კონცეფციაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურული ფაქტორების მნიშვნელობას (Smith, 2009).

ეროვნული იდენტობის უმთავრეს ფუნქციად მიიჩნევენ „მისი მატარებელი სუბიექტების ჰეგემონიზაციას, ნაციონალური ნიშნით გაერთიანებას, ნაციის შიგნით კონფლიქტების მეორე პლანზე გადატანას“ (ზედანია, 2009).

ნაციონალური იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის კატეგორია, უკვე დიდი ხანია ყურადღების და კვლევის საგანია. გარკვეულწილად, მას შეიძლება კოლექტიური იდენტობის „პროტოტიპიც“ ვუწოდოთ. სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებულ კვლევებში, სხვადასხვაგვარ კონტექსტში, ეროვნული იდენტობა განიხილება რეგიონულ, ეთნიკურ და კულტურულ

კოლექტიურ იდენტობებთან კავშირში. ანდრეას რეკვიტცი იდენტობათა ასე მრავალფეროვანი ნიშნებით დაყოფას ზემოდერნული საზოგადოების შეცვლილი პოლიტიკურ-კულტურული რეალობით ხსნის. რეკვიტცი განმარტავს, რომ კოლექტიური იდენტობის შესახებ დებატები მას შემდეგ გაძლიერდა, რაც მე-20 საუკუნეში ემიგრაციული, პოსტ-კოლონიური და ფემინისტური მოძრაობები გააქტიურდა. მისი თქმით, კოლექტიური იდენტობების შესახებ მსჯელობა სწორედ იმ ნაციონალურ სახელმწიფოებში ძლიერდება, სადაც სხვადასხვა წარმომავლობის კულტურები მრავლობს (Reckwitz, 2001).

ეროვნული იდენტობის ზოგადი კონცეფციისა და სხვადასხვა პირობებში მისი ჩამოყალიბების შესწავლის თვალსაზრისით, განარჩევენ ორ ძირითად თეორიულ მიმდინარეობას: ესენციალიზმს და კონსტრუქტივიზმს. ზემოთ, ერის კონცეფციებისა და ნაციონალიზმის განხილვისას, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მოდერნიზმისა და ეთნოსიმბოლიზმის შესახებ. არსებითად, კონსტრუქტივიზმი ეროვნული იდენტობის კონტექსტში გადმოტანილი მოდერნიზმია და სწორედ მას ეფუძნება, ხოლო ესენციალიზმი - ეთნოსიმბოლიზმს.

ეროვნული იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის ფორმა, მჭიდროდ ებმის ერის კატეგორიას. როგორ ხდება ამ კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბება და როგორ უკავშირდება ეს პროცესი ერის წარმოშობას? ამ კითხვაზე მოდერნიზმის (კონსტრუქტივიზმის) პასუხი შეიძლება დაახლოებით ასე ჩამოყალიბდეს: თანამედროვე წარმოდგენით, ერს ორი შემადგენელი აქვს - თავად ერის ცნება, იდეის კონსტრუქცია და ადამიანების ერთობლიობა, რომელიც საკუთარ თავს ამ ერის ნაწილად მიიჩნევს. ისტორიულად, ერის, როგორც იდეოლოგიის წარმოშობა წინ უსწრებს ერის, როგორც იდენტობის წარმოშობას. ანუ იმისათვის, რომ რაღაც იდეოლოგია იდენტობა გახდეს, ის უნდა დამუშავებული იყოს, როგორც იდეოლოგია. ამ კონტექსტში განმარტავენ, რომ „ეროვნული და ეთნიკური იდენტობების დადგენასა და დიდი ჯგუფების მიერ მის გაზიარებას რთული სისტემები - როგორც ინსტიტუციური, ასევე ტექნოლოგიური - სჭირდება. ანდერსონმა და გელნერმა ამ სისტემების ორი მოდუსი აღწერეს: განათლების სისტემა და მასმედია. მხოლოდ ამ ორის საშუალებით არის შესაძლებელი ეროვნული და ეთნიკური იდეოლოგია იდენტობად იქცეს - ანუ, მოსახლეობის დიდი მოცულობისთვის თვითგანსაზღვრის და თვითდადგენის, ასევე, საკუთარი თავის და საკუთარი ერთობის სხვებისგან განსხვავების საშუალებად და ინსტრუმენტად“ (თევზაძე, 2009).

### 3. დემოკრატიული პრინციპების რეალიზაცია მულტიკულტურულ და მრავალფეროვან საზოგადოებებში

კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებებში, მულტიკულტურული დიალოგი დემოკრატიული პროცესების ქვაკუთხედს წარმოადგენს. დემოკრატიის ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებს, რომლებზეც ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკური გადაწყვეტილებები, უნდა ჰქონდეთ საშუალება და შესაძლებლობა, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოთქვან თავიანთი მოსაზრება. შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ აღნიშნული მოსაზრებები. მულტიკულტურული დიალოგი წარმოადგენს იმ ერთადერთ უმნიშვნელოვანეს გზას, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებები, მისწრაფებები, საზრუნავი და საჭიროებები გაუზიარონ მათ, ვინც მათგან განსხვავებულ კულტურას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებებში მულტიკულტურული დიალოგი გადამწყვეტ როლს თამაშობს დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, დებატებსა და მოლაპარაკებებში და საშუალებას აძლევს ყველა მოქალაქეს, საკუთარი წვლილი შეიტანოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. გარდა ამისა, დემოკრატიული დამოკიდებულებები ძალიან მნიშვნელოვანია მულტიკულტურული დიალოგისათვის, ვინაიდან ჭეშმარიტ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კომუნიკაცია და დიალოგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შედგეს და გაიმართოს, თუ მასში მონაწილე პირები ერთმანეთს თანასწორუფლებიან პირებად აღიქვამენ. დემოკრატიის კულტურა და მულტიკულტურული დიალოგი არსებითად ურთიერთდამოკიდებულ ცნებებს წარმოადგენს კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებებში.

როგორც მულტიკულტურული დიალოგის შესახებ ევროპის საბჭოს ნორმატიულ დოკუმენტშია (2008 წ.) აღნიშნული, იმ კომპეტენციების შეძენა, რომლებიც დემოკრატიის კულტურაში ეფექტური მონაწილეობისათვის არის საჭირო, არ ხდება ავტომატურად, არამედ სწავლისა და პრაქტიკის შედეგად მიიღწევა. განათლებას ამ მიმართულებით გადამწყვეტი როლი ენიჭება. განათლების ამოცანებში, სხვა მრავალ ამოცანასთან ერთად, შედის შრომის ბაზრისთვის ინდივიდების მომზადება, მათი პიროვნული განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ფარგლებში მათი უზრუნველყოფა სრულყოფილი ცოდნის ბაზით. თუმცა, გარდა ამისა, განათლება დიდ როლს თამაშობს ინდივიდუალური პირების ცხოვრებისათვის მომზადებაში - მათ აქტიურ დემოკრატ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში, და სწორედ განათლება სთავაზობს პირებს იმ უნიკალურ შესაძლებლობას, რომელიც გულისხმობს დემოკრატიულ პროცესებსა და ინტეკულტურულ დიალოგში ეფექტური მონაწილეობისათვის საჭირო კომპეტენციების

დაუფლების დროს მიმართულების მიცემასა და დახმარებას. განათლების სისტემა, რომელიც საზოგადოებას ამგვარი კომპეტენციებით აღჭურვის საშუალებას აძლევს, ამავდროულად, აუცილებელ რესურსს აწვდის მოქალაქეებს, დემოკრატიულ პროცესებში, მულტიკულტურული დიალოგსა და ზოგადად საზოგადოებრივ პროცესებში აქტიური მონაწილეობისათვის საჭირო უნარებით აღჭურავს მათ. განათლება ასევე სთავაზობს მოაქალაქეებს დამოუკიდებლობის გაფართოების შესაძლებლობას, რაც გულისხმობს საკუთარი ცხოვრებისეული მიზნების დასახვასა და მათი მიღწევისათვის დამოუკიდებლად მოქმედებას. კომპეტენციათა წინამდებარე მოდელის შექმნის იდეა მდგომარეობს განათლების სფეროს დაგეგმვის ხელშეწყობაში, რათა განათლების საშუალებით, მიღწეული იქნას მიზანი, რომელიც მოქალაქეთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებას გულისხმობს.

დემოკრატიის კულტურა, კომპეტენტური მოქალაქეების გარდა, საჭიროებს შესაბამისი პოლიტიკური და სამართლებრივი სტრუქტურებისა და პროცედურების არსებობას, რომლებიც ხელს შეუწყობს მოქალაქეებს აქტიურად და ეფექტურად გამოიყენონ შეძენილი კომპეტენციები. აღნიშნული უკავშირდება იმას, რომ ინსტიტუციური სტრუქტურები და პროცედურები, ასევე, პროცესებში აქტიური ჩართულობისა და მონაწილეების შესაძლებლობები, (რომლებიც აღნიშნული სტრუქტურების საშუალებით ეძლევა ან ეზღუდება მოქალაქეებს), დემოკრატიულ და მულტიკულტურულ სფეროში, მოქალაქეების მიერ ქმედებათა გახორციელების მნიშვნელოვან ხელშემწყობ ან ხელშემშლელ ფაქტორებად შეიძლება იქცეს. ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ მარტივი მაგალითი: იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მოქალაქეობის მიღებამდე ემიგრანტთა პირველ თაობას არ აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ფლობენ აღნიშნული პირველი თაობის ემიგრანტები დემოკრატიულ კომპეტენციებს, მათ არ ეძლევათ ამ კომპეტენციათა გამოყენების საშუალება, ვიდრე არ მიიღებენ ამ ქვეყნის მოქალაქეობას. ამგვარ პირობებში, მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ სურვილი, მათი შეხედულებები იყოს გათვალისწინებული, უწევთ მიმართონ დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის ალტერნატიულ გზებს. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მულტიკულტურული დიალოგის ხელშემწყობი ინსტიტუციური შეთანხმებები და სტრუქტურები, მოქალაქეებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ მსგავს დიალოგში. თუმცა, თუ სახელმწიფო იღებს გარკვეულ ზომებს, რომლებიც გულისხმობს მულტიკულტურული დიალოგის ხელშეწყობის მიზნით საჭირო ადგილების გამოყოფას (მაგ. კულტურული ან სოციალური ცენტრები, ახალგაზრდული კლუბები, საგანმანათლებლო ცენტრები, სხვა დასასვენებელ-გასართობი ადგილები ან ვირტუალური სივრცე) და ხელს უწყობს და წაახალისებს

ამგვარი საშუალებების მულტიკულტურული აქტივობებისათვის გამოყენებას, მოქალაქეებს მეტი შესაძლებლობა ეძლევათ, ჩაერთონ მულტიკულტურულ დიალოგში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინსტიტუციური მოწყობა ხელს უწყობს, მიმართულებას აძლევს, აფერხებს ან ხელს უშლის მოქალაქეების მიერ დემოკრატიული და მულტიკულტურული კომპეტენციების გამოყენებას. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც დემოკრატიული და მულტიკულტურული კომპეტენციების შეძენა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოქალაქეებს დემოკრატიულ პროცესებსა და მულტიკულტურულ დიალოგში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცეთ, არის ის, რომ არახელსაყრელი გარემოებების არსებობა, დისკრიმინაცია, რესურსების არათანაბარი განაწილება, შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ ძალიან ბევრ ადამიანს არ მიეცეს, თანასწორობის პრინციპის დაცვით, აღნიშნულ პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, ფლობენ თუ არა ისინი შესაბამის კომპეტენციებს (მაგალითად, ინფორმაციის წყაროებზე შეზღუდული წვდომა, დროის უკმარისობა, ან იმ ფინანსური რესურსების ნაკლებობა, რომელიც მსგავს პროცესებში მონაწილეობისათვის არის საჭირო). მსგავს სოციალურ და სტრუქტურულ უთანასწორობას კიდევ უფრო აღრმავებს ძალთა არათანაბარი გადანაწილება და ინსტიტუტების მიკერძოებული მიდგომები, რომელთა შედეგადაც, დემოკრატიული და მულტიკულტურული გარემოებებითა და შესაძლებლობებით სარგებლობის საშუალება ეძლევა მხოლოდ გარკვეული პოზიციის მქონე და პრივილეგირებულ მოქალაქეებს. სისტემური მარგინალიზაციისა და დემოკრატიულ და მულტიკულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის შეზღუდვის შედეგი შეიძლება იყოს მოქალაქეთა სამოქალაქო პროცესებში აქტივობის დონის შემცირება და მათი გაუცხოება აღნიშნული მიზეზების გამო. ასეთ შემთხვევებში საჭიროა სპეციალური ზომების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფენ ჭეშმარიტად თანაბარი პირობების შექმნას იმ ჯგუფის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც არანაირი უპირატესობებით არ სარგებლობენ.

მულტიკულტურული სიტუაციები თავს იჩენს იქ და იმ დროს, როდესაც ადამიანი სხვა ადამიანს (ან ადამიანთა ჯგუფს) მისგან განსხვავებული კულტურული კუთვნილების მქონე პირად (ან პირებად) აღიქვამს. როდესაც სხვა ადამიანები აღიქმებიან სოციალური ჯგუფის და მისი კულტურის წარმომადგენლებად და არა ინდივიდუალურ პირებად და თავად პიროვნებაც საკუთარ თავს უკავშირებს კონკრეტულ კულტურულ ჯგუფს. ამგვარად, იდენტიფიცირებული მულტიკულტურული სიტუაციები მოიცავს სიტუაციებს, რომლებშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა რეგიონული, ენობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები, ან ადამიანები, რომელთაც განსხვავებული ცხოვრების წესი აქვთ და/ან

ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სქესით, ასაკით ან იმით, თუ რომელ თაობას თუ სოციალურ კლასს განეკუთვნებიან და ა.შ. ამ თვალსაზრისით, განხილვისას, მულტიკულტურული დიალოგი შესაძლებელია განიმარტოს, როგორც „მოსაზრებათა ღია გაცვლა-გამოცვლა, რომელიც ხორციელდება ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, იმ პირებსა თუ ადამიანთა ჯგუფებს შორის, რომლებიც საკუთარ თავს განსხვავებული კულტურული კუთვნილების მქონე პირებად თუ ჯგუფებად აღიქვამენ“. არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ მულტიკულტურული დიალოგი ხელს უწყობს კულტურებს შორის არსებულ სხვაობებთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსტრუქციული დიალოგის წარმოებას, ამცირებს შეუწყნარებლობის, შეზღუდული და სტერეოტიპული აზროვნების შესაძლებლობებს, აფართოებს და ამყარებს დემოკრატიულ საზოგადოებებს შორის კავშირს და ხელს უწყობს კონფლიქტების მოგვარებას. აქედან გამომდინარე, მულტიკულტურული დიალოგი არ წარმოადგენს მარტივ პროცესს. განსაკუთრებით, ეს ეხება სიტუაციებს, როდესაც დიალოგში მონაწილე მხარეები ერთმანეთს აღიქვამენ იმ სხვადასხვა კულტურათა წარმომადგენლებად, რომელთა შორისაც გარკვეული უთანხმოება არსებობს (მაგალითად,შეიარაღებული კონფლიქტების გამო) ან როდესაც დიალოგში მონაწილე რომელიმე მხარე მიიჩნევს, რომ სხვა კულტურული ჯგუფის მხრიდან მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა (მაგალითად, მიიჩნევს, რომ აშკარა დისკრიმინაციის, მატერიალური ექსპლოატაციის ან გენოციდის მსხვერპლია). ამგვარ სიტუაციებში მულტიკულტურული დიალოგი განსაკუთრებით რთულად მიმდინარეობს და საჭიროებს მულტიკულტურული კომპეტენციების უმაღლეს დონეზე ფლობასა და მნიშვნელოვან ემოციურ და სოციალურ მგრძნობელობას, ვალდებულების გრძნობას, სიმტკიცესა და გამბედაობას. შეჯამებისათვის, აღწერილი მიდგომა გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი კულტურა მრავალფეროვანი, წინააღმდეგობრივი, დინამიკური და მუდმივად განვითარებადია, და მულტიკულტურული სიტუაციების წარმოქმნას განაპირობებს ადამიანებს შორის კულტურული განსხვავებების არსებობის აღქმა. აქედან გამომდინარე, კომპეტენციათა მოცემულ მოდელში ხშირად არის გამოყენებული ფრაზა „ადამიანები, რომლებიც განსხვავებული კულტურული კუთვნილების მქონე პირებად აღიქმებიან“ (ნაცვლად ფრაზისა „ადამიანები, რომლებიც განსხვავებულ კულტურებს წარმოადგენენ“). მულტიკულტურული დიალოგი განიხილება, როგორც მოსაზრებათა ღია გაცვლა-გამოცვლა იმ პირებსა თუ ადამიანთა ჯგუფებს შორის, რომლებიც საკუთარ თავს განსხვავებული კულტურული კუთვნილების მქონე პირებად თუ ჯგუფებად აღიქვამენ. მულტიკულტურული დიალოგი უაღრესად მნიშვნელოვანია კულტურებს შორის არსებული უთანხმოებების კონსტრუქციულად გადაჭრისა და, ასევე,

დემოკრატიულ საზოგადოებებს შორის არსებული კავშირების გამყარებისათვის, თუმცა აბსოლუტურად ღია დიალოგის წარმოება, გარკვეული გარემოებების არსებობისას, შეიძლება ძალიან რთული მისაღწევი იყოს.

### 4. მულტიკულტურული განათლების პარადიგმა: კონტექსტი და თეორიები

სამყაროში, რომელიც სწრაფ ცვლილებებს განიცდის და სადაც კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდატეხები ცხოვრების ტრადიციულ წესის ერთგვარი გამოწვევა ხდება, განათლებამ მთავარი როლი უნდა შეასრულოს სოციალური ერთობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშესაწყობად. იმ პროგრამების საშუალებით, რომლებიც წაახალისებს განსხვავებული კულტურის, რწმენისა და რელიგიის მქონე ადამიანთა შორის დიალოგს, განათლებას ძალა შესწევს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მდგრადი და ტოლერანტული საზოგადოებების განვითარებაში. მულტიკულტურული განათლება ერთგვარი პასუხია ყველა ადამიანისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის გამოწვევაზე, რომელიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია მოცემული: „განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადმიანის უფლებათა, ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთ გაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას...“.[13]

ჯეიმს ა. ბენკსისა და ჩერი მაკგი ბენკსის ავტორობით გამოცემულ წიგნში „მულტიკულტურული განათლება. საკითხები და პერსპექტივები“[14] განმარტებულია მულტიკულტურული განათლების იდეა, რაც ნაშრომის ავტორთა აზრით, მდგომარეობს შემდეგში: ყველა მოსწავლისთვის (სტუდენტისთვის), განურჩევლად მათი გენდერული, ეთნიკური, რასობრივი, კულტურული, ლინგვისტური, სოციალური, რელიგიური და ა.შ. კუთვნილებისა, გარანტირებული უნდა იყოს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და თანასწორობა სკოლებში. არანაკლებ მნიშვნელოვანია, განსხვავებული იდენტობების მქონე მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ გარანტირებული თანასწორობის ურყევი განცდა.

მულტიკულტურული განათლების მიზანია სკოლების იმგვარი ტრანსფორმაცია, რაც საშუალებას მისცემს ორივე სქესის მოსწავლეებს, რომლებიც, ამავე დროს, სხვადასხვა კულტურულ, ენობრივ და ეთნიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან, ჰქონდეთ სწავლაში წარმატების თანაბარი შანსი. ამ თვალსაზრისით, მულტიკულტურული განათლების რეფორმის ერთ-ერთ

---

[13] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, მუხლი 26.2.
[14] James A. Banks & Cherry A. McGee Banks, Multicultural Education: Issues and Perspectives, 7th Ed., Wiley, 2010

ძირითად იდეად, რომლის განხორციელებაც გადაუდებელი საჭიროებაა, უნდა განისაზღვროს სასწავლებლებში გარკვეული ნიშნით მოსწავლეთა დომინანტური ჯგუფების არსებობის პრაქტიკის ნიველირება.

მულტიკულტურული განათლება არის უწყვეტი პროცესი, რადგან საკმაოდ იდეალიზებული მიზნებით ის ცდილობს განახორციელოს განათლების თანასწორობა და აღმოფხვრას დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინება, ამასთან, ეს იდეები და შესაძლებლობები ყოველთვის როდია გაზიარებული მთელი საზოგადოების მიერ.

მულტიკულტურული განათლების ერთ–ერთი ფუძემდებელი ჯეიმს ბენკსი თავის ნაშრომში „შესავალი მულტიკულტურულ განათლებაში“[15] აღნიშნავს, რომ მულტიკულტურული განათლების მნიშვნელოვანი მიზანია დაეხმაროს განათლების მუშაკებს მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირებასა და მრავალფეროვნების შესაძლებლობების გაზრდაში. მრავალფეროვნებას შემოქმედებითად და ეფექტურად რომ უპასუხოს, განათლების მუშაკმა აუცილებლად უნდა იცოდეს მულტიკულტურული განათლების კონცეფციები, პრინციპები, თეორია და პრაქტიკა. მან ასევე უნდა განსაზღვროს საკუთარი რასობრივი და ეთნიკური დამოკიდებულებები და შეიძინოს ისეთი პედაგოგიური ცოდნა და უნარები, რომელიც სხვადასხვა რასის, ეთნოსის, კულტურის, სქესის, სოციალური კლასისა და რელიგიის მოსწავლეებთან ეფექტური მუშაობის საშუალებას მისცემს.

ავტორისეული განმარტებით მულტიკულტურული განათლება: „ეს არის იდეა, კონცეფცია, საგანმანათლებლო რეფორმა და პროცესი“. მულტიკულტურული განათლების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მოსწავლეს, განურჩევლად სქესისა, სქესობრივი ორიენტაციისა, სოციალური კლასისა და ეთნიკური, რასობრივი ან კულტურული მახასიათებლებისა, სკოლაში სწავლის თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს.

ინდივიდი ერთდროულად ეკუთვნის სხვადასხვა ჯგუფებს *(იხ. სქემა 1).* მისი იდენტობის ჩამოყალიბებას მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი განაპირობებს.

ისეთ ძირითად ცვლადებს, როგორიცაა: სქესი, რასა ან ეთნიკური კუთვნილება, რელიგია, და სოციალური კლასი განსაკუთრებული გავლენა აქვს მოსწავლის სწავლასა და ქცევაზე. გავლენას ახდენს როგორც რომელიმე მათგანი ცალკე აღებული, ისე, და უფრო ხშირად, რამდენიმე ცვლადი ერთად. სხვა ცვლადებიც - გეოგრაფიული რეგიონი და ასაკი ასევე ზემოქმედებს მოსწავლის ქცევაზე.

[15] James A. Banks, An introduction to Multicultural Education, 5th ed., Pearson, 2014

მულტიკულტურული განათლება შეისწავლის, როგორ ზემოქმედებს რასა, ეთნიკური წარმომავლობა, კლასი, სქესი, რელიგია, ენა, სქესობრივი ორიენტაცია მოსწავლის სწავლასა და ქცევაზე. ბენკსი გვთავაზობს იმ ძირითადი მიზნების ჩამონათვალს, რომელსაც მულტიკულტურული განათლება ემსახურება. კერძოდ, მულტიკულტურული განათლება:

1. ეხმარება ინდივიდებს თვითშეცნობაში სხვა კულტურის პერსპექტივიდან საკუთარი თავის განხილვით;

2. უზრუნველყოფს ინდივიდებს სხვა კულტურული, ეთნიკური და ენობრივი ალტერნატივებით;

3. ინდივიდებს უვითარებს იმ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომელიც საჭიროა საკუთარი (შესაძლოა, უმცირესობის) საზოგადოების კულტურის, უმრავლესობის კულტურისა და სხვა კულტურების ფარგლებში ფუნქციონირებისთვის;

4. ამცირებს ტკივილსა და დისკრიმინაციას, რომელსაც ზოგიერთი ჯგუფი განიცდის საკუთარი რასის, რელიგიის და კულტურის თავისებურებების გამო;

5. ეხმარება გლობალური ტექნოლოგიების სამყაროში ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო წიგნიერების უნარების დაუფლებაში.

ზრუნავს რა სამოქალაქო საზოგადოების შექმნასა და შენარჩუნებაზე დემოკრატიული განათლება ეხმარება ინდივიდებს ისეთი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში, რომელიც საჭიროა სამოქალაქო ჩართულობისთვის უფრო თანასწორი და სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად.

მნიშვნელოვანია დებატები მულტიკულტურული განათლების შესახებ, რომელიც მის უწყვეტ განვითარებას უწყობს ხელს. ინტერულტურული განათლება არის განათლება თავისუფლებისთვის, რომელიც ასე არსებითია თანამედროვე პოლარიზებულ სამყაროში და მისი განვითარებისა და მიღწევების შესახებ სიმართლე მეცნიერული ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით უნდა დავიცვათ.

ბენკსი ხაზს უსვამს იმ მცდარ შეხედულებებს, რომელიც შორს არის რეალობისაგან:

- მულტიკულტურული განათლება სხვებისთვისაა, კერძოდ, ამა თუ იმ მარგინალიზებული ჯგუფებისთვის;
- მულტიკულტურული განათლება დასავლეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება;
- მულტიკულტურული განათლება დაანაწევრებს ქვეყანას.

განათლების რეფორმაზე საუბრისას აუცილებელია მულტიკულტურული განათლების იმ განზომილებების გათვალისწინება, რომელსაც ბენკსი გვთავაზობს: შინაარსის ინტეგრაცია,

ცოდნის აგების პროცესი, ცრურწმენების შემცირება, მიუკერძოებელი პედაგოგიკა და სკოლის კულტურისა და სოციალური სტრუქტურის ამაღლება.

მულტიკულტურული განათლების მიზნების თვალსაწიერიდან სკოლა განიხილება, რთულ სოციალურ სისტემად, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისა და ცვლადებისგან. ამდენად, სკოლის გარდაქმნა განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობის მიღწევის მიზნის შესაბამისად, საკმაოდ რთულია, რადგან ის გულისხმობს სკოლის ყველა ძირითადი ფუნქციური კომპონენტის ცვლილებას და არა ცალკე აღებული რომელიმე მათგანის. ეს კი სკოლის, მთელი მისი საგანმანათლებლო სტრუქტურის ძირეულ ცვლილებას ნიშნავს. სკოლის რეფორმირების პროცესში, როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, ძირითადი შეცდომა უკავშირდება სწორედ იმას, რომ აქცენტი გადატანილია თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ერთი კომპონენტის ცვლილებაზე და აქედან გამომდინარე, შედეგიც არასახარიელოა. ეს ერთი კომპონენტი, როგორც წესი, ფორმალიზებული სასწავლო პროგრამებია. ეს კომპონენტი უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ სკოლის ფუნქციონირების სხვა კომპონენტების პარალელური რეფორმის გარეშე, მაინც არ შეიძლება სასურველი შედეგი მივიღოთ მულტიკულტურული განათლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

სკოლის საერთო გარემო არის სისტემა, რომელიც შედგება რიგი ძირითადი კონკრეტული ცვლადებისა და ფაქტორებისგან. ეს ცვლადები და ფაქტორებია: სკოლის კულტურა, უხილავი კურიკულუმი,[16] სკოლის პოლიტიკა, ფორმალიზებული კურიკულუმი და სასწავლო კურსები. ზემოაღნიშნულ ფაქტორებზე განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება დაწყებითი სკოლის რეფორმის პროცესში, მაგრამ ცვლილება უნდა შეეხოს თითოეულ მათგანს რათა შეიქმნას ეფექტური მულტიკულტურული სკოლის გარემო.

გარკვეული, თუმცა, არა თვითკმარი, უნივერსალიზებული სახით, ყოველი კულტურა ემიჯნება სხვას, თუნდაც ეპოქისა და შინაარსის მიხედვით. თუმცა, ეს მიჯნები, კულტურის ბუნებიდან გამომდინარე, თავისთავად არასოდეს იქცევა საზღვრებად, გადაულახავ წითელ ხაზებად. კულტურების საზღვრებში მოქცევა, როგორც წესი, მათი „დახარისხების“ საფუძველზე, უნდა განვიხილოთ არატოლერანტული პოლიტიკის შედეგად და არა თავისთავად, ბუნებრივ პროცესად.

მოსწავლეებს და მასწავლებლებს სკოლაში მოსვლის დროს უკვე აქვთ საკუთარი ინდივიდუალობა და კულტურა. ამ შემთხვევაში, განათლების ერთ-ერთ ამოცანად შეიძლება

---

[16] უხილავი კურიკულუმი – სკოლის სტრუქტურა, კლიმატი, კულტურა, მასწავლებლის გამიზნული და დაუგეგმავი ქცევა, ყოველდღიური ურთიერთობა და ა.შ.

იქცეს რეფლექსია უკვე არსებულზე. მულტიკულტურული განათლება, განსაკუთრებით უხილავ და ხილულ კულტურებზე ორიენტირებული შეიძლება დაგვეხმაროს პირადი და ჯგუფური რეფლექსიის პროცესში. მასწავლებლები და მოსწავლეები, საკუთარ თავზე დაკვირვებით, თვითჩაღრმავებით უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თითოეული მათგანი ერთდროულად არა მხოლოდ ერთ, კონკრეტულ კულტურასთან (მონოკულტურა) იდენტიფიცირდება, არამედ მულტიკულტურული ადამიანია. განსხვავებული კულტურული იდენტობის მქონე ადამიანებთან დისკუსიით, მათი მსჯელობის მოსმენით და ამ მსჯელობის გაანალიზება-შეფასებით მოსწავლეები და მასწავლებლები აღმოაჩენენ ბევრ საერთო და განსხვავებულ პლასტებს ერთმანეთის კულტურული კონტექსტებიდან.

თუ სკოლა არის უსაფრთხო ადგილი ახალი შეხედულებებისა და კულტურების გასააზრებლად, თუ კულტურული მრავალფეროვნება განიხილება, როგორც გარკვეული მიჯნა და არა გადაულახავი საზღვარი, მაშინ მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს შეუძლიათ შექმნან უსაფრთხო „მესამე სივრცე“, რომელშიც შეისწავლიან ურთიერთკავშირს ძველ - მათთვის უკვე ნაცნობ და ახალ კულტურებს შორის.

საბოლოო ჯამში, რთულ მულტიკულტურულ საზოგადოებაში, ადამიანის პიროვნული ზრდა, მომწიფება, უკავშირდება და მოიცავს განსხვავებულ შეხედულებათა და კულტურის მრავალფეროვნების აღიარებას და ამ მრავალფეროვნების არსებობის, როგორც გარდაუვალი მოცემულობის მიმღებლობას. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, როდესაც გარკვეული კულტურები და შეხედულებები კონფლიქტშია ფართო საზოგადოებასთან და როდესაც ინდივიდი არის დომინანტი ჯგუფის წევრი.

მრავალფეროვან შეხედულებებთან და წარმოდგენებთან კომპრომისული დამოკიდებულების დამკვიდრება არის კიდეც ერთ-ერთი უმთავრესი საგანმანათლებლო ამოცანა მთელი საზოგადოებისთვის, ადამიანისთვის და, რა თქმა უნდა, უშუალოდ სკოლისთვის. სწორედ ასეთი მიდგომა ხდება ადამიანის განვითარების საშუალება მულტიკულტურულ საზოგადოებასა და მულტიკულტურულ მსოფლიოში.

როდესაც სკოლის კურიკულუმისა და სასკოლო განათლების (სწავლა-სწავლების) შინაარსი სრულ შესატყვისობაშია მულტიკულტურული განათლების პრინციპებთან და ამოცანებთან, მაშინ მოსწავლეების მხრიდან განსხვავებული შეხედულებების შეთვისება, გაზიარება ან მიღება ხდება ბუნებრივად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ამ შემთხვევაში, განსხვავებული შეხედულებებისა და წარმოდგენების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების შენარჩუნება აღარ ვლინდება მიუღებელი და სხვისთვის შეურაცხმყოფელი ფორმით. სწორედ ეს

არის მულტიკულტურული განათლების კეთილშობილური მიზანი, რომლის მიღწევა საკმაოდ რთულია, მაგრამ აუცილებელი. ამ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მიზნის მნიშვნელობა სულ უფრო ცხადი ხდება, რამდენადაც იზრდება ჩვენი უნარი და შესაძლებლობა ვიფიქროთ უფრო ღრმად და ფართოდ კულტურაზე, მის ნიუანსებზე და მრავალფეროვნებაზე სკოლასა და საზოგადოებაში.

მულტიკულტურული განათლების პერსპექტივიდან საქართველოს ისტორიის სწავლება ეთნიკური ჯგუფების გამოცდილებისა და პერსპექტივის გაუთვალისწინებლად, საქართველოს ისტორიის დამახინჯებულად სწავლებას ნიშნავს. საქართველოში მცხოვრები კულტურული ჯგუფების ისტორია, ლიტერატურა და კულტურა მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ ასპექტების გათვალისწინებით მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბდეთ სამოქალაქო თანასწორობისა და ტოლეტანტობის გრძნობა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობების ასაღებად.

სახელმწიფოს ფარგლებში და სახელმწიფოთა შორის მიგრაცია ასწლეულებს ითვლის, თუმცა, არასოდეს ყოფილა ისეთი ხშირი და სწრაფი, როგორიც თანამედროვე სამყაროშია. ამ მოძრაობას სამართლებრივ საფუძველს უქმნის ისეთი საერთაშორისო აქტები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ევროკავშირის მიერ შემუშავებული ცალკეული კონვენციები.

მრავალფეროვნებით გამორჩეულ ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიცა ამერიკის შეერთებული შტატებია, 1965 წელს „იმიგრაციის რეფორმის აქტის“ შემოღებით ეთნიკური სტრუქტურა არსებითად გამრავალფეროვნდა. ჰარვარდის პროფესორის დაიანა ეკის აზრს იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები რელიგიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით პირველ ადგილზეა მსოფლიოში. მიუხედავად 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ გავრცელებული ისლამოფობიისა, ყველაზე სწრაფად ისლამის მიმდევართა რიცხვი მატულობს.

საერთაშორისო მიგრაციის ზრდა, სტრუქტურული უთანასაწორობის აღიარება დემოკრატიულ სახელმწიფოებში და ადამიანის საერთაშორისო უფლებათა კანონიერება დღის წესრიგში აყენებს მოქალაქეობასთან და სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებულ რთულ საკითხებს. ის კონცეფციები, პარადიგმები და პროექტები, რომლებმაც ხელი შეუწყო დასავლეთის აღმავლობასა და ტრიუმფს XVI-XX საუკუნეებში, არაეფექტურია XXI საუკუნისთვის.

მულტიკულტურული საზოგადოება პრობლემის წინაშეა: შექმნას სახელმწიფო, რომელიც ასახავს და გააერთიანებს მოქალაქეთა მრავალფეროვნებას და იმავდროულად ექნება საერთო და

ყოვლისმომცველი ღირებულებები, იდეალები და მიზნები, რომლებიც სავალდებულო იქნება ყველა მოქალაქისთვის.

იცვლება მოქალაქეობის განმარტება მულტიკულტურულ საზოგადოებაში: დემოკრატიული მრავალფეროვანი ქვეყნის მოქალაქე ისეთი ყოვლისმომცველი იდეალების მომხრეა, როგორიცაა სამართლიანობა და თანასწორობა და პასუხისმგებელია ამ იდეალების შენარჩუნებასა და დაცვაზე, თანახმაა და მზად არის იმოქმედოს მათი შებღალვის შემთხვევაში. ამრიგად, დემოკრატიულ მულტიკულტურულ საზოგადოებაში სამოქალაქო განათლების მნიშვნელოვანი ამოცანაა დაეხმაროს მოსწავლეებს შეიძინონ ის ცოდნა, უნარ–ჩვევები და დამოკიდებულებები, რომელიც საჭიროა გააზრებული გადაწყვეტილების მისაღებად და აქტიური მოქმედებისათვის, რათა საკუთარი ქვეყანა კიდევ უფრო დემოკრატიული და სამართლიანი გახადონ.

დემოკრატიული მულტიკულტურული საზოგადოება ხასიათდება სამოქალაქო თანასწორობით, ტოლერანტობითა და აღიარებით. მოქალაქედ ჩამოყალიბება პროცესია და მასში განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მოსწავლეებმა მოქალაქეობის პრაქტიკა სკოლაშივე უნდა გაიარონ.

სამოქალაქო განათლების მნიშვნელოვანი ცვლილება აუცილებელია მსოფლიო მასშტაბით ქვეყნებში და მრავალფეროვნების ზრდისა და რასობრივი, ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფების მოთხოვნის გამო კულტურული აღიარებისა და უფლებების შესახებ.

გამოცდილება აჩვენებს, რომ მოქალაქეობა და სამოქალაქო აღზრდა განსხვავებულად აღიქმება და ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნებში და განსხვავებულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში. სათანადოდ წარმართული სამოქალაქო განათლების საფუძველზე მოსწავლეს კულტურულ, ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ იდენტობებს შორის ერთგვარი ფაქიზი წონასწორობა უნდა ჩამოუყალიბდეს.

მულტიკულტურული განათლების მნიშვნელოვანი მიზანია დაეხმაროს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სამყაროს ბუნებისა და განვითარების შესახებ აზროვნების გარდაქმნაში და იმ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებაში, რომელიც მსოფლიოს უფრო დემოკრატიულსა და სამართლიანს გახდის.

### 5. მულტიკულტურული განათლება სკოლაში

თუკი განათლების უპირველესი მიზანია ახალგაზრდების მომზადება მრავალფეროვანი გამოწვევებით სავსე თანამედროვე სამყაროში ცხოვრებისათვის, მაშინ მულტიკულტურული განათლება ამ პროცესის არსებითი ნაწილია. მულტიკულტურული განათლება არ არის დამატებითი საგანი, რომელიც სასკოლო კურიკულუმს უნდა დაემატოს, ის არ მოიცავს დამატებით მასალას, რომლის ამოწურვა აუცილებელია ამა თუ იმ საგნის ფარგლებში. ის გარკვეული მიდგომაა განათლებისადმი, რომლის ინტეგრირება შესაძლებელია ყველა საგანში გამჭოლ კომპეტენციად. მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ ყველა მასწავლებელს უხვად აქვს შესაძლებლობა, რომ ხელი შეუწყოს მულტიკულტურულ განათლებასთან დაკავშირებულ ცოდნას, ფასეულობებსა და უნარებს მოსწავლეებთან ურთიერთობის საფუძველზე როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური შეხვედრების დროს. როგორც ვიცით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიზანია ახალგაზრდების ზნეობრივი და გონებრივი განვითარების ხელშეწყობა, სხვათა ღირებულებებისა და რწმენის მიმართ ტოლერანტობისა და პატივისცემის გაღვივება, ეროვნულ და გლობალურ კონტექსტში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობების შესრულებისთვის მომზადება. ცხადია, სულ უფრო მზარდ მულტიკულტურულ გარემოში მულტიკულტურული კომპეტენცია თავის მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებს აქტიური მოქალაქეობისთვის მომზადების რთულ საქმეში.

ფორმალურ და არაფორმალურ პოლიტიკასა და პრაქტიკას, რომელიც დაკავშირებულია სასკოლო ცხოვრების მრავალფეროვან კომპონენტებთან, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების გამოცდილებაზე. პოლიტიკითა და პრაქტიკით, რომელიც აყალიბებს მოსწავლეთა ზოგად გამოცდილებას სასკოლო ცხოვრების შესახებ, სასკოლო საზოგადოება ავითარებს გამოცდილებასა და დადებით ჩართულობას კულტურულ მრავალფეროვნებაში.

მულტიკულტურული განათლება სცდება საკლასო სწავლების ვიწრო ფოკუსს. მულტიკულტურული პერსპექტივის გამოყენება სკოლის დაგეგმვასთან მიმართებაში არსებითია ეფექტური ინკლუზიური, მულტიკულტურული სკოლის განვითარებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი – მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დამხმარე პერსონალი და ხელმძღვანელობა – მონაწილეობდეს ინკლუზიური და მულტიკულტურული სკოლის განვითარებისა და შენარჩუნების კოლექტიურ პასუხისმგებლობაში. წარმატებული სასკოლო პრაქტიკის ერთ–ერთი ფუნდამენტური პრინციპია სასკოლო საზოგადოების წევრთა კარგი კომუნიკაცია. მართალია, დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ქმედებათა ნაწილი სავალდებულოა, მაგალითად, ცვლილებები სკოლაში ქცევის

კოდექსში, ან ძალადობის შემთხვევების აღრიცხვა, მაგრამ ნამდვილ ცვლილებათა უმრავლესობა დამოკიდებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ნებაყოფლობით ქმედებებსა და კეთილ ნებაზე. ამრიგად, მნიშვნელოვანია მონაწილეთა მოსაზრებების (ხმის) გათვალისწინება და ცვლილებათა პროცესში ჩართულობის განცდა. ამ პროცესში ადამიანები სხვადასხვაგვარი ენთუზიაზმით შეიძლება ჩაერთონ, ზოგი მათგანი შესაძლოა შეეწინააღმდეგოს კიდეც გარკვეულ ინიციატივებს. არც ისე უჩვეულოა, როცა ხშირად ადამიანებს აოცებთ საკუთარი დამოკიდებულებები და შეხედულებები ამა თუ იმ საკითხის შესახებ დისკუსიისას. სიფრთხილით მოგვარებული ამგვარი წინააღმდეგობა ხელსაყრელ შესაძლებლობას გვაძლევს მულტიკულტურული ცოდნისა და უნარების გასაღრმავებლად. ეს შესაძლოა გარკვეულ ბიძგად იქცეს სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის უფრო სიღრმისეულად გამოიკვლიონ საკითხები სხვადასხვა ტრენინგების საშუალებით, რომელთა მიზანი იქნება მრავალფეროვნების, როგორც მნიშვნელოვანი ღირებულების დაფასება.

სკოლას ხშირად უჭირს განსაზღვროს, როგორ და რით დაიწყოს მულტიკულტურულ გარემოზე ზრუნვა. ქვემოთ მოცემული იდეები გზამკვლევის როლს შეასრულებს სკოლის დაგეგმვაში მულტიკულტურული პერსპექტივის ჩართვის თვალსაზრისით. დაგეგმვის პროცესი უნდა დაეხმაროს სკოლის საზოგადოების ყველა წევრს ინკლუზიური და მულტიკულტურული სკოლის განვითარებაში, რომელიც ყველა მოსწავლის საჭიროებების შესატყვისი იქნება.

მულტიკულტურულ განათლებას სარგებელი მოაქვს ყველა მოსწავლისათვის მიუხედავად მათი კულტურული გამოცდილებისა. სასკოლო გარემოს კულტურული აგებულების მიუხედავად, მულტიკულტურულ განათლებას მოაქვს ცოდნა მრავალფეროვნების ბუნებრიობის შესახებ და ეხმარება მოსწავლეებს წარმოსახვის, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაში, მიკერძოებისა და დისკრიმინაციის დაძლევასა და სოციალური უნარების სრულყოფაში.

მულტიკულტურული განათლება არ არის შეზღუდული მხოლოდ კურიკულუმით ან თუნდაც, „ფორმალური კურიკულუმის“ საზღვრებით. ის ჩაშენებულია როგორც საკლასო კლიმატის პრაქტიკასა და განწყობებში, ასევე „უხილავ კურიკულუმში“. სკოლაში ორი სახის კურიკულუმი მოქმედებს: ხილული (მაგ., გაკვეთილის გეგმა, სახელმძღვანელო, დამხმარე რესურსები) და უხილავი (მაგ., მოსწავლეთა დამოკიდებულებები და ქცევა, რომელსაც სკოლაში სწავლობენ მასწავლებლის უშუალო მონაწილეობის გარეშე). ორივე მათგანი თანაბარმნიშვნელოვანია გავლენის თვალსაზრისით.

უმნიშვნელოვანესია ფიზიკური გარემო, რომელიც საწყის შთაბეჭდილებას უქმნის მოსწავლესა და მშობელს სკოლის შესახებ. მულტიკულტურული საკლასო ოთახი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც გარემო, სადაც ამაყობენ ქვეყნისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნებით. ის ხელს უწყობს მოსწავლეებში დადებითი თვითიმიჯის ჩამოყალიბებას მათი კულტურული მრავალფეროვნების მიუხედავად. შესაძლებელია გამოიყოს კლასში ფიზიკური გარემოს დაგეგმვისას გასათვალისწინებელი რამდენიმე ასპექტი:

- ✓ მრავალფეროვნება წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ცხოვრების ბუნებრივ და განუყოფელ მხარედ;
- ✓ უმცირესობათა წარმომადგენლები არ უნდა იყვნენ ორიენტირებულნი უმრავლესობის მხოლოდ „სანახაობით“ ელემენტებზე;
- ✓ კულტურული წარმომავლობის მიუხედავად ყველა მოსწავლე მშვიდად უნდა გრძნობდეს თავს კლასში;
- ✓ კლასში არსებული თვალსაჩინოებები, ფოტოები, ნახატები, ნიშნები და სხვა, უნდა ასახავდეს საზოგადოების მრავალფეროვნებას;
- ✓ თანაბრად უნდა იყოს უმრავლესობისა და უმცირესობის ცხოვრების ამსახველი თვალსაჩინოება, რათა მოსწავლეები დარწმუნდნენ რეალურ ყოველდღიურ ცხოვრებაში უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის არსებულ წონასწორობაში;
- ✓ თვალსაჩინოება უნდა ასახავდეს საზოგადოების (უმცირესობისა და უმრავლესობის) რეალურ ყოველდღიურ ცხოვრებას და არა მხოლოდ „სანახაობით“, გამორჩეულ დღესასწაულებს, რაც მოსწავლეებს დაეხმარება სტერეოტიპების დაძლევაში;
- ✓ კლასის გარემო უნდა წარმოადგენდეს და ხელს უწყობდეს დადებით როლურ მოდელებს და სხვ.

სახელმძღვანელოებისა და სხვა რესურსების შერჩევა ძალზე მნიშვნელოვანია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სიტყვები და გრაფიკა არა მხოლოდ გამოხატავს იდეებს, არამედ საგანმანათლებლო გამოცდილების ნაწილია, რომელიც აყალიბებს კიდეც იდეებს. მაგალითად, სახელმძღვანელოში უმცირესობათა რომელიმე ჯგუფის მიმართ წარმოჩენილი დამოკიდებულება გავლენას ახდენს მოსწავლეთა დამოკიდებულებასა და ღირებულებებზე იმავე ჯგუფისადმი. კეთილგანწყობილი ისტორიები დადებით დამოკიდებულებას აყალიბებს, არაკეთილგანწყობილი – უარყოფითს. მიკერძოებული დამოკიდებულების გამოხატვის რამდენიმე ფორმას შეიძლება შევხვდეთ სახელმძღვანელოებში – უზუსტობა, სტერეოტიპიზაცია,

გამოტოვება ან დამახინჯება და მიკერძოებული ენა. მიკერძოების გამოვლენის უნარი საკვანძო უნარია, რომელიც მოსწავლეებს კრიტიკულ მკითხველებად აყალიბებს. ეს უნარი უნდა განვითარდეს არა მხოლოდ სახელმძღვანელოებთან მიმართებაში, არამედ ინტერნეტთან, ვიდეოებთან და მედიის სხვა ფორმებთან მიმართებითაც. სასურველია, რომ მასწავლებელი არა მხოლოდ არსებულ სახელმძღვანელოებსა და რესურსებს დაეყრდნოს და მოსწავლეებს მრავალფეროვნების შესწავლის, კრიტიკული აზროვნების განვითარების, თანასწორობის ხელშეწყობის სხვა შესაძლებლობებიც/რესურსებიც შესთავაზოს.

საკლასო ოთახში ურთიერთობები ყალიბდება საკლასო ოთახში ქცევის შეთანხმებული წესების საფუძველზე, სადაც ხაზგასმულია, რომ წევრები ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობიან. ზოგჯერ მოსწავლეებს გარკვეულ დისკომფორტს უქმნის მრავალფეროვნება (მაგ., კანის ფერი, ფიზიკური მონაცემები, ენა, სახელი და ა.შ.) და მას არაბუნებრივ მოვლენად მიიჩნევენ. ამგვარ დამოკიდებულებას ხშირად აძლიერებს არასწორი წინასწარი შეხედულებები, რაც მოსწავლეთა უარყოფით რეაქციებს აძლიერებს და დაცინვის, ზედმეტსახელების, ლანძღვის ან აგრესიის ფორმას აძლევს. გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეებთან ურთიერთობისას მასწავლებლის უადგილო/გაუაზრებელმა რეპლიკამ გარკვეული ბიძგი მისცეს დისკრიმინაციას (მაგ., მასწავლებლის მიერ არასწორად წარმოთქმულმა მოსწავლის საკუთარმა სახელმა). მასწავლებელს ასევე შეიძლება გაუაზრებლად ჰქონდეს მოსაზრებები კულტურული არტეფაქტების ნორმალურობის შესახებ („ნორმალური“ სახლი, საკვები, ვარცხნილობის სტილი და სხვ.)

იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს მოსწავლეებისთვის უადგილო შეტყობინებების გადაცემა, მასწავლებელი აუცილებლად უნდა დაფიქრდეს საკლასო ოთახში საკუთარ მეტყველებასა და ურთიერთობების სტილზე.

კლასის ორგანიზების თანამშრომლობაზე აგებულ მოდელს დადებითი აკადემიური და სოციალური შედეგების მოტანა შეუძლია თითქმის ყველა მოსწავლისთვის. თანამშრომლობით სწავლა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მრავალი განსხვავებული კულტურული წარმომავლობის ადამიანთან ერთად იმუშაოს. ის ხშირი, შინაარსიანი და დადებითი ურთიერთობის კარგი ინსტრუმენტია, რომელშიც ჯგუფის სხვადასხვა წევრთა ცოდნისა და შესაძლებლობების მრავალფეროვნება თვალსაჩინო და აღიარებული ხდება. ამგვარი ინტერპერსონალური ურთიერთობა წარმატებული სწავლის გასაღები ხდება. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელ მოსწავლეებს შორის ურთიერთობა და მათი აკადემიური მიღწევები მნიშვნელოვნად უმჯობესდება, თუკი, საგნისა და სასწავლი შინაარსის მიუხედევად,

ვიყენებთ შერეული ჯგუფების თანამშრომლობითი სწავლის სტრატეგიებს. ეს მოსწავლეებს მულტიკულტურული კომპეტენციების განვითარებისთვის ნოყიერ ნიადაგს უქმნის.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ განსაზღვრონ ის ცოდნა და უნარები, რომელიც შეაძლებინებთ ჯგუფში კონსტრუქციულად მუშაობას. კერძოდ, ეს გულისხმობს:

- ისეთ სპეციფიკურ თანამშრომლობით ქცევას, როგორიცაა კითხვების დასმა, მოსმენა, გასაგებად საუბარი, მიზეზების ახსნა და სხვ.;
- ჯგუფური მუშაობის ისეთ სოციალურ ნორმებს, როგორიცაა წვლილის შეტანის მზადყოფნა, დაგეგმვის, შეფასების პროცესში ჩართვა, სხვადასხვა როლის შესრულება (ლიდერი, მონაცემთა ჩამწერი და სხვ.);
- კონფლიქტის გადაჭრისთვის საჭირო ისეთ სპეციფიკურ ცოდნასა და უნარებს, როგორიცაა განსხვავებულ შეხედულებათა მნიშვნელობის აღიარება, მოსაზრებათა კონფლიქტის დეპერსონალიზაცია, საერთო ინტერესების განსაზღვრა და საერთო სარგებლის მიღწევის შესაძლებლობების განსაზღვრა.

ჯგუფებისა და დავალებების ორგანიზების დროს უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა თავისებურებები, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა და არ გაჩნდეს „სხვის ხარჯზე საქმის კეთების“ საფრთხე. შესაძლოა ჯგუფს დასჭირდეს მასწავლებლის მხარდაჭერა მაქსიმალური თანამშრომლობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ინკლუზიური საკლასო გარემოს ხელშესაწყობად სასურველია თუ საკლასო ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს ყველა მოსწავლე იტვირთებს და არა მხოლოდ შერჩეული მცირე ჯგუფი. შესაძლებელია, ყველა მოსწავლემ მონაცვლეობით შეაგროვოს საშინაო დავალება, შეამოწმოს დასწრება, გაანაწილოს მასალები, მოაწესრიგოს ოთახი და ა.შ.

მრავალი კვლევით დადასტურებულია, მასწავლებლის მიერ სკოლაში/კლასში ახალგადმოსული მოსწავლის მხარდაჭერის აუცილებლობა. პოტენციურად მეტი რისკის ქვეშ არიან დაბალი შემოსავლების მქონე და უმცირესობათა კულტურის წარმომადგენელი ოჯახის წევრები. კვლევები ასევე ადასტურებს, რომ ნაკლებ სირთულეებს აწყდებიან ახალი მოსწავლეები იმ სკოლებში, რომლებსაც მოსწავლეთა ინტეგრაციის პროგრამები აქვთ შემუშავებული.

აქვე გთავაზობთ რამდენიმე სასარგებლო რჩევას, რომელიც დაგეხმარებათ ახალი მოსწავლის ინტეგრაციაში. ახალი მოსწავლე დადებითად გააცანით კლასს და ეცადეთ ყურადღება მის შესაძლებლობებზე გაამახვილოთ. მაგალითად, სასურველი იქნება გამოიყენოთ ფრაზა „საიდი თავისუფლად საუბრობს აზერბაიჯანულად, მაგრამ ცოტა ქართულიც იცის“

ნაცვლად ფრაზისა „საიდი ქართულად კარგად ვერ საუბრობს“. პირველ დღეებში ახალი მოსწავლისათვის მოიფიქრეთ სტრუქტურირებული შესაძლებლობები სხვა მოსწავლეებთან სამუშაოდ. თუკი მის მიერ ენის ცოდნა საშუალებას იძლევა დაგეგმეთ წყვილებში და ჯგუფურად სამუშაო აქტივობები. ამ თვალსაზრისით ხელსაყრელ გარემოს ქმნის ხელოვნებისა და მუსიკის გაკვეთილები, სადაც ენის ცოდნა არ ქმნის ურთიერთობის სირთულეებს. ეცადეთ საკლასო რუტინა მაქსიმალურად გასაგები გახადოთ ახალი მოსწავლისათვის. ეს გარკვეულ საფუძველს შეუქმნის მოსწავლეს სკოლის კულტურის გაცნობისთვის. მხარი დაუჭირეთ ყველა მოსწავლეს თვითონ შექმნან კლასში ინკლუზიური საზოგადოება – ერთად განსაზღვრეთ, როგორ და როდის გრძნობენ თავს კომფორტულად და როდის უჩნდებათ მიკუთვნებულობის განცდა. შესაძლოა ეს იმის წინაპირობა გახდეს, რომ მოსწავლეები თვითონ შეთანხმდნენ ურთიერთინკლუზიის სტრატეგიებზე.

ენა მოსწავლის იდენტობის საკვანძო კომპონენტია და ცენტრალურ როლს თამაშობს სწავლება–სწავლის პროცესში. საკუთარი ენის უფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს და უზრუნველყოფს ძლიერი დადებითი თვითშეფასების განვითარებას. როგორც წესი, კომპლექსური აზროვნება მოსწავლეებს მშობლიურ ენაზე უადვილდებათ. სწორედ ეთიკური და საგანმანათლებლო მიზნით მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის მშობლიური ენა აღიარებული და დაფასებული იყოს სკოლის კონტექსტში. ასევე მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მეორე ენის შესწავლას.

მულტილინგვურ გარემოში სწავლა დადებით გამოცდილებად უნდა მივიჩნიოთ ყველა მოსწავლისათვის – ის ხაზს უსვამს სამყაროს ენობრივ მრავალფეროვნებას და მნიშვნელოვან რესურსს გვთავაზობს ყველა მოსწავლის მულტიკულტურული უნარების განვითარებისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. საქართველოს მთავრობის განკარგულება №1740, 2015 წლის 17 აგვისტო, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ Retrieved 14 May, 2017 from
2. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები თანაცხოვრება კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებაში, ევროპის საბჭო, 2017.
3. ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში (ტ. III)
4. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, მუხლი 26.2.

5. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა Retrieved 10 December, 2017 from http://smr.gov.ge/Uploads/20152020__b9886b45.pdf
6. WHAT IS IDENTITY (AS WE NOW USE THE WORD)? James D. Fearon Department of Political Science Stanford University Stanford, CA 94305 email: jfearon@stanford.edu
7. James A. Banks, An introduction to Multicultural Education, 5th ed., Pearson, 2014
8. James A. Banks & Cherry A. McGee Banks, Multicultural Education: Issues and Perspectives, 7th Ed., Wiley, 2010
9. Intercultural Education in Post-Primary School, Guidelines for Schools, 2006, http://www.ncca.ie/uploadedfiles/publications/Interc%20Guide_Eng.pdf
10. Intercultural Education in Post-Primary School, Guidelines for Schools, 2006, http://www.ncca.ie/uploadedfiles/publications/Interc%20Guide_Eng.pdf
11. Jerome Bruner, The Process of Education. 2003, Harvard University Press.

## IV. მედიაწიგნიერება და დემოკრატია

თამარ ტალიაშვილი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### 1. მედია დემოკრატიულ საზოგადოებაში: რაციონალური და ამოცანები

#### 1.1.მედიაწიგნიერების უნარის განვითარება

მედიაწიგნიერება არის პასუხი ციფრული საუკუნის გამოწვევებზე. მედიაწიგნიერება გულისხმობს ინფორმაციაზე კონტროლის დამყარებას. რაც უფრო მაღალია ადამიანის მედიაწიგნიერების ხარისხი, მით უფრო დიდია რეალურ სამყაროსა და მედიის მიერ შექმნილ სამყაროს შორის არსებული საზღვრის დანახვის უნარი. როდესაც ადამიანი მედიაწიგნიერია, ეს მას ეხმარება, სწორად გაიკვალოს გზა ინფორმაციის სამყაროში. მედიაწიგნიერი ადამიანი იძენს გამოცდილებას და იმ ინფორმაციას, რომელიც მისთვის სასარგებლოა; ხოლო მისთვის საზიანო ან ზედმეტ ინფორმაციას თავს არიდებს. მედიაწიგნიერი ადამიანი არ ექცევა ინფორმაციის წნეხში და არ აძლევს მედიას საშუალება, დააპროგრამოს მისი გონება და მისი დღის წესრიგი.

მედიაწიგნიერების უნარის განვითარება გულისხმობს კონკრეტული ამოცანების შესრულებას. კერძოდ, გონებრივი პროცესების კოდირების კონტროლს, რაც ინფორმაციული ინდუსტრიის ეპოქაში აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ არ მოხდეს მედიასაშუალებებით ადამიანებით

მანიპულირება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მედიაწიგნიერების უნარის დახმარებით ადამიანმა უნდა შეძლოს გზავნილის გაფილტვრა, მნიშვნელობის მისადაგება და მნიშვნელობის აგება.

1. გაფილტვრის პროცესში პერიოდულად უნდა შევამოწმოთ მედიაშეხებასთან დაკავშირებული ჩვევები და საკუთარ თავს ვკითხოთ, თუ რატომ ვუთმობთ დროს ამა თუ იმ კონკრეტულ მედიას და მესიჯებს, ხოლო სხვებს ვუგულებელვყოფთ. თუ გვაქვს კარგად დასაბუთებული მოსაზრება ჩვენი ჩვევების შესახებ, მაშინ მიზნის მიღწევაში გაფილტვრა გვეხმარება.

2. მნიშვნელობის მისადაგების პროცესში, პერიოდულად უნდა გადავამოწმოთ დამახსოვრებული მნიშვნელობები, რადგან იმ შემთხვევაში, თუ მექანიკურად ვიმახსოვრებთ და ვქმნით მნიშვნელობებს ე.წ. ექსპერტებისგან (როგორიცა ახალი ამბების წამყვანი, გავლენიანი პოლიტიკური მიმომხილველი, კრიტიკოსი-კულტუროლოგი და სხვ.), ხოლო მათი შეხედულება მოძველებულია ან მცდარი, შესაბამისად, ჩვენ მცდარ აზრს ვიზიარებთ. შესაძლებელია, ექპერტთა შეხედულება არ დაგვიმახსოვრებია და შევქმენით საკუთარი მოსაზრება, რომელიც ჩვენ პირად შეხედულებებსა და გამოცდილებას უკეთ შეესაბამება, მაგრამ დამახსოვრებული მნიშვნელობების დიდი უმრავლესობა მოძველებულ ელემენტებს შეიცავს. ამ შემთხვევაშიც, თუ მცდარ ინფორმაციას „გონებრივი ლექსიკონიდან" არ წავშლით და ავტომატურად განვაგრძობთ მის გამოყენებას, ჩვენს მიზნებს დავშორდებით.

3. მნიშვნელობის აგებისას უნდა დავადგინოთ, უბრალოდ ვიღებთ ინფორმაციას, თუ გარდაქმნით მას ჩვენ საჭიროებებსა და მიზნებზე მოსარგებად. თუ მედიაგზავნილებისაგან ვიღებთ ზედაპირულ მნიშვნელობას და არ ვქმნით საკუთარ მნიშვნელობას, მაშინ შესაძლოა უარყოფითი შედეგების საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთ, რადგან ზოგიერთი შედეგი იმდენად ღრმაა, რომ შეუძლია შეცვალოს ჩვენი შეხედულება რეალობაზე, სიმართლესა და საკუთარ თავზე.

პრობლემის უგულებელყოფა დაუშვებელია, რადგან გზავნილები აგრესიულად იპყრობენ ჩვენს ქვეცნობიერს და გავლენას ახდენენ, როგორც აზროვნებაზე, ასევე ჩვენს ღირებულებებზე, მედიაგზავნილების მნიშვნელობა ყოველთვის ისეთი არ არის, როგორიც ეს ზედაპირულად ჩანს. პირიქით, ყოველთვის არსებობს მნიშვნელობის რამდენიმე შრე. რაც უფრო მეტი ვიცით გზავნილში მნიშვნელობების შრეების შესახებ, მით უფრო მეტად გავაკონტროლებთ კონკრეტულ მნიშვნელობასთან დაკავშირებულ არჩევანს. გზავნილებთან მუდმივი შეხება გავლენას ახდენს ჩვენს შეხედულებებზე დანაშაულის, განათლების, რელიგიის, ოჯახისა და, ზოგადად, სამყაროს შესახებ. ის,ვინც უკეთესად ამუშავებს ინფორმაციას სხვებთან შედარებით, მეტად მედიაწიგნიერია.

## 1.2. მედიაკულტურის როლი დემოკრატიის განვითარებაში

საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება ახალგაზრდებისთვის, რიგითი მოქალაქეებისთვის. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც განათლების, დემოკრატიული თვითგამოხატვის და სოციალური პროგრესის ხელშემწყობი საშუალება. ტექნოლოგიებს შეუძლია დახმარება მონაწილეობითი დემოკრატიის განვითარებაში, ასევე, შეუძლია, ტრანსფორმირდეს პოლიტიკის მედიასათვალედ და იმიჯების ბრძოლის ასპარეზად. ტექნოლოგიებმა შეიძლება ადამიანი გულშემატკივრიდან პასიურ მომხმარებლად აქციოს, ან პირიქით, დაეხმაროს მას დემოკრატიულ დებატებში აქტიური მონაწილეობის კუთხით. (kellner, 1995).

როგორც აღვნიშნეთ, კრიტიკული მედიაწიგნიერების სწავლება მონაწილეობითი უნდა იყოს. სატელევიზიო შოუების და ფილმების ერთად ყურებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს დისკუსიებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების (ან მშობლებისა და შვილების) მონაწილეობით. ამგვარი დისკუსიების შედეგად გამოიკვეთება სტუდენტების შეხედულებები, მედიაპროდუქტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია, შეიძლება საჭირო გახდეს ჰერმენევტიკისა და კრიტიკის მთავარი პრინციპების სწავლება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგჯერ მოსწავლეები თავიანთ მასწავლებლებზე უფრო გათვითცნობიერებული არიან მედიის საკითხებში. მათ მეტი შეხება აქვთ მედიაპროდუქტებთან, ვიდრე მასწავლებლები. ასე რომ, მოსწავლეებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ საგანმანათლებლო პროცესში საკუთარი იდეების, აღქმების და გამჭრიახობის გაზიარებით.

მედიაკულტურა წარმოადგენს მოსწავლეების იდენტობის ნაწილს, ყველაზე ძლიერ კულტურულ გამოცდილებას. ამიტომ მასწავლებლები ფრთხილად უნდა იყვნენ იმ არტეფაქტებისა და აღქმების გაკრიტიკებისას, რითიც მოსწავლეები არიან გატაცებულნი; ამასთანავე, უნდა განვითარდეს განსხვავებულისადმი კრიტიკული დამოკიდებულების პატივისცემა (Luke,1997). ამასთან ერთად არ უნდ დაგვავიწყდეს , რომ მედიაკულტურას ასევე შეუძლია წინ წამოსწიოს მიუღებელი ან საეჭვო ღირებულებების მქონე შეხედულებები და მოახდინოს საზოგადოების დეზინფორმაცია.

აქედან გამომდინარე, დღეს აქტუალური ხდება კრიტიკული მედიაწიგნიერების სწავლება, რომელიც მიზნად ისახავს, მოსწავლეებს ვასწავლოთ თუ როგორ უზრუნველყოფს მედიაკულტურა მნიშვნელოვან მტკიცებულებებს, როგორ განჭვრეტს სოციალურ სამყაროს, არსებულ ხედვებს გენდერის, რასის, კლასის თუ კომპლექსური ესთეტიკური სტრუქტურების და გამოცდილების შესახებ. ამგვარად, მედიაწიგნიერებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს

განათლებაში. მედიაკულტურის კომპლექსურობა და მედიაგანათლების სხვადასხვა შესაძლებლობა მედიის საგანმანათლებლო სპეციალისტებისგან მოითხოვს მედიისადმი დიალექტიკური მიდგომის ხელშეწყობას.

მედია და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საუკეთესო საშუალებაა იმ იდეების გასაჟღერებლად, რომლებიც მარგინალური ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანია. შესაძლოა, ეს იდეები არ იყოს სათანადოდ წარმოდგენილი ძირითად მედიაში.

კრიტიკული მედიაწიგნიერება დომინანტური ჯგუფის წევრებს შესაძლებლობას აძლევს, იმ სოციალურ რეალობებს შეეხონ, რასაც მსოფლიო განიცდის და გაიგონ იმ ურთიერთკავშირების შესახებ, რომლებიც გლობალურ ქსელებში ჩართულ საზოგადოებას აერთიანებს. კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიები ძლიერი იარაღია, რომელსაც გათავისუფლებაც შეუძლია და ბატონობაც, მანიპულირებაც და სააშკარაოზე გამოტანაც. აუცილებელია, რომ სპეციალისტებმა სტუდენტებს ასწავლონ, თუ როგორ გამოიყენონ და კრიტიკულად როგორ გააანალიზონ ინფორმაციული ეპოქის ახალი საშუალებები (Kellner, 2004). მედიაგანათლების სხვადასხვა მიდგომა უცვლელ პედაგოგიურ მოდელებს არ წარმოადგენს. მედიაწიგნიერების განმარტებებიდან სპეციალისტები საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით აყალიბებენ თავიანთ მიზნებსა და სტრატეგიებს. ეს არის წარმატებული მედიაპედაგოგიკა. ალან ლუკი და პიტერ ფრიბოდი წიგნიერების დინამიკურ გაგებას ავითარებენ. მათი აზრით, მედიაწიგნიერებისთვის კრიტიკული აზროვნება ერთ-ერთი აუცილებელი კომპეტენციაა (AlanLuke, Peter Freebody, 1997). წიგნიერების სოციოლოგიური ჩარჩო, რომელიც უამრავ გამოცდილებას მოიცავს, კარგად ერგება კრიტიკული მედიაგანათლების მრავალპერსპექტიულ მიდგომას. ლუკი და ფრიბოდი წერენ, რომ ეფექტური წიგნიერება სტუდენტს სთავაზობს ოთხ მთავარ როლს: „დაარღვიოს კოდექსი... მონაწილეობა მიიღოს გაგებასა და შეთხზვაში... ფუნქციურად გამოიყენოს ტექსტები... კრიტიკულად გააანალიზოს და გარდაქმნას ტექსტები, თუ ისინი ბუნებრივი ან იდეოლოგიურად ნეიტრალურია“ (Luke and Freebody, 1999).

ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT) ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში კრიტიკული მონაწილეობის უზარმაზარი პოტენციალი აქვს. თუმცა, ახალი ტექნოლოგიები არ წარმოადგენს დიდ პანაცეას, მაგრამ ზოგიერთი - მეცნიერ შერი ტურკლის მსგავსად - სწორედ ამგვარად ფიქრობს (Sherry Turkle, 1997). არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, ახალგაზრდებთან კლასგარეშე მუშაობის შემდეგ, როცა სტუდენტებმა საკუთარი სათემო გაზეთი წარმოადგინეს, ელენ სეიტერმა (Ellen Seiter) აღმოაჩინა, რომ ინტერნეტი გარკვეულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებისთვის უფრო ხელშემშლელი ინსტრუმენტი იყო,

ვიდრე სასარგებლო. სეიტერი ამ მოვლენას ასე ხსნის: ბავშვები ტექნოლოგიას სწავლობენ იმის შემდეგ, რაც „ის მთლიანად დაიპყრო გასართობმა ინდუსტრიამ“ (2004, გვ.103). ის წერს: „ვებგვერდების მასობრივი კომერციალიზაცია და მათი მიზანმიმართული შეტევა დაწყებითი კლასის ბავშვებზე ართულებს ინტერნეტის ინტელექტუალურ გამოყენებას სასკოლო გარემოში“ (გვ. 105). იგივე პრობლემა არსებობს ოჯახშიც. მედიის უმეტესობა შესანიშნავად ირგებს გასართობი ინდუსტრიისა და ინფორმაციის წყაროს ჰეგემონის როლს. ეს ჰეგემონობა, როგორც წესი, აფერხებს მედიასთან ჩვენი ურთიერთობის კრიტიკულ ანალიზს. ქოლდრი მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ ამის გამოც იმატებს სოციალური უთანასწორობის დონე. იგულისხმება უთანასწორობა იმათ შორის, ვისაც უფრო მეტი ან ნაკლები წვდომა აქვს მედიის სიმბოლურ ძალაუფლებასთან“ვინაიდან სტუდენტები თავად ქმნიან საკუთარ მედიაპროდუქტებს, მათ შეუძლიათ ძირი გამოუთხარონ ზრდასრულთა საავტორო ძალაუფლებას და წარმოადგინონ საკუთარი თავი, როგორც ახალი მედიაგზავნილების საკუთარი პერსპექტივებიდან შემქმნელებმა. ამ კონცეფციის მიხედვით, კრიტიკული მედიაწიგნიერება დაკავშირებულია რადიკალური დემოკრატიის პროექტთან და მოიცავს განვითარებად უნარებს, რაც დემოკრატიზაციის პროცესში ზრდის სამოქალაქო ჩართულობას.

მედიაგანათლების სხვადასხვა მიდგომის გააზრება მნიშვნელოვანია, რადგან მიზნების შესაბამისად სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებაა საჭირო .ასევე, აუცილებელია გარკვეული შეზღუდვების აღიარება. მედიაწიგნიერების სწავლების უნარი ნიშნავს, შეგეძლოს მედიაწიგნიერების ძირითადი კონცეფციების გაგება. მედიაწიგნიერების მთავარი კონცეფციები ყველაზე მეტად მაშინ შეესაბამება პროგრესულ და ტრანსფორმაციულ განათლებას, როცა ისინი კრიტიკული პედაგოგიკის მიდგომებით ისწავლება. ეს მიდგომები თანხვდება ისეთი პროგრესული განმანათლებლების იდეებს, როგორებიც არიან ჯონ დიუი და პაულო ფრეიერი (John Dewey and Paulo Freire).).

### 1.3. კრიტიკული მედიაწიგნიერება, როგორც კრიტიკული პედაგოგიკის მიმართულება

დიუი განათლებას ხედავს, როგორც ევოლუციური პროცესის აუცილებელ ნაწილს, რომელიც საჭიროა სოციალური განვითარებისთვის და ადამიანის გადარჩენისთვის. დიუი განათლების მიზანს დამხმარე საშუალებად არ განიხილავს; მისი აზრით, განათლება მიზნად ისახავს, დაეხმაროს კაცობრიობას, რათა მან სოციალურად სამართლიანი დემოკრატია განავითაროს. დიუი წერს, რომ „დემოკრატია იმაზე მეტია, ვიდრე მმართველობის ფორმა; პირველ რიგში, ეს არის ასოცირებული თანაცხოვრების მდგომარეობა და გამოცდილების გაზიარება“ (გვ.87). იგი აქცენტს აკეთებს საჯარო განათლებაზე, როგორც ტრანსფორმაციის

საშუალებაზე. „სასურველია ტრანსფორმაციის ფორმალურად განსაზღვრა. ამ ტიპის ტრანსფორმაციის დროს თითოეული ადამიანი ისეთი საქმიანობითაა დაკავებული, რომელიც სხვების ცხოვრებას აუმჯობესებს; შესაბამისად, ასეთი საქმიანობა ადამიანებს აკავშირებს, აახლოებს და მათ შორის დისტანციურ ბარიერებს ამსხვრევს“ (გვ. 316). ტრანსფორმაციული განათლების ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია კრიტიკული პედაგოგიკა. ემპათია და თანაგრძნობა ეხმარება მოსწავლეებს, გაიგონ, როგორ ამყარებს ხალხი ერთმანეთთან კავშირს დომინაციისა და სუბორდინაციის სისტემის მეშვეობით. დემოკრატიის პროგრესული მიზნები პრაქტიკული ხდება სწავლებისადმი დიუის პრაგმატული მიდგომით, რომელიც გამოცდილებას ეფუძნება. ის ამტკიცებს, რომ „ყოველი გამოცდილება მამოძრავებელი ძალაა. მისი ღირებულება შეიძლება შეფასდეს მხოლოდ იმაზე დაყრდნობით,თუ საით და რა გარემოსკენ გვამოძრავებს“(1938/1963, გვ.38). დიუი პროგრესულ განათლებას ხედავს, როგორც დაუსრულებელ სპირალს, სადაც მასწავლებლები მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობას უღვივებენ ისეთი სასწავლო აქტივობების გამოყენებით,რომლებიც მოსწავლეებისგან მოითხოვს კვლევას, ექსპერტიმენტების ჩატარებას. კვლევის პროცესში გაჩენილი ყოველი ახალი შეკითხვა განაპირობებს სპირალის ახალ წრეზე გადასვლას. დიუი გვიხსნის: „თუ მოცემული გამოცდილება მანამდე უცნობ სფეროსთან არ მიგვიყვანს, არავითარი პრობლემა წინ არ წამოიწევს. პრობლემები კი აზროვნების სტიმულია. ახლანდელ გამოცდილებაში გამოვლენილი გარემოებები გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც პრობლემების წყარო; ეს არის ის მახასიათებელი, რომელიც გამოცდილებაზე დაფუძნებულ განათლებას ტრადიციული განათლებისგან განასხვავებს“ (გვ.79). დიუი ერთმანეთისგან მიჯნავს პროგრესულ და ტრადიციულ განათლებას. ტრადიციული განათლების მიზანია ფაქტების სოციალური შესაბამისობის დადგენა და გადაცემა. დიუის პრაგმატული მიდგომა ერთმანეთთან აკავშირებს თეორიასა და პრაქტიკას; და მოსწავლეებისგანაც ითხოვს, აზრი მოქმედებასთან დააკავშირონ. დიუი გვთავაზობს უამრავ რჩევას განათლების შესახებ, რასაც დღესაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მედიაწიგნიერება ტრანსფორმაციული რომ იყოს, მისი შესწავლა უნდა მოხდეს კრიტიკული პედაგოგიკის საშუალებით, რომელიც, პირველ რიგში, დიუის პროგრესულ განათლებას ეფუძნება. ის წერს: „ცოდნა თვისებრივად ჰუმანისტურია. იმიტომ კი არა, რომ ის ადამიანმა შექმნა წარსულში, არამედ იმის გამო, რაც მან ადამიანის აზროვნებისთვის და მისი თავისუფლებისთვის გააკეთა. ნებისმიერი საგანი, რომელიც ამ შედეგს აღწევს, ჰუმანურია და ნებისმიერი საგანი, რომელიც ამას ვერ აღწევს, საგანმანათლებლო ვერ იქნება“ (Dewey 1916/1997, გვ.230).

კრიტიკული პედაგოგიკის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე ბრაზილიელ განმანათლებელს პაულო ფრეიერს. დარდერი წერს: „ბევრი ვინმე ფრეიერს კრიტიკული პედაგოგიკისა და პრაქტიკის განვითარებაში გავლენიან განმანათლებელ ფილოსოფოსად მიიჩნევს“ (Darder at al. 2003, გვ.5).

ფრეიერიც და დიუიც კრიტიკულად არიან განწყობილი უკვე ჩამოყალიბებული განათლების სისტემის მიმართ, მხარს უჭერენ პროგრესულ სოციალურ ცვლილებას და თეორიის და პრაქტიკის ერთიანობის სჯერათ. თუმცა, დიუის ლიბერალური რეფორმა ნაკლებად რადიკალურია, ვიდრე ფრეიერის რევოლუციური პედაგოგიკა, რომელიც ჩაგვრისგან გათავისუფლებას ეფუძნება. იმ დროს, როცა დიუი დუალიზმს უპირისპირდება, ფრეიერის დიალექტიკური პერსპექტივები თავისუფლებას განსაზღვრავს, როგორც ჩაგვრასთან დაპირისპირებას. ფრეიერი წერს: „დიალექტიკური აზროვნებით სამყარო და ქმედება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან“ (გვ.38). ფრეიერისთვის განმათავისუფლებელი პედაგოგიკა მოიცავს მოძრაობის პროცესს ისტორიულ ობიექტად ყოფნიდან იმ სუბიექტად ყოფნამდე, რომელიც საკუთარ მდგომარეობას კრიტიკულად აფასებს. დაჩაგრულები ხშირად ვერ ხედავენ საკუთარ ჩაგვრას, როცა მათ მჩაგვრელის მითების სჯერათ და თავს იდანაშაულებენ. ფრეიერი ხსნის, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები სუბიექტებს წარმოადგენენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ რეალობას გამოააშკარავებენ და, მაშასადამე, კრიტიკულად შეისწავლიან მას, არამედ ისინი ამ ცოდნას თავიდან ქმნიან: როგორც კი მასწავლებლები და მოსწავლეები ამ ცოდნას შემეცნებითა და ქმედებით აღმოაჩენენ, ისინი თავს მის უწყვეტად ხელახლა შემქმნელებად გრძნობენ.

მედიის, როგორც ჰეგემონიისა და ჩაგვრის შემნარჩუნებლის გაგებამ, ფრეიერი იმ აზრამდე მიიყვანა, რომ საჭიროა პრობლემაზე ორიენტირებულმა განათლებამ ეს მითები მოსწავლეებს წარუდგინოს, როგორც პრობლემები, რომლებიც უნდა გამოაშკარავდეს დიალოგის გზით. ის წერს: „მე ვასწავლი არა თავად მედიას, არამედ მისი გამოყენების გზებს“. კრიტიკულ მედიაწიგნიერებას შეუძლია, მოსწავლეებს დაეხმაროს მითების რღვევასა და ჰეგემონიასთან დაპირისპირებული მედიის შექმნაში. ასე მოსწავლეები ხდებიან სუბიექტები და განიხილავენ მსოფლიოს. კრიტიკული მედიაწიგნიერების მიზანია, განსაზღვროს, როგორ ფუნქციონირებს იდეოლოგია, რომელიც კომპლექსური და უხილავია. რობერტ ფერგიუსონი წერს: „იდეოლოგია პირდაპირ არ ჩანს, მაგრამ იდეოლოგიის ზემოქმედების გამოცდილება არსებობს და შეიძლება მისი გაგება“ (Robert Ferguson, 1998). იდეოლოგია მხედველობაში არ იღებს სოციალურ და ისტორიულ საფუძვლებს. იმას, რასაც ვერ ვხედავთ, იშვიათად ვიკვლევთ. მაშასადამე, პროგრესულმა განმანათლებლებმა უნდა უხელმძღვანელონ მოსწავლეებს, დასვან კრიტიკული

კითხვები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება სტრუქტურების, ისტორიის და სოციალური კონტექსტის გამოვლენაში. ეს კონტექსტი ძალიან ხშირად მიჩქმალულია იდეოლოგიური წნეხის ქვეშ. ფერგიუსონი ამტკიცებს: „იდეოლოგიასთან ურთიერთობა არ არის ფსიქოლოგიური ან მორალური ხასიათისა. მას აქვს გარკვეული სტრუქტურა, რადგან ადამიანი კონკრეტული გზებით იღებს ცოდნას და ეს ცოდნა დაცულია“ (Ferguson 1998, გვ.44). „ცოდნის თეორია“ ჩაგვრის ყველა ფორმას უყურებს, როგორც საწყის წერტილს და გვთავაზობს კრიტიკული მედიაწიგნიერების პროექტის განხორციელების მნიშვნელოვან სტრატეგიას. როცა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება იწყება დაქვემდებარებული ჯგუფების პერსპექტივიდან, ამ კუთხიდან დანახული პრობლემები, სავარაუდოდ, უფრო გაზრდის ძალაუფლებისა და ჩაგვრის საკითხების განხილვის მოტივაციას.

ცოდნის თეორიები გვთავაზობს ჩაგვრის ქვემოდან ზემოთ შესწავლის მეთოდოლოგიას. ის განათლებისთვის პოლიტიკურ ბრძოლასა და სოციალურ ცვლილებაში ალტერნატიული ჩარჩოს შემოტანის საშუალებას იძლევა ქალებისთვის, , ღარიბებისა და ნებისმიერი ჩაგრული ადამიანისთვის. შესწავლის დროს აუცილებელია ჰეგემონური „შავი ხვრელის“ გამოვლენა, ზემოდან - ქვემოთ კვლევისა და მედიის შებრუნებისთვის, რადგან ეს ხვრელები სუბიექტებს ნივთად წარმოაჩენს. კრიტიკული პედაგოგიკა ასევე სწავლობს მარგინალიზებულ მოსწავლეებს, კერძოდ, მოსწავლეები თავად ახდენენ საკუთარი თავის შესწავლას კრიტიკული კვლევით და სოციალური ქმედებით. კრიტიკულ მედიაწიგნიერებას, რომელიც კრიტიკულ პედაგოგიკას აერთიანებს - ცოდნის სხვა თეორიებთან ერთად - შეუძლია მარგინალიზებულ სტუდენტებს დაეხმაროს ჩაგვრის სტრუქტურის დანახვაში, ჰეგემონიის როლის გაანალიზებასა და სუბიექტებად გახდომაში, რათა მათ შეძლონ საკუთარი აზრის გამოხატვა, რასიზმთან, სექსიზმთან და ჩაგვრის ყველა ფორმასთან დაპირისპირება. ალტერნატიული მედიის შექმნა და გამოხატვა მნიშვნელოვანია იმ ადამიანთათვის, რომელთაც იშვიათად ჰქონიათ საკუთარ თავზე საუბრის შესაძლებლობა. მაგრამ, კრიტიკული ანალიზის გარეშე, ეს საკმარისი არ არის. კრიტიკული ანალიზის საშუალებით ხდება ჩაგვრის სტრუქტურების კვლევა და მხილება. ნებისმიერმა მარგინალიზებულმა  ადამიანების ჯგუფმა შეიძლება მოიპოვოს გამოხატვის უფლება, მაგრამ, კრიტიკული ანალიზის გარეშე, ამ ტიპის ჯგუფები ვერ შეძლებენ სადისკუსიო სივრცის მოპოვებას. სივრცის გახსნა ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას უნდა ემსახურებოდეს. ამ ბრძოლაში კი დაქვემდებარებულ პოზიციებზე მყოფი ადამიანების ერთობლივ ქმედებას დიდი შესაძლებლობა აქვს. მათ საშუალება მიეცემათ, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება და შექმნან საკუთარი ალტერნატიული აზრი. როდესაც მედიაზე დაკვირვების საწყისი ზემოდან -

ქვემოთ ფორმა იცვლება ქვემოდან - ზემოთ დაკვირვების ფორმით, კრიტიკული ცნობიერების ჩამოყალიბების პოტენციალი განუზომლად იზრდება. ამ მიდგომის დანერგვას ჰეგემონიასთან დაპირისპირება და ჩაგრულთა პრობლემების გამოაშკარავება შეუძლია. საბოლოო ჯამში კი, უკეთ ჩანს დომინანტი ინსტიტუციები და სისტემები. ჯგუფური დისკუსიების, კრიტიკული ანალიზისა და პოლიტიკური ბრძოლის მეშვეობით, საკლასო ოთახები შესაძლებელია იქცეს პედაგოგიური კვლევის ლაბორატორიად და არა, უბრალოდ, სოციალური რეპროდუქციის სფეროდ. მარგინალიზებულ ხმებს დომინანტური დისკურსის შეცვლის უზარმაზარი პოტენციალი აქვს, რადგან შესაძლებელი ხდება ინფორმაციისა და ცოდნის გამოცალკევება ძალაუფლებისგან.

მიშელ ფუკოლტი წერს: „არ არსებობს ძალებს შორის ურთიერთობა ცოდნასთან კორელაციის გარეშე. არც ისეთი ცოდნა არსებობს, რომელიც არ მოიცავს ძალთა შორის ურთიერთობას“ (Michel Foukolt, 1995, გვ. 27). როდესაც ხალხი საკუთარი სურვილით, შიშითა და ცრუ შეხედულებებით აგებს იდეებს კონკრეტულ სოციალურ და ისტორიულ კონტექსტში, შეუძლებელია არსებობდეს ობიექტური თუ ნეიტრალური ინფორმაცია ან ცოდნა. ჰარდინგი წერს: „რაც უფრო ნეიტრალური ღირებულება აქვს კონცეპტუალურ ჩარჩოს, მით უფრო მოსალოდნელია დომინანტური ჯგუფის ჰეგემონიური იდეების განვითარება და ნაკლებად სავარაუდოა რეალობის დამარცხება“ (Harding, 2004, გვ.6). ჰეგემონიისადმი წინააღმდეგობის გაწევის სტრატეგია ფარდას ხდის მის შინაარსსა და მიკერძოებულობას. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება სტიმულს აძლევს მოსწავლეებს, ერთობლივად განიხილონ პრობლემები და შემდეგ გადაჭრან ისინი. ფრეიერი წერს: „თანამშრომლობა დიალოგში მყოფ სუბიექტებს ყურადღებას ამახვილებინებს რეალობაზე, შედეგი კი ძირითადად რეალობაზე ზემოქმედება და მისი ტრანსფორმაციაა“ (Freire, 1970, გვ168). ჯეინ ფლაქსის აზრით, ფემინიზმის გაძლიერებასთან ერთად, „რეალობა“ გამოჩნდება გაცილებით უფრო მერყევი, კომპლექსური და მოუწესრიგებელი, ვიდრე ახლა ჩანს“ (Jane Flax, 1997, გვ.178). როდესაც სინამდვილეს პრობლემურად მივიჩნევთ და ამბებს მარგინალიზებულთა პოზიციებიდან შევხედავთ, ამ დროს ხდება ჰეგემონიის დემისტიფიკაცია და ალტერნატიული „ცოდნის“ შეთავაზება. როცა მიზანი სოციალური ტრანსფორმაციაა, მოსწავლეებმა კვლევა მარგინალური ჯგუფების პოზიციებიდან უნდა დაიწყონ და შემდეგ ეს პოზიცია განიხილონ, როგორც კოლექტიური პოლიტიკური ბრძოლის პროცესის ნაწილი. შეიძლება ძალიან რადიკალურად ჟღერს საჯარო განათლებისთვის, მაგრამ ეს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მთავარი პრინციპია.

დემოკრატია და თავისუფლება წიგნიერების ისეთ ფორმას მოითხოვს, რომელიც წერა-კითხვის უნარს სცილდება. ჰენრი გიროქსი წერს: „განათლებული ადამიანი არ ნიშნავს

თავისუფალს. თავისუფლება ნიშნავს, რომ მუდმივად მოქმედებდე და იბრძოდე ადამიანისთვის, ისტორიისთვის და უკეთესი მომავლისთვის“ (Henry Giroux, 1987, გვ.11). ასე რომ, კრიტიკულ პედაგოგიკას დიდი შესაძლებლობები აქვს სოციალური სამართლიანობისთვის პოლიტიკურ ბრძოლაში. განმანათლებლებმა კვლევის პროცესი უნდა დაიწყონ დაქვემდებარებულების ხმის მოსმენით, შემდეგ თავიანთ მოსწავლეებს უნდა წარუძღვნენ, რათა მათ კარგად შეიმეცნონ ჩაგვრის ის სისტემები, რომლებიც ჰეგემონიას უკვდავყოფენ.

კრიტიკული პედაგოგიკის დახმარებით მოსწავლეები შეძლებენ გახდნენ ცვლილების აგენტები, რომლებსაც შეუძლიათ მჩაგვრელი იდეოლოგიების ხელახლა „გადაწერა“, შეცდომებისა და სიმახინჯეების გასწორება. მათ შეუძლიათ დაუპირისპირდნენ სტრუქტურებს და ინსტიტუციებს, რომლებიც იერარქიულ პრივილეგიებს ინარჩუნებენ. ჰეგემონიის ძალა ისაა, რომ მცდარ დაშვებებს არის ამოფარებული. ძლიერი სუბიექტების ფონზე ეს რთული ან შეუძლებელიც კი ხდება. მნიშვნელოვანია შეთანხმება, რომ მედია გამჭვირვალე არ არის და არც არასდროს ყოფილა. სწორედ ამიტომ, როცა მედია მსოფლიოს გამჭვირვალე სარკმლადაა მიჩნეული, ჰეგემონიას სერიოზული ძალაუფლება აქვს. მაშასადამე, სწორედ ეს არატრანსფარენტულობა ადასტურებს იმ მოცემულობას, რომ - „მედიის ყველა გზავნილი აგებულია“ - იმიტომ, რომ აგების პრინციპებზე შესაბამისი არჩევანი გაკეთდა; არადა, შესაძლებელია, რომ არჩევანი სულ სხვანაირიც ყოფილიყო. ერთხელაც, შესაძლოა, მედიის გზავნილი შეიცვალოს, ოღონდ მაშინ, როცა ხალხი ჰეგემონიის სტრუქტურებს შეიმეცნებს. თუ მოსწავლეები ისწავლიან მედიის გზავნილების დეკონსტრუირებას და მათ შექმნას კრიტიკული მედიაწიგნიერების ჩარჩოს შესაბამისად, მეტი შესაძლებლობა ჩნდება, რომ მოსწავლეებმა აღიარონ ჰეგემონური მითები, გააიაზრონ ამ მითებით გამოწვეული ჩაგვრა და გახდნენ სოლიდარულები მათ მიმართ, ვინც საკუთარი უფლებებისთვის იბრძვის. რობერტ ფერგიუსონის აზრით, მედიაწიგნიერების მიზანია ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებების გაგება, რათა შეიქმნას კრიტიკული სოლიდარობა (Robert Ferguson, 2001). ფერგიუსონი თვლის, რომ მედიასთან ჩვენი ურთიერთობა ავტონომიური არ არის, ის სოციალურ კონტექსტზეა დამოკიდებული. პოზიციის დაკავებას კი ფერგიუსონი კრიტიკულ სოლიდარობას უწოდებს. კრიტიკული სოლიდარობა „აზროვნებისა და ანალიზის სოციალური განზომილებების გაცნობიერების საშუალებაა. ის გვეხმარება, განვავითაროთ ჩვენი ანალიზის უნარი და ვიყოთ შედარებით ავტონომიურები“ (Robert Ferguson, 2001, გვ.42). კრიტიკული სოლიდარობა ნიშნავს, მოსწავლეებს ასწავლო ინფორმაციისა და კომუნიკაციის ინტერპრეტირება ჰუმანისტურ, სოციალურ, ისტორიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტებში, რათა მათ გააიაზრონ

საკუთარი მოქმედებისა და ცხოვრების წესის ურთიერთკავშირი და შედეგი. ის, ასევე, ნიშნავს ჩვენი და უფლებაჩამორთმეული ადამიანების სოლიდარულ ერთობას უფრო სამართლიანი სამყაროსთვის კოლექტიურ ბრძოლაში.

დღეს, როცა მედიაგანათლების შესახებ იდეები კონტინენტზე ფეხს იკიდებს, აუცილებელია, მისი ცენტრალური კომპონენტი კრიტიკული პედაგოგიკა გახდეს. ეს არის ტრადიციული განათლების პოზიციიდან რადიკალური გარღვევა, რადგან პოზიციური ეპისტემოლოგიები ერთად იბრძვიან ჩაგვრის წინააღმდეგ მედიის სხვადასხვა საშუალებით. კრიტიკული პედაგოგიკა უნდა აიგოს მყარ საფუძველზე და დაეფუძნოს ჯონ დიუის ექსპერიმენტულ განათლებასა და პაულო ფრეირის პრობლემაზე დაფუძნებულ პედაგოგიკას. ეს საგანმანათლებლო თეორიები მოითხოვს სწავლების პროცესში მოსწავლეების მიერ დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებას, იმ პრობლემებთან დაპირისპირებას, რომლებსაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდებიან; ასევე უნარს, საკლასო ოთახის გარეთ არსებულ აუდიტო- რიასთან გამოხატონ საკუთარი იდეები და წუხილი. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება სპირალურად უნდა გადავიდეს ახალ სასწავლო სფეროში, რომელშიც მოსწავლეები იკვლევენ და ეძებენ მნიშვნელობებს. კრიტიკული სოლიდარობა განსაზღვრავს მედიაგანათლების მიზანს, თეორიები კი გვეხმარება საზოგადოებაში არსებული ჰეგემონიისა და ძალაუფლების სტრუქტურების გარკვევაში. ფრეიერი ასაბუთებს მოსწავლეების ჩართვის შესაძლებლობასა და მნიშვნელობას რეალობის გამოაშკარავებისა და დემისტიფიკაციის პროცესში (Freire, 1970).

ამგვარად, კრიტიკული მედიაგანათლება ითხოვს შეთანხმებას შემდეგ საკითხზე:

- ყველა განათლება პოლიტიკურია, სწავლება უნდა ხდებოდეს დემოკრატიული პედაგოგიკის მეშვეობით, რომელიც პატივს სცემს სამოქალაქო უფლებებსა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებს.
- კრიტიკული მედიაწიგნიერება აღიარებს კონცეპტუალური მედიაგზავნილების კონსტრუქციას, როგორც სოციალური პროცესის შედეგს. ის უარყოფს მედიაგზავნილებს, როგორც ნეიტრალურ ან გამჭვირვალე შინაარსის ტექსტებს.
- სოციალური კონსტრუქტივიზმი:. ყველა ინფორმაცია ინდივიდების და ადამიანთა ჯგუფის მიერაა შექმნილი კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში.
- რა კონტექსტი ახდენს გავლენას მედიის გზავნილებზე?
- ტექსტების სემიოტიკურ ანალიზს, რომელიც იკვლევს ენებს, ჟანრებს, კოდებს და ტექსტის კონვენციებს (ციფრული, ვიზუალური, აუდიო, ბეჭდვაზე დაფუძნებული და ა.შ.).

- ენები. მედია ენას სპეციფიკური კოდებითა და კონვენციებით იყენებს.
- როგორ იკვრება მედიატექსტი?
- აუდიტორიის როლის კვლევის მნიშვნელობას მედიაგზავნილების შინაარსის შედგენისას, ასევე, აუდიტორიის როლს მედიაგზავნილის დამკვიდრების პროცესში.
- აუდიტორია. ინდივიდები და ჯგუფები მედიაგზავნილებს ერთნაირად და/ან სხვადასხვანაირად იგებენ.
- მედიის ტექსტების შესაძლო გაგების რა განსხვავებული გზები არსებობს? გამოააააშკარაოს და გაუმკლავდეს მიკერძოების პრობლემებს, შეხედულებას, იდეოლოგიას, ესთეტიკას, ძალაუფლების და სიამოვნების განცდას ტექსტთან მიმართებაში.
- გამოხატულება. მედიას აქვს ძირეული იდეოლოგია, დისკურსი და ხედვა, რომელიც ძალთა შორის იერარქიულ ურთიერთობას გადმოსცემს. რა განსხვავებული გზავნილებია, აშკარა თუ დამალული, რომლებიც შეიძლება ამოვიკითხოთ მედიის ტექსტებში?
- ინტიტუციების და სისტემების შესწავლას, რაც მოტივირებულს და სტრუქტურულს ხდის მასმედიას ადგილობრივ და გლობალურ დონეზე, რადგან მედია უმეტესწილად კორპორაციული ბიზნესია, რომლის უპირველესი მიზანი მოგებაა.
- ინსტიტუციები. მედიის კომპანიების უმეტესობა კომერციულად მოტივირებულია. ის მოვლენებს აშუქებს გლობალური კაპიტალიზმის ან სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში. რატომ შეიქმნა მედიის ტექსტები და რატომ გაიგზავნა ისინი?
- მედიაკულტურა არის იმ სხვადასხვა ჯგუფის ბრძოლის ადგილი, რომლებიც მედიაკულტურაში არიან ჩართული. ასე რომ, მედიაწიგნიერება ამ ბრძოლებს ხშირად გასართობ გადაცემებში ასახავს. ვინ და რომელი ჯგუფი იღებს ამ გზავნილისგან სარგებელს, ვინ და რომელი ჯგუფი იტანჯება ამ მედიატექსტებით.

### 1.4. მედიაწიგნიერების ინსტრუმენტები, ძირითადი პრინციპები და კითხვები:

კითხვის ნიმუშები:

1 ყველა მედიაგზავნილი „კონსტრუირებულია“_. ვინ შექმნა ეს გზავნილი?

რა არის ეს? ვინ გააერთიანა ისინი?

2 მედიაგზავნილი კონსტრუირებულია და საკუთარი წესების მიხედვით იყენებს შემოქმედებით ენას. რა ტექნიკაა გამოიყენებული ჩემი ყურადღების მისაქცევად? რას ვხედავ, ვისმენ, ვყნოსავ, ვეხები ან ვაგემოვნებ?

3 სხვადასხვა ადამიანი ერთსა და იმავე გზავნილს სხვადასხვაგვარად აღიქვამს. როგორ შეიძლება, სხვა ადამიანმა ჩემგან განსხვავებულად გაიგოს ეს გზავნილი? რას ვგრძნობ და რას ვფიქრობ ამის შესახებ? სხვა ადამიანმა რა შეიძლება იგრძნოს და იფიქროს ამის შესახებ?

4 მედიას აქვს ძირეული ღირებულებები და ხედვები. ცხოვრების რომელი წესები, ღირებულებები და ხედვებია წარმოდგენილი ან გამოტოვებული გზავნილებში? რას მეუბნება სხვა ადამიანების ცხოვრებისა და მრწამსის შესახებ? ვინმე ან რამე ხომ არაა გამორჩენილი?

5 მედია მოწოდებულია სარგებლის და/ან ძალაუფლების მოსაპოვებლად. რატომ გაიგზავნა ეს გზავნილი? რის თქმას ცდილობს? რის გაყიდვას ცდილობს?

**ტრადიციული და ახალი სოციალური მედია.** ინტერნეტი არის ქსელი, რომელიც მსოფლიოს გარშემო კომპიუტერებს ერთმანეთთან აკავშირებს. ეს ყველა კომპიუტერისთვის საერთო ენის გამოყენებით ხორციელდება, რომელსაც გადაცემათა საკონტროლო პროტოკოლი, იგივე ინტერნეტ პროტოკოლი ჰქვია (TCP/IP). სწორედ აქედან მომდინარეობს ტერმინი IP მისამართი, ანუ მისამართი, სადაც თქვენი ინტერნეტ წვდომის ადგილზე ინფორმაცია იგზავნება. ამგვარად, ეს საერთო ენა, ინფორმაცია და მონაცემები დაყოფილია მცირე მონაცემებად, რომლებსაც პაკეტები ეწოდება, გაგზავნილია მონაცემთა არხებით და შემდეგ ისევ აკუმულირდება იმ პირთათვის, ვისაც მათზე წვდომა აქვს.

მედიაწიგნიერების ცენტრის სასწავლო ინსტრუმენტები ძირითადი პრინციპები ძირითადი კითხვები კითხვის ნიმუშები:

1, ყველა მედიაგზავნილი „კონსტრუირებულია“. ვინ შექმნა ეს გზავნილი? ვინ გააერთიანა ისინი?

2. მედიაგზავნილი კონსტრუირებულია და საკუთარი წესების მიხედვით იყენებს შემოქმედებით ენას. რა ტექნიკაა გამოიყენებული ჩემი ყურადღების მისაქცევად? რას ვხედავ, ვისმენ, ვყნოსავ, ვეხები ან ვაგემოვნებ?

3. სხვადასხვა ადამიანი ერთსა და იმავე გზავნილს სხვადასხვაგვარად აღიქვამს. როგორ შეიძლება, სხვა ადამიანმა ჩემგან განსხვავებულად გაიგოს ეს გზავნილი? რას ვგრძნობ და რას ვფიქრობ ამის შესახებ? სხვა ადამიანმა რა შეიძლება იგრძნოს და იფიქროს ამის შესახებ?

4. მედიას აქვს ძირეული ღირებულებები და ხედვები:

ა) ცხოვრების რომელი წესები, ღირებულებები და ხედვებია წარმოდგენილი ან გამოტოვებული გზავნილებში? ბ) რას მეუბნება სხვა ადამიანების ცხოვრებისა და მრწამსის შესახებ? ვინმე ან რამე ხომ არაა გამორჩენილი?

5. მედია მოწოდებულია სარგებლის და/ან ძალაუფლების მოსაპოვებლად. რატომ გაიგზავნა ეს გზავნილი? რის თქმას ცდილობს? რის გაყიდვას ცდილობს?

კრიტიკული მედიაგანათლება ითხოვს შეთანხმებას შემდეგ საკითხზე: ყველა განათლება პოლიტიკურია, სწავლება უნდა ხდებოდეს დემოკრატიული პედაგოგიკის მეშვეობით, რომელიც პატივს სცემს სამოქალაქო უფლებებსა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. კრიტიკული მედიაწიგნიერება აღიარებს კონცეპტუალური გზავნილების კონსტრუქციას, როგორც სოციალური პროცესის შედეგს. ის უარყოფს მედიაგზავნილებს, როგორც ნეიტრალურ ან გამჭვირვალე შინაარსის ტექსტებს.

1. ყველა ინფორმაცია ინდივიდების და ადამიანთა ჯგუფის მიერაა შექმნილი კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში.

2. ტექსტების სემიოტიკურ ანალიზს, რომელიც იკვლევს ენებს, ჟანრებს, კოდებს და ტექსტის კონვენციებს (ციფრული, ვიზუალური, აუდიო, ბეჭდვაზე დაფუძნებული და ა.შ.). ენები. მედია ენას სპეციფიკური კოდებითა და კონვენციებით იყენებს. როგორ იკვრება მედიატექსტი?

3. აუდიტორიის როლის კვლევის მნიშვნელობას მედიაგზავნილების შინაარსის შედგენისას, ასევე, აუდიტორიის როლს მედიაგზავნილის დამკვიდრების პროცესში. ინდივიდები და ჯგუფები მედიაგზავნილებს ერთნაირად და/ან სხვადასხვანაირად იგებენ. მედიის ტექსტების შესაძლო გაგების რა განსხვავებული გზები არსებობს.

**1.5. რა არის სოციალური მედია და რა განაპირობებს მის განსაკუთრებულობას?**

სოციალური მედია ვებ-გვერდები და აპლიკაციებია, რომლებიც მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, სხვა მომხმარებელთა ქსელში ანუ ვირტუალურ საზოგადოებაში შექმნას კონტენტი და გააზიაროს. მომხმარებლები პირად პროფილებს ქმნიან და შემდეგ ერთმანეთთან კომუნიკაციის სხვადასხვა შესაძლებლობა აქვთ, როგორიცაა ფოტოებისა და ვიდეოების გაზიარება, ონლაინ საუბრები (ჩატი), ჯგუფების შექმნა, რომლებიც ერთმანეთთან საერთო ინტერესების მქონე ხალხს აკავშირებს.

როგორ შევინარჩუნოთ უსაფრთხოება ონლაინ?

ყოველთვის იფიქრეთ, რას აზიარებთ ონლაინ. ბევრი სოციალური ქსელი შესაძლებლობას გაძლევთ, არეგულიროთ თქვენი კონფიდენციალურობის პარამეტრები ისე, რომ შეზღუდოთ იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც თქვენი პოსტის ხილვის შესაძლებლობა ექნება. არსებობს, ასევე, დასაბლოკი ფუნქციები, რაც თქვენ კონკრეტული მომხმარებლის დაბლოკვის შესაძლებლობას გაძლევთ. დარწმუნდით იმაში, რომ საკმარისად ძლიერი პაროლი გაქვთ – სულ მცირე 8-სიმბოლოიანი, რომელიც როგორც დიდ, ასევე პატარა ასოებს, ციფრებსა და სიმბოლოებს მოიცავს და ყოველთვის შეინახეთ ის საიდუმლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ შეიძლება საიტი

გაგიტეხონ და თქვენი პროფილით სხვამ დაპოსტოს. თუ თქვენ ონლაინ სამიზნე ხართ ან ხედავთ, რომ შეტევა სხვა მომხმარებელზე ხორციელდება, გადაუღეთ ეკრანს სურათი (სქრინშოთი) და შეატყობინეთ ამის შესახებ სოციალ ქსელს ან ვებ-გვერდს.

**რა უნდა იცოდეს მომხმარებელმა, როდესაც სოციალურ მედიას ახალი ამბების წყაროდ იყენებს?** სოციალურმა მედიამ ახალი ამბების გავრცელების დინამიკა და დღის წესრიგის შედგენა შეცვალა. მან ინფორმაციის ახალი წყაროები წარმოაჩინა, ახალ პერსპექტივებზე მოგვცა წვდომა და უზრუნველყო თემების ფართო სპექტრი. ამასთან, სოციალური მედია არასრული ფაქტებისა და ნახევრად სიმართლის, თვით ტყუილების გავრცელებას ამარტივებს, რასაც სპეკულაციებამდე მივყავართ. გადამოწმებული ამბების მიღება რთულია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისეთი საგანგებო ინფორმაციის სწრაფად გავრცელებასთან გვაქვს საქმე, როგორიც ბუნებრივი კატასტროფა ან ტერორისტული აქტია. შიშების გაღრმავება, შეთქმულების თეორიები და ბრაზი სოციალურ მედიაში მრავლადაა და იოლადაც ვრცელდება. მსგავს სიტუაციებში მომხმარებლებს სურთ განახლებული ინფორმაცია მიიღონ, მაგრამ თუ ისინი ინფორმაციის წყაროდ მხოლოდ სოციალურ ქსელს გამოიყენებენ, დეზინფორმაციის მიმართ მოწყვლადები იქნებიან.

**რა არის ყალბი ახალი ამბავი?** რა გავლენა მოახდინა სოციალურმა მედიამ ინფორმაციის დისტრიბუციაზე? სოციალური მედია ახალი ამბების და ინფორმაციის გავრცელების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს. სანამ სოციალური მედია იარსებებდა, ყველას არ შეეძლო, ინფორმაციის წყაროებზე პირდაპირი წვდომა ჰქონოდა. ტრადიციული მედია ორგანიზაციები, როგორიცაა ტელე და რადიოსადგურები ან გაზეთები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას საკუთარი შეხედულებით, პროფესიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით არჩევდნენ და შემდეგ აქვეყნებდნენ. ისინი ინფორმაციის მოდარაჯეები იყვნენ. დღეს ინტერნეტი ყველას აძლევს შესაძლებლობას, ინფორმაცია მოიძიოს და გამოაქვეყნოს. ინფორმაციის გავრცელებაზე კონტროლის ძალაუფლება შეიცვალა. ინტერნეტმა მოქალაქეები აღჭურვა უფლებით, თავად შეარჩიონ საკუთარი ინფორმაციის წყარო და ის ინფორმაცია გამოაქვეყნონ, რომელსაც რელევანტურად ჩათვლიან. ადრეულ წლებში ინფორმაციის მოძიებისას ადამიანები ნაკლებ პროაქტიულები იყვნენ. ახლა მათ ინფორმაციას სოციალური მედია აწვდის. ეს ასევე იმასაც ნიშნავს, რომ ისინი ყველა წყაროს ან ინფორმაციას, რომლებიც გამოწერილი აქვთ, აუცილებლად ვერ ნახავენ, რადგან კომპიუტერული ალგორითმები განსაზღვრავენ, რას ნახულობს რეალურად მომხმარებელი. სოციალურმა მედიამ მნიშვნელოვნად დააჩქარა საინფორმაციო ციკლი. არსებულ მოცემულობაში ნებისმიერ დროს ყველას ყველაფრის გამოქვეყნება შეუძლია, მათ შორის, ფაქტებთან ერთად ჭორების და ტყუილების, რაც ძალზედ სწრაფად ვრცელდება. ეს ხშირად

საჯარო დებატებს იწვევს ან ვიდრე ფაქტების გადამოწმება მოხდება, შესაძლოა, შიშის ან სიძულვილის ატმოსფეროც შექმნას.

**როგორ განსაზღვრავს ალგორითმი, რა პოსტებს ვხედავთ სოციალურ მედიაში?** Facebook-ისა და სხვა სოციალური ქსელების მფლობელებმა იციან, რომ ჩვენი ყველა მეგობრის და ნაცნობის ნებისმიერ პოსტზე ვერ გავამახვილებთ ყურადღებას. სწორედ ამიტომ მათ შექმნეს ალგორითმი, რათა განესაზღვრათ, რა პოსტები გამოჩნდეს ჩვენს ინფორმაციულ ველში და რა – არა. ასეთ ალგორითმებს ინჟინერთა გუნდი და სოციალური მკვლევარები ქმნიან, რათა პრიორიტეტი მიანიჭონ იმ პოსტებს, რომლებზეც, სავარაუდოდ, დავკლიკავთ, რეაგირებას მოვახდენთ ან გავაზიარებთ. შედეგად ასეთი ალგორითმი ხელს გვიშლის ალტერნატიული წყაროებიდან იმ ინფორმაციის მიღებაში, რომელიც ჩვენს თვალსაწიერს გააფართოვებდა და დაგვეხმარებოდა, ჩვენი საინფორმაციო ბუშტშის მიღმა გაგვეხედა. Facebook-ი მუდმივად ცვლის ალგორითმს, რათა ვებ-გვერდზე მომხმარებელთა ჩართულობა გაიზარდოს: რაც უფრო ხანგრძლივად არიან მომხმარებლები Facebook-ზე, მით მეტ რეკლამას ნახავენ და Facebook-იც მეტ ფულს გამოიმუშავებს. ერთ-ერთი გზა მომხმარებელმა ინფორმაციის ასეთ ბუშტებს თავი დააღწიოს და უფრო ფართო სპექტრის პოსტები ნახოს, არის სიახლეების ველში „საუკეთესო ამბების" ნაცვლად, „უახლესი ამბები" მონიშნოს.

**სოციალური მედია: ახალი ამბები და საინფორმაციო ბუშტი.** ყალბი ამბავი შეიძლება ჩვეულებრივი ინფორმაციის მსგავსად გამოიყურებოდეს, მაგრამ ის ტყუილს დამახინჯებულ ან განზრახ უგულვებელყოფილ ფაქტებს შეიცავს. რეალური ინფორმაციისგან განსხვავებით, რომელიც ფაქტების მაქსიმალური სიზუსტით და ობიექტურად მიწოდებას ისახავს მიზნად, ყალბი ამბავი შეგნებულად ახდენს მცდარი ინფორმაციის რეალურ ფაქტებში აღრევას ან აშკარა ტყუილს, როგორც რეალურ ინფორმაციას, ისე გვაწვდის. ყალბი ამბების უმეტესობა სამი სახის არის: სერიოზული ფაბრიკაცია, ფართომასშტაბიანი ტყუილები და იუმორისტული ყალბი ამბები. სერიოზულ ფაბრიკაციას ან თაღლითურ გაშუქებას როგორც ტრადიციულ, ისე სოციალურ მედიაში ვხვდებით. მაგალითად, ტაბლოიდები ყოველთვის აქვეყნებენ დიდი ოდენობით გადაუმოწმებელ ამბებს, სენსაციებს, შემზარავ სკანდალებს ან თვალისმომჭრელ სათაურებს, რომლებიც გაყიდვებს ზრდის. ფართომასშტაბიანი ტყუილები სოციალურ მედიაში განზრახ ფაბრიკაციის კიდევ ერთი სახეობაა, რომელსაც ტრადიციულ მედია საშუალებებში უნებურად იტაცებენ. იუმორისტული ახალი ამბები სერიოზული გაყალბებისგან უნდა გავმიჯნოთ, თუ მიზანი ხუმრობაა. თუ გამოგონილი ამბავი სატირულ ვებ-გვერდზე ჩნდება, აუდიტორია ინფორმირებულია იუმორისტული განზრახვის შესახებ და ინფორმაციას სერიოზულად არ

აღიქვამს. მაგრამ როდესაც იუმორისტული ყალბი ამბის სხვა საიტებზე კონტექსტიდან ამოგლეჯილად გაზიარება ხდება, ზოგიერთი ადამიანისთვის შესაძლოა, რთული იყოს პუბლიკაციის სატირად, ირონიად თუ პაროდიად აღქმა. როგორ შეუწყო ხელი სოციალურმა მედიამ ყალბი ამბების გავრცელებას? ყალბ ამბავში ახალი არაფერია, მაგრამ ის ინტერნეტის ეპოქაში ყვავის. თუ ახალ ამბებს მხოლოდ სოციალური მედიით იგებთ, საკმაოდ ხშირად მნიშვნელოვანი რაოდენობის ყალბ ცნობებს, ჭორებს, კონსპირაციულ თეორიებს და შეცდომაში შემყვან ახალ ამბებს აწყდებით. სოციალურ მედიაში დეზინფორმაცია სანდო ინფორმაციისგან განსხვავებით, ვირუსულად ვრცელდება, იმიტომ, რომ ის უფრო მიმზიდველად გამოიყურება, ვიდრე ფაქტობრივი ახალი ამბავი და ხალხის ემოციებსა და შიშებზე თამაშობს. სოციალური მედია მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს შექმნან, დააკოპირონ და გააზიარონ კონტენტი. მომხმარებლები ამბის გავრცელებაზე არიან პასუხისმგებლები. მათ იოლად შეუძლიათ გაავრცელონ დეზინფორმაციის დიდი ნაკადი. მცდარი ინფორმაციის გაზიარება-არგაზიარებით, სოციალური მედიის მილიონობით მომხმარებელს შეუძლია რეალურად გააკონტროლოს, რა გავლენა აქვს შენიღბულ ყალბ ინფორმაციას საზოგადოებრივ აზრზე.

**რა გავლენა აქვს ყალბ ინფორმაციას ადამიანებზე?** ყველა დეზინფორმაცია ჩვენი აზრების და მსოფლმხედველობის ფორმირებას უწყობს ხელს და ამდენად ზიანი საბოლოოდ შესაძლოა რეალური იყოს. საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის მიზნით შექმნილი ყალბი ამბები ეფექტური და გავლენიანია. ისინი ადამიანების ემოციებზე თამაშობენ. ყალბი ინფორმაცია ხშირად ისეა აგებული, რომ გარკვეული ჯგუფების – იქნება ეს სხვა ქვეყანა, რელიგიური ჯგუფი ან ქვეყანაში არსებული უმცირესობა თუ კონკრეტული ინსტიტუტი – წინააღმდეგ განაწყოს ხალხი. ყალბი ამბები ხშირად წინასწარ არსებული ან ლატენტური დამოკიდებულებების პროვოცირებას ახდენს. ყალბი ინფორმაციის გაბათილების ან განმარტების შემდეგაც კი, მათი გავლენა ადამიანების შეხედულებებსა და დამოკიდებულებებზე კვლავ გრძელდება და ქვეცნობიერში ილექება.

**ვინ არის პასუხისმგებელი ებრძოლოს ყალბ ამბებს?** ყალბი ამბები და შეთითხნილი ისტორიები თავისით არ გაქრება. ყველა პასუხისმგებელია სიცრუის გამოაშკარავებასა და მათი გავრცელების თავიდან აცილებაზე. ყველას შეუძლია დეზინფორმაციისა და ჭორებისგან გამოწვეული ზიანი შეაკავოს. ეს ყველაფერი სოციალური მედიის მომხმარებლების, სოციალური მედიის კომპანიების, ძირითადი მედია საშუალებების, განმანათლებლებისა და პოლიტიკოსების ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. პოლიტიკოსები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ, ებრძოლონ ყალბ ინფორმაციას, რადგან ყალბი საინფორმაციო კამპანიის სამიზნეები ისინიც

შეიძლება აღმოჩნდნენ და პროცესი ვერ გააკონტროლონ. მედია საშუალებებიც უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან მათ შეიძლება მატყუარებთან და სენსაციების გამავრცელებლებთან კონკურენციაში დიდი აუდიტორია დაკარგონ. ყალბ ინფორმაციასთან საბრძოლველად ფაქტების გადამოწმების (fact-checking) ორგანიზაციები შეიქმნა; ისინი ამუშავებენ და აქვეყნებენ იმ ვებ-გვერდების სიას, რომლებიც რეგულარულად აქვეყნებენ მცდარ ინფორმაციას. ზოგიერთის აზრით, ამა თუ იმ ბმულს უნდა ახლდეს აღნიშვნა „გადამოწმებულია“ თუ არა, Facebook-ი და Google-ი ყალბი ამბების დაბლოკვის სხვა საშუალებებსაც ცდიან. საბოლოოდ, ეს სოციალური მედიის ყველა მომხმარებელს ეხება. ამდენად, ყველა უნდა შეეცადოს, გახდეს მედიაწიგნიერი. საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ამლიერებენ მედიაწიგნიერებას, არასოდეს ყოფილა ის საჭირო, როგორც დღეს,.

**რატომ უნდა იზრუნო იმაზე, თუ რას აზიარებ?** ყველას შეუძლია ყალბი ამბების ტირაჟირებას ხელი შეუშალოს. ყველა პასუხისმგებელია, რომ სხვები შეცდომაში არ შეიყვანოს და თავადაც შეცდომაში არ შევიდეს. სოციალური მედიის მომხმარებლებმა უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა იმის გამო, თუ რას აზიარებენ. მათ უნდა ჰქონდეთ სურვილი, გაერკვნენ, ამბავი, რომელსაც აზიარებენ, ნამდვილია თუ ყალბი. მომხმარებელთა უნარ-ჩვევები და მზადყოფნა, დეზინფორმაციის წინააღმდეგ იბრძოლონ, განსაზღვრავს, თუ როგორ სამყაროში ვიცხოვრებთ – დამაბნეველი და გაყალბებული ინფორმაციის, თუ – არა. ინტერნეტში ყალბი ამბების ზიანი შესაძლოა შემცირდეს, თუ ყველა ყურადღებას გამოიჩენს, გაარკვევს სიმართლეს და მხოლოდ გადამოწმებულ ინფორმაციას გააზიარებს.

**რეკომენდაციები**

მედიაგანათლება მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოქალაქის ძირითად უფლებად მიიჩნევა და აძლევს თვითგამოხატვის საშუალებას, უფლებას ინფორმაციაზე, რომელიც დემოკრატიის მხარდამჭერ ინსტრუმენტად არის აღიარებული. მედიაგანათლება არაერთი სახელმწიფოს სასწავლო გეგმის ნაწილია, ასევე, ეს არის დამატებითი, არაფორმალური განათლების ნაწილი, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იღებს.

პედაგოგები მიიჩნევენ, რომ საგანმანათლებლო პროცესში მასმედიის გამოყენება ამაღლებს სწავლის ეფექტიანობას. ბალტიისპირეთის ქვეყნებში 2008 წელს ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ მასწავლებელთა უმეტესობა წარმატებით ინტეგრირებს მასმედიას სასწავლო დისციპლინებში. ვთქვათ, პედაგოგები იყენებენ რადიოს, რადგან, მათი აზრით, ის სასარგებლოა მეტყველების (მშობლიური და უცხო ენის) ანალიზისთვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსწავლეები უბრალოდ მუსიკას უსმენენ.

**როგორ ჩავატაროთ „მედიაწიგნიერების“ გაკვეთილები?** თუ გადაწყვეტთ მედიაწიგნიერების მიდგომის ინტეგრირებას გაკვეთილზე, მაშინ მოგიწევთ კლასში პრობლემის მრავალმხრივი განხილვა, რისთვისაც აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე ყურადღების გამახვილება:

- აუცილებელია მოყვანილი ფაქტების სისწორე/სიზუსტე - ვინაა ინფორმაციის წყარო? მეცნიერულად დადასტურებულია და სანდოა? რატომ?
- კრიტიკული აზროვნების განვითარება - დაეხმარეთ მოსწავლეებს საკითხის მრავალი ჭრილით დანახვაში. თქვენმა შეხედულებებმა მათზე გავლენა არ უნდა მოახდინოს. სანდოა თუ არა ეს არგუმენტები, თუ გადამოწმება სჭირდება?
- აუცილებელია დააკვირდეთ, რამდენად სწორადაა ინტერპრეტირებული მონაცემები?
- მედიაწიგნიერების განსავითარებლად აუცილებელია, როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობა.
- დატოვეთ მოსწავლეები მედიასთან პირისპირ, ის თავად უნდა გაეცნოს ინფორმაციას და სხვისი გავლენის ქვეშ არ მოექცეს. შემდეგ კი ჯგუფურად განიხილეთ საკითხი. საკითხის ამდაგვარი განხილვა ხელს უწყობს არგუმენტირებული მსჯელობის ჩამოყალიბებას, ერთმანეთის აზრების პატივისცემას.

**ცალკე უნდა აღინიშნოს ასევე ელექტრონული ვებ-გვერდი http://medialiteracy.ge/ge/, სადაც პედაგოგს შეუძლია საკმაოდ კარგი ინფორმაცია და მზა გაკვეთილების ნუსხა ნახოს მედიაწიგნიერების უნარების განვითარებასთან დაკავშირებით.**

**მედიარესურსის შერჩევა.**

მედიარესურსის შერჩევისას აუცილებელია სიფრთხილე და გონიერება. უნდა შეფასდეს დოკუმენტის შესაბამისობა მოსწავლეების ასაკთან, ასევე გაკვეთლის მიზნებთან. მედიარესურსების შერჩევისას ამოსავალი წერტილია: **,,არავნო“.** ასევე უნდა შეარჩიოთ იმ შინაარსით მდიდარი მასალა, რომელიც შეესაბამება და უპასუხებს სასწავლო კურიკულუმს.

არსებობს რამდენიმე აღიარებული ხერხი ინტერნეტში რესურსების საძიებლად, რომლის შესახებაც ბევრს არ სმენია:

**სქემაN2**

- ***როგორ ვიპოვოთ ზუსტი ფრაზა, ან სიტყვის ფორმა***

„ “-ს ოპერაციის მეშვეობით. ჩასვით სიტყვა ან ფრაზა ბრჭყალებში და "გუგლი" მოძებნის იმ ვებგვერდებს, სადაც ზუსტად ეს ფრაზაა.
მაგალითად: „სწავლა სიბერემდეო“

- ***როგორ ვიპოვოთ ციტატა, რომელშიც სიტყვაა გამოტოვებული***

ჩასვით მთელი ციტატა ბრჭალებში, გამოტოვებული სიტყვის ნაცვლად კი ვარსკვლავი დაწერეთ * სიმბოლო.
მაგალითი: „უსიყვარულოდ * არ სუფევს ცის კამარაზე“

- ***როგორი ვიპოვოთ სასურველი სიტყვა***

უბრალოდ ჩამოთვალეთ ყველა სიტყვა ვერტიკალურად, მათ შორის კი სლეში ჩასვით |.
მაგალითი:
კივი | ქათამი | ღვინო

- ***როგორ ვიპოვოთ სიტყვა რომელიმე წინადადებაში***

გამოიყენეთ ოპერატორი სიტყვით „ ამპერსანდი“ - &. თუკი სიტყვებს ამპერსანდით შეაერთებთ, გუგლი მოძებნის დოკუმენტებს, სადაც ეს სიტყვები ერთ წინადადებაში გვხდება.
მაგალითი:
გოეთეს ძეგლი & შილერის

- ***როგორ ვიპოვოთ დოკუმენტი, რომელიც კონკრეტულ სიტყვას შეიცავს?***

სასურველ სიტყვას წინ პლუსი დაურთეთ და არ გაყოთ იგი space-ით. ძებნაში დაურთეთ რამდენიმე აუცილებელი სიტყვა.

მაგალითად:

მშვიდობის + პარკი

- ***როგორ გამოვრიცხოთ სიტყვა ძებნიდან***

სიტყვას წინ მინუსი დართეთ. შეგიძლიათ რამდენიმე სიტყვაც გამორიცხოთ

მაგალითი:

- ***როგორ ვეძებოთ გარკვეულ საიტზე***

ამისთვის გამოიყენეთ ოპერატორი site. ამ სიტყვის მერე აუცილებლად დაურთეთ ორწერილი.

მაგალითი:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი site: consultant(წერტილი)ge

- ***როგორ მოვძებნოთ გარკვეული ტიპის დოკუმენტები***

გამოიყენეთ ოპერატორი mime. შეიყვანეთ ძიების ველში mime, ორწერტილი და შემდეგ მიუთითეთ, თუ რა ტიპის დოკუმენტს ეძებთ. მაგალითად, pdf ან doc.

მაგალითად: ბრძანება mime: pdf

- ***როგორ მოვიძიოთ ინფორმაცია გარკვეულ ენაზე***

ოპერატორ lang-ის მეშვეობით. lang- ის მერე დასვით ორწერტილი და დაწერეთ რა ენაზე ეძებთ დოკუმენტებს.

მაგალითად ბიბლია lang: en

**წყარო: (http://life.mediamall.ge/?id=82560)**


**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მედია და ინფორმაციული წიგნიერების სწავლება, მედიაწიგნიერების განვითარების ფონდი,2019
2. http://cdi.org.ge/uploads/pages/29.pdf
   http://mdfgeorgia.ge/uploads/library/99/file/DW-Publication-web.pdf
3. ასათიანი სანდრო, ,,სოციალური მედია სკოლაში''. თბილისი - 2011.
4. პოტერი, ჯეიმს. „მედიაწიგნიერება" თბილისი, 2014
5. შეიბე , სინდი. როგო, ფეიტ. „მედიაწიგნიერება , მასწავლებლის გზამკვლევი" თბილისი, 2014.
6. ქავთარაძე, რუსუდან . „მედიაპედაგოგიკა - რეალობა და პერსპექტივები ქართულ სინამდვილეში." ბათუმი 2012
7. Gerbner, G. ,,Communities Should Have More Control over the Content of Mass Media''. Greenhaven Press2001
8. UNESCO 2000 - The Seville Recommendation. In: Youth Media Education. Paris: UNESCO.
9. http://mes.gov.ge/content.php?id=3923



შორენა მაღლაკელიძე, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,


## 2. მედიაწიგნიერება და სამოქალაქო ჩართულობა

### 1.მედიის გამოყენება, როგორც აქტიური მოქალაქეობის განვითარების საშუალება

### 1.1 მედიაწიგნიერების განვითარება

ჩვენ სამყაროში უამრავი ინფორმაცია არსებობს, რომლის მოცულობა დღითი დღე იზრდება. მაგალითისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ინფორმაცის ერთ-ერთი წყარო - წიგნები. გუგლის (google) მონაცემების მიხედვით, 2009 წლისათვის მსოფლიოში 130 მილიონი წიგნი იყო გამოცემული (Mashable, 2011). ეს რაოდენობა იმდენად დიდია, რომ რთულია მისი მოცულობის გააზრება. თუ ადამიანები მოინდომებენ ყველა ამ წიგნის წაკითხვას, ამისათვის მათ კითხვა 5 წლის ასაკიდან უნდა დაიწყონ, უნდა კითხულობდენ ყოველდღე, წამში 70 წიგნს. 65 წლის ასაკში მათ ყველა წიგნი წაკითხული ექნებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ არ შეისვენებენ. რასაკვირველია, როდესაც 65 წლის ასაკში ამ 130 მილიონი წიგნის კითხვას დაასრულებენ, კიდევ უამრავი ახალი წიგნი ექნებათ წასაკითხი, რადგან ყოველდღე დაახლოებით 1,500 ახალი წიგნი გამოიცემა მთელ მსოფლიოში. ამასთან, წიგნების გამოცემის მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება (Fiore, 2011). რადიოსადგურები ყოველწლიურად 65,5 მილიონ საათს მაუწყებლობენ. ამას ტელევიზიის მაუწყებლობის 48 მილიონი საათი ემატება. ამ რაოდენობას სხვა ტრადიციული მედიასაშუალებების - გაზეთების, ჟურნალების, კინემატოგრაფისა და ჩანაწერების სტუდიის მიერ გადმოცემული ინფორმაცია რომ დაემატოს, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მოცულობის ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. კიდევ უფრო საგანგაშოა ის, რომ ტრადიციული მედიასაშუალებების მიერ შექმნილი და გავრცელებული ინფორმაციის ნაკადი შედარებით მცირეა, ვიდრე ახალი მედიის, განსაკუთრებით, კომპიუტერებისა და ინტერნეტის მეშვეობით ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოცულობა.(WorldWideWebSize.com, 2011).

თუ ცალკეული ადამიანისთვის და საზოგადოებისთვის ათასწლეულების განმავლობაში პრობლემად რჩებოდა ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ საკმარისი ინფორმაციის შექმნა და შემდეგ ადამიანებისათვის ამ ინფორმაციის მიწოდება, მასმედიის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებით, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, პრობლემა გახდა არა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, არამედ თავის დაცვა ზედმეტი ინფორმაციისაგან. ამ მოსაზრების სიცხადისთვის შეიძლება ყურადღება ისევ წიგნებზე გავამახვილოთ. ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ მოსახლეობის უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცოდა და რომც სცოდნოდა, ბევრი წიგნის წაკითხვა არ მოუწევდა, რადგან მცირე რაოდენობის წიგნი იყო გამოცემული. მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში პარიზის სორბონის ბიბლიოთეკა, რომელშიც მხოლოდ 1338 წიგნი ინახებოდა, ევროპაში ყველაზე დიდ ბიბლიოთეკად იყო მიჩნეული. ამ წიგნებზე ხელი მხოლოდ ელიტას მიუწვდებოდა. დღეს მრავალი ბიბლიოთეკა არსებობს, რომლებშიც 8 მილიონზე მეტი წიგნია. ბიბლიოთეკები თავიანთ წიგნებს ყოველწლიურად მილიონობით

ადამიანს სთავაზობენ. 2004 წელს გუგლმა წამოიწყო პროექტი, რომელიც გულისხმობდა იმ დროისთვის მსოფლიოში გამოცემული 130 მილიონი წიგნის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეტანას და, ასევე, გუგლის მომხმარებლებისათვის ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. 2010 წლის ბოლოსათვის გუგლს ამ ამოცანის მხოლოდ 10% ჰქონდა შესრულებული. წიგნიერების მაღალი მაჩვენებელი, ვებგვერდებიდან წიგნების შესყიდვის სიმარტივე და ყველა ქალაქში უფასო საჯარო ბიბლიოთეკების არსებობა, ასევე, გუგლის მიერ წიგნების ციფრულ ფორმატში გადაყვანა ცხადყოფს, რომ წიგნების ხელმისაწვდომობა სირთულეს არ წარმოადგენს, პრობლემა არის დრო.

ინფორმაციის სიმრავლის პირობებში ადამიანმა უნდა შეძლოს არსებული ინფორმაციის ანალიზი; გაარჩიოს მისთვის საჭირო და არასაჭირო ინფორმაცია. იმისათვის, რომ ამგვარი ანალიზი შეძლოს, მას ესაჭიროება გარკვეული ცოდნა, კონკრეტული უნარები და ამ ცოდნისა და უნარების გამოყენების სურვილი. ეს ყველაფერი კი უკვე მედიაწიგნიერებაა.

მედიაწიგნიერება გულისხმობს კონტროლის დამყარების შესაძლებლობას ურიცხვ ინფორმაციაზე. რაც უფრო მაღალია ადამიანის მედიაწიგნიერების ხარისხი, მით უფრო დიდია რეალურ სამყაროსა და მედიის მიერ შექმნილ სამყაროს შორის არსებული საზღვრის დანახვის უნარი. როდესაც ადამიანი მედიაწიგნიერია, აქვთ რუკა, რომელიც მედიასამყაროში გზის უკეთ გაკვლევაში დაეხმარება. ის იძენს გამოცდილებას და იმ ინფორმაციას, რომელიც მისთვის სასარგებლოა და შესაბამისად შეუძლია, აერიდოს იმას, რაც მისთვის საზიანოა. მათ, ვინც მედიაუწიგნურობაში ჩაიძირება, საზიანო გზავნილების ნაკადი წალეკავს. მედიაუწიგნურობის მდგომარეობა „პოტენციურად საზიანო და მომწამვლელია ადამიანის სულისათვის ისევე, როგორც დაბინძურებული წყალი და საკვებია საზიანო ადამიანის ფიზიკური კეთილდღეობისათვის“ (Dennis, 1993. p. 4). გარემოს დაბინძურების მეტაფორა კარგი მაგალითია, რადგან მედიაინდუსტრია ქმნის როგორც ჩვენთვის სასარგებლო, ასევე, საზიანო პროდუქტს. თუ წიგნიერნი არ ვიქნებით და ცუდს კარგისგან ვერ განვასხვავებთ, მაშინ ორივეს ერთნაირად მოვიხმართ.

რას წარმოადგენს მედიაწიგნიერება?– ეს ნიშნავს, ფლობდე უნარს – ახსნა და საკუთარი აზრი ჩამოიყალიბო იმ ასობით და ათასობით ვერბალური და ვიზუალური სიმბოლოს შესახებ, რომლის აღქმაც ყოველდღიურად გიწევს ტელევიზიის, რადიოს, კომპიუტერის, გაზეთების, ჟურნალების და, რაღა თქმა უნდა, რეკლამების საშუალებით. ეს არის უნარი – აარჩიო და გადაარჩიო, უნარი – ეჭვი შეიტანო და კითხვის ნიშნის ქვეშ დასვა, უნარი – ერკვეოდე რა ხდება შენ გარშემო და არ იყო პასიური და, შესაბამისად, დაუცველი. „ჩვენ უნდა მოვამზადოთ ახალგაზრდა თაობა მკვეთრი

გამოსახულებების, ხმამაღალი სიტყვებისა და ჟღერადი ბგერების სამყაროში ცხოვრებისათვის“ (იუნესკო, 1982 წელი). მედიის მკვლევარები აცხადებენ, რომ დღეს ტელევიზია და მასმედია იმდენად შემოიჭრა ჩვენს კულტურულ გარემოში, რომ აღარ არის საჭირო, მედიაწიგნიერება განვიხილოთ, როგორც „დაცვა“ უსარგებლო ინფორმაციისაგან. ჩვენს მიზანს უნდა წარმოადგენდეს, დავეხმაროთ ადამიანებს, გახდნენ კომპეტენტური, კრიტიკული და გარკვეული ყველა სახის მედიაში, რათა თავად აკონტროლონ მიღებული ვიზუალური თუ ვერბალური ინფორმაციის აღქმა, ნაცვლად იმისა, რომ ამ აღქმამ აკონტროლოს ისინი. ლენ მასტერმანი, ავტორი ნაშრომისა „სწავლება მედიის შესახებ“ ამას „კრიტიკულ ავტონომიას“ უწოდებს. სხვა განმარტებებში ვკითხულობთ, რომ მედია წიგნიერება იმდენად ცოდნა არ არის, რამდენადაც უნარი, პროცესი და აზროვნების სახე, რომელიც კითხვის უნარის მსგავსად, მუდმივად განიცდის განვითარებას. მედია წიგნიერება არ გულისხმობს მედიის შესახებ ფაქტებისა და მონაცემების დამახსოვრებას, არამედ საკუთარი თავისადმი მართებული კითხვის დასმას და გარკვევას იმაში, თუ რას უყურებ, რას კითხულობ და რას უსმენ. მედია წიგნიერების ქვაკუთხედს ძიებისა და კვლევის პრინციპი წარმოადგენს.

მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებულ ყველა მიდგომაში მედიასაშუალებებს ცენტრალური ადგილი უჭირავს. „წიგნიერების“ ყველაზე ფუნდამენტური გამოყენება გულისხმობს ადამიანის უნარს, წაიკითხოს დაწერილი სიტყვა. შეტყობინების გადასაცემად, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ადამიანებმა შექმნეს მასალები ვიზუალური წიგნიერების, თხრობითი წიგნიერებისა და კომპიუტერული წიგნიერების შესახებ.

მედიაწიგნიერებისადმი მიძღვნილი ნაშრომების უმრავლესობაში აღწერილია მასმედიის მავნე ბუნება. ამასთან, მასმედია ბევრ დადებით ეფექტსაც გვთავაზობს. ამ მოსაზრების სიცხადისთვის მოდით მოკლედ განვიხილოთ კრიტიკული მოსაზრება, რომ ტექნოლოგიის თანამედროვე ფორმებმა ავნო ადამიანის კარგად წერის უნარს. ამავე მოსაზრებას იზიარებს ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის ინგლისური ენის პროფესორი ჯონ საზერლენდი. იგი ამტკიცებს, რომ Power Point-ის პრეზენტაციებმა არგუმენტირებული ესეი ჩაანაცვლა; რომ ფეისბუქი ხელს უწყობს ნარცისისტულ ყბედობას; და რომ ტექსტურმა შეტყობინებებმა ენა გადააქცია „უფერულ, უბრალო და მკრთალ სტენოგრაფიად“ (ციტირებულია თომფსონის მიერ, 2009). იგი ამბობს, რომ კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიები ხელს უწყობს ან მოითხოვს კიდეც შეტყობინებების შემოკლებას. ტვიტერმა ადამიანის ყურადღების კონცენტრაციის ვადა შეამცირა და, ამდენად, დააკნინა მისი უნარი, უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში იაზროვნოს. ეს კი აუცილებელია კარგად დასაბუთებული ესეის შესაქმნელად.

## 1.2 მედიაწიგნიერება, როგორც დემოკრატიული მოქალაქეობის ჩამოყალიბების საფუძველი

საზოგადოებაში და პოლიტიკაში მონაწილეობა, არსებითად, სხვა ადამიანებთან კომუნიკაციას გულისხმობს, როცა ხდება ინფორმაციის მიღება-გაცემა მედიის საშუალებით. მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ საშუალება, მედიით განახორციელონ კომუნიკაცია, ვერ მიიღებენ მონაწილეობას ვერც საზოგადოებრივ და ვერც პოლიტიკურ საქმიანობაში.

დღეს მედიას აქვს კომუნიკაციის მრავალი საშუალება და მეტი ინფორმაცია, ვიდრე ოდესმე, მაგრამ იგი ასევე აკონტროლებს ჩვენს კომუნიკაციას: რა ინფორმაციას მივიღებთ და გავცემთ და ასევე, როგორ მივიღებთ და გავცემთ. ჩვენ მედიაკულტურაში გვიწევს ცხოვრება. თანამედროვე მედიაზე დაფუძნებული და მედიის საშუალებით კონტროლირებადი კომუნიკაცია გამოწვევას წარმოადგენს ნებისმიერი ადამიანისთვის.

ერთი მხრივ, მედია მომხიბვლელ შესაძლებლობებს სთავაზობს იმ მოქალაქეებს, რომლებსაც მედიაწიგნიერების უნარები აქვთ განვითარებული, და აქედან გამომდინარე, შეუძლიათ კრიტიკულად და გონივრულად მიუდგნენ მედიას, თავი გაართვან აუარებელ სხვადასხვა ტიპისა და ხარისხის ინფრომაციას.

მეორე მხრივ მედია არ არის ხელმისაწვდომი მათთვის, ვინც არ ფლობს მედიის გამოყენების უნარს ან არ შეუძლია უხარისხო ინფორმაციის ხარისხიანისგან გარჩევა.

მედიაწიგნიერება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი კომპეტენციაა. ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება პირდაპირ უკავშირდება მედიაწიგნიერებას. მედიის თავისუფლება და ინფრომაციის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია ამ უფლებებით სარგებლობის უნარზე. მედიაწიგნიერების არათანაბარი დონე, საზოგადოებაში წარმოშობს არათანაბარ შესაძლებლობებს, ახალი ფორმის ჩართულობასა და გარიყულობას. ადამიანის მიერ რეალობის აღქმა, განსაკუთრებით პოლიტიკური რეალობისა, ეფუძნება და იმართება მედიაინფორმაციის საშუალებით, რომელიც ჩვენამდე აღწევს მას შემდეგ, რაც გაივლის ორმაგ ფილტრაციას – მედიის მესვეურების მიერ გაკეთებულ არჩევანსა და ჩვენს, მედიის მომხმარებლის მიერ გაკეთებულ არჩევანს.

1985 წელს, სოციალური ქსელებისა და ინტერნეტის გაჩენამდე, მკვლევარი ლენ მასტერმანი წერდა მედიაწიგნიერების როლის შესახებ მოქალაქეობის განვითარებაში: მედია განათლება მნიშვნელოვანი ნაბიჯია დემოკრატიაში ჭეშმარიტად აქტიური მონაწილეობის გრძელ გზაზე. მედიაწიგნიერების გავრცელება აუცილებელია იმისათვის, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონდეს ძალა, მიიღოს რაციონალური გადაწყვეტილებები, გახდეს ეფექტური აგენტები და ჰქონდეს ეფექტური მონაწილეობის საშუალება მედიაში. მართლაც, როგორც ეს მასტერმანმა მიუთითა, მიუხედავად

იმისა, რომ მედია წიგნიერების პერსპექტივები ფართო მასშტაბით განსხვავებულია, მეცნიერებსა და პედაგოგთა შორის მზარდი გაგება არსებობს, რომ მედია განათლება არის დემოკრატიული საზოგადოების ინფორმირებულობის და ჩართულობის პერსპექტიული საშუალება (National Association of Media Literacy Education, 2007).

მედიაწიგნიერი მოქალაქეები არიან კრიტიკულად მოაზროვნეები. ციფრულ და სოციალურ მედიაზე დამოკიდებულების ეპოქაში ყველა ასაკობრივი ჯგუფის საინფორმაციო და საკომუნიკაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (პიუს კვლევითი ცენტრის პროექტი „მაღალი დონე ჟურნალისტიკაში“ 2012) მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ ინფორმაციის უწყვეტი და მრავალფეროვანი ნაკადის კრიტიკული შეფასება და ანალიზი, რაზეც საკუთარ დემოკრატიულ მონაწილეობას დაამყარებდენ. ტრადიციულად, მედიაწიგნიერება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მედიის ტექსტების ანალიზს- აცნობს რა სტუდენტებს წარმომადგენლობის, საავტორო განზრახვის, ესთეტიკური პრეზენტაციის და ა.შ. საკითხებს (კონსიდინი და ჰელი, 1999; პოტერი 1998; სილვერბლატი,2001). თუმცა, მას შემდეგ, რაც მედიის გამოყენების და დემოკრატიული მონაწილეობის ინტერპრეტაცია უფრო და უფრო თვალნათელი გახდა, მეცნიერებმა და განმანათლებლებმა მედიაზე ისე დაიწყეს მსჯელობა, როგორც არამხოლოდ ტექსტების კითხვის უნარზე, არამედ მათ დაკავშირებაზე უფრო ფართო სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტებთან. მაგალითად, რენე ჰობსი (1998) „შვიდი დიდებული დებატი მედიაწიგნიერების მოძრაობაში“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვინაიდან მედიაწიგნიერება ხაზს უსვამს ტექსტზე უფლებმოსილების კრიტიკას, ის სტუდენტებს მოუწოდებს გამოავლინონ ის კულტურული ნორმები, რომლითაც სტრუქტურირებულია ავტორის ნაშრომი, შეისწავლონ, თუ ეს ნორმები როგორ ფუნქციონირებს სოციალური სისტემის კონტექსტში, და როგორ ამახინჯებს ტექსტს ალტერნატიული ინტერპრეტაციებით (გვ. 22).

მედია გზავნილების კრიტიკული წაკითხვის სწავლისას მოქალაქეები ივითარებენ უნარებს - მოაგროვონ ზუსტი, რელევანტური ინფორმაცია მათი საზოგადოების შესახებ და მოიკვლიონ ავტორიტეტული წყარო (როგორც ტექსტობრივი, ისე ინსტიტუციური , ლოგიკური მსჯელობის შედეგად).

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიტიკული პედაგოგიკური ტრადიციების გათვალისწინებით, საიდანაც გამომდინარეობს მედიაწიგნიერება. მოცემულ მსჯელობაში მოქალაქეების, როგორც კრიტიკული მოაზროვნეების შესახებ, მიზანმიმართულადაა მოხსენიებული პაოლო ფრიერის (1970) „conscientizacao“-ის ანუ „კრიტიკული ცნობიერების“ კონცეფცია - რომლის მიხედვითაც, პიროვნებები გამოიმუშავებენ საკუთარი სოციალური

რეალობის აღქმის უნარს, „რეალობისა, რომელიც ჩაკეტილი სამყარო კი არ არის, საიდანაც გასასვლელი არ არსებობს, არამედ, შეზღუდული სიტუაციაა, რომლის გარდაქმნაც შეუძლიათ მათ (გვ. 49). შემდეგ, სამოქალაქო მედიაწიგნიერება მოქალაქეებს დემოკრატიული მონაწილეობისთვის ამზადებს, ეხმარება რა მათ საკუთარი საზოგადოებების შუამავლობითი წარმომადგენლობის გაანალიზებაში, ასევე ხელს უწყობს საკუთარ თემებში წამოჭრილი საკითხების გადაჭრაში. მოქალაქეები, რომლებიც პრაქტიკაში აქტიურად ახორციელებენ კრიტიკულ ანალიზს, სწავლობენ მედია ტექსტების გაანალიზებას, თუმცა რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისინი ერთვებიან „უსამართლობის გაანალიზებაში, საკუთარი ხმის გამოხატვასა და უკეთესი საზოგადოების შექმნისთვის ბრძოლაში"(Kellner & Share, 2007, pp. 19-20).

## 3. მედიაწიგნიერება – დემოკრატიული მოქალაქეობისა და სამოქალაქო ჩართულობის ძირითადი კომპეტენტი

საზოგადოებაში და პოლიტიკაში მონაწილეობა, არსებითად, სხვა ადამიანებთან კომუნიკაციას გულისხმობს, რაც გამოიხატება ინფორმაციის მიღება-გაცემაში მედიის საშუალებით. მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ საშუალება, მედიის დახმარებით განახორციელონ კომუნიკაცია, ვერ მიიღებენ მონაწილეობას ვერც საზოგადოებაში და ვერც პოლიტიკაში. დღეს მედია გვაძლევს კომუნიკაციის მრავალ საშუალებას და მეტ ინფორმაციას, ვიდრე ოდესმე, მაგრამ იგი ასევე აკონტროლებს ჩვენს კომუნიკაციას: რა ინფორმაციას მივიღებთ და გავცემთ და, ასევე, როგორ მივიღებთ და გავცემთ. ჩვენ მედიაკულტურაში გვიწევს ცხოვრება. თანამედროვე მედიაზე დაფუძნებული და მედიის საშუალებით კონტროლირებადი კომუნიკაცია გამოწვევას წარმოადგენს ნებისმიერი ადამიანისთვის. ერთი მხრივ, მედია მომხიბვლელ შესაძლებლობებს სთავაზობს იმ მოქალაქეებს, რომლებსაც მედიაწიგნიერების უნარები აქვთ განვითარებული და, აქედან გამომდინარე, შეუძლიათ კრიტიკულად და გონივრულად მიუდგნენ მედიას, თავი გაართვან აუარება სხვადასხვა ტიპისა და ხარისხის ინფორმაციას. მეორე მხრივ, მედია არ არის ხელმისაწვდომი მათთვის, ვისაც სახსრები არ ყოფნის მის შესაძენად, არ ფლობს მედიის გამოყენების უნარს, ან არ შეუძლია უხარისხო ინფორმაციის ხარისხიანისგან გარჩევა.

მედიაწიგნიერება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი კომპეტენციაა. ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება პირდაპირ უკავშირდება მედიაწიგნიერებას. მედიის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია ამ უფლებებით სარგებლობის უნარზე. მედიაწიგნიერების არათანაბარი დონე

საზოგადოებაში წარმოშობს არათანაბარ შესაძლებლობებს, ახალი ფორმის ჩართულობასა და გარიყულობას.

მედიის წარმომადგენლები, ისევე როგორც, მედიამომხმარებელი, სარგებლობენ ადამიანის ამ ძირითადი უფლებით. სწორედ ამ თავისუფლებათა ფარგლები ქმნის განსხვავებას დიქტატურასა და დემოკრატიას შორის. ამ თავისუფლებებმა, იმ ტექნოლოგიურ რევოლუციასთან ერთად, რომლის მომსწრეც გავხდით კომპიუტერის გამოგონების შემდეგ, საფუძველი ჩაუყარა მედია კულტურას, რომელშიც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ. ეს გამოცდილება წინააღმდეგობრივი, არაერთმნიშვნელოვანი და მოდერნიზაციის პროცესისთვის დამახასიათებელია: თუ გამოვიყენებთ პოტენციალს, რომელსაც ეს სფერო გვთავაზობს, მოგებულის პოზიციაში აღმოვჩნდებით, თუ ხელიდან გავუშვებთ – წარუმატებლის. აქედან გამომდინარე, მედიაწიგნიერება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითად კომპეტენციას წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, მუხლი 10.1 ნათქვამია: „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...“ ასევე, იხილეთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 19, მედიის წარმომადგენლები, ისევე როგორც მედიამომხმარებელი, სარგებლობენ ადამიანის ამ ძირითადი უფლებით. სწორედ ამ თავისუფლებათა ფარგლები ქმნის განსხვავებას დიქტატურასა და დემოკრატიას შორის. ამ თავისუფლებებმა, იმ ტექნოლოგიურ რევოლუციასთან ერთად, რომლის მომსწრეც გავხდით კომპიუტერის გამოგონების შემდეგ, ჩაუყარა საფუძველი მედია კულტურას, რომელშიც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ. ეს გამოცდილება წინააღმდეგობრივი, არაერთმნიშვნელოვანი და მოდერნიზაციის პროცესისთვის დამახასიათებელია: თუ გამოვიყენებთ პოტენციალს, რომელსაც ეს სფერო გვთავაზობს, მოგებულის პოზიციაში აღმოვჩნდებით, თუ ხელიდან გავუშვებთ – წარუმატებლის. აქედან გამომდინარე, მედიაწიგნიერება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითად კომპეტენციას წარმოადგენს.

**როგორ უჭერს მხარს მედია წიგნიერება სამოქალაქო ჩართულობას ციფრულ ხანაში.**

მეცნიერები დიდი ხანია კამათობენ, თუ როგორ უწყობს ხელს სამოქალაქო ჩართულობა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. როდესაც ადამიანები ქმნიან სოციალურ კავშირებს, ისინი ამით ხელს უწყობს სოციალური ნორმებისა და ნდობის განვითარებას, რომლებიც თავის მხრივ დადებით ზეგავლენას ახდენენ განათლებაზე, ბავშვების კეთილდღეობაზე,

უსაფრთხოებაზე, ჯანმრთელობასა და მმართველობის ხარისხზე (Putnam, 1995a, 1995b, 2000, 2001). ამ კონტექსტში, სამოქალაქო ჩართულობა დაკავშირებულია პოლიტიკურ ჩართულობასთან ჩვეულებრივი გაგებით, მაგრამ ამავე დროს, იგი უფრო ფართოდ ეხება ხალხის კავშირებს მათი თემის ცხოვრებას (Putnam, 1995b).

ახალგაზრდების, როგორც ფორმლურმა ასევე არაფორმალურმა საგანმანათლებლო გამოცდილებამ, შეიძლება ხელი შეუწყოს მათ სამოქალაქო ჩართულობასთან დაკავშირებული ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. (ზენეტი, 2008; ლევიონი, 2011). მოქალაქეებს სჭირდებათ ინფორმაციაზე წვდომა, მათ ასევე სჭირდებათ საშუალებები და მოტივები ამ ინფორმაციის ეფექტურად დამუშავებისთვის. მაგალითად, ამერიკის საშუალო სკოლებში მედია წიგნიერების პროგრამებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ახალგაზრდების მიერ მედიის შეტყობინებების გამოყენების, ანალიზისა და შექმნის უნარის განვითარებას (Hobbs, R,2007). კვლევებმა აჩვენა, რომ სამოქალაქო ჩართულობა ასოცირდება როგორც სოციალურ დემოგრაფიულ ცვლადებთან, ასევე მედიის გამოყენების ჩვევებთან (Romer, Jamieson & Pasek, 2009; Quintelier & Hoogh e, 2011).

კვლევები ასევე ადასტურებენ, თუ როგორ შეუძლია მედიაწიგნიებამ ხელი შეუწყოს ინფორმაციის მოპიების მოტივაციას და სამოქალაქო აქტივობის კომპეტენციების განვითარებას. მედია პოლიტიკის განვიარებას მხარს უჭერს ევროკომისია, რომელიც საშუალებას აძლევს ევროპელ მოქალაქეებს ჰქონდეთ წვდომა ნებისმიერი შინაარსის ინფორმაციაზე ევროპის ნებისმიერი ადგილიდან.

კომისია მუშაობს კანონმდებლობაზე, რომელიც მხარს უჭერს ევროპაში ნამდვილი ციფრული ერთიანი ბაზრის შექმნას და მედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის პოპულარიზაციას. იგი დარწმუნებულია, რომ საავტორო უფლებების თვალსაზრისით სწორი მარეგულირებელი ჩარჩო არსებობს, რათა ყველა მოქალაქემ შეძლოს სრულად ისარგებლოს ციფრული ერთიანი ბაზრის მიერ შემოთავაზებული დიდი შესაძლებლობებით.

**მედიაგანათლებული მოქალაქეები, როგორც ეფექტური კომუნიკატორები.** ,,კარგი მოქალაქეობის“ ეს შემოთავაზებული დეფინიცია ასევე ეყრდნობა ინდივიდების უნარს, იმოქმედონ, როგორც ეფექტურმა კომუნიკატორებმა. დღევანდელი მოქალაქის, როგორც აქტუალიზებული და ჩართული საზოგადოების წევრის აღწერა, გულისხმობს სამოქალაქო მონაწილეობის ისეთ ტიპს, რომელიც სცილდება პოლიტიკური პარტიის წევრობას ან ხმის მიცემას არჩევნების დღეს. ჭეშმარიტი მონაწილეობრივი დემოკრატია ეყრდნობა მოქალაქეთა

ძალისხმევებს - შეიმუშაონ და გააზიარონ საკუთარი უნიკალური ხედვები სოციალურ საკითხებზე, განავითარონ ახალი მიდგომები ამ ხედვების შექმნისა და გავრცელებისთვის. მსგავს ძალისხმევებში ციფრული მედიის გამოყენების უთვალავი მაგალითი არსებობს - დაწყებული ონლაინ კამპანიით „უხილავი ბავშვები - კონი 2012", შეფარდ ფერის ობამას იმიჯის პოპულარობით 2008 წლის არჩევნებში, დამთავრებული სოციალური მედიის გამოყენებით პროექტში „ის უკეთესი ხდება".

მაგრამ პოლიტიკურ მონაწილეობასა და მედია მონაწილეობას შორის არსებული ეს კავშირი არ შემოიფარგლება კამპანიისა თუ მხარდამჭერი ძალისხმევებისთვის სოციალური მედიის მითვისებით. აღსანიშნავია, რომ ჩართული მოქალაქის ეს განვითარებადი დეფინიცია გარკვეულწილად ჰგავს აქტიური აუდიენციის კონცეფციას, რომელიც წინ წამოსწიეს მედიისა და კულტურის სწავლულებმა მე-20 საუკუნის შუა ხანიდან მის მიწურულამდე პერიოდში. (იხ. კლარკე, ჰოლი, ჯეფერსონი და რობერტსი, 1976, ჰოლი, 1980, ჰოლი და ვონელი, 1964; ჰოგარტი 1959). მედიის აუდიტორიის, როგორც პასიური მომხმარებლების შესწავლის ნაცვლად, ეს მიდგომა შეისწვლის ტელევიზიის მაყურებლებს, კინომოყვარულებს, წიგნის მკითხველებს და ასე შემდეგ, როგორც აზრის თანაშემოქმედებს, რომლებიც ყოველთვის ახდენენ რეინტერპრეტაციას და ხშირად ახდენენ მედია ტექსტების გადაკეთებას და ამ ქმნილებებს უზიარებენ საზოგადოებებს.

დღეს, კანდიდატის ან იდეების მხარდაჭერა შეიძლება გულისხმობდეს ჩეკის გამოწერას ან ქუჩებში გავრცელებას, მაგრამ ის უეჭველად გულისხმობს ონლაინ ვიდეოს ნახვას (და „დალაიქებას"-მოწონებას). ჯენკინსი (2006) მიუთითებს, რომ მოხმარების და მოქალაქეობის ამ შერწყმისადმი მზარდი ყურადღება, განსაკუთრებით სასწავლო პროცესის დროს შეიძლება იყოს, ჩართული მოქალაქეობისთვის ახალი თაობების მომზადების და თუნდაც ჩვენი პოლიტიკური სისტემის გამოცოცხლების საშუალება. იგი წერს, რომ ,,ჩვენ შეიძლება ასევე მოგვინდეს გულშემატკივართა საზოგადოებების სტრუქტურების გადახედვა, რადგან ისინი მოქალაქეობისა და თანამშრომლობის შესახებ ახალ ხედვებს წარმოგვიჩვენენ. ამ გულშემატკივართა საზოგადოებების პოლიტიკური ეფექტები მიიღწევა არა უბრალოდ ახალი იდეების გენერირებით და გავრცელებით (საყვარელი ტექსტების კრიტიკული წაკითხვით) არამედ ასევე ახალ სოციალურ სტრუქტურებთან (კოლექტიური დაზვერვა) და კულტურული მონაწილეობის (მონაწილეობითი კულტურა) ახალ მოდელებთან წვდომით" (გვ. 246).

ეს იმედის მომცემი ურთიერთობა მედიის შექმნას, კომუნიკაციასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის სავარაუდოდ ნაკლებ დამაჯერებელია. ჯენკინსი მიყვება წინა ციტატას

შეკითხვით: მე ზედმეტ უფლებამოსილებას ხომ არ ვაძლევ მომხმარებელთა საზოგადოებებს? ალბათ“( გვ 246-247). ამ კონტექსტში, მედიაწიგნიერება ყველა მოქალაქისთვის უზრუნველყოფს შესაძლებლობას უკეთ შეიმეცნოს და საბოლოოდ გამოიყენოს ამ შერწყმის პროდუქტიული შესალებლობები, და გამოხატოს საკუთარი ენთუზიამით სავსე მხარდაჭერა არამხოლოდ ჰარი პოტერის, არამედ შეიძლება ასევე ჰარი რეიდის მიმართ, ალტერნატიული მედიის შექმნისა და გავრცელების გზით.

**მედიაგანათლებული მოქალაქეები, როგორც სოციალური ცვლილების დამცველები**

მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი, დასაბუთებული მოსაზრებების შემუშავება და ამ ხედვების  სხვებთან გაზიარება. აღნიშნული ძალისხმევები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სამოქალაქო ცხოვრებაში - პოლიტიკური მოძრაობების ორგანიზებაში, ახალი პოლიტიკური მეთოდების და პროცესების შექმნასა და ახალი საკანონმდებლო პოლიტიკის დაწესებაში - იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეები საკუთარ თავს სოციალური ცვლილების მხარდამჭერებად დაინახავენ. ბოლოსდაბოლოს, მაქს ჰორკჰეიმერი (1937) მედიისა და კულტურის კრიტიკული კვლევების მამა (და უდავოდ, კრიტიკული მედია განათლების ნათლიმამა) აღწერდა რა ფრანკფურტის სკოლის კრიტიკულ თეორიას, აღნიშნავდა, რომ ის იყო „არა მხოლოდ ემანსიპაციის თეორია, არამედ მისი განხორციელების პრაქტიკული მეთოდიც“.

მაშინ როცა, მედია განათლებაში „პოლიტიკური თუ სოციალური ცვლილების მიზნების“ სფერო ისტორიულად  წარმოადგენდა ბრძოლის ველს მედიაგანათლებულ საზოგადოებაში, ყველა მიმდინარეობის სწავლულები და პრაქტიკოსები იწყებენ დანაპირების აღიარებას ახალი სამოქალაქო განათლების რეპოზიციონირების შესახებ, როგორც მედია განათლების ბირთვისა (Mihailidis, 2009, p. 9). მაგალითად, მედიაწიგნიერების საზოგადოების დეტერმინაცია დემოკრატიული განათლებისა და კრიტიკული პედაგოგიკის შესახებ ხელს უწყობს საკლასო კულტურის შექმნას და მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რაც მოსწავლეებს თვითმართული სწავლებისთვის ამზადებს. თანასწავლების ხელშეწყობის მიზნით ხდება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ტრადიციული, იერარქიული ურთიერთობების თავის არიდება. ხდება მოსწავლეების/სტუდენტების წახალისება, რომ ითანამშრომლონ ერთმანეთთან მათი საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების გამოსავლენად, ამ საკითხების საკვლევად მედიის და მტკიცებულების სხვა წყაროების კრიტიკული ანალიზის გზით და ერთად იმუშავონ ალტერნატიული მედიის შექმნასა და გავრცელებაზე, რაც ზრდის ცნობიერებას ამ საკითხებზე და აჩქარებს პოლიტიკურ ქმედებას. ჰობსი (2010) წერს, რომ

როდესაც ადამიანებს აქვთ ციფრული და მედიაწიგნიერების კომპეტენციები, ისინი აცნობიერებენ პიროვნულ, კორპორატიულ და პოლიტიკურ დღის წესრიგებს და აქვთ უფლებამოსილება ისაუბრონ მათ საზოგადოებებში დაკარგული ხმების და გამოტოვებული პერსპექტივების სახელით. პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის მცდელობის გზით, ადამიანები იყენებენ საკუთარ გავლენიან ხმებს და კანონით მინიჭებულ უფლებებს, რათა გააუმჯობესონ მათ ირგვლივ არსებული სამყარო.

მედიაწიგნიერება ახდენს აუდიტორული სასწავლო პროცესის, მოსწავლეების/სტუდენტების წახალისებას რომ შეისწავლონ არა მხოლოდ მედია და საზოგადოება და მათი, როგორც მომხმარებლების და მოქალაქეების ფუნქცია, არამედ ასევე პრაქტიკულად ივარჯიშონ კრიტიკასა და თანამშრომლობაში, რათა მოემზადონ როგორც პოლიტიკური მხარდაჭერები დემოკრატიაში მონაწილეობის მისაღებად. „კომუნიკაციას თავადაც შეუძლია დიდი საზოგადოების შექმნა“ წერდა ჯონ დიუი (1927/1954, p. 142). დღეს ჩვენ კვლავ ველოდებით ისეთი საზოგადოების მოსვლას, რომელზეც ოცნებობდა დიუი, თუმცა, ამ ოცნების განხორციელებისთვის საჭიროა საზოგადოებამ საბოლოოდ აღიაროს საკუთარი როლი და პოტენციალი ციფრული მედიის კრიტიკული, შემოქმედებითი გამოყენების კუთხით.

ამჟამად, აქტიური მონაწილეობითი დემოკრატიისკენ მიმავალი გზა დამოკიდებულია მედიაში ჩართულობაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა. მედიაწიგნიერებას, სწორედ ამ კონტექსტის ფარგლებში განიხილავენ, როგორც ძირითად მოძრაობას ინკლუზიური, აქტიური და ჩართული სამოქალაქო ცხოვრების სტილის განვითარებისთვის. დღევანდელ ჰიპერმედიის საუკუნეში, დაინტერესებულ მოქალაქეს უნდა გავაგებინოთ კავშირი პიროვნულ, სოციალურ იდენტობასა და მედიას, როგორც ადგილის, საზოგადოების და დემოკრატიის აღქმას შორის. ეს უცილობლად გულისხმობს როგორც მედია განათლებისადმი ძლიერ კრიტიკულ და ანალიტიკურ მიდგომებს, ისე მედიაწიგნიერების, როგორც თანამშრომლობითი და მონაწილეობითი მოძრაობის ძირითად გაგებას, რომელიც მიზნად ისახავს პიროვნებებისთვის უფლებების მინიჭებას, რომ ჰქონდეთ ხმა და გამოიყენენონ იგი.




სქემა-1. მედია წიგნიერების ჩარჩო, როგორც ძირითადი კომპეტენცია მოქალაქეობისთვის.

სქემა-1-ში წარმოდგენილი მოდელი აღწერს მედიაწიგნიერების კომპეტენციების ციკლური გადაცემის სტრუქტურას, დაინტერესებული მოქალაქის სამი ძირითადი მახასიათებლის გააქტიურებისთვის. მონაწილეობითი საუკუნისთვის მოდელი განლაგებულია მედიაწიგნიერების ოთხი მთავარი კომპეტენციის ირგვლივ. პირველია მონაწილეობითი კომპეტენცია, რომელიც ფოკუსირებას ახდენს უნარების განვითარებაზე, „რათა რიგითმა მომხმარებლებმა შეძლონ მედიის კონტენტის დაარქივება, ანოტაციის გაკეთება, შესაბამისობაში მოყვანა და გაავრცელება ახალი გავლენიანი გზებით (Jenkins et al., 2009, p. 8). მონაწილეობითი უნარების შემუშავებისას, მტკიცე კავშირი მყარდება ონ-ლაინ დღიურ საქმიანობასა და იმ წვლილს შორის, რის შეტანასაც ისახავენ მიზნად ჩვენ ქსელურ სივრცეებში. ვინაიდან ახალგაზრდა მოქალაქეებს ასეთი უნარები უყალიბდებათ, შეიძლება განვითარდეს მონაწილეობითი კულტურა, როგორც სტანდარტული ქმედება ინტერნეტში და მასთან ერთად - ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ საზოგადოებებში შეგნებული, ფრთხილი და მიზანმიმართული კონტრიბუციების ცნებები.

ჩართული მოქალაქისთვის თანამშრომლობითი კომპეტენცია ეფუძნება ჯენკინსის მონაწილეობით კულტურას, რათა ასახოს, თუ „მწარმოებელ სასწავლო საზოგადოებებს“ (Lewis, Pea, & Rosen, 2010, p. 352) როგორ შეუძლიათ მნიშვნელობის თანაშექმნა, რაც ჩართულობისკენაა

მიმართული. ერთობლივი კომტენციები აფართოებენ როგორც დამაკავშირებელ, ისე შუალედურ სოციალურ კაპიტალს (Putnam, 2000), ჩართული მოქალაქეების დასახმარებლად იმ გარემოში დასამკვიდრებლად, სადაც ისინი აცნობიერებენ საკუთარ შესაძლებლობებს-ჩამოაყალიბონ კავშირები და გააფართოონ საკუთარი კომუნიკაცია დაინტერესებული თანატოლების ფართო ჯგუფებთან. თანამშრომლობითი კომპეტენციები ასევე დაბლა სწევს ბარიერებს თანასწორთათვის, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ საერთო იდეაზე გამართულ დიალოგსა თუ მუშაობაში. (Shirky, 2008).

იმის გათვალისწინებით, რომ მონაწილეობითი და თანამშრომლობითი მედიაწიგნიერების კომპეტენციები მაკრო დონის ჩართულობას ემყარება, მედია წიგნიერების გამოხატული კომპეტენციები ფოკუსირდება შინაარსზე, რომელსაც ახალგაზრდა მოქალაქეები აგზავნიან და აზიარებენ. როდესაც სტუდენტები განათავსებენ სტატუსის განახლებებს, იზიარებენ ბმულებს, აკეთებენ კომენტარს, რაზეც ხედავენ მათ ან თანატოლების რემიქსირებს შინაარსს, ისინი მონაწილეობენ საერთო ნაამბობის შემუშავების პროცესში. რის გაზიარებას ირჩევენ, სად ირჩევენ გაზიარებას და გამოხატულად კოლექტიურად როგორ აშენებენ თანატოლთა დინამიურ საზოგადოებრივ სფეროს ცოდნის შექმნისა და ინფორმაციის გავრცელებისთვის. ინდივიდუალური თვითგამოხატვის შექმნაზე, გავრცელებასა და აღქმაზე ყურადღების ფოკუსირებით ახალგაზრდა მოქალაქეებს შეუძლიათ დაფიქრდნენ საკუთარი ხმის მნიშვნელობაზე და ასევე იმ ძალაუფლებაზე, რაც  მათ, როგორც უფრო ფართო სამოქალაქო დიალოგის ნაწილს, გააჩნიათ.

დაბოლოს, კრიტიკული კომპეტენცია ეფუძნება წვდომის, შეფასებისა და ანალიზის მთავარ პრინციპებში მედიაწიგნიერების გამოცდილებას (Aufderheide & Firestone, 1993; Livingstone, 2004). მედიაწიგნიერების ყველა სფერო ფოკუსირებას ახდენს იმ პირებზე, ვისაც შეუძლიათ კრიტიკული განხილვა და ჩართვა იმ მედია გზავნილებში, რომლებსაც ყოველდღიურად ხვდებიან. აღნიშნული კრიტიკული კვლევა მოიცავს მათ ინდივიდუალურ საქმიანობას, როგორც გზავნილების მომხმარებლებისა, თუმცა იგი ასევე მოიცავს ეკოლოგიურ საქმიანობასაც, სადაც კონტენტის კრიტიკული გამოყენება ეხმარება საკუთარი ადგილისა და სამყაროსთან კულტურული კავშირის აღქმის განსაზღვრასა და ორიენტირებაში (Lopez, 2008).

ლიტერატურა

1. ჯეიმს პოტერი,  მედია წიგნიერება
2. Buckingham, D. (2007b). Digital media literacies: rethinking media education in the age of the Internet. Research in Comparative and International Education, 2(1), 43- 55. doi:10.2304/rcie.2007.2.1.43

3. Cohen, C. & Kahne, J. (2012, June 26). Participatory politics: New media and youth political action. Youth and Participatory Politics Project, MacArthur Research Network. Retrieved July 14, 2012 from http://dmlcentral.net/resources/5058
4. Hobbs, R. (2007). Reading the media. Media literacy in High School English. New York: Teachers College Press.
5. Jenkins, H., Clinton, K., Purushotma, R., Robison, A. & Weigel, M. (2007). Confronting the challenges of participatory culture: Media education for the 21st century. Chicago IL: The John D. and Catherine T. MacArthur Foundation
6. Paul Mihailidis, Benjamin Thevenin, Media Literacy as a Core Competency for Engaged Citizenship in Participatory Democracy, October 2013, American Behavioral Scientist 57(11):1611-1622
7. Hans Martens, Renee Hobbs, How Media Literacy Supports Civic Engagement in a Digital Age, 2013, Follow this and additional works at: https://digitalcommons.uri.edu/com_facpubs

# 1. მორჩილება და დაუმორჩილებლობა.

შორენა მაღლაკელიძე, პროფესორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

## 1. სამოქალაქო მორჩილება და დაუმორჩილებლობა. მასწავლებლის როლი მორჩილების ინდოქტრინაციის თავიდან აცილებასა და ინტერვენციაში

### 1. 1. სოციალური გავლენები, მათი ფაქტორები და შედეგები

ადამიანების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია დემოკრატიის თეორიისა და პრაქტიკის შესაბამისი ცოდნა, მონაწილეობითი უნარ-ჩვევების განმტკიცება და გაუმჯობესება, ღირებულებათა სისტემის შესაბამისი ფასეულობების ქონა, გარდა ამისა, მათი უფლებრივი და მოვალეობითი ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება, ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის ადგილობრივ და ფართო საზოგადოების ცხოვრებაში ჩართულობის დამკვიდრება.

ინდივიდმა, როგორც საზოგადოების წევრმა, არა მარტო უნდა გაიზიაროს საზოგადოებაში მიღებული წესები, არამედ უნდა იღვაწოს კიდეც საზოგადოების განვითარებისთვის, საკუთარი წვლილი შეიტანოს მის გაუმჯობესებაში. ასე გახდება ინდივიდი ჭეშმარიტი მოქალაქე, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, რომელიც დამსახურებულად და დაუყვედრებლად ისარგებლებს თანამოქალაქეთა მიერ შექმნილი მატერიალური თუ სულიერი დოვლათით.

თავის მხრივ სახელმწიფომ, მისი ძირითადი დანიშნულებიდან გამომდინარე, უნდა მოახდინოს ადამიანების უფლებების დაცვა და საყოველთაო კეთილდღეობის ხელშეწყობა. ღირსებისა და თანასწორობის პრინციპებიდან, რომლებიც ადამიანის უფლებებს უდევს საფუძვლად, გამომდინარეობს, რომ:

- თუ ინდივიდი, როგორც საზოგადოების წევრი, სარგებლობს მოცემულ საზოგადოებაში არსებული რესურსებითა და შესაძლებლობებით საკუთარი კეთილდღეობისთვის, მაშინ იგი ვალდებულია დაემორჩილოს ამ საზოგადოებაში თანაცხოვრების წესებს;
- თუ ინდივიდი უგულებელყოფს სხვის უფლებებს, მაშინ მან საკუთარი უფლებებიც უნდა დათმოს;
- თუ ინდივიდი ახორციელებს საკუთარ უფლებებს, მაშინ მან სხვებსაც უნდა მისცეს ამის საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვებს აქვთ უფლება შეზღუდონ მისი უფლებების განხორციელება.

ეს პრინციპები და მათგან გამომდინარე დასკვნები აქტუალურია როგორც ხელისუფლებისა და საზოგადოების, ისე ცალკეული მოქალაქეების საქმიანობასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ინდივიდმა, ერთის მხრივ, უნდა დაიცვას თავისი ინდივიდუალობა, და მეორეს მხრივ, უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების გავლენა, მისი ნორმების მიღებით ან უარყოფით. როგორ შეიძლება მოვახდინოთ გავლენა სხვებზე? რა უნდა ვიცოდეთ, რომ შევძლოთ შევცვალოთ მათი ქცევები სასურველი მიმართულებით? რა სიტუაციური და პიროვნული მახასიათებლების ცოდნაა საჭირო რათა ეფექტურად გადავწვიტო პრობლემები?

აღნიშნულ კითხვებში გამოხატული პრობლემების გადაჭრის გზების ძიება მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. მისი გადაწყვეტა კი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იქნება გაცნობიერებული სოციალური გავლენების ფსიქოლოგიური კანონზომიერებები. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების საფუძველზე განსაკუთრებით გამოიკვეთა გავლენების ისეთი ფორმები, როგორიცაა კონფორმიზმი (შემგუებლობა), დამთმობობა და მორჩილება.

**კონფორმიზმი** ეს არის სოციალური ქცევის ტიპი, რომელსაც ახასიათებს შემგუებლობა, მოვლენების, მოსაზრებების, ღირებულებების, წარმოდგენების პასიური მიღება; საკუთარი პოზიციის უქონლობა; მეტ–ნაკლები წნეხის ძალის მქონე ნებისმიერი იდეის თუ სტერეოტიპის უპრინციპო და უკრიტიკო მიღება. კონფორმულობა წარმოადგენს ინდივიდის მიერ საკუთარი რწმენებისა და ქცევის შეცვლის ტენდენციას სხვების ქცევის შესაბამისად. **დამთმობობა** – წარმოადგენს სოციალური გავლენის უფრო პირდაპირ და პიროვნულ ფორმას. დამთმობასთან გვაქვს საქმე, როცა ინდივიდი ცვლის თავის ქცევას სხვისი მოთხოვნით. **მორჩილება** – ხორციელდება სიტუაციაში სადაც ინდივიდი ცვლის თავის ქცევას სხვისი

პირდაპირი ბრძანებით. ჩვეულებრივ, ინდივიდს, რომელიც ბრძანებას იძლევა აქვს ძალა დაიმორჩილოს სხვა, ანუ აქვს ძალაუფლება.

ტერმინი "კონფორმიზმი" ნიშნავს შემგუებლობას, არსებული წესის, გაბატონებული მოსაზრებების პასიურად მიღებას. კომფორმიზმის საპირისპირო კონცეფცია არის პირის დამოუკიდებლობა, ავტონომია; პირის, რომელიც თავად იღებს გადაწყვეტილებას, აყალიბებს გარკვეულ აზრს და იცავს მას.

კონფორმისტია ადამიანი, რომელსაც არსებული წესრიგისა და სოციალური გარემოს მიმართ პროტესტის სურვილი არ უჩნდება, არ სურს ამ ურთიერთობებისაგან გარიყვა. არსებობს კონფორმიზმის სოციოლოგიური გაგება, რომლის მიხედვითაც, ის საკმაოდ პოზიტიური ფენომენია. რობერტ მერტონის მიხედვით ნებისმიერი საზოგადოება კონფორმისტული სახით არსებობს. მერტონი მდგომარეობას, როდესაც საზოგადოებაში არსებული მიზნების მიღწევა ინსტიტუციური, კანონიერი ნორმებით ხდება, საზოგადოების კონფორმისტულ მდგომარეობას უწოდებს.

გამოყოფენ კონფორმიზმის ორ ტიპს: ინფორმაციული და ნორმატიული. ინფორმაციული კონფორმულობა ჩნდება ბუნდოვან, გაურკვეველ სიტუაციებში. ასეთ დროს ინდივიდი საკუთარ ქცევას ცვლის და სხვის ქცევას უსაბამებს, ეს ეხმარება მას სიტუაციაში უკეთ გასარკვევად. ხოლო ნორმატიულ კონფორმულობას იწვევს ინდივიდის მისწრაფება მოწონებულ იყოს ჯგუფის მიერ. იმისათვის რომ კარგი შთაბჭდილება დატოვოს სხვებზე, ადამიანი ხშირად ეთანხმება ისეთ აზრს, რომელსაც შესაძლოა არც იზიარებდეს.

კონფორმულობა, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი უნდა განვასხვავოთ სხვა, სავარაუდოდ, მსგავსი ფენომენებისაგან. ასე მაგალითად, შეხედულებების, ღირებულებებისა და ჩვევების ერთგვაროვნება შეიძლება სხვადასხვა მიზეზით აიხსნას და არ არის აუცილებელი ეს დაკავშირებული იყოს სოციალურ ზეწოლასთან. კონფორმიზმის კონცეფცია ეხება მხოლოდ ინდივიდსა და ჯგუფს შორის კონფლიქტის მოგვარების გარკვეულ გზას, ხოლო კონფორმულობის ხარისხი თავს აჩვენებს ისე, თითქოს დგას ჯგუფის პოზიციაზე (ფარისევლობა). ამ შემთხვევაში, როგორც კი ზეწოლა წყდება ან ინდივიდი გამოდის ჯგუფის კონტროლიდან, ის კვლავ მოქმედებს მისი პირადი შეხედულებების შესაბამისად. „შიდა“ კონფორმიზმი გაცილებით უფრო რთული და ღრმაა, როდესაც ჯგუფის მხრიდან ზეწოლის ქვეშ მყოფი პირი იცვლის თავის თავდაპირველ აზრს და იღებს უმრავლესობის აზრს.

რა განსაზღვრავს კონფორმულობის ხარისხს და რა სოციალურ ფუნქციას ასრულებს იგი? უპირველეს ყოვლისა, კონფორმულობის ხარისხი დამოკიდებულია სიტუაციის ობიექტურ

და სუბიექტურ ბუნებაზე. ადამიანები არ იყოფიან კონფორმირებულებად და ბუნებით დამოუკიდებლებად; შესაბამისად, თითოეული ადამიანის რეაქცია ჯგუფურ ზეწოლაზე განსხვავდება კონკრეტული პირობების მიხედვით. აქ მნიშვნელობა აქვს ჯგუფის შემადგენლობას და სტრუქტურას, ჯგუფის მნიშვნელობას (ავტორიტეტს) და პიროვნების საკუთარ პოზიციას, ჯგუფში განსახილველი საკითხების მნიშვნელობას - რამდენად ახდენენ ისინი გავლენას სუბიექტის უშუალო ინტერესებზე და ა.შ.

ნებისმიერ პიროვნებაში დაგროვილია შეგნებული თუ გაუაზრებელი ცხოვრებისეული გამოცდილება. პიროვნება, რომელიც დისციპლინის, უსიტყვო მორჩილების სულისკვეთებითაა აღზრდილი, ამჟღავნებს ნაკლებ დამოუკიდებლობას, ვიდრე ის, ვისაც ბავშვობიდან უყალიბდება ინიციატივისა და დამოუკიდებლობის ჩვევა. ორივე - დისციპლინა და დამოუკიდებლობა, სოციალური ფასეულობაა და კონკრეტულ საზოგადოებაში მათი კორელაცია დამოკიდებულია არა იმდენად ცალკეული ინდივიდების თვისებებზე, არამედ სოციალური ურთიერთობების ტიპებზე.

პრაქტიკული კვლევების მეშვეობით გამოვლინდა შემდეგი:

შემეცნებითი ფუნქციების სფეროში, კონფორმისტები ნაკლებად განვითარებული ინტელექტით ხასიათდებიან, ვიდრე დამოუკიდებელი ადამიანები; ისინი ხასიათდებიან აზროვნების პროცესებისა და იდეების სიღარიბით.

მოტივაციისა და ემოციური ფუნქციების სფეროში კონფორმისტები იშვიათად ამჟღავნებენ ხასიათის სიმტკიცეს, ნაკლებად აქვთ კრიტიკულ სიტუაციებში საკუთარი თავის გაკონტროლების უნარი;

თვითშეფასების სფეროში, კონფორმისტებს აქვთ პირადი არასრულფასოვნებისა და უიღბლობის მკაფიოდ გამოხატული გრძნობა. მათ არ გააჩნიათ რწმენა საკუთარი თავისადმი. მათი წარმოდგენა საკუთარ თავზე უფრო ზედაპირული და ნაკლებად რეალისტურია, ვიდრე დამოუკიდებელი ადამიანებისა.

ამრიგად, მაღალი ხარისხის კონფორმიზმი დაკავშირებულია საერთო დოგმატიზმთან, ავტორიტარიზმთან და სტერეოტიპულ აზროვნებასთან. თუმცა, არც აზროვნების დოგმატიზმი და არც კონფორმიზმისკენ მიდრეკილება არ არის ადამიანის პიროვნული თვისებები. ისინი ყალიბდება აღზრდისა და სოციალური ურთიერთობების პროცესში.

თანამედროვე საზოგადოება ორ ჯგუფად იყოფა: კონფორმისტებად და არაკონფორმისტებად. პიროვნება, ცვლის და არგებს თავის შეხედულებებს საზოგადოების შეხედულებებზე, ან ემიჯნება ჯგუფს, აქვს რა უთანხმოება მთელ რიგ საკითხებთან

დაკავშირებით. როგორც თეორეტიკოსები ამბობენ, მესამე ალტერნატივა აქ არ არსებობს. თქვენ ან ხართ კონფორმისტი, ან არა, კონფორმისტული ქცევა ცხადდება სამართლიანად და არაკონფორმიული ქცევა კანონსაწინააღმდეგოა, რამდენადაც, იგი კონკრეტული საზოგადოების ტრადიციულად მიღებული ქცევის წესებიდან გადახვევადაა მიჩნეული. ამავდროულად, კონფორმიზმი როგორც სოციალური ფენომენი, ღრმად "ზის" თითოეული ადამიანში და წინასწარ განსაზღვრავს მისი ფსიქიკის პლასტიურობას, აზროვნების მოქნილობას, სოციალიზაციის მექანიზმებს, აღზრდას და განათლებას.

1956 წელს სოლომონ ეშიმ გამოიყენა ტერმინი "კონფორმიზმი" და აღწერა თავისი ექსპერიმენტების შედეგები წინასწარ შეთანხმებულ ჯგუფთან და გულუბრყვილო/მიმდობ სუბიექტთან.

სოლომონ ეშის უკვე კლასიკად ქცეული კვლევა გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს თანხმობისაკენ ჯგუფის ზეწოლა ცალკეული წევრის დამოკიდებულებებსა და მსჯელობებზე. ეშიმ შვიდი-რვა ადამიანისაგან შეადგინა ჯგუფები, რომლებიც მაგიდასთან დასვეს და სთხოვეს შეედარებინათ ორი ბარათი, რომლებიც ექსპერიმენტატორს ეჭირა ხელში. ერთ ბარათზე გამოსახული იყო ერთი ხაზი, მეორეზე სხვადასხვა სიგრძის სამი ხაზი. სამხაზიან ბარათში ერთ-ერთი ხაზი ერთხაზიანი ბარათის ხაზის იდენტური იყო. ხაზების სიგრძეში განსხვავება აშკარად ჩანდა. ფაქტობრივად, ჩვეულებრივ პირობებში მონაწილეების შეცდომა ერთ პროცენტზე ნაკლები იქნებოდა. ამოცანის მიხედვით, მონაწილეებს ხმამაღლა უნდა გამოეცხადებინათ სამი ხაზიდან რომელი იყო ერთი ხაზის ტოლი. რა მოხდებოდა, თუ ჯგუფის წევრები დაიწყებენ არასწორი პასუხების გაცემას? შეთანხმებისაკენ ზეწოლის შედეგად მიმნდობი სუბიექტი შეცვლიდა პასუხს სხვების პოზიციების შესაბამისად? სწორედ ამის გაგება სურდა ეშის. ასე რომ, მან მოაწყო ჯგუფი ისე, რომ მიმნდობმა სუბიექტმა არ იცოდა, რომ ექსპერიმენტი ,,ჩაწყობილი" იყო. ჯგუფის წევრებს ადგილები ისე შეუცვალეს და მიმდობი სუბიექტს უკანასკნელს გამოეცხადებინა თავისი გადაწყვეტილების შესახებ.




ეშის გამოკვლევაში გამოყენებული ბარათების ნიმუშები

ექსპერიმენტი დაიწყო ხაზების დაწყვილების სავარჯიშოს რამდენიმე რიგით. ყველა მონაწილემ სწორი პასუხი გასცა. სავარჯიშოს მესამე რიგში პირველმა არასწორად უპასუხა, შემდეგმა იგივე არასწორი პასუხი გაიმეორა, ასე გააკეთა ყველა მონაწილემ, სანამ იმ მონაწილის ჯერი არ დადგა, რომელმაც ექსპერიმენტზე წინასწარ არაფერი იცოდა. მან ამოიცნო, რომ B X-ის ტოლი იყო, მაგრამ ყველამ C დაასახელა. მიმდობ სუბიექტს უნდა გადაეწყვიტა: განაცხადებდა საჯაროდ თავის აზრს, რომელიც განსხვავდებოდა ჯგუფის სხვა წევრების მანამდე განცხადებული აზრისაგან თუ ჯგუფის წევრებთან თანხმობის მიზნით შეარჩევდა პასუხს, რომლის მცდარობაშიც დარწმუნებული იყო? ეშის მიერ მიღებულმა შედეგმა აჩვენა, რომ მრავალი ექსპერიმენტისა და ცდის შემდეგ მონაწილეთა 75%-მა ჯგუფის წევრების პასუხების შესაბამისი პასუხი გასცა, ანუ მათ გასცეს პასუხი, რომელიც იცოდნენ რომ არასწორი იყო, მაგრამ ჯგუფის სხვა წევრების პასუხებს შეესატყვისებოდა. აქედან გამომდინარე, არსებობს ჯგუფის ნორმები, რომელიც თანხმობისაკენ ზეწოლას ახდენს, რომლის თანახმადაც, ჩვენ გვინდა ვიყოთ ჯგუფის ნაწილი და თავს ვარიდებთ აშკარად  გამორჩეულობას.

რატომ ვართ კონფორმულები?

დოჩმა და გერარდმა (Deutsch, M., & Gerard, H. B. 1955) კონფორმიზმის ორი ტიპი გამოყო: ინფორმაციული და ნორმატიული. ინფორმაციული კონფორმულობა ბუნდოვან და ორაზროვან სიტუაციებში ჩნდება. უცნობ სიტუაციაში, ინდივიდი საკუთარ ქცევას ცვლის, რათა ის სხვისას შეუსაბამოს. სხვების ქცევა ინფორმაციას გვაწვდის იმ სიტუაციაში მიღებული წეს-ჩვეულებებისა და გაზიარებული პრაქტიკების შესახებ. უცნობ სიტუაციაში სხვებისგან ვიგებთ რა არის სწორი და როგორ უნდა მოვიქცეთ.

ცოდნის ნაკლებობის გარდა, კონფორმულობას იწვევს ინდივიდის მისწრაფება მოწონებული იყოს ჯგუფის მიერ. კონფორმულობის ამ ტიპს ნორმატიული კონფორმულობა ჰქვია. ის სოციალური კონფორმულობის დომინანტური ფორმაა. როდესაც ჩვენ გვინდა ჯგუფზე კარგი შთაბეჭდილება დავტოვოთ, ვერბალურად ვეთანხმებით ჯგუფის აზრს, თუმცა, შეიძლება რეალურად არ ვიზიარებდეთ მას.

ორივე ეს ფორმა ადამიანებზე დადებით ან უარყოფით ზეგავლენას ახდენს. კონფორმიზმი საზოგადოების ფუნქციონირებისათვის აუცილებელია. იმისათვის, რომ საზოგადოებამ იარსებოს ადამიანები სოციალურ ნორმებს, როგორებიცაა მოძრაობის წესები, სხვების საკუთრების პატივიცემა, აგრესიის არაძალადობრივი გზით გამოხატვა და ა.შ უნდა ემორჩილებოდნენ. თუმცა, კონფორმიზმს უარყოფითი ეფექტიც შეიძლება ჰქონდეს, როდესაც ინდივიდი ავტომატურად, კრიტიკული გააზრების გარეშე ეთანხმება დამკვიდრებულ სოციალურ ნორმებს.

ყოველდღიური გადაწყვეტილების მიღების დროს, ნებისმიერ ახალ სიტუაციაში, სანამ სხვებს ავტომატურად დავეთანხმებით უნდა გავიაზროთ რაციონალურია თუ არა მათი ქცევა და ეთანხმება თუ არა ჩვენს ეს პრინციპებს.

ადამიანები ხშირად კონფორმულები არიან, რათა ჯგუფის შიგნით უსაფრთხოდ იგრძნონ თავი. კონფორმულობაზე უარის თქმა "სოციალური უარყოფის" სერიოზულ რისკს იწვევს. კონფორმულობა ჯგუფის მიერ ინდივიდის ჩაგვრისა და განკიცხვის თავიდან ასაცილებლად უსაფრთხო საშუალებაა. კონფორმულობა ხშირად მოზარდებთან და ახალგაზრდებთან ასოცირდება, მაგრამ ის ყველა ასაკის ადამიანზე ახდენს გავლენას. სიტუაციიდან გამოდინარე, კონფორმულობას, როგორც ცუდი, ასევე დადებითი ეფექტები შეიძლება ჰქონდეს. კონფორმულობა სოციალური ნორმების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებასაც უზრუნველყოფს. ხელს უწყობს საზოგადოების, როგორც ჰარმონიული მთელის არსებობას. კონფორმულობა ჯგუფური ფენომენია და მის დონეს განსაზღვრავს ჯგუფის ზომა, ერთსულოვნება, ვალდებულება და საზოგადოებრივი აზრი.

### 1.2. მორჩილება

მორჩილება წარმოადგენს სოციალური გავლენის ფორმას, რომელშიც ერთი ან მეტი ადამიანი ემორჩილება სხვის ბრძანებას. იგულისხმება, რომ ინდივიდი, რომელიც იძლევა ბრძანებას, ფლობს გარკვეულ ძალაუფლებას გავლენა მოახდინოს სხვაზე. ჩვეულებრივ, არჩევენ ძალაუფლების ექვს წყაროს: დაჯილდოვების ძალაუფლება, დასჯის ძალაუფლება, ექსპერტული ძალაუფლება, ინფორმაციული ძალაუფლება, რეფერენტული ძალაუფლება და კანონიერი ძალაუფლება. როცა მორჩილებაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ იგულისხმება, რომ ის ემყარება კანონიერ ძალაუფლებას. თუმცა, არ არის გამორიცხული ძალაუფლების სხვა წყაროებიც თამაშობდნენ აქტიურ როლს.

ნებისმიერი ფორმალური სოციალური ჯგუფი, ორგანიზაცია, საერთოდ საზოგადოება, ემორჩილება ბრძანებებისა და განკარგულებების სისტემას, რომელიც მომდინარეობს კანონიერი ავტორიტეტიდან. ბრძანებისადმი მორჩილება ემყარება რწმენას, რომ ავტორიტეტს აქვს მოთხოვნის უფლება. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანები ნებით ეთანხმებიან და ემორჩილებიან წესრიგს და ეს არა მარტო იქ, სადაც დაქვემდებარების სისტემა აშკარად ჩანს (მაგ. სახელმწიფო ბიუროკრატია, ძალისმიერ სტრუქტურები და სხვ.), არამედ იქაც, სადაც ეს აშკარად არ ვლინდება (მაგ. ადამიანები ემორჩილებიან მედიცინის მუშაკების მითითებებს ბავშვების ვაქცინაციაზე და ა.შ.).

რა მოხდება ისეთ სიტუაციაში, როცა ავტორიტეტის მოთხოვნები ინდივიდის საკუთარ რწმენებთან და ღირებულუბებთან კონფლიქტშია? როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როცა სკოლა მოითხოვს ბავშვის ვაქცინაციას და თვითონ დარწმუნებულია რომ ეს საშიშია ბავშვისათვის? როგორ მოვიქცეთ, როცა სახელმწიფო პოლიტიკას ვაფასებთ მცდარად? მორჩილების დანაშაულის ცნებაც კი იქნა შემოტანილი (Herbert Kelman & Lee Hamilton, 1989), რათა აღწერონ ის ამორალური და არაკანონიერი მოქმედებები, რომელიც ხორციელდება ავტორიტეტების მხრიდან მომდინარე ბრძანებებისადმი პასუხად. კელმანი და ჰამილტონი უარყოფენ იდეას, რომ მორჩილების კრიმინალი ნაცისტურ გერმანიასა და პიროვნების კულტთან ერთად წარსულს ჩაბარდა. მათი აზრით, და ალბათ სამართლიანად, მორჩილების კრიმინალი გრძელდება ჩვენს საზოგადოებაში თითქმის ნებისმიერ ფორმალურ თუ არაფორმალურ ორგანიზაციებში.

რატომ ემორჩილებიან და ემორჩილებოდნენ ადამიანები ტოტალიტარულ რეჟიმებს? რატომ არიან ისინი ჩუმად, როცა სხვა ადამიანს დაუმსახურებლად უსწორდება სისტემა? რატომ უჭირს ადამიანს საკუთარი აზრის დაფიქსირება? რატომ არის, რომ რელიგიის ან ნებისმიერი იდეოლოგიის დამცველნი სხვა ადამიანებზე ძალას ხმარობენ და სიყვარულის სახელით სისასტიკის ჩადენა შეუძლიათ? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას დასავლურ უნივერსიტეტებში მეოცე საუკუნის სამოციან წლებში შეეცადნენ.

ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების მეშვეობით მეცნიერებმა ადამიანთა ფუნდამენტურ მიდრეკილებებზე დაკვირვება შეძლეს. მაშინ ეს ექსპერიმენტები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, რადგან ექსპერიმენტატორებმა შედეგების მისაღებად ადამიანი გამოიყენეს. შედეგები კი დამაჯერებელი და ძალიან დამაფიქრებელი აღმოჩნდა.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მორჩილებასაც თავისი საზღვარი აქვს - თუ კანონი ან გადაწყვეტილება არ ვარგა, მაშინ მოქალაქე არ არის ვალდებული, დაემორჩილოს მას.

სოციალური გავლენების კვლევებში კლასიკურ ექსპერიმენტალურ გამოკვლევებადაა ჩათვლილი ს. მილგრამის ექსპერიმენტი, რომელიც მორჩილების ფენომენის განხილვის საუკეთესო მაგალითია.

მორჩილების ფენომენი უფრო რთული აღმოჩნდა ვიდრე ავტორიტეტისადმი დამორჩილება. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ინდივიდები, რომელსაც არა აქვთ ძალაუფლების ასეთი ფორმები ზოგჯერ ახერხებენ გამოიწვიონ დამორჩილების მაღალი დონე. აღმოჩნდა, რომ გარკვეულ პირობებში ძალაუფლების არმქონე ინდივიდებიც კი ახერხებენ აიძულონ სხვები განახორციელონ ქმედება, რომელსაც ჩვეულებრივ არ გააკეთებდნენ. ამის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს სტენლი მილგრემის ექსპერიმენტები.

მილგრემის ექსპერიმენტები. 1960-იან წლებში სტენლი მილგრემმა განახორციელა ექსპერიმენტების სერიები, რომელიც ეხებოდა ავტორიტეტისადმი დამორჩილების ბუნების გარკვევას. რადგან მილგრემის ექსპერიმენტებმა ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დაიკავა სოციალურ და ფსიქოლოგიურ კვლევებში, საჭიროდ ჩავთვალეთ მისი დეტალური აღწერა.

მილგრემმა დაიწყო იმით, რომ გაზეთში მოათავსა განცხადება, სადაც თხოვდა ადამიანებს მონაწილეობა მიეღოთ ფსიქოლოგიურ კვლევებში. მსურველებს აჯგუფებდნენ წყვილებად. მათ ეუბნებოდნენ, რომ იკვლევდნენ დასჯის გავლენას სწავლაზე. ამიტომ, ერთ-ერთი მათგანი შემთხვევითი პრინციპით შეირჩეოდა, როგორც მოსწავლე და მეორე, როგორც მასწავლებელი. “მოსწავლეს” უშეცდომოდ უნდა დაესწავლა დაწყვილებული სიტყვების გრძელი სია, “მასწავლებელს” კი -შეემოწმებინა მისი მეხსიერება და ყოველი შეცდომა დაესაჯა ელექტრული მუხტით. ამასთან, დენის სიმძლავრე ყველა შეცდომისთვის იქნებოდა უფრო ძლიერი. მასწავლებელს სვამდნენ საკმაოდ გრძელი შთამბეჭდავი პულტის წინ, რომელსაც ქონდა ოცდაათი ჩამრთველი ღილაკი, რომელზეც აღნიშნული იყო თუ რა სიძლიერის ელექტროშოკს გამოიწვევდა მასზე დაჭერა. შოკის სიძლიერე იწყებოდა 15-ით და მთავრდებოდა 450 ვოლტით. სხვაობა ორ მოსაზღვრე ღილაკს შორის იყო 15 ვოლტი. ღილაკებს ჰქონდა წარწერა ან სუსტი შოკი, ძლიერი შოკი, ან ძალიან ძლიერი შოკი.

მოსწავლეს მეორე ოთახში სვამდნენ სკამზე. მკლავებს ამაგრებდნენ სკამის სახელურზე და უერთებდნენ ელექტროდებს. მასწავლებელი ვერ ხედავდა მას. მათ ერთმანეთთან კომუნიკაცია შეეძლოთ მხოლოდ ინტერკომით. ექსპერიმენტის დაწყებამდე “მოსწავლე” მიუთითებდა რომ გული ჰქონდა სუსტი და იმედოვნებდა, რომ ექსპერიმენტატორი გაითვალისწინებდა ამას. ამის შემდეგ ექსპერიმენტატორი, გასინჯვის მიზნით მასწავლებელს ამ ხელსაწყოთი აყენებდა ელექტროშოკს, რათა წარმოდგენა ჰქონოდა თუ რა სახის ვნებას აყენებდა მოსწავლეს. სასინჯი ელექტროშოკი ძლიერი იყო, მაგრამ მასწავლებელს უთხრეს რომ გამოიყენეს საშუალო სიძლიერის ელექტროშოკი.

ექსპერიმენტის განმავლობაში მოსწავლე ხშირად უშვებდა შეცდომას. ყოველ შეცდომაზე მასწავლებელს უნდა აღენიშნა, რომ დაშვებულია შეცდომა და უნდა დაეჭირა თითი ღილაკისთვის. ყოველ მომდევნო შეცდომაზე მასწავლებელს უნდა გამოეყენებინა მომდევნო ღილაკი ე.ი. უნდა გაეძლიერებინა ელექტროშოკი. ელექტროშოკის გაძლიერებსთან ერთად, მოსწავლის რეაქცია ხდებოდა დრამატული, რაც ახალი შეცდომის წყარო ხდებოდა. ის ითხოვდა შეეწყვიტათ ექსპერიმენტი, მაგრამ ექსპერიმენტატორი ეუბნებოდა მასწავლებელს რომ გაეგრძელებინა ცდა.

ექსპერიმენტში ჩართული წყვილიდან ნამდვილი სუბიექტი იყო ერთი, რომელსაც შემთხვევით "მასწავლებლის" როლის შესრულება უხდებოდა, ხოლო "მოსწავლე" იყო ცრუ სუბიექტი. რა თქმა უნდა არ ხდებოდა ელექტროშოკის გამოყენება. მოსწავლის რეაქცია ელექტროშოკის მიღებაზე მასწავლებელს ესმოდა ინტერკომით. მოსწავლის რეაქცია იყო შემდეგი:

რეაქცია ელექტროშოკზე იწყებოდა 75 ვოლტიდან.

"მასწავლებელს" ევალებოდა ყოველ შეცდომაზე ელექტროშოკის გაძლიერება. რათა "მასწავლებელს" არ შეეწყვიტა ექსპერიმენტი, ექსპერიმენტატორი საკმაოდ ლაკონიურად ფრაზებს იყენებდა. ეს ფრაზები იყო შემდეგი:

ფრაზა 1: თუ შეიძლება გააგრძელეთ

ფრაზა 2: ექსპერიმენტის პირობები მოითხოვს, რომ გააგრძელოთ

ფრაზა 3: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გააგრძელოთ

ფრაზა 4: თქვენ არა გაქვთ სხვა არჩევანი; უნდა გააგრძელოთ

მილგრემმა ჩაატარა საინტერესო გამოკითხვა. მან გამოკითხა ფსიქიატრები, სტუდენტები და საშუალო ფენის წარმომადგენლები, სულ 110 ინდივიდი. მათ კითხეს: ისინი რომ ყოფილიყვნენ ასეთ ექსპერიმენტებში "მასწავლებლის" როლში, რა სიძლიერის ელექტროშოკი იქნებოდა მაქსიმალური, რომელსაც ისინი გამოიყენებდნენ. თითქმის ყველა მათგანმა მიუთითა, რომ დაემორჩილებოდნენ ექსპერიმენტატორს მხოლოდ 130 ვოლტის გამოყენებამდე. კითხვაზე - სხვები რა სიძლიერის შოკის გამოიყენებამდე გამოიჩენდნენ მორჩილებას? არცერთი მათგანი არ უშვებდა, რომ სხვები გამოიყენებდნენ ღილაკს, რომელიც ,,საშიშის" კატეგორიაში შედიოდა.

მაგრამ მილგრემის ექსპერიმენტში, რომელშიც მონაწილეობდა 40 განსხვავებული პროფესიის 20-დან 50 წლამდე ასაკის მამაკაცი, გასაოცარი შედეგები იქნა მიღებული. ექსპერიმენტში მონაწილეობა ნებაყოფილობითი იყო და კვლევაში მონაწილეობისათვის მათ უხდიდნენ გარკვეულ საფასურს. მოსალოდნელი იყო, რომ ისინი წინააღმდეგობას გაუწევდნენ არცთუ ისე გონივრულ მოთხოვნას. მაგრამ ფაქტიურად აღმოჩნდა, რომ სუბიექტების 65% აგრძელებდა ექსპერიმენტს 450 ვოლტის გამოყენებამდე. შედეგი მართლაც შემაშფოთებელი იყო.

მომდევნო კვლევებში მილგრემი აჩვენებს, რომ მსგავსი შედეგები შეიძლება დადგეს ისეთ პირობებშიც, სადაც მოსალოდნელია მორჩილების ტენდენციის შემცირება. კერძოდ, ექსპერიმენტები თავიდან ტარდებოდა იელის უნივერსიტეტის ბაზაზე. მილგრემმა ჩათვალა, რომ იელის უნივერსიტეტის ავტორიტეტს შეეძლო გარკვეული გავლენა მოეხდინა შედეგებზე. ამიტომ მომდევნო კვლევები მან ჩაატარა უნივერსიტეტის გარეთ, ერთ-ერთი უმნიშვნელო

კვლევითი ორგანიზაციის სახელით. მიუხედავად ამისა, შედეგები დაახლოებით იგივე იყო. ექსპერიმენტები გამეორებული იქნა სხვების მიერაც, როგორც მოზარდებთან ისე მოზრდილებთან, თუმცა შედეგები ყოველთვის ერთგვარი დგებოდა. ფენომენი მოინათლა დესტრუქციულ მორჩილებად.

Commented [71]: აქ მგონი საჭიროა განიმარტოს რისი ფენომენი?

**დესტრუქციული მორჩილების მიზეზები.**

მიუხედავად იმისა, რომ მილგრემის ექსპერიმენტების შედეგები შემაშფოთებელი იყო. საჭირო იყო პასუხი კითხვაზე - რატომ არსებობს მორჩილების ტენდენცია სიტუაციაში, რომელშიც თითქოსდა არ ფიგურირებს ავტორიტარულ ფიგურა. სანუგეშო იქნებოდა დასკვნა, რომ წყაროს აქვს დიდი ძალა იმაზე, ვინც ემორჩილება და ამიტომ ნაკლებია წინააღმდეგობის გაწევის შანსი. მილგრამის ექსპერიმენტში ექსპერიმენტატორს ფაქტიურად, მცირე ძალაუფლება ჰქონდა სუბიექტებზე, ისინი არ ახდენდნენ დაჯილდოვებას მორჩილებისათვის და არ სჯიდნენ წინააღმდეგობის გაწევისათვის. ასევე, სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში ინდივიდს, რომელიც ემორჩილება სხვას აქვს პროტესტისა და წინააღმდეგობის გაწევის უფლება, მაგრამ, - მაგრამ ყოველთვის არ იყენებს მას.

რა განსაზღვრავს ადამიანის სურვილს მიიღოს რეალური ან წარმოსახვითი ავტორიტეტის წყაროდან გავლენა? აღმოჩნდა, რომ მრავალი ფაქორი თამაშოვბს გარკვეულ როლს.

პირველი - სხვადასხვა სიტუაციაში ავტორიტეტი პასუხისმგებლობის თავისთავზე აღებით უმსუბუქებს მდგომარეობას იმას, ვინც ემორჩილება. ადამიანები, როცა ემორჩილებიან მკაცრ და უმოწყალო განკარგულებას, ხშირად თავს იმართლებენ იმით, რომ „მხოლოდ ასრულებდნენ ბრძანებას“. მილგრემის ექსპერიმენტებში პასუხისმგებლობის ასეთი გადატანა აშკარად ხორციელდებოდა. კერძოდ, სუბიექტებს თავიდანვე ეუბნებოდნენ, რომ ექსპერიმენტატორი, ავტორიტეტელი ფიგურა, იყო პასუხისმგებელი მსხვერპლის კეთილდღეობაზე და არა ისინი. ამის შემდეგ თითქოსდა არც იყო გასაკვირი რომ ისინი დამორჩილების ტენდენციას ამჟღავნებდნენ.

მეორე - ავტორიტეტულ ინდივიდს ხშირად აქვს მათი სტატუსის და ძალაუფლების ემბლემა ან ნიშანი. ეს შეიძლება იყოს სპეციალური უნიფორმა, ნიშნები, ტიტულები და მასთან დაკავშირებული ფაქტორები. ასეთი აშკარა მანიშნებლის წინაშე ადამიანებს უძნელდებათ წინააღმდეგობის გაწევა. ერთ-ერთ კვლევაში ქუჩაში მოსიარულეს აჩერებს გამვლელი და თხოულობს 10 ცენტიანს თითქოსდა მანქანის გასაჩერებელი ავტომატური სადგომისათვის. ერთ შემთხვევაში ის ვინც ითხოვდა ამ თანხას იყო მეხანძრის უნიფორმაში ჩაცმული, მეორეში - კარგად ჩაცმული ადამიანი, ხოლო მესამეში - ღარიბად ჩაცმული ინდივიდი. შედეგი იყო ის, რომ მეხანძრის უნიფორმიანი ინდივიდი იღებდა სხვებზე მეტ 10 ცენტიანს. ამასთან, უმრავლესობა,

რომლებიც აძლევდნენ 10 ცენტიანს მიუთითებდნენ, რომ ისინი (მეხანძრის ფორმიანები) ისე სთხოვდნენ, რომ იგულისხმებოდა უეჭველი დამორჩილების საჭიროება. ე.ი. როცა მეხანძრის ფორმიანის თხოვნას გამვლელები აღიქვამდნენ განსხვავებულად, ვიდრე სხვებისას. თუმცა, თხოვნა სტანდარტიზებული იყო. ამრიგად, გარეგნული სიმბოლოები გავლენას ახდენს როგორც ქცევაზე, ისე მოტივზე, რომელიც ქცევას განაპირობებს.

მესამე – რიგ სიტუაციაში მორჩილების მიზეზი შეიძლება იყოს მოთხოვნის თანდათანობითობა. ხშირად ბრძანება თავიდან შედარებით მცირე და უწყინარია და თანდათანობით იზრდება და  მოითხოვს იმას, რისი შესრულებაც საშიში და არასასიამოვნო ხდება. მილგრემის ექსპერიმენტებში სუბიექტი თავიდან იყენებდა სუსტ ელექტროშოკს და შოკის ინტენსიობა იზრდებოდა შეცდომების სიხშირის მიხედვით, ასე რომ დასჯის ინტენსიობა თანდათანობით აღწევდა საშიშ დონეს. როცა ბრძანებების ესკალაცია ხდება თანდათანობით და არ არსებობს ნათელი გამყოფი ხაზი, რომლის შემდეგ დაუმორჩილებლობა უფრო მისაღები ხდება ვიდრე დამორჩილება, ეს იმას ნიშნავს, რომ სიტუაცია ქმნის დამორჩილების ხელშემწყობ გარემოს.

ამრიგად, მთელი რიგი ფაქტორები განსაზღვრავენ დამორჩილების მაღალ დონეს, რომელიც გამოვლინდა როგორც ლაბორატორიული კვლევების, ისე რეალური ცხოვრებაში.

**როგორ შეიძლება წინააღმდეგობა გავუწიოთ მორჩილებას?**

არსებობს რამდენიმე სტრატეგია, რომელიც შეიძლება ეფექტური აღმოჩნდეს მორჩილების ტენდენციის დასაძლევად:

პირველი - ინდივიდმა, რომელიც ავტორიტეტისგან იღებს ბრძანებას, უნდა გააცნობიეროს, რომ სწორედ თვითონაა შედეგზე პასუხისმგებელი და არა ბრძანების გამცემი. ასეთ შემთხვევაში მორჩილების ტენდენცია მკვეთრად შემცირდება და რასაც მოწმობს გარკვეული კვლევები.

მეორე - მორჩილების ტენდენცია შემცირდება, თუ ინდივიდს ეცოდინება, რომ გარკვეული ნიშნულის მიღმა უსიტყვო დამორჩილება ბრძანებისადმი მიუღებელია.

მესამე - გაცილებით უფრო ადვილია წინააღმდეგობა გავუწიოთ ავტორიტეტული წყაროს გავლენას თუ კითხვის ქვეშ დავაყენებთ მის ექსპერტულობას ან მოტივებს. ე.ი. საჭიროა გავაცნობიეროთ, აქვთ თუ არა მათ ჩვენზე მეტი კომპეტენცია, შეაფასონ რა არის მნიშვნელოვანი და რა არა? ან მათი ბრძანების საფუძველი ხომ არ არის პირადი ეგოისტური მოტივები? ასეთი კითხვების დასმით ადამიანი შეიძლება გახდეს უფრო თავდაჯერებული და თავისუფლალი, რაც შეამცირებს მორჩილებისადმი მის მიდრეკილებას.

ბოლოს, შეიძლება სასარგებლო იყოს თვით ძალისა და კანონზომიერების ცოდნაც, რომელსაც ემყარება ავტორიტეტის ძალაუფლება. აღმოჩნდა, რომ ინდივიდები, რომლებიც ეცნობიან სოციალურ და ფსიქოლოგიურ კვლევებს, იციან მათი შედეგები, უფრო სენსიტურები ხდებიან იმ ფენომენების და იმ ეფექტების მიმართ, რომლებიც აღწერილია იმ გამოკვლევებში. ისინი ახერხებენ შეცვალონ თავიანთი ქცევა ამ ცოდნის საფუძველზე, რადგანაც ამ პროცესების ცოდნას შეუძლია გაზარდოს წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ამრიგად, ავტორიტეტის ძალა, გასცეს დამორჩილების ბრძანება, დიდია, მაგრამ არა დაუძლეველი.

თუ დესტრუქციული მორჩილების საკითხს შევხედავთ პიროვნების პოზიციებიდან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ თვითონ ადამიანის ბუნებაშია დესტრუქციულობა, აგრესია, მაგრამ ზოგჯერ სოციალურობა ზღუდავს და გარკვეულწილად, აკავებს მას.

ამრიგად, მილგრემის ექსპერიმენტის მსგავს სიტუაციაში, მაშინაც კი როცა ქცევა საშიში იყო თვით სუბიექტებისათვის, დადასტურდა დესტრუქციული მორჩილების ტენდენცია. ე.ი. ამ ტენდენციას ვერ ავხსნით თვით პიროვნების დესტრუქციული ბუნებით.

**ჩრდილოეთ კორეის მაგალითი**

ჩრდილოეთ კორეა, ესაა სახელმწიფო, სადაც მმართველობის ტიპი არის მემკვიდრეობითი დიქტატურა, სადაც გაცხადებულია პიროვნების კულტი და რომელიც დაფუძნებულია „ჩუჩხეს" იდეოლოგიაზე. მისი ამოსავალი იდეა არის შემდეგი: „ადამიანი - დედამიწის ბატონია".

ჩრდილოეთ კორეის შემთხვევა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდება ლიდერისადმი უპირობო მორჩილება. საკითხს წმინდა თეორიული კუთხით თუ მივუდგებით, მსგავს ვითარებაში ადამიანები გამოირჩევიან სურვილით დაემორჩილონ ძალაუფლებით აღჭურვილ პირებს მაშინაც კი, როდესაც ამ პირთა მოთხოვნები ამორალური და არაეთიკურია. განკარგულების შესრულება ლამის მორალური ქცევის სინონიმად განიხილება.

ჩრდილოეთ კორეაში ავტორიტეტისადმი მორჩილების საილუსტრაციოდ გამოდგება ის ვითარება, რაც ხალხში შეიქმნა მათი ლიდერის კიმ ჩენ ირის გარდაცვალების შემდეგ, 2011წლის დეკემბერში. მოსახლეობამ გლოვის მაგალითი ტელეწამყვანისგან აიღო, რომელიც შავი ფერისტანსაცმელში ჩაცმული ეთერში ცრემლებს ძლივს იკავებდა.ამის შემდეგ ცრემლებმა და საყოველთაო უკონტორლო ისტერიამ მთელი ქვეყანა მოიცვა. ეს არის ტიპიური გამოხატულება ბრბოს ფსიქოლოგიისა, რა დროსაც ადამიანები კოლექტიური აღგზნების მდგომარეობაში იმყოფებიან და მოქმედებენ იმპულსებისა და გრძნობების კარნახით. ბრბოში ჩადებული ემოციის წყალობით ლიდერის რადიკალური მოწოდებები უსიტყვოდ სრულდება.

ჩრდილოეთ კორეის საყოველთაო გლოვის შემთხვევაში ისმის კითხვა, რამდენად გულწრფელი იყო ხალხის რეაქცია ლიდერის გარდაცვალების გამო? იყო ეს მათი პირადი ინიციატივა, თუ გამოწვეული იყო მიბაძვით ან ზეწოლით? მოსახლეობის საყოველთაო გლოვა და მათი ქმედებების ისტერიული ხასიათი არ იყო მხოლოდ მათი პირადი ნება და გამოწვეული იყო დამატებითი ფაქტორებით. აღნიშნულის დასამტკიცებლად გამოდგება ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთ კორეის რესპუბლიკის სასამართლომ ლიდერის გარდაცვალების შემდეგ გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც დაისჯებოდა ყველა ის პიროვნება, ვინც კიმ ჩენ ირს არ დაიტირებდა. დასჯა კი გულისხმობდა საკონცენტრაციო ბანაკებში 6 თვის გატარებას.

ავტორიტეტისადმი მორჩილების გამოვლინებაა ე.წ. „ტვინების გამორეცხვის“ პრეცედენტი. ეს არის ვითარება, როდესაც ლიდერი მოსახლეობას სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებს და აწოდებს მხოლოდ მისთვის სასურველ ინფორმაციას.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ჩრდილოეთ კორეაში შიმშილობის შედეგად თითქმის მილიონი ადამიანი დაიღუპა. კომუნისტური პარტიის ლიდერები კი მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ ისინი დაისაჯნენ იმ დანაშაულისთვის, რომელიც მათ კორეელი ხალხის წინაშე ჩაიდინეს. არავინ იცოდა, თუ რა იყო ეს დანაშაული. თუმცა, პარადოქსი იმაშია, რომ ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობას არანაირი პროტესტის გრძნობა არ უჩნდება ამ ყოველივეს მიმართ. პირიქით, ისინი მადლობასაც კი უხდიან თავიანთ ლიდერს იმისთვის, რომ აქვთ ყველაფერი, რაც სჭირდებათ. ამ მადლიერების ერთადერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მოსახლეობას სხვა ქვეყნებთან, სხვა კულტურებთან შედარების არანაირი საშუალება არ აქვს. ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს იმისთვის, რათა მათ სხვა ცივილიზაციის გაცნობის საშუალება მოუსპოს მოსახლეობას და ამით შეინარჩუნოს მათი მორჩილება. ხალხის შესამჩნევი რაოდენობა აკეთებს მხოლოდ იმას, რასაც ეუბნებიან, ქმედების შინაარსისა და სინდისის გაუთვალისწინებლად და აკეთებს მანამ, სანამ თვლის, რომ ბრძანება ლეგიტიმური ავტორიტეტისგან მოდის. მორჩილების ლიმიტის განსაზღვრა ამ ვითარებაში შეუძლებელია. საბოლოოდ, „ტვინების გამორეცხვას“ მივყავართ იქამდე, რომ არსებულ სიტუაციაში ჩრდილოკორეელი ხალხი არ თვლის, რომ ის განუვითარებელია. მისი აზრით, ჩრდილოეთ კორეა მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც დემოკრატია და ეკონომიკური ყვავის.

**1.3. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა**

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი ალტერნატიული

საშუალებაა და, როგორც ისტორიამ დაგვანახვა, ეს საკმაოდ ეფექტური ზომაა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ტერმინი სამოქალაქო დაუმორჩილებლობა აღწერს პიროვნების განზრახვას უარი თქვას დაემორჩილოს კანონს, რომელიც ეწინააღმდეგება მის მრწამსს, სინდისს.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც კანონის მშვიდობიანი დარღვევა, როგორც პროტესტის ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას უსამართლობაზე. აღნიშნულის უფლებას მათ აძლევს კანონი ადამიანის უფლებების შესახებ.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობის განმარტების ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკელ პოლიტიკურ მოაზროვნეს ჯონ როულზს, რომელიც თავის ცნობილ ნაშრომში „სამართლიანობის თეორია“(1971), განიხილავს კანონებს, მორალსა და მოქალაქეთა მოვალეობებს სხვადასხვა პირობებსა და სიტუაციებში. როულზი სამოქალაქო დაუმორჩილებლობას შემდეგნაირად განმარტავს: „კანონის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი, არაძალადობრივი, სინდისისმიერი და მაინც პოლიტიკური აქტი, რომელიც ჩვეულებრივ ხორციელდება კანონსა თუ მთავრობის პოლიტიკაში ცვლილების შეტანის მიზნით“. დაუმორჩილებლობა შეიძლება გამიზნული იყოს უშუალოდ კანონებისა და პოლიტიკის მიმართ, რომელსაც გმობს საზოგადოება. დაუმორჩილებლობის ნათელი მაგალითია ისეთი კანონებისა თუ წესების დარღვევა, რომლებიც კრძალავს დემონსტრაციებს და ლახავს შეკრების უფლებას. დაუმორჩილებლობა არა მხოლოდ იმ აქტებს მოიცავს, რომლებიც შეიძლება არაკონსტიტუციური იყოს არამედ იგი ასეთივე წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული იმ კანონების წინააღმდეგაც, რომელთა კონსტიტუციურობაც სასამართლომ უკვე განიხილა.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობის იდეა მუშავდებოდა და გამოიყენებოდა ანტიკური დროიდან. თუმცა მე-19 საუკუნემდე მას აკლდა „სამოქალაქო“ ელემენტები და იგი აღიქმებოდა, როგორც კანონისადმი უბრალო დაუმორჩილებლობა. ამჟამად, სამოქალაქო დაუმორჩილებლობას განსხვავებული კვალიფიკაცია მიენიჭა. კანონისადმი დაუმორჩილებლობა ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის დროიდან იწვევდა ფართო ინტერესს. დაუმორჩილებლობის დილემა აღწერილია მითოლოგიაში, ტრაგედიებსა და რელიგიურ მოძღვრებებში. იურიდიული და პოლიტიკური თეორიების თვალსაზრისით, არისტოტელე, სოკრატე, წმინდა თომა აქვინელი და წმინდა ავგუსტინი ამართლებდნენ დაუმორჩილებლობას, ლოკი აღიარებს დაუმორჩილებლობის შესაძლებლობას, თუკი სახელმწიფო არღვევს სოციალური კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. მე-19 საუკუნეში ჰენრი დევიდ ტორომ ერთ-ერთი

ეპოქალური ნამუშევარი შექმნა დაუმორჩილებლობის მიმართულებით. მე-20 საუკუნეში დაუმორჩილებლობის იდეა ფართოვდება და აქტიურად ინერგება. მაჰათმა განდისა და მარტინ ლუთერ კინგის ნამუშევრებმა და საქმიანობამ დიდი წვლილი შეიტანა იდეის განვითარებაში.

1950-60-იან წლებში მარტინ ლუთერ კინგი (უმცროსი) და მისი თანამოაზრენი ციხეში აღმოჩნდნენ რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ პროტესტის გამო. დაპატიმრებული მარტინ ლუთერ კინგი (უმცროსი) თავის ცნობილ „წერილში ბირმინჰემის ციხიდან“ აცხადებდა: „ინდივიდი, ვინც თავისი სინდისის კარნახის მიხედვით უსამართლო კანონს არღვევს და ნებაყოფლობით იხდის სასჯელს ციხეში, რათა საზოგადოების სინდისის ქენჯნა გამოიწვიოს კანონის უსამართლობის გამო, რეალურად კანონის მიმართ უმაღლეს პატივისცემას გამოხატავს“. კინგის პოზიციას ისტორიული საფუძვლები ჰქონდა მისი წინამორბედების ნააზრევის სახით.

მაჰათმა განდიმ პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ არაძალადობრივი წინააღმდეგობა შეცვლის პოლიტიკასა და ტირანიას, თუ დაუმორჩილებლობა ჭეშმარიტად სინდისისმიერია და გამორიცხავს თანამშრომლობას ბოროტებასთან. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ანარქიასა და ქაოსში რომ არ გადაიზარდილიყო, განდი მიიჩნევდა, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული პირობების გათვალისწინებით - როდესაც სახელმწიფო „დიდ ბოროტებას“ სჩადის და მხოლოდ იმ ხალხის მიერ, ვისაც განსაკუთრებით დადებითი თვისებები ახასიათებს.

ისევე, როგორც განდი, კინგიც მიიჩნევდა, რომ ბრძოლის მიზანი მოწინააღმდეგის დამარცხება არ არის. მთავარია სამართლიანობის აღდგენა, საზოგადოების გარდაქმნა. ეს კი შეუძლებელია „ბოროტი“ საშუალებების გამოყენებით, რადგან სისასტიკე და ძალადობა ადამიანის ბუნების დეგრადაციას იწვევს. კინგმა განაცხადა: „ძალადობის სისუსტე ის არის, რომ ის სპირალისებურად ეშვება და თვითონ წარმოქმნის ისეთ რამეს, რის მოსპობასაც ცდილობს. ბოროტების დათრგუნვის ნაცვლად ის ბოროტებას ზრდის... ძალადობით შეიძლება მოკლა მტერი, მაგრამ სიძულვილს ვერ აღმოფხვრი. სინამდვილეში ძალადობა სიძულვილს აღვივებს... ძალადობის საპასუხო ძალადობა კვლავ ძალადობას წარმოშობს, ისედაც უვარსკვლავებო ღამეს სიბნელეს მატებს. სიბნელე ვერ განდევნის სიძულვილს; ეს მხოლოდ სიყვარულს შეუძლია“. სწორედ ზნეობრივად დასაშვები და სიტუაციურად ადეკვატური გზებით (გულწრფელი დარწმუნებით, კუთვნილის აქტიური მოთხოვნით, ინტერესების მკაცრი და თანმიმდევრული დაცვით) მიაღწია კინგმა წარმატებას თავის ბრძოლაში შავკანიანთა უფლებებისთვის.

**Commented [72]:** მგონი ახლა - აფრო-ამერეკელებს იყენებენ

სამოქალაქო დაუმორჩილებლობის იდეის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ის, გარკვეული კვალიფიკაციით, შეიძლება ხელს უწყობდეს დემოკრატიულ პროცესებს, თუმცა ოპონენტები

სამოქალაქო დაუმორჩილებლობის უარყოფისას ძირითადად არგუმენტად ასახელებენ მასობრივი უკანონობის საშიშროებას.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობასთან დაკავშირებულმა ისტორიამ და ლიტერატურამ წამოჭრა შეკითხვები: 1. რაში მდგომარეობს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ნამდვილი ხასიათი და კვალიფიკაცია, 2. არღვევს თუ არა სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ადამიანის უფლებებს, ვნებს თუ არა კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის პრინციპებს და 3. არის თუ არა გამართლებული სამოქალაქო დაუმორჩილებლობისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭება და შეიძლება თუ არა ამგვარმა სტატუსმა ანარქიამდე და უკანონობამდე მიგვიყვანოს.

თომას ჯეფერსონის მიხედვით: „თუ კანონი უსამართლოა, ადამიანს არა მხოლოდ აქვს მისი დაუმორჩილებლობის უფლება, არამედ ვალდებულია ეს გააკეთოს".

ისტორია გვიჩვენებს, რომ ადამიანის მიერ დაწერილი კანონების დაუმორჩილებლობა მითოლოგიური და რელიგიური წყაროებიდან წარმოიშვა და მას აქეთ რამდენიმე მიდგომა იქნა შემუშავებული. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე, დაუმორჩილებლობა ითვლებოდა გარკვეული პიროვნებების პირად დამოკიდებულებად იმ კანონებისადმი, რომლებიც ეწინააღმდეგება კონკრეტული საზოგადოების მორალს. იმ პერიოდში დაუმორჩილებლობა არ იყო მოწოდებული იმისათვის, რომ გაეერთიანებინა პროტესტის მომხრეთა დიდი რაოდენობა და იგი ძირითადად ფილოსოფიური განსჯის ფარგლებში რჩებოდა. ,,დაუმორჩილებელთა" მთავარი პრობლემა იყო კანონების მორალური და რელიგიური წყაროების ურთიერთკავშირი ბუნებით სამართალთან, რომელსაც ადამიანის მიერ დაწერილი აქტები არღვევდა. მიუხედავად ამისა, მე-19-ე საუკუნეში ჩვენ ვხედავთ მასობრივი საპროტესტო აქციების გაფართოებას და გავრცელებას.მე-20-ე საუკუნეში წინააღმდეგობის მოძრაობებმა გლობალური რეზონანსი გამოიწვია. ახალი ტექნოლოგიებისა და მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებების შექმნამ მოძრაობას „ტრანსნაციონალური მნიშვნელობა" შესძინა.

თუ კი გადავხედავთ ყველა მოსაზრებას სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ, ადვილად აღმოვაჩენთ საერთო მოდელს: 1. არაძალადობრივი მეთოდების გამოყენების პრინციპი ძირითადი საფუძველია დაუმორჩილებლობის მოძრაობისათვის. კანონის დარღვევის მომხრეები ამტყუნებენ სისასტიკესა და ძალადობას და აცხადებენ, რომ ეს ადამიანის ბუნების დეგრადირებას ახდენს. 2. დაუმორჩილებლობა სინდისისმიერი უნდა იყოს, ე.ი. იგი უნდა ემყარებოდეს იმის გულწრფელ რწმენას, რომ არსებული კანონი (წესრიგი) ეწინააღმდეგება სამართლიანობასა და მორალურობას. ეს მოთხოვნა განასხვავებს დაუმორჩილებლობას რიგითი კრიმინალური ქმედებისაგან. მე-18 საუკუნიდან დაწყებული, მას შემდეგ, რაც წარმოიშვა

სოციალური კონტრაქტის თეორია, აქცენტი თანდათანობით გადატანილ იქნა ადამიანის უფლებებსა და თანასწორობაზე. ლოკი თავის თეორიაში აკანონებს იმ მთავრობისადმი წინააღმდეგობას, რომელიც არღვევს კონტრაქტის პირობებს და იჭრება იმ უფლებებში, რომლებიც ადამიანს ბუნებამ მიანიჭა. მშვიდობიანი დაუმორჩილებლობის ელემენტები აშკარად ჩანს ამერიკის დამოუკიდებლობის მოძრაობაში. ამერიკის მოსახლეობამ გამოხატა დაუმორჩილებლობა 1765 წლის საგერბო მოსაკრებლის შესახებ კანონისადმი, რომელიც კაბალურ ვალდებულებებს აწესებდა ქაღალდის ნაწარმზე, მათ შორის იურიდიულ დოკუმენტებსა და გაზეთის ქაღალდზე.მოსახლეობა აქტიურად მიმართავდა არათანამშრომლობის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა: პეტიციები, გადასახადებზე უარის თქმა, სოციალური ბოიკოტი საგერბე გადასახადის ამკრეფისადმი, გაზეთების გამოქვეყნება გადასახადების გადახდის გარეშე, აგრეთვე, უარის თქმა ბრიტანული ნაწარმის შემოტანაზე და მოხმარებაზე.

სამშვიდობო კამპანია, რომელსაც ცნობილი ფილოსოფოსი და ნობელის პრემიის ლაურეატი ბერტრან რასელი ხელმძღვანელობდა, პროტესტს აცხადებდა პირველი მსოფლიო ომის წინააღმდეგ. ბელგიასა და შვედეთში გამართულმა მასობრივმა საპროტესტო აქციების შედეგად შემოღებული იქნა საყოველთაო საარჩევნო უფლება. ცივი ომის დროს წარმოებულმა სამშვიდობო მოძრაობამ გამოიწვია აშშ-ს მთავრობაზე ზეწოლა, რათა მათ მშვიდობა შეენარჩუნებინათ. სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ტექნიკა წარმატებით იქნა გამოყენებული ვიეტნამის ომის წინააღმდეგ და 1960-70-იანი წლების ქალთა მოძრაობის მიერ. ბირთვული ომის წინააღმდეგ მებრძოლი აქტივისტებიც აქტიურად მიმართავდნენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას თავიანთი მიზნების მისაღწევად.

არაძალადობრივ პროტესტს ხშირად მიმართავდნენ სოციალისტური ქვეყნების („ვარშავის პაქტი“) დისიდენტები. „პრაღის გაზაფხული“ და ჩეხეთის ხავერდოვანი რევოლუცია მოსახლეობის მასობრივი და წარმატებული პროტესტის ბრწყინვალე მაგალითია, რასაც ტოტალიტარული მმართველობის შეცვლა მოჰყვა. სამოქალაქო დაუმორჩილებლობით მოხერხდა დიქტატორ ფერდინანდ მარკოსის გაძევება ფილიპინებიდან (1968 წ.) და ნორიეგას დიქტატურის დამხობა პანამაში. ასევე მუდმივ წინააღმდეგობას უწევდნენ აპარტეიდს სამხრეთ აფრიკაში.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა გამოყენებულ იქნა არა მხოლოდ ძალადობრივი მთავრობების ან უსამართლო პოლიტიკის რეფორმირებისათვის, არამედ მან დაიცვა არსებული დემოკრატიული მთავრობები დიქტატორული რეჟიმების დამყარებისა და აჯანყებებისაგან. 1961 წელს ფრანგი გენერლების მცდელობა ალჟირში დაემყარებინათ სამხედრო დიქტატურა, უშედეგოდ დასრულდა სწორედ მათ წინააღმდეგ გამართული მასობრივი პროტესტის შედეგად .

1991 წელს რუსი გენერლების მცდელობა, აღორძინებინათ საბჭოთა დიქტატურა, მარცხით დასრულდა, რაშიც გადამწყვეტი როლი სწორედ მოსახლეობის პროტესტმა შეასრულა

## 1.4. მასწავლებლის როლი მორჩილების ინდოქტრინაციის თავიდან აცილებასა და ინტერვენციაში

სკოლა მოსწავლეს მოქალაქედ უნდა აყალიბებდეს. მოქალაქეობა კი ერთ აზრზე მყოფ უსახო კოლექტივს კი არ გულისხმობს, არამედ ინდივიდუალური თავისუფლების და პასუხისმგებლობის მქონე ავტონომიურ პიროვნებათა მრავალფეროვნებას.

ადამიანებს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სავალდებულო სასკოლო განათლების საყოველთაო სისტემას, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რა მიზნით ქმნიდნენ მას.

მე-17 და მე-18 საუკუნეების მიჯნაზე, ეს ადამიანები იყვნენ პროტესტანტი მღვდლები ევროპიდან და ამერიკული კოლონიებიდან. მათ მკაფიოდ განაცხადეს, რომ სკოლა ემსახურებოდა ინდოქტრინაციას (იდეოლოგიურ დამუშავებას) და მორჩილების სწავლებას.

მათ სჯეროდათ, რომ ბავშვები (ისევე როგორც მოზრდილები) ბუნებრივად ცოდვილები არიან და მათი გადარჩენის ერთადერთი გზა ბიბლიური ინდოქტრინაცია და თავისუფალი ნების დათრგუნვაა. სკოლები, რომლებიც მათ შექმნეს, ამ მიზანს იყო მორგებული.

პროტესტანტული სკოლების იდეა იყო ბავშვებისთვის იმ საგნების სწავლება, რომლებიც უმეტესწილად სახარებიდან და ბიბლიიდან მომდინარეობდა. მათი რწმენით, ის მოსწავლეები, რომლებიც ბიბლიურ გაკვეთილებს ვერ შეისწავლიდნენ, დაისჯებოდნენ, ხოლო წარმატებული მოსწავლეები ჯილდოს მიიღებდნენ (ან, ყოველ შემთხვევაში, არ დაისჯებოდნენ მაინც).

ვინაიდან განზრახული ჰქონდათ, ყველა ბავშვისთვის ერთი და იგივე ესწავლებინათ, ბუნებრივი იყო სასწავლო ოთახში მათი რიგებად დასმა გაკვეთილების მოსასმენად, რომელსაც მასწავლებელი უძღვებოდა (იმ დროს მასწავლებელს „მასტერი" ანუ ბატონი, წინამღოლი ერქვა) ან წიგნიდან გაკვეთილების ხმამაღლა წასაკითხად. სწავლებას გამოცდები მოსდევდა – ყველა ერთნაირ გამოცდას აბარებდა, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ბავშვებმა ცოდნა შეიძინეს.

ყველაფერი, რასაც ადრეულ სკოლებში ასწავლიდნენ, „ჭეშმარიტებად" ითვლებოდა. ამდენად, სკოლის მთავარი დანიშნულება ბავშვებისთვის მორჩილების სწავლება იყო, ასევე ბუნებრივად მიიჩნეოდა, რომ მოსწავლეებს ზედმეტი შეკითხვების გარეშე შეესრულებინათ მასწავლებლის დავალებები.

დღეს სკოლა მორჩილების სწავლებასა და ინდოქტრინაციას აღარ ისახავს მიზნად და ამას სკოლის მთავარ დანიშნულებად აღარ განიხილავს. ადამიანები, რომლებიც სამოქალაქო განათლების ადგილს ვერ ხედავენ სასკოლო პროგრამებში და სკოლისგან არა განათლებას, არამედ ინდოქტრინაციას მოითხოვენ. ინდოქტრინაცია  არის პოლიტიკა, როცა მოსწავლეს ასწავლი სრულად მიიღოს ერთი ჯგუფის იდეები, მოსაზრებები და მრწამსი, ყოველგვარი კრიტიკის და კითხვის დასმის გარეშე. თანამედროვე განათლება ნიშნავს მოსწავლეთათვის ყველა იდეის, მოსაზრების და მრწამსის გაცნობას და არჩევანის დატოვებას. მოსწავლეებმა თავად უნდა განსაჯონ და სწორედ განსჯის საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სკოლამ აღსაზრდელებს უნდა ასწავლოს არა ის, თუ რა იფიქრონ, არამედ როგორ იფიქრონ.

სკოლის მიზანია არა მარტო საინტერესო თემების წარდგენით, არამედ საჭირო უნარების გამომუშავებით, დაეხმაროს მოსწავლეებს აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში და ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვაში.

სკოლებს შეუძლიათ დაეხმარონ მოსწავლეებს კომპეტენტურ და პასუხისმგებელიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში, როდესაც ისინი:

თუ მოსწავლეები დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე თავიანთი შეხედულებებით მოდიან, ხოლო გაკვეთილების შემდეგ ყველანი მასწავლებლის შეხედულებას იზიარებენ, ეს უკვე პრობლემაზე მიუთითებს. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე პასუხისმგებელმა მასწავლებელმა არ უნდა მოახდინოს გავლენა მოსწავლეებზე, იმ შეხედულებებისა და ღირებულებების ჩანერგვის მიზნით, რომელსაც თავად იზიარებს. სკოლები საჯარო დაწესებულებებს წარმოადგენს და რასაც მშობლები და საზოგადოება ელის მასწავლებლისაგან, არის ის, რომ მათ ბოროტად არ უნდა გამოიყენონ თავიანთ პოზიცია და ავტორიტეტი სწავლების ინდოქტრინაციისთვის.

მასწავლებლის მხრიდან დაუშვებელია მოსწავლეთა ინდოქტრინაციის ნებისმიერი მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ მოსწავლეებმა მასწავლებლისათვის მისაღები მოსაზრება გაიზიარონ, მაგალითად, პოლიტიკური მართლზომიერების შესახებ. ამ მიზნით, დაუშვებელია მასწავლებლის მცდელობა, გააჩუმოს ან „ჩაახშოს“ ნებისმიერი მოსწავლე, საწინააღმდეგო  არგუმენტებით. პირიქით, მასწავლებელმა მოსწავლეებს პრობლემურ საკითხზე თავისუფლად მსჯელობის საშუალება უნდა მისცეს, ყოველგვარი ჩარევისა და დაბრკოლებების შექმნის გარეშე. მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეთა ინდოქტრინაციის ნებისმიერი მცდელობა

ეწინააღმდეგება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებასა და მის მიზნებს - ისეთი მოქალაქეების აღზრდას, რომელთაც ექნებათ სურვილი და მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღონ და ჩაერთონ ღია და თავისუფალი, პლურალისტური, დემოკრატიული საზოგადოებების საქმიანობაში.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისას საჭიროა შემოტანილ იქნას აქტუალური და სადავო სამეცნიერო ან პოლიტიკური თემები.

იმ შემთხვევაში, თუ არ უსმენენ განსხვავებულ მოსაზრებებს, ხოლო ალტერნატიული მოსაზრებები უგულებელყოფილია, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას ინდოქტრინაციის ასპარეზად გადაქცევის პერსპექტივა ემუქრება. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლებისას დაშვებულია კამათი და დაპირისპირებაც კი. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები საყოველთაო უფლებებს წარმოადგენს, ზოგიერთი მათგანი შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს და ურთიერთგამომრიცხავიც კი იყოს.

მოსწავლეები უნდა ფლობდნენ პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის უნარს, უნდა შეეძლოთ თავიანთი ინტერესების ამოცნობა და იმ გზებისა და საშუალებების გამონახვა, რომლითაც ზემოქმედებას მოახდენენ შექმნილ სიტუაციაზე, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ შეცვლის მიზნით. ეს მიზანი მოითხოვს მოსწავლეების წვრთნას, მოქმედებების გახორციელებისა და მონაწილეობისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავება-გამტკიცების მიზნით. ამის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დაცული იქნება ზემოთ მოყვანილი ორი პრინციპი, რომელიც გულისხმობს ინდოქტრინაციის დაუშვებლობასა და სადავო საკითხებზე მსჯელობას. მოცემული პრინციპი არ უნდა იქნას არასწორად გაგებული და მიჩნეული, როგორც ეგოიზმის გაღვივებისა და პასუხისმგებლობების უგულებელყოფის პრინციპი. ნებისმიერი საზოგადოება სწორედ ამ ღირებულებებს ემყარება. მაგრამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მასწავლებელმა არ უნდა მოუწოდოს მოსწავლეებს თავიანთი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებისაკენ, რათა ამით ხელი არ შეუშალოს მოსწავლეების მიერ თავიანთი ინტერესების წარმოჩენისა და დაცვის მცდელობას.

კანონი დემოკრატიული, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმალურ ინსტიტუციურ ჩარჩოებს ქმნის. კანონს ყველა უნდა ემორჩილებოდეს, ვინაიდან მათი დამტკიცება უმრავლესობის პრინციპით წარმოებს, ჩვეულებრივ, საპარლამენტო კენჭისყრის საშუალებით, ან კანონის დამტკიცება შესაძლებელია პლებისციტის საშუალებითაც. კანონში ასახული უნდა იყოს ადამიანის უფლებები და მათ დაცვას უნდა უზრუნველყოფდნენ.

კანონები უნდა ქმნიდნენ  კონფლიქტის მოგვარებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების ეფექტურ მექანიზმებს. ჩვენ მოგვეთხოვება, დავმორჩილდეთ კანონს, მაგრამ რა ხდება, როდესაც კანონს არასამართლიანად თუ უსამართლოდ მივიჩნევთ მას? სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გამო, სოციალური და საკანონმდებლო რეფორმების გატარების მრავალი შემთხვევა არსებობს: მოქალაქეები შეგნებულად არღვევდნენ კანონს, რათა გამოეხატათ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება კანონისადმი, რომელსაც უსამართლოდ თვლიდნენ. ამ შემთხვევებში მათ მიზანს წარმოადგენდა მოქმედ კანონში ცვლილების შეტანა. მოსწავლეები უნდა აცნობიერებდნენ  უფლებებსა და თავისუფლებს და ინსტიტუციურ ჩარჩოებში მათ დაცვასა და შეზღუდვას შორის არსებულ დიალექტიკურ კავშირს. ამ ჩარჩოების არარსებობის შემთხვევაში, თავისუფლება ანარქიად გადაიქცევა, ხოლო ანარქია, თავის მხრივ, ძალადობის გაბატონების საფუძველს წარმოადგენს. ამოცანაზე ორიენტირებული სწავლისას, მოსწავლეები ამ პრინციპს სკოლის მაგალითზე გამოცდიან. მკაცრად განსაზღვრული ამოცანა, დროის ლიმიტი და წესები არ ახშობს მოსწავლეთა შემოქმედებით უნარს, არამედ პირიქით, გაჰყავს ისინი თავისუფლებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესაძლებლობებით სავსე ასპარეზზე. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ სკოლაში მოქმედი იმ წესების, რეგლამენტების რეფორმირებაში, რომლებიც არ ეფუძნება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა  პრინციპებს.

თანამედროვე ეპოქამ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადა. ინფორმაცია, რომელსაც ადრე ფლობდნენ მასწავლებლები, ახლა ნებისმიერი ჩვენგანისთვის სახლიდან გაუსვლელადაა ხელმისაწვდომი, ამიტომ მასწავლებლის როლი დღევანდელ ეპოქაში მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რაც ადრე იყო. მასწავლებელი უნდა იქცეს მედიატორად, მან უნდა დასვას შეკითხვები და მისცეს მიმართულება მოსწავლეებს, სად შეიძლება და როგორ ამ შეკითხვებზე პასუხის პოვნა. რაღაცის სწავლა, მხოლოდ ძიების პროცესით არის შესაძლებელი. ბავშვები უნდა წავახალისოთ თავად მოიძიონ პასუხები, მათ სწავლის საშუალება უნდა მივცეთ, აზროვნების საშუალება.

კარგად ჩამოყალიბებული შეკითხვა იმაზე მეტ ცოდნას აძლევს ბავშვებს, ვიდრე უკვე გაცვეთილი პასუხებია. სწავლის პროცესისთვის არსებითია დიალოგი, დებატები, კამათი და მსჯელობა. "ავტორიტეტული" აზრებიც მხოლოდ ერთ-ერთ ალტერნატივად უნდა შევთავაზოთ მათ, მხოლოდ თემად, რომელთან დაკავშირებითაც მან საკუთარი აზრი უნდა გამოთქვას. სხვისი აზრებით კი არ უნდა გამოვუტენოთ თავი, დასკვნების გამოტანა უნდა ვასწავლოთ, საკუთარი აზრების ჩამოყალიბება უნდა ვასწავლოთ…

ზევრი მიუთითებს, კრიტიკული აზროვნება შეუძლებელია ისწავლებოდეს სკოლაშიო… მასწავლებლებსაც დიდი ამბიციები აქვთ…. სოკრატე ალბათ წარბს ასწევდა და იტყოდა, როგორც მაშინ საუკუნეების წინ: "მე ვერავის ვერაფერს ვასწავლი, მხოლოდ ის შემიძლია გასწავლოთ, როგორ ისწავლოთ". ყველა ჭეშმარიტი მასწავლებლის ფუნქციაც ეს არის - ასწავლოს, როგორ ისწავლოს!

**მასწავლებლებო, ნუ ასწავლით ბავშვს რა იფიქროს, ასწავლეთ როგორ იფიქროს.**


გამოყენებული ლიტერატურა

1. Wendel, W. Bradley, "Civil Obedience" (2004). *Cornell Law Faculty Publications.* Paper 483. http://scholarship.law.cornell.edu/facpub/483
2. Stanley Milgram, Some Conditions of Obedience and Disobedience to Authority, Volume: 18 issue: 1, page(s): 57-76, *Human Relations,* Issue published: February 1, 1965https://doi.org/10.1177/001872676501800105
3. Конформизм и нонконформизм (2) *https://works.doklad.ru/view/T77WjksoWe4/all.html*

Nicholas P. Leveillee, The Role of Obedience in Society, 2011, VOL. 3 NO. 05 | PG. 1/1. http://www.inquiriesjournal.com/articles/524/the-role-of-obedience-in-society

4. Piero Bocchiaro and Adriano Zamperini, Conformity, Obedience, Disobedience: The Power of the Situation, 2012, Open Access peer- reviewed chapter.
5. Deutsch, M., & Gerard, H. B. (1955). A study of normative and informational social influences upon individual judgment. *The journal of abnormal and social psychology, 51(3)*, 629.
6. Orne, M. T., & Evans, F. J. Social control in the psychological experiment: Antisocial behavior and hypnosis. Journal of Personality and Social Psychology, 1965, 1, 189-200.
7. School Walkouts as Civil Disobedience: How Should Districts Respond?1 Nicolás Riveros and Nick Fernald http://justiceinschools.org; https://www.justiceinschools.org/files/playpen/files/school_walkouts.pdf
8. Nicholas P. Leveillee, The Role of Obedience in Society, 2011, VOL. 3 NO. 05 | PG. 1/1; http://www.inquiriesjournal.com/articles/524/the-role-of-obedience-in-society

**თავი VI.  აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო საზოგადოება: განათლება და აქტივობა**

იზაბელა პეტრიაშვილი, პროფესორი, ინა ბარათაშვილი, განთლების მეცნიერებათა დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**6.1. განათლება და სამოქალაქო აქტივობა**

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში განახლდა ინტერესი დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ სწავლების მიმართ, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეებზე.

როგორც უკვე დამკვიდრებულ ასევე ისეთ ახლად აღმოცენებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, როგორიცაა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის, ასევე ლათინური ამერიკის ქვეყნები, აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ  დემოკრატია საკმაოდ სათუთია და იგი დიდწილად დამოკიდებულია მოქალაქეების აქტიურ ჩართულობაზე, რაც მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. მოქალაქეების აქტიური ჩართულობა ნიშნავს მათ აქტიურ მონაწილეობას მდგრადი და შეკრული თემის განვითარების პროცესში, რაც თავის მხრივ გულისხმობს დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ სწავლებას (H.Starkey, 2006, p.5)

საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულია, რომ არსებობს მძაფრი საჭიროება განათლების საშუალებით ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის, როგორიცაა მსოფლიოში არსებული უსამართლობა და უთანასწორობა. სახელმწიფოებმა აღიარეს ეს გამოწვევა ცნეს რა ბავშვთა უფლებების გაეროს კონვენცია 1989 (CRC),

იუნესკომ დაადასტურა საერთაშორისო კონსენსუსი სამოქალაქო განათლების აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომელიც აღჭურვავს მოზარდებს მათი პირადი დამოუკიდებლობისთვის/ავტონომიისთვის, დასაქმებისთვის, თანაცხოვრებისთვის, სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემისთვის – როგორც თავიანთ თემებში ასევე გლობალურად, მშვიდობის დამყარებისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის საჭირო უნარებით.

მთელი რიგი სახელმწიფოებისა შეშფოთებულნი არიან ახალგაზრდების საკმაოდ დაბალი სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის  ხარისხის გამო. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთერთი გზა, გარდა სამოქალაქო განათლების ფორმალური სასკოლო კურიკულუმში შეტანისა, გახლავთ ახალგაზრდებისთვის უკვე არსებული სათემო ჩართულობის და საჯარო სამსახურის საუკეთესო პრაქტიკის რაც შეიძლება მეტად გაზიარება, რათა ახალგაზრდებს თავად გამოუმუშავდეთ თავდაჯერებულობა აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა პროცესებში.

სამოქალაქო აქტიურობის განვითარების ყველა არსებულ გზას შორის განათლების როლი წამყვანია. შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფოების მთავრობები განსაკუთრებულ ყურადღებას

უთმობენ განათლებასა და ცნოობიერების ამაღლებას საზოგადოების ყველა სექტორში და განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, რათა ხელი შეუწყონ ტოლერანტურობის, ადამინის უფლებების და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა სწავლება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთს ავსებს. მათ საერთო მიზნები და გამოყენების სფერო აქვთ. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების პრიორიტეტს უწინარესად წარმოადგენს როგორც დემოკრატიული უფლებები და მოვალეობები, ასევე საზოგადოების სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ პროცესებში აქტიური მონაწილეობა

ოდიგერი (Audigier, F. 2000) დემოკრატიული მოქალაქობისთვის განათლების ოთხ განზომილებას გვთავაზობს: პოლიტიკურ და სამართლებრივ (უფლება-მოვალეობანი პოლიტიჯური სისტემისა და კანონის მიმართ), სოციალურ განზომილება (პიროვნებებს შორის ურთიერთობები და ამ ურთიერთობების საფუძვლის გაგება, მაგ. სოლიდარობა); ეკონომიკური განზომილება (საქონლისა და მომსახურების წარმოება და მოხმარება; შრომა); კულტურული განზომილება (საზიარო ღირებულებები).

მოქალაქეები უნდა ფლობდნენ ცოდნას თავიანთი უფლებების შესახებ, აფასებდნენ მათ და იცავდნენ სხვათა უფლებებს. ასევე, საჭიროა ვფლობდეთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი პასუხისმგებლობა აკისრია მთავრობებს ჩვენი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. უნდა ვაფასებდეთ მოქალაქეთა ეთიკურ პასუხისმგებლობას, რომელიც მდგომარეობს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადამიანის უფლებათა დაცვასა და მოფრთხილებაში. ცოდნის შეძენა ადამიანის უფლებათა შესახებ და მზადყოფნის გამომუშავება მასზედ, რომ პასუხისმგებლობით მოეკიდო როგორც საკუთარი, ასევე სხვათა უფლებების დაცვას, ცხოვრების ადრეულ ეტაპზე იწყება: ჩვენს ოჯახებში, სკოლებსა და საზოგადოებაში.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში, ისევე როგორც ზოგადად სწავლების პროცესში, მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია გააცნობიეროს მიზნები და ნათლად განმარტოს მიზეზები იმ არჩევანისა, რომელიც აუცილებლად უნდა გაკეთდეს და იმ პრიორიტეტებისა, რომელიც უნდა იქნეს დასახული.

1. რა ცოდნა უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლის პროცესში?

მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ თუ როგორ მიიღონ მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში, როგორც მოქალაქეებმა. მათ სჭირდებათ გამოიმუშაონ:

- პოლიტიკური ანალიზისა და შეფასება/განსჯის კომპეტენცია, როდესაც მათ უწევთ პოლიტიკური პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტა;
- პოლიტიკური გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის კომპეტენცია;
- მთელი რიგი მეთოდიკის გამოყენების უნარი.

**2. რისთვის სჭირდებათ მოსწავლეებს დაეუფლონ ამ კომპეტენციებს?**

დემოკრატია დამოკიდებულია მოქალაქეებზე, რომელთაც გააჩნიათ სურვილი და უნარი მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დასაქმდნენ და ვალდებულებები აიღონ საზოგადოებრივ დაწესებულებებში. მოსწავლეებს სჭირდებათ ეს კომპეტენციები და უნარები, რათა მათ, როგორც აქტიურმა მოქალაქეებმა, შეძლონ ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების დაცვა და საკუთარი ფუნქციების და აღებული ვალდებულებების შესრულება.

3. ამას მივყავართ შემდეგ კითხვამდე. თუ ეს არის ის, რაც ახალგაზრდა მოქალაქეებმა უნდა ისწავლონ – სწავლის შედეგების თვალსაზრისით – რა უნდა იღონონ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში მონაწილე მასწავლებლებმა, რათა ეს შედეგი გარანტირებული იყოს?

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში მონაწილე მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა მიაწოდონ ის, რაც უზრუნველყოფს მათი მოსწავლეების:

- ცოდნას და სწავლისადმი კონცეპტუალურ მიდგომას – ვსწავლობთ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ;
- უნარების გამომუშავებას;
- მასწავლებელი ასევე თავად უნდა იყოს მაგალითი და სწავლისთვის შექმნას ისეთი გარემო, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების თვალსაზრისით, რომელიც ესადაგება დემოკრატიულ კულტურას (ტოლერანტობა, ურთიერთპატივისცემა, ადამიანის უფლებებისადმი ღირსეული დამოკიდებულება).

*რა არის სამოქალაქო აქტივობა?*

სამოქალაქო აქტივობა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარების, კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალური წინსვლის აუცილებელი წინაპირობაა. ქვეყნების განვითარების ისტორიულ გზაზე მას ყოველთვის უდიდესი როლი ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებული აქტუალობა სამოქალაქო აქტივობამ მას შემდეგ შეიძინა, როდესაც მსოფლიო

დემოკრატიული გამოწვევების წინაშე დადგა. დღეს სამოქალაქო აქტივიობა მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია (სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისათვის, 2017, გვ.6).

ტერმინი ,,სამოქალაქო აქტივობა" სხვადასხვა წყაროში სხვადასხვაგვარად არის განმარტებული. მაგალითად, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია - APA - მას განმარტავს, როგორც „საზოგადოებრივი ინტერესებით შემუშავებულ და განხორციელებულ ინდივიდუალურ ან კოლექტიურ საქმიანობას", ან კიდევ, როგორც "მოქალაქეთა მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ცვლილებებისაკენ" (Obar, 2012)

სამოქალაქო აქტივობა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების აუცილებელი მახასიათებელი, გულისხმობს აქტიურ მოქალაქეობას ანუ მოქალაქეთა ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათ პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მიმართ სამოქალაქო აქტივობის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისათვის, (2017, გვ.6).

ზეგიაშვილი და სხვები (2007) გვთავაზობენ აქტიური მოქალაქეობის ინდიკატორებს: საზოგადოებაში პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, გადაწყვეტილების მიღებაში წვლილის შეტანა, საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების გააზრება, ადაპტაციის სტრატეგიების შემუშავება და სხვ.

### 1.2. აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო საზოგადოება (დემოკრატიული საზოგადოების მახასიათებლები)

დემოკრატიის არსებობისთვის საჭიროა მთელი საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა მისი მთავარი პრინციპების დანერგვისა და განხორციელებისათვის. დემოკრატია მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად არის განვითარებული დემოკრატიულ სისტემაში სამოქალაქო საზოგადოება. მაშინ, როდესაც ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემები საზოგადოებაში პასიურობასა და **აპათიურ** განწყობას აყალიბებენ, ჭეშმარიტი დემოკრატია ხელს უწყობს ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეები საკუთარი ინტერესების მიხედვით ვითარდებიან, იყენებენ თავიანთ უფლებებს, იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ და გარშემომყოფთა კეთილდღეობაზე. ისინი ცოდნაზე არიან ორიენტირებულნი,

რადგან განათლება, მართალია, ყველა სახის საზოგადოებისთვის არის საჭირო, მაგრამ განსაკუთრებით დემოკრატიული საზოგადოებისთვის არის მნიშვნელოვანი.

თომას ჯეფერსონი წერდა, რომ თუ ერს აქვს მოლოდინი, რომ შეიძლება იყოს უვიცი და, ამავე დროს, წარმოადგენდეს თავისუფალ სამოქალაქო საზოგადოებას, ამ მოლოდინს ასრულება არ უწერია. ავტორიტარული საზოგადოება ხელს უწყობს არსებული რეალობის პასიურად მიღებას და შემგუებლობას - კონფორმიზმს, რაც არსებულთან შეგუებას, პრობლემაზე თვალის დახუჭვას ნიშნავს. ამის საპირისპიროდ, დემოკრატიული საზოგადოების მიზანია, სამოქალაქო განათლების მეშვეობით, ხელი შეუწყოს ისეთი მოქალაქეების ჩამოყალიბებას, რომლებსაც განვითარებული აქვთ გარემოს კრიტიკული შეფასებისა და თანამონაწილეობის უნარები, კარგად იცნობენ დემოკრატიის ძირითად ცნებებს და შეუძლიათ მათი პრაქტიკულად განხორციელება.

ტერმინი ***დემოკრატია*** ბერძნული სიტყვაა და ხალხის მმართველობას გულისხმობს. დემოკრატიული მმართველობის ფორმა მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, იყვნენ თანასწორნი, მიიღონ აქტიური მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჰქონდეთ ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებზე.

დღევანდელ მსოფლიოში არსებული დემოკრატიული ქვეყნებისთვის დემოკრატია მხოლოდ სახელმწიფო მართვის საშუალება არ არის, იგი ცხოვრების წესსაც წარმოადგენს. დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქე თავისუფალია თავის არჩევანში, თავისუფლად გამოხატავს საკუთარ აზრს, აქვს თვითგამოხატვის უფლება (სიტყვის, შეკრების და ა.შ.), ასოციაციების შექმნის თავისუფლება, კანონის წინაშე ყველა თანასწორია. დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქემ იცის თავისი უფლებები და შეუძლია მათი დაცვა. ასევე მას გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

დემოკრატია, ძირითადად, განისაზღვრება, როგორც პროცესი და არა - როგორც ფიქსირებული სისტემა. დემოკრატიული სახელმწიფოები ვითარდებიან განსაზღვრული მიზნებისა და იდეალების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიის განვითარება უნდა ხდებოდეს შემდეგი ფასეულობების , ღირებულებების გათვალისწინებით: თავისუფლება, თანასწორობა, ტოლერანტობა, მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, სამართლიანობა, მრავალფეროვნება, სახალხო სუვერენიტეტი, პატრიოტიზმი, კანონმორჩილება, ძალთა გადანაწილება, წარმომადგენლობითი მთავრობა, კონტროლი და ბალანსი, ინდივიდუალური უფლებები. ამრიგად, დემოკრატიის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ ***მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მათ წარმომადგენლებს ეკუთვნის.***

**რას ნიშნავს, იყო მოქალაქე** - მოქალაქის ცნების განმარტება მრავალმხრივია. სამართლებრივი თვალსაზრისით, მოქალაქე პიროვნებაა, რომლის მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებს იცავს სახელმწიფო, სადაც ის ცხოვრობს. ასევე, მოქალაქეებს აქვთ მოვალეობები სახელმწიფოს წინაშე, რომელთა შორის ძირითადია ქვეყნის კანონების დაცვა, სავალდებულო სამხედრო სამსახური, შემოსავლიდან გადასახადების გადახდა და სხვ.

ისტორიულად და დღესაც მოქალაქის ცნების მთავარი განმსაზღვრელი პიროვნების მიერ უფლებების გამოყენება და მოვალეობების შესრულებაა. გახსოვდეთ, რომ ადამიანსა და მოქალაქეს შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ადამიანს დაბადებიდან აქვს მინიჭებული უფლებები, ხოლო მოქალაქეს, უფლებების გარდა, აკისრია მოვალეობებიც.

სამწუხაროდ, რიგ ქვეყნებში თანამედროვე მოქალაქე აქტიურად არ მონაწილეობს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში. ძირითადად, მისი მონაწილეობა შემოიფარგლება არჩევნებში ხმის მიცემით, ზოგჯერ ამასაც არ აკეთებს. ამგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება აფერხებს დემოკრატიის განვითარებას.

საზოგადოებრივად აქტიური მოქალაქე ჩართული უნდა იყოს სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმეში, ინტერესდებოდეს ქვეყანაში, ქალაქში, თემში მიმდინარე პროცესებით, ხმამაღლა სვამდეს შეკითხვებს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში აქტიური მოქალაქეები მონიტორინგს უწევენ ხელისუფლებას ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე, სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ინსტიტუტთან თანამონაწილეობით, ახდენენ საზოგადოებისა და ხელისუფლების ყურადღების მობილიზაციას არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, აქტიურად იყენებენ მედიასაშუალებებს, საჯარო გამოსვლებსა და მშვიდობიან აქციებს აზრის გამოსახატავად. ამ თვისებების მქონე მოქალაქეებისგან შემდგარი სოციუმი წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებას. ***სამოქალაქო საზოგადოება*** არის ინდივიდების მიერ ინიცირებული, თვითმმართველობისა და მოქალაქეთა მიერ ნებაყოფლობით ჩამოყალიბებული ასოციაციების და ორგანიზაციების ერთობლიობა. მათი მოღვაწეობა სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევისაგან კანონით არის დაცული. სახელმწიფოს არ აქვს უფლება, თვითნებურად შეზღუდოს მათი საქმიანობა. ქვეყანაში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად ყოველი თქვენგანი უნდა გახდეს *საზოგადოებრივად აქტიური მოქალაქე.*

აქტიური მოქალაქე რომ გახდეთ, თქვენ უნდა შეძლოთ საზოგადოებრივ აქმიანობაში მონაწილეობის მიღება, პრობლემის დანახვა ამისი გადაჭრის გზების ძიება. საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელს უწყობს სახელმწიფოსა და

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის აქტიურ თანამშრომლობას. საზოგადოებრივი ჩართულობა ეხმარება ინსტიტუტებს, გაითვალისწინონ აზოგადოების ინტერესები. მოქალაქის ნებაყოფლობითი მონაწილეობა ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების აქტივობებში ეხმარება პიროვნებას, გააცნობიეროს საკუთარი საჭიროებები, პრობლემები, როლები და პასუხისმგებლობები. საკუთარი როლის ნიშვნელობის გააზრება პიროვნებას თვითრწმენას უმაღლებს და უბიძგებს საკუთარი ინიციატივით პრობლემის მოგვარებისკენ.

პირად და საზოგადოებრივ დონეზე მონაწილეობის მისაღებად უნდა გამოიმუშავოთ შემდეგი უნარ-ჩვევები: **თანამშრომლობა, მზრუნველობა, ერთგულება, ლიდერობა, შეუპოვრობა, პატივისცემა, გამბედაობა, პატიოსნება, პასუხუსმგებლობა.**

რადგან დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქის პასუხისმგებლობის ხარისხს ასეთი ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლიდანვე გააცნობიეროთ თქვენი როლი და პასუხისმგებლობა იმ გარემოში, რომელშიც ვიმყოფებით.

აუცილებელია, გააცნობიეროთ, რომ სკოლა არაა ადგილი, სადაც მხოლოდ განათლებას ვიღებთ, არამედ ესაა ადგილი, სადაც, განათლების მიღებასთან ერთად, ვცხოვრობთ, ვიზრდებით და პიროვნებებად ვყალიბდებით; ვსწავლობთ, როგორ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა იმ გარემოზე, რომლის ნაწილიც ვართ, და როგორ გავხადოთ ეს გარემო იმაზე უკეთესი, ვიდრე არის.

პასუხისმგებლობის აღება ნიშნავს სწორედ იმას, რომ ჩვენ ვითვალისწინებთ ჩვენი სავარაუდო გადაწყვეტილების ყველა შესაძლო ალტერნატივას, მის შედეგებს, გავლენას სხვა ადამიანებზე - ოჯახის წევრებზე, თანაკლასელებზე, სკოლაზე, საზოგადოებაზე; ვითვალისწინებთ, რომ ჩვენ გვაქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება, თუმცა, ამავე დროს ეს თავისუფლება გვაკისრებს პასუხისმგებლობას, რომ ჩვენ მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ არ მოახდინოს უარყოფითი გავლენა სხვაზე; ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი უფლებები ისე, რომ პატივი ვცეთ სხვის უფლებებსაც. სწორედ ეს წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების უპირატესობას - ადამიანები იცავენ როგორც საკუთარ, ასევე სხვის უფლებებს და იღებენ პასუხისმგებლობას როგორც საკუთარ, ასევე სხვის და ქვეყნის პრობლემებზე.

ზოგადად, პასუხისმგებლობაზე საუბრისას, განიხილავენ პასუხისმგებლობის რამდენიმე ტიპსა და დონეს. მაგალითდ, თვითმმართველობის, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის, პროფესიული თუ მედიის, მშობლის, მასწავლებლის და ა.შ. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა გარკვეულ ფუნდამენტურ ღირებულებებსა და უფლებებზეა დაფუძნებული.

ძირითადად, გამოიყოფა სამი მთავარი დონე: იურიდიული პასუხისმგებლობა, სამოქალაქო პასუხისმგებლობა და მორალური პასუხისმგებლობა.

**იურიდიული პასუხისმგებლობა** არის კანონმდებლობით და სხვადასხვა ნორმატიული დოკუმენტით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

**სამოქალაქო პასუხისმგებლობა** არის მოქალაქის პასუხისმგებლობა, იზრუნოს საკუთარი და სხვების უფლების დაცვასა და კეთილდღეობაზე.

**მორალური პასუხისმგებლობა** არის პასუხისმგებლობა, რომელსაც პირადი დამოკიდებულებები, სოციალური, მორალური და ეთიკური ღირებულებები განსაზღვრავს.

დიმიტრი უზნაძის თქმით, დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე ... უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში.

დემოკრატიის განვითარება ქვეყანაში აქტიური მოქალაქეების არსებობასთან პირდაპირ კავშირშია. რაც უფრო მეტი მოქალაქე მონაწილეობს დემოკრატიულ პროცესებში, ქვეყნის მართვას ხელისუფლება გაზრდილი პასუხისმგებლობით ეკიდება. შესაბამისად მოქალაქის ერთგვარი მორალური ვალდებულებაა, მაქსიმალურად გამოიყენოს კონსტიტუციით და კანონით მინიჭებული შესაძლებლობები და აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფოს, ან თუნდაც საკუთარი ქალაქის ან მუნიციპალიტეტის მართვაში.

დემოკრატია, როგორც „ხალხის მმართველობის“ ფორმა უშუალო და წარმომადგენლობითი ფორმებით ხორციელდება. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, *„ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“.* უშუალო დემოკრატიის ფორმებს განეკუთვნება რეფერენდუმი, პლებისციტი, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, ნაფიც მსაჯულად მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობა, თვითმმართველობა და სხვა. როგორც წესი, დემოკრატიულ სახელმწიფოებში განსაკუთრებით საჭირბოროტო საკითხები **რეფერენდუმის** ან პლებისციტის გზით წყდება. რეფერენდუმი, რომელიც ხალხის ძალაუფლების განხორციელების ერთერთი ფორმაა, არის საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად, ხოლო **პლებისციტი** არის კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე საქართველოს ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად. რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობა შეუძლია 18

წელს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს უახლეს ისტორიაში ორი რეფერენდუმი ჩატარდა - 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე და 2003 წელს პარლამენტის წევრთა რაოდენობის 235-დან 150-მდე შემცირების თაობაზე.საქართველოს კონსტიტუცია მოქალაქეებს - არანაკლებ 30 ათას ამომრჩეველს - საშუალებას აძლევს, პარლამენტში წარადგინონ კანონპროექტი, რომლის განხილვის ვალდებულებაც საქართველოს პარლამენტს აკისრია. ამავდროულად, მოქალაქეებს აქვთ უფლება საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებითაც მიმართონ.

ქვეყნის დემოკრატიის დონის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი თავისუფალი და საყოველთაო არჩევნებია. არჩევნები წარომადგენლობითი დემოკრატიის ფორმაა, რადგან მოქალაქეები საკუთარ წარმომადგენლებს ირჩევენ ხელისუფლების განსახორციელებლად. შესაბამისად, მათში მონაწილეობით და თავისუფალი არჩევანის გაკეთებით მოქალაქეს თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის დემოკრატიის განვითარებაში. არჩევნებზე მოქალაქეს შეუძლია, გამოიყენოს **აქტიური საარჩევნო უფლება** და ხმა მისცეს მისთვის სასურველ კანდიდატს; ან **პასიური საარჩევნო უფლება** - საკუთარი კანდიდატურა წარადგინოს არჩევით თანამდებობაზე.საქართველოში არჩევნების გზით ირჩევენ პრეზიდენტს, რომელიც არის სახელმწიფოს მეთაური და უმაღლესი მთავარსარდალი, პარლამენტს, რომელიც ქვეყნის კანონმდებლობის მიღებაზეა პასუხისმგებელი, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს - საკრებულოს (ადგილობრივი პარლამენტი) წევრებს, ქალაქის მერს და მუნიციპალიტეტის გამგებელს.დემოკრატიის განვითარებაში მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმა საზოგადოებრივ გაერთიანებებში გაწევრიანებაცაა. საქართველოს კონსტიტუცია ყველა მოქალაქეს საშუალებას აძლევს, შექმნას ორგანიზაცია, რომლის მეშვეობითაც განახორციელებს სხვადასხვა, მათ შორის დემოკრატიის განვითარებისთვის სასარგებლო პროექტებს, საკუთარ მოსაზრებებს მიაწოდებს ხელისუფლებას, გააკონტროლებს სახელმწიფო მოხელეების საქმიანობას და სხვა.

მაღალი სამოქალაქო ცნობიერების, აქტიური მოქალაქის არსებობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის აუცილებელი წინაპირობაა. მოქალაქე საზოგადოებრივ ინტერესებს ვიწრო, კერძო ინტერესებზე მაღლა აყენებს. ამგვარი მსოფლმხედველობის მოქალაქეების სიმრავლე, მათ მიერ განხორციელებული სახელმწიფო მართვა განაპირობებს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და დინამიურ განვითარებას. შესაბამისად, აქტიური მოქალაქე იმგვარ ინდივიდს წარმოადგენს, რომელიც ერთი მხრივ, იზიარებს საზოგადოებრივ ღირებულებებს, ხოლო, მეორე მხრივ კი, თავად იღწვის საზოგადოების განვითარებისთვის. ეს კონცეფცია მორალური და

ეთიკური პრინციპებიდან გამომდიანრეობს და პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების გრძნობას უკავშირდება საზოგადოების წინაშე. ამ პრინციპების მიხედვით, საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაში მონაწილეობა მოქალაქეობის კარგად გაცნონიერბული, სრულუფლებიანი წევრობის სურვილის მქონე ინდივიდებს ძალუძთ, რომლებიც ერთი მხრივ, საკუთარ სარგებელს სახალხო სიკეთისა და შესაძლებლეობების სამართლიანად და დამსახურებლად გამოყენებაში ხედავენ, ხოლო, მეორე მხრივ კი, სურთ, რომ სხვებმაც ისარგებლონ იდენტური სიკეთეებითა და შესაძლებლობებით.

მიუხედავად იმისა, რომ **აქტიური მოქალაქეობა** მრავალი ტიპის ჩართულობასა და მონაწილეობას აერთიანებს, თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილებასა და მაგალითზე დაყრდნობით აქტიური მოქალაქეობის 7 ძირითად ინდიკატორი გამოიყოფა:

1. მოხალისეობრივი მუშაობა ორგანიზაციებსა და ქსელებში;
2. ღონისძიებების ორგანიზება და საქმიანობის წარმართვა თემსა და საზოგადოებისათვის:
3. არჩევნებში მონაწილეობა:
4. პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა;
5. ინტერესის ჯგუფებში ჩართულობა;
6. მშვიდობიან პროტესტებში მონაწილეობა;
7. საჯარო  დებატებში მონაწილობა:

***მოქალაქეობრივი აქტივობა*** ადამიანის ბუნებიდან, მის თანამონაწილეობის სურვილიდან, მოთხოვნილებებსა და საჭიროებებიდან გამომდიანრეობს. მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მოქალაქის ჩამოყალიბება თავისთავად არ ხდება. ამისათვის ინდივიდის, როგორც მოქალაქის აღზრდაა აუცილებელი.  მოქალაქეობრივი აღზრდა დემოკრატიული პრინციპების, უნარ-ჩვევების და ღირებულებების შესწავლით, უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ცნობიერების ამაღლების, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების გზით არის შესაძლებელი. სამოქალაქო განათლების მთავარი მიზანი კი მოქალაქის სულიერი, მორალური, სოციალური და კულტურული თვითშეგნების ამაღლებაა.

ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და მაღალი თვითშეგნების არსებობას ადასტურებს შემდეგია:

- *პოლიტიკური წიგნიერება*, რომელიც იდეოლოგიური თეორიების პრაქტიკაში ასახვის შესაძლებლეობის, განვითარებისა და შედეგების დანახვის უნარს, ეთიკურ და  მორალური კონცეფციის გაცნობიერებასა, მიღებისა და აღსრულეობის სურვილს აერთიანებს;

- *სოციალური და მორალური თვითშეგნება,* სამართლიანობისა და სამართლის, უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობის სისტემებს აერთიანებს;
- *მონაწილეობის სახეები და პრინციპები,* რომლებიც ინდივიდის მიერ ცსოვრებისეული მიზნებისა და საზოგადოებრივი ფასეულობების გათავისების უნარებს აერთიანებს;
- *მრავალფეროვნებისა და განსხვავების პატივისცემა,* რომელიც ცალკეული ჯგუფების თავისებურებების, ამ ჯგუფებში საკუთარი მიკუთვნების სურვილის, საკუთარი როლის, ფასეულეოებისა და ხედვების მასშტაბურობისა და ერთიანობის პირობებში უფრო და უფრო აქტუალური ხდება;

შესაბამისად, შინაარსობრივი და არსობრივი ცნობიერების გარდა, აქტიური თუ ეფექტური მოქალაქოების მისაღწევად აუცილებელია სხვადსხვაუნარების კომპლექსური განვითარება. ესენია: ***კომუნკაციური,*** რომლებიც კვლევისა და ანალიზის შედეგების, საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების/ფორმირების, დებატებისა და დისკუსიის წარმართვის უნარ-ჩვევებს აერთიანებს; ***სააზროვნო,*** რომელიც დასაბუთების, რეფლექსიის და სინთეზირების, ანალიზის, შეფასების უნარ-ჩვევებს აერთიანებს; ***თანამშრომლობითი,*** რომელიც გუნდში მუშაობის, საკუთარი როლისა და ფუნქციის დანახვისა და შესრუელბის, გუნდის წევრთა დაფასებისა და განვითარების უნარ-ჩვევებს აერთანებს; ***პრობლემის გადაჭრის,*** კონფლიქტების პრევენციისა და დარეგულეირების, მედიატორის, ფასილიტატორის უნარ-ჩვევებს აერთიანებს; ***შრომითი,*** რომელიც საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის საკუთარი პროდუქტიულობისა და ეფექტურობის უნარ-ჩვევებს, ეკონომიურ-სოციალური კავშირების გააზრებას მოიცავს.

სამოქალაქო მონაწილეობა ორი ტიპის ჩართულობას გულისხმობს:

- ჰორიზონტალური, რომელიც სათემო-საზოგადოებრივ დონეზე მონაწილეობით ხასიათდება (საზოგადოებრივი);
- ვერტიკალური, რომელიც პოლიტიკურ პროცესებსა, თანამშრომლობისა და სახელმწიფო ინსტიტუციებში ჩართულობით ან ინსტიტუციებთან კავშირების არსებობით ხასიათდება (სამოქალაქო).

ამასთან, ჰორიზონტალური მონაწილეობა მეტწილად ხდება ვერტიკალურის წინაპირობა. ეს აგრდამავალი ნაბიჯი არც ძალდატანებითია და არც აუცილებელი.

**აქტივობა: "მსოფლიო კაფე" (World Café)**[17]

[17] http://www.co-intelligence.org/P-worldcafe.html

კლასი იყოფა პატარა (4–კაციან) ჯგუფებად, რომლებიც თითო მაგიდის ირგვლივ სხდებიან. ჯგუფიდან 1 ადამიანი არის მასპინძელი. ჯგუფის წევრები განიხილავენ საკითხებს თემის ირგვლივ. შემდეგ 'მასპინძელი' რჩება, ხოლო დანარჩენები სხვა მაგიდებს მიუსხდებიან და ახალ წევრებთან ერთად მსჯელობენ მოცემულ საკითხებზე. ბოლოს ყველა წევრი უბრუნდება თავის მაგიდას და თითოეული მათგანი უზიარებს დანარჩენ წევრებს იმ ინფორმაციას, რაც შეიტყვეს სხვა მაგიდების წევრებისგან. მაგიდის წევრები ქმნიან პოსტერებს აღნიშნულ საკითხზე/საკითხებზე და გამოფენენ/წარუდგენენ დანარჩენ წევრებს.

საკითხები "მსოფლიო კაფე"-ს აქტივობისთვის:

- განსაზღვრეთ აქტიური მოქალაქეობის ძირითდი ასპექტები.
- დაასახელეთ სხვადასხვა ჯგუფებსა და უმცირესობებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთობის შედეგები სამოქალაქო ჩართულობის კუთხით.
- შეისწავლეთ სტუდენტების ისტორიები და ნარატივები სხვადასხვა პერსპექტივიდან.
- აღიარეთ სხვადასხვა კულტურების სტრუქტურული განსხვავებულობები ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას შორის.
- აღიარეთ განსხვავებული ჯგუფების გამოწვევები.
- შეისწავლეთ 'მსოფლიო კაფეს' მეთოდი და მოახდინეთ ინიციატივების მოტივირება

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ნ.ზესელია, ნ. ბოკერია, მ.კორძაძე. *როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე* (სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო IX-XII კლასებისათვის, მოსწავლის წიგნი)
2. ნ. გორგაძე, აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო ჩართულობა.
3. სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისათვის. კვლვის ანგარიში. პროექტი: CURE კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიული პრინციპების ხელშეწყობისათვის ისრაელსა და საქართველოში. თბილისი 2017 https://cure.erasmus-plus.org.il/pluginfile.php/2716/mod_resource/content/2/Students%20Activism%20in%20Georgia_Research_report_GEO.pdf

სამოქალაქო განათლება ყველასთვის: მოქალაქე, საზოგადოება, სახელმწიფო: https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-10

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ. სახელმძღვანელოები: https://www.living-democracy.ge/textbooks/

1. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ. წიგნი I. განათლება დემოკრატიისათვის_ ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის (2013) (თავი 3 _ განათლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათათვის. გვ. 33–58):https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-1/

2. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ. წიგნი IV. მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში. ნაწ. 1. მონაწილეობა საზოგადოებაში http://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-4/introduction-2/

3. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ. წიგნი III . ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში: https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-3/

Ehrlich, T., Civic Responsibility and Higher Education, 2000.

Starkey, H., & Osler, A. (2006). Education for democratic citizenship: A review of research, policy and practice 1995-2005. *Research Papers in Education, 21* (4), 433-466.

## VII. საჯარო სივრცის როლი

**ლოლიტა შენგელია,** დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### 2. საჯარო სივრცის როლი აქტიური მოქალაქეობის განვითარებაში

### 2.1. რა არის საჯარო სივრცე?

საჯარო სივრცე არის მენტალური გარემო სადაც ადამიანები ჩაბმულები არიან მსჯელობაში როგორც მათ გარშემო არსებულ რეალობაში და ასევე პროცესებზე რომელიც მათ გარშემო ხდება. ასეთი ინტერპრეტაციები, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სამომავლო მოვლენებსა და პროცესებზე. ამრიგად, საჯარო სფერო ემსახურება ხალხისთვის განახლებული ინფორმაციის მიწოდებას მსოფლიო მოვლენებზე და საზოგადოების განვითარებას, მაშინ როცა საზოგადოებას შეუძლია თავისი დამოკიდებულება გამოიყენოს მოსაზრებების ფორმირებისთვის, რომელიც ახდენს საჯარო სფეროს ჩამოყალიბებას, ასევე აქტუალურ(ან რეალურ) პროცესებსა და გადაწყვეტილებებზე.

დემოკრატიულ საზოგადოებაში, სამუშაო საჯარო სივრცე არის ისევე მნიშვნელოვანი როგორც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი. ეს არის გონებრივი სიმდიდრისა და თავისუფლების საზომი. საჯარო სივრცე ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ საზოგადოება, პროცესები და გადაწყვეტილებები მასში ფორმირდება არა მხოლოდ პრაქტიკული და რეალური მოვლენებით, არამედ მოსაზრებების, სიმბოლური აქტებისა და ურთიერთქმედების შედეგად. საერთო და ეფექტური საჯარო სფერო არის ქვეყნის კულტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელი.

რეალური დემოკრტიები განსხვავდებიან ფსევდო-დემოკრატიული ქვეყნებისგან ეფექტური სამუშაო საჯარო სივრცით, ამ სივრცეში არსებულ საკითხთა ღია დემონსტრირებით და გაანალიზებული გამოცდილების შემოქმედებითი გამოყენებით. გადაწყვეტილებების მიღება დაფუძნებულია არა მხოლოდ გარდამავალ თვითნებურ ინტერესთა ჯგუფებსა და უცხოურ ბიზნესზე, არამედ საზოგადოების წევრების საერთო ინტერესებზე.

საჯარო სივრცე სოციალური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, სადაც ინდივიდებს შეუძლიათ გაერთიანდნენ, რათა თავისუფლად იმსჯელონ და გამოავლინონ სოციალური პრობლემები, შედეგად კი გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ ქმედებებზე. ამგვარ დისკუსიას ეწოდება საჯარო დებატები და განისაზღვრება, როგორც საჯარო საკითხებზე აზრთა გამოხატვა - ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის. დისკუსიაში ჩართულ მონაწილეებს შორის გამოთქმული მოსაზრებები საწინააღმდეგო ან განსხვავებული შეხედულებებით ხასიათდება.

**საჯარო დებატები,** ძირითადად მასმედიის საშუალებით მიმდინარეობს, თუმცა, ის ასევე გადმოიცემა მიტინგებზე, სოციალური მედიის საშუალებით, აკადემიურ პუბლიკაციებში და სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ დოკუმენტებში (I., Overland, 2018). ტერმინი თავდაპირველად შექმნა გერმანელმა ფილოსოფოსმა, იურგენ ჰაბერმასმა და შემდეგნაირად განსაზღვრა: „საჯარო სივრცე, ან წარმოსახვითი საზოგადოება, რომელიც არაა აუცილებელი არსებობდეს რაიმე განსაზღვრულ სივრცეში“. ჯერარდ ჰაუზერი, მეცნიერი კომუნიკაციების სფეროში, გვთავაზობს შემდეგ განმარტებას: „მსჯელობის ერთგვარი სივრცე, სადაც ინდივიდები და ჯგუფები საერთო ინტერესის ირგვლივ არიან გაერთიანებულნი და სადაც შესაძლებელია მიხვიდე საერთო მოსაზრებამდე. საჯარო სივრცე შეიძლება განვიხილოთ, როგორც „თეატრი თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც პოლიტიკური მონაწილეობის მიღება საუბრის საშუალებით ხდება“ (N., Fraser; 1990) და „სოციალური ცხოვრების სფერო, სადაც საზოგადოებრივი აზრი იქმნება“ (R., Asen; 1999).

იურგენ ჰაბერმასმა, მე-18 საუკუნეში საჯარო სივრცის გაჩენის აღწერისას აღნიშნა, რომ საჯარო სივრცე, ან სფერო თავდაპირველად „საჯარო ხელისუფლებასთან ერთად არსებობდა“, ხოლო „კერძო სივრცე შედგებოდა სამოქალაქო საზოგადოებისგან ვიწრო გაგებით, სხვა სიტყვებით, ის მოიცავდა სასაქონლო გაცვლისა და სოციალური შრომის არეალს“, ვინაიდან „საჯარო ხელისუფლების სფერო“ მოიცავდა სახელმწიფოს, ან პოლიციას და მმართველ კლასს, ან ფეოდალურ მმართველობას (ეკლესია, მთავრები და დიდგვაროვნები) „ნამდვილი საჯარო სივრცე“, პოლიტიკური თვალსაზრისით, კერძო სივრციდან წარმოიშვა, კონკრეტულად, ლიტერატურული საქმიანობიდან და წერილების სამყაროდან. ამ ახალმა საჯარო სივრცემ მოიცვა საჯარო და კერძო სივრცე და „საზოგადოებრივი აზრის საშუალებით სახელმწიფო დაუკავშირა საზოგადოების მოთხოვნილებებს (Habermas; 1989). „ეს სივრცე კონცეპტუალურად განსხვავდება სახელმწიფოსგან: ეს არის დისკურსების წარმოებისა და მიმოქცევის ადგილი, რომელიც შეიძლება იყოს კრიტიკული სახელმწიფოსთვის (Fraser; 1990). საჯარო სივრცე „განსხვავდება ოფიციალური ეკონომიკისგან. ეს არ არის საბაზრო ურთიერთობების სივრცე, არამედ იგი დებატებისა და განხილვის საგანი უფროა, ვიდრე ყიდვა-გაყიდვის“ (Fraser; 1990). ეს განსხვავებები „სახელმწიფო აპარატს, ეკონომიკურ ბაზრებსა და დემოკრატიულ ასოციაციებს შორის აუცილებელია დემოკრატიული თეორიისთვის“ (Fraser; 1990). ხალხი საჯარო სივრცეს განიხილავს, როგორც მარეგულირებელ ინსტიტუტს სახელმწიფოს უფლებამოსილების წინააღმდეგ (Habermas; 1989). საჯარო სივრცის თეორიის იდეოლოგიას წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოს კანონები და პოლიტიკა უნდა იყოს მართული საჯარო სივრცის მიერ და რომ მხოლოდ ლეგიტიმური მთავრობები უსმენენ საჯარო სივრცეს (S., Benhabib; 1992). „დემოკრატიული მმართველობა ეფუძნება მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობებს დებატებში“ (G., Hauser; 1998). საჯარო სივრცის დებატების უმეტესობა მოიცავს ძირითად თეორიულ სტრუქტურას, ინფორმაციის განხილვას და საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის შესაძლო წყაროებს.

**როგორ ფუნქციონირებს საჯარო სივრცე?** საჯარო დისკუსიებში ჩართულია მონაწილეთა მრავალფეროვანი სპექტრი. არსებობს სპონტანური და არაფორმალური საზოგადოება, რომელიც მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, ორგანიზებულ აზრობრივ ჯგუფებსა და სუბკულტურულ ჯგუფებს. გარდა ამისა, არსებობს ბევრი ოფიციალური ინსტიტუტები, რომელთა ტექსტები ატარებენ მათი წარმომადგენლების შეხედულებებს. საზოგადოებაში

ინტელექტუალთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მათ შორის მწერლების, მეცნიერების და სხვა საზოგადო მოღვაწეების ტრადიციულად დიდი მნიშვნელობის მატარებელია.

აუცილებელი წინაპირობა რომელიც საშუალებას აძლევს ინდივიდს ან ჯგუფს ხმის უფლების, მიუთითებს დემოკრატიული საზოგადოების არსებობაზე. ამასთანავე, უწყვეტი მოსაზრებების გამოხატვა მნიშვნელოვანია დემოკრატიის უზრუნველსაყოფად. საჯარო სივრცე შედგება რამოდენიმე არხისაგან, მათ შორისაა პრესა, საზოგადოებრივი მოვლენები, საინფორმაციო ბუკლეტები, არაკომერციული რეკლამები და კომუნიკაციის სხვა მოდელები. კვლევება გამოავლინლეს, რომ ხალხი არის ყველაზე ღია საჯარო ჩართულობისთის, სადაც ის ეხება დანაშაულის პრევენციას, გარემოს დაცვას და ბავშვთა დაცვასა და დახმარების (ან ხელის შეწყობის) უზრუნველყოფას.

იმისთვის რომ უკეთ გაიგო საჯაროდ განხილული საკითხები, საწინააღმდეგო აზრი უნდა მოისმინო და შეაფასო.

საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, რაციონალური და ობიექტური ჩართულობა უნდა მოხდეს ხუთივე დონეზე: ინტერპერსონალური კომუნიკაციით, ჯგუფებისა და ორგანიზაციების შიდა კომუნიკაციით, ფოკუსირებულ, საზოგადოებრივ კომუნიკაციაში, და უფრო ფართო საზოგადოებრივ კომუნიკაციაში, რომელიც საზოგადოების ყველა მიმართულებას მოიცავს. გამოყენებული ინფორმაციის ხარისხი და საბოლოო შედეგი დისკუსიის სფერო არის ფაქტორები რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საჯარო დებატების მნიშვნელობაზე. საერთო, შეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღება ინფორმაციის ობიექტური ანალიზის მეშვეობით სიმწიფის ნიშანია. მედია ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რედაქტორებმა უნდა უზრუნველყონ დებატების შენარჩუნება, ექსპერტების ჩართვით.

**ტექსტი და საჯარო სივრცე.** ინფორმაციის დიდი წყარო საჯარო სივრცეში გამოქვეყნებული ტექსტების სახით აღწევს. იგი მოიცავს ოფიციალურ ტექსტებს, რომელიც მოედინება სახელმწიფო სააგენტოებიდან და არაოფიციალური ტექსტები სხვადასხვა სფეროებიდან, როგორიცაა ლიტერატურა, ეკონომიკა და ჟურნალისტიკა. საზოგადოებრივი (ან საჯარო) სფერო არის მრავალი ფორმალური და არაფორმალური პუბლიკაციების შერწყმის წერტილი, სადაც ისინი იღებენ დამატებით მნიშვნელობას მათი საერთო კონტექსტებიდან და ერთმანეთისგან.

საჯარო ტექსტებს განსაზღვრული მიზნები და ფუნქციები აქვთ საზოგადოებაში, მათ შორის ინფორმაციის გავრცელებაში, დებატების ხელშეწყობასა და იდეების კოორდინაციაში. ისინი შესაძლებელს ხდიან არა მხოლოდ აზრების გავრცელებასა და მნიშვნელობის ჩამოყალიბებას, არამედ მათ შეცვლასა და კონტროლს. დომინანტური მოსაზრებები და ამ

მოსაზრებებების გამომხატველი სისტემა აყალიბებს დომინანტური მსოფმხედველობის ერას. დახურულ საზოგადოებაში, სადაც ფორმალური, საჯარო ტექსტების სფერო მკაცრად კონტროლდება, საზოდოებრივმა სფერომ შეიძლება უარი თქვას მსოფლმხედევლობის შეთავაზებაზე და გადაუხვიოს არაფორმალური, პერიფერიული დომეინებისკენ, (მაგალითად, როგორც ეს მოხდა საბჭოთა ესტონეთში 1980-იან წლებში ლიტერატურულ კრიტიკაზე).

პრესა არის ინსტიტუციალიზირებული არხი ფორმალური, საჯარო ტექსტების გასავრცელებლად. პრესაში გამოქვეყნებული ტექსტის ავტორები დილემის წინაშე დგანან: სანამ ისინი სარგებლობენ პრივილეგირებული რეჟიმით როგორც „ხმები" პირდაპირი საშვით საჯარო სივრცეში, მათი თავისუფლება პროცესებისა და მოვლენების ინტერპრეტირებაში არის პრობლემატური. პრესაში, შეთხზვა და ანონიმური ტექსტების პრეზენტაცია ახალი არხების საშუალებით არის ნაცრისფერი სივრცე, რომელიც ქმნის ობიექტურობის ილუზიას (იხ. ფიგ. 1), აჟამად ეს არხი ცნობილია როგორც ყალბი ახალი ამბების (Fake News) გამავცელებელი. თუმცა, თუ ტექსტის ავტორი იდენტიფიცირებულია და ავტორის როლი და შეხედულებები ხდება დომინანტური, მაშინ ის გავლენას ახდენს ტექსტის მნიშვნელობასა და ფუნქციაზე.

| სხვადასხვა ტიპის საავტორო ტექსტი საჯარო სივრცეში | | |
|---|---|---|
| | ოფიციალური ტექსტი | არაოფიციალური ტექსტი |
| უცნობი ავტორი | ანონიმური ტექსტი, ე.წ. ობიექტური ტექსტი | ავტორის წარმოდგენა შეზღუდულია, ტექსტი გადაკეთებულია |
| ცნობილი ავტორი | პერსონალიზებული ფორმალური ტექსტი | ავტორი წინა პლანზეა და მისი ამოცნობა შესაძლებელია |

### 2.2. პოლიტიკური საჯარო სივრცის მონაწილეები

იურგენ ჰაბერმასის აზრით, არსებობს 2 ტიპის მონაწილეები, რომელთა გარეშეც პოლიტიკური საჯარო სივრცე ვერ იმუშავებს: მედიის სისტემაში არსებული პროფესიონალები და პოლიტიკოსები (2006). ჰაბერმასი გამოყოფს 5 ტიპის მონაწილეს, რომლებიც ქმნიან საკუთარ სახეს დადგენილი საჯარო სივრცის ვირტუალურ სცენაზე:

ა) ლობისტები, რომლებიც სპეციალურ ინტერესთა ჯგუფებს წარმოადგენენ;

ბ) ადვოკატები, რომლებიც წარმოადგენენ ან ზოგად ინტერესთა ჯგუფებს ან ახდენენ იმ მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენლების ჩანაცვლებას, რომელთაც არ შესწევთ საკუთარი ინტერესების დაცვის უნარი;

გ) ექსპერტები, რომელთაც გააჩნიათ პროფესიული ან მეცნიერული ცონდა, რომელიმე სფეროში და მოწვეულები არიან მრჩევლებად;

დ) ინტელექტუალები, რომლებმაც ადვოკატებისგან განსხვავებით, მოიპოვეს პირადი რეპუტაცია ზოგიერთ სფეროში (მაგ. მწერლები ან აკადემიკოსები) და ექსპერტებისა და ლობისტებისგან განსხვავებით, სპონტანურად მონაწილეობენ საჯარო დისკურსში საერთო ინტერესების მხარდამჭერი განცხადებებით.

**იუთუბი, როგორც საჯარო სივრცე.** ჰაბერმასი მიიჩნევს, რომ სხვა თანაბარ პირობებში, მედია ხელს უწყობს საჯარო სივრცეში დისკურსს. ინტერნეტის როლის ზრდამ გამოიწვია მეცნიერების აღორძინება, რომლებიც იყენებენ საჯარო სივრცის თეორიებს ინტერნეტ ტექნოლოგიებით (D., Janssen; Davy; R. Kies 2005).

მაგალითად, ს. ედჯერლის კვლევა ყურადღებას ამახვილებდა იუთუბის, როგორც ონლაინ საჯარო სივრცის როლზე. მკვლევარებმა აიღეს ვიდეო კომენტარების დიდი ზომის შერჩევა, რომელიც მაგალითისთვის იყენებდა California Proposition 8 (2008)-ს. ავტორები ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ონლაინ საჯარო სივრცე არის ადგილი, სადაც შესაძლებელია ხმათა ფართო სპექტრის გამოხატვა „შესვლის დაბალი ბარიერის“ და დიალოგის პირობები. თუმცა, ისინი ასევე მიუთითებენ რიგ შეზღუდვებზე. ედჯერლი ამბობს, რომ დადებითი დისკურსი გულისხმობს, რომ YouTube შეიძლება იყოს პოლიტიკურ პროცესში გავლენიანი მოთამაშე და ის შეიძლება გახდეს გავლენიანი ძალა ახალგაზრდების პოლიტიკურად მობილიზებაში. ავტორები აღნიშნავენ იმ კრიტიკულ მოსაზრებებს, რომლის თანახმადაც, YouTube აშკარად სენსაციონალისტური შინაარსის მქონე ვიდეოებს სძენს პოპულარობას. ედჯერლის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გაანალიზებული YouTube კომენტარები მრავალფეროვანი იყო. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს არის შესაძლო ინდიკატორი, რომ YouTube უზრუნველყოფს სივრცეს საჯარო დისკუსიისთვის. მათ ასევე აღმოაჩინეს, რომ YouTube ვიდეოების სტილი გავლენას ახდენს კომენტარების ბუნებაზე. საბოლოოდ, მათ დაასკვნეს, რომ ვიდეოს იდეოლოგიურმა პოზიციამ გავლენა მოახდინა კომენტარების ენაზე. სამუშაოს დასკვნები მიუთითებს, რომ YouTube არის საჯარო სივრცის პლატფორმა.

**მედიისა და ინტერნეტის შეზღუდვები.** ზოგიერთები, კოლინ სპარკსის მსგავსად, აღნიშნავენ, რომ ახალი გლობალური საზოგადოებრივი სივრცე უნდა შეიქმნას

გლობალიზაციისა და გლობალური ინსტიტუტების გაზრდის შემდეგ, რომლებიც იფუნქციონირებენ უმაღლეს დონეზე. თუმცა, მისთვის საინტერესო საკითხებს წარმოადგენდა, არსებობს თუ არა მედია რაიმე ზომის და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ამ როლის შესასრულებლად. ის აღნიშნავს, რომ ტრადიციული მედია, მისი ჭეშმარიტი გაგებით, ახლოსაა საჯარო სივრცესთან. მიუხედავად ამისა, შეზღუდვები დაწესებულია ბაზრისა და საკუთრების კონცენტრაციის გამო. დღეისათვის, გლობალური მედია ვერ წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველს მინიმუმ სამი მიზეზის გამო. ის აღნიშნავს, რომ ინტერნეტი, მისი ყველა პოტენციალით, ვერ აკმაყოფილებს საჯარო სფეროს კრიტერიუმებს და სანამ ამ პრობლემების „დაძლევა არ მოხდება, მანამდე არ გვექნება გლობალური საჯარო სივრცის არსებობის ნიშანი“.

გერმანელმა მეცნიერებმა, იურგენ გერჰარდმა და მაიკ ს. შფერერმა 2009 წელს ჩაატარეს კვლევა, რათა დაედგინათ, გვთავაზობდა თუ არა ინტერნეტი უფრო უკეთეს და ფართო კომუნიკაციის გარემოს ხარისხიან გაზეთებთან შედარებით. მათ გააანალიზეს, თუ როგორ გამოიყურებოდა ადამიანის გენეტიკის კვლევის საკითხი 1999 და 2001 წლებში, გერმანიისა და აშშ პოპულარულ გაზეთებში და შეადარეს იგი საძიებო სისტემებში არსებულ ანალოგიურ ინფორმაციას. მათი განზრახვა იყო გაეანალიზებინათ, თუ რა სახის მონაწილეებს და მოსაზრებებს ქმნიდა ბეჭდური და ინტერნეტში მოცემული მასალა და გადაემოწმებინათ იყო თუ არა ონლაინ სივრცე უფრო დემოკრატიული საჯარო სივრცე, უფრო ფართო სპექტრის წყაროებითა და მოსაზრებებით. გერჰარდი და შფერერი ამბობენ, რომ მათ აღმოაჩინეს „მხოლოდ მინიმალური მტკიცებულება, იმ იდეის მხარდასაჭერად, რომ ინტერნეტი უფრო უკეთესი საკომუნიკაციო სივრცეა, ვიდრე ბეჭდური მედია". ორივე შემთხვევაში, კომუნიკაცია დომინირებს, სადაც მეცნიერები არიან წარმოდგენილები. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საძიებო ალგორითმები ირჩევენ ინფორმაციის წყაროებს, რომლებიც ეფუძნება ონლაინ-ბმულების პოპულარობას. გერჰარდისა და შაფერისთვის, ინტერნეტი არ წარმოადგენს ალტერნატიულ საჯარო სივრცეს, რადგან ნაკლებად ცნობილი ხმების ჩახშობა ხდება საძიებო სისტემის ალგორითმების მიერ. „საძიებო სისტემებმა შეიძლება საჯარო დებატებში მდუმარება დაამყარონ, ვინაიდან ისინი მეტ სივრცეს უთმობენ გამოჩენილ მონაწილეებსა და ინსტიტუტებს“.

**ციფრული საჯარო სივრცე.** აკადემიური დებატები მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ როგორ იმოქმედებს სოციალური მედია საჯარო სივრცეზე. სოციოლოგებმა ბრაიან ლოიდერმა და დენ მერცეამ მიმოიხილეს ეს თემა. ისინი მიიჩნევენ, რომ სოციალური მედია პოლიტიკური შესაძლებლობების გაზრდის შესაძლებლობებს გვთავაზობს და ვირტუალურ საჯარო სივრცეში უზრუნველყოფს პოლიტიკური დისკუსიისთვის დემოკრატიული შესაძლებლობების

განვითარებას. შედეგად, მოქალაქეები შეძლებდნენ გამოეყენებინათ მთავრობებისა და კორპორაციების პოლიტიკური და ეკონომიკური ძალა. გარდა ამისა, მომხმარებელთათვის პოლიტიკური მონაწილეობისა და საინფორმაციო წყაროების ახალი ფორმები გამოჩნდება ინტერნეტის მეშვეობით, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას, მაგალითად, ონლაინ კამპანიებში. თუმცა, ავტორები აღნიშნავენ, რომ სოციალური მედიის დომინანტურ მიზნებს წარმოადგენს გასართობი, სამომხმარებლო და მეგობრული ურთიერთობების გაზიარება. ისინი ამბობენ, რომ „ინდივიდუალური სარგებელი გამოვლინდება სოციალური კავშირების არათანაბარი გავრცელებით რამდენიმე გიგანტური კომპანიის მეშვეობით, როგორებიცაა: Google, Yahoo, Facebook და YouTube, რომლებიც იზიდავენ მომხმარებელთა უმრავლესობას“. ისინი ასევე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი კრიტიკოსისაზრით, სოციალური მედიის პლატფორმების პოლიტიკურ კომუნიკაციაში სერიოზულობის ნაკლებობაა. უფრო მეტიც, პროფესიული მედიის გაშუქებისა და მომხმარებელზე გენერირებულკონტენტს შორის კავშირი სოციალურ მედიაში ბუნდოვანია. ავტორები მიიჩნევენ, რომ სოციალური მედია უზრუნველყოფს ახალ შესაძლებლობებს პოლიტიკური მონაწილეობისთვის. თუმცა, ისინი აფრთხილებენ მომხმარებლებს არასასურველ წყაროებთან წვდომის რისკებთან დაკავშირებით. ინტერნეტი გავლენას ახდენს ვირტუალურ საჯარო სფეროზე სხვადასხვა გზით, მაგრამ არ არსებობს თავისუფალი უტოპიური პლატფორმა, როგორც ზოგიერთი დამკვირვებელი მიიჩნევდა ამ ისტორიის დასაწყისში.

**შუამავალი საზოგადოება.** ჯონ ტომპსონი აკრიტიკებს ჰაბერმასის მიერ წარმოდგენილ საჯარო სფეროს ტრადიციულ იდეას, რადგან იგი ძირითადად პირისპირ ურთიერთობებზეა ორიენტირებული. პირიქით, ტომპსონი ამტკიცებს, რომ თანამედროვე საზოგადოებას ახასიათებს "შუამავლობის" ახალი ფორმა, რომლის ძირითადი მახასიათებლებია:

- დესპატიალიზაცია(despatialization), (ადგილი აქვს დრო-სივრცის გარღვევას. ხალხი უფრო მეტ რამეს ხედავს, რადგან მათ არ სჭირდებათ იგივე ადგილას იმყოფებოდნენ ფიზიკურად, მაგრამ ამ ხედვას ყოველთვის მოეძებნება ისეთი კუთხე, რომელზეც ხალხს არ გააჩნია კონტროლი).
- დიალოგის არ ქონა (ერთ მიმართულებიანი. მაგალითად, ტელევიზიაში წამყვანები ვერ შეძლებენ აუდიტორიის რეაქციებისადმი დისკურსის ადაპტირებას, რადგან ისინი უფრო ფართო აუდიტორიაზე მუშაობენ, მაგრამ ეს აუდიტორია მათთვის პირდაპირ არ ჩანს. თუმცა, ინტერნეტი საშუალებას იძლევა უფრო დიდი დიალოგისთვის შექმნას ადგილი).

- ფართო და უფრო მრავალფეროვანი აუდიტორია. (იგივე გზავნილმა შეიძლება მიაღწიოს სხვადასხვა განათლების, სხვადასხვა სოციალური კლასის, განსხვავებული ღირებულებებისა და რწმენის მქონე ადამიანებთან და ასე შემდეგ).

ამ შუამავალმა საზოგადოებამ შეცვალა ძალაუფლების ურთიერთობები იმგვარად, რომ არა მხოლოდ ბევრის დანახვა შეეძლება მცირე საზოგადოებას, არამედ მცირე საზოგადოებას შეეძლება დაინახოს ბევრი: „ვიანიდან, პინოპტიკონი საშუალებას აძლევს ბევრი ადამიანი გახდეს ხილული მცირე საზოგადოებისთვის და ქმნის ძალას, რომლითაც შესაძლებელია წვდომა გვქონდეს ბევრ ადამიანზე მათი მუდმივი ხილვადობის რეჟიმში ჩაყენებით, მედია-კომუნიკაციის განვითარება უზრუნველყოფს იმ საშუალებას, რომლითაც ბევრ ადამიანს შეუძლია ინფორმაციის შეგროვება რამდენიმეზე და, ამავდროულად, რამდენიმე შეიძლება გამოჩნდეს ბევრი ადამიანის თვალწინ. თუმცა, ტომპსონი ასევე აღიარებს, რომ „მედია და ხილვადობა არის ორლესული ხმალი“, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაუმჯობესებული გამოსახულების (ხილვადობის მართვა) მისაღებად,ინდივიდებს არ გააჩნიათ სრულიკონტროლი საკუთარ პრეზენტაციაზე. ხდება შეცდომების, უადგილო ქცევის, სკანდალების ჩაწერა, რისი უარყოფაც ძნელია, ვინაიდან, შესაძლებელია მათი ხელახლა ჩვენება მედია საშუალების მიერ.

**2.3. საჯარო მომსახურების მოდელი**

საჯარო მომსახურების მოდელის მაგალითებია BBC ბრიტანეთში და ABC და SBS ავსტრალიაში.

ჰაბერმასის საჯარო სივრცის კონცეფციის თანახმად, მისი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ის განსაზღვრავს და ხაზს უსვამს ეკონომიკისა და სახელმწიფოსგან განსხვავებული სფეროს დემოკრატიული პოლიტიკის მნიშვნელობას. მეორეს მხრივ, ეს კონცეფცია გამოწვეულია ლიბერალური თავისუფალი პრესის ტრადიციის საფუძველზე, რაც თავის მატერიალურ საფუძველს ქმნის და ეს გამოწვევის წინაშე აყენებს მარქსისტულ კრიტიკას რომელიც პოლიტიკის სპეციფიკის ტრადიციული ფორმის საფუძველს წარმოადგენს.

გერნჰამის  თანახმად, ჰაბერმასის მიერ წარმოდგენილ საჯარო სივრცეს სამი ძირითადი ღირსება გააჩნია. პირველ რიგში, ის ყურადღებას ამახვილებს უწყვეტობაზე, როგორიც არის მასობრივი საჯარო კომუნიკაციის ინსტიტუტებსა და დემოკრატიული პოლიტიკის ინსტიტუტების შორის პრაქტიკული კავშირი. მეორე კონცენტრირებულია საზოგადოებისთვის აუცილებელ მატერიალურ რესურსზე, მესამე კი თავისუფალი ბაზრის მარტივი დიქოტომიიდან

გაქცევას გულისხმობს, სახელმწიფო კონტროლის წინააღმდეგ, რომელიც დომინირებს მედიის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ელიტური დემოკრატია, სადაც კომუნიკაცია ძალაუფლებას და არაპროფესიონელებს შორის ვრცელდება როგორც მასობრივი აზრი, განსხვავდება მონაწილეობითი დემოკრატიისაგან, სადაც დამკვიდრებული ძალა საზოგადოებასთან რაიმე სახის დიალოგშია ჩართული. ეს დებატები ორიენტირებული იყო იმაზე თუ როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო მოქალაქის როლი თანამედროვე დასავლურ დემოკრატიაში.

დებატები პოლიტიკურ ჩართულობასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებით ამჟამად ორიენტირებულია "მოქალაქეობის" ცნებაზე და ამ კუთხით ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს „საჯარო სივრცის" ცნება. თუ მოქალაქეობა დემოკრატიულ როლს ასრულებს, მაშინ მას სჭირდება ინსტიტუციონალური გარანტირებული ფორუმის ხელმისაწვდომობა, რომელშიც გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს და კითხვის ნიშნის ქვეშ დასვამს დადგენილ ძალაუფლებას.

მედია 21 საუკუნეში პოლიტიკური კომუნიკაციის მთავარი ფორუმია. ამდენად, დებატებს მოქალაქეთა საზოგადოებრივ ჩართულობის თაობაზე პოლიტიკურ კომუნიკაციაში მივყავართ მედიის, როგორც საჯარო სივრცის ნაწილამდე, სადაც ხდება ძალაუფლებისა და მოქალაქეების ურთიერთობების დაკავშირება. კრიტიკული თეორიის გავლენის ქვეშ მყოფი ჰაბერმასი (1984; 1989), ხედავს მედიას, რომელიც ქმნის კერძო და ფრაგმენტულ პირთა საზოგადოებას, რომელთათვისაც ძნელია შექმნას საზოგადოებრივი, რაციონალური კრიტიკული აზრი, რომელსაც შეუძლია შეეწინააღმდეგება არსებულ ძალაუფლებასთან. ის უტევს მედიას, რომელიც ფსევდო-საჯარო სივრცეს ქმნის და გულისხმობს პოლიტიკურ ქმედებებს, რადგან იგი იღებს საზოგადოებრივი ურთიერთობების და პასიური მაყურებლის სახეს, ვიდრე ჭეშმარიტი საჯარო დებატების. თუმცა, ჰაბერმასის პოზიცია (1987) მოიცავს იდეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობასაც: თუ ინსტიტუციონალური კონტროლი შეუცვლელია, ამ იდეალურმა საზოგადოებრივმა კომუნიკაციამ შეიძლება წარმოქმნას კრიტიკული კონსენსუსი, რომელსაც იგი მიიჩნევს საზოგადოებრივი ჩართულობის აუცილებელ ნაწილად დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესებში. შეუძლია თუ არა მედიას პოტენციურად უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობისთვის საჭირო სივრცე, ექსპერტთა ანგარიშვალდებულება, ჩართულობა, ცოდნის ინტეგრირება და იდეალური კომუნიკაციური სიტუაციების უზრუნველყოფა? ჰაბერმის პოზიცია ასახავს ამბივალენტურობას, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იგრძნობა - აქ არის დიდი ძალა, მაგრამ შეიძლება კი მისი გამოყენება საყოველთაო კეთილდღეობისთვის? მიჩნეულია, რომ პესიმისტური პასუხები სათანადოდ ვერ აფასებს თანამედროვე მასობრივი

ინფორმაციის საშუალებების კომპლექსურ და წინააღმდეგობრივ ან ფრაგმენტულ ბუნებას, რომელიც გვაძლევს ინსტიტუციონალური კონტროლისგან გაქცევის გზებს, ხოლო ოპტიმისტური პოზიციები ხშირად ქმნიან ძალიან მაღალ იდეალებს საჯარო სივრცეში. ეს ალტერნატიული ფორმულირებებია, რომლებიც მედიის კომპლექსურ და ფრაგმენტულ ბუნებას წარმოაჩენენ.

არსებობს ფართოდ გავრცელებული ორი მიდგომა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მედიის როლის ანალიზისა და შეფასების მიზნით. ჰაბერმასის მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ არსებობს საჯარო დებატების იდეალური ფორმა, რომელიც, თუ ინსტიტუციონალურ კონტექსტს პოულობს, პოტენციურად საშუალებას იძლევა ყველა მოქალაქისთვის შეიქმნას თანაბარი ხელმისაწვდომობა და უფლებები. ეს ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს ბიუროკრატიულ და პოლიტიკურ კონტროლს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ თვალსაზრისით, ადამინებს შეუძლია მოითხოვონ სამაუწყებლო მედიის მიერ დაშვებულ ინსტიტუციონალურ ფორუმზე მონაწილეობა, რომელიც ქმნის კრიტიკულ აზრს, რაც ხელს უწყობს ან არღვევს კონსენსუსის განვითარებას. გარდა ამისა, კრიტიკოსები, როგორიცაა ფრასერი და მოუფი ვარაუდობენ, რომ მედიამ შეიძლება ხელი შეუწყოს  მრავალფეროვანი პოლიტიკური და სოციალური ინტერესების გამოხატვას, რათა შეიქმნას სამუშაო კომპრომისები მოლაპარაკებების მეშვეობით. ხელმისაწვდომობა და ხმის მიცემა კვლავ პრიორიტულია, მაგრამ არგუმენტაციის ძირითადი მოდელის (მოლაპარაკება კრიტიკული განხილვის საპირისპიროდ) და დიალოგის (კომპრომისი კონსენსუსის საპირისპიროდ) ძირითადი ფუნქციები იცვლება და სოციალური იდენტობისა და სოციალური ურთიერთობების მნიშვნელობა აღარ არის მარგინალიზებული. ამ თვალსაზრისით, დაშვებისა და მონაწილეობის პროგრამების შეფასება უნდა მოხდეს იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად კარგად გამოხატავს ზემოაღნიშნული საზოგადოებრივი აზრის მრავალფეროვნებას და სხვა გამოწვევებს ძალაუფლების მქონეებისთვის  შეხედულებების შესაცვლელად, რათა მათ აღიარონ ყოველდღიური ცხოვრების სირთულეები და შეცვალონ საკუთარი დამოკიდებულებები.  საჯარო სივრცის შესახებ დებატები სოციალურ თეორიაში, ეხება მედიისთვის სხვადასხვა პოლიტიკური შესაძლებლობების გამოყენებას: განახლებული საჯარო სამსახურის მოდელის ძირითადი უპირატესობას წარმოადგენს მისი კომპლექსურობის თეორიული და პრაქტიკული აღიარება. ლორდ რიტის „ჩრდილიდან გამოსვლა“ გულისხმობს, რომ "კომუნიკაციის თავისუფლება" მოიცავს კონფლიქტურ კომპონენტთა თავისუფლების პაკეტს. ის აღიარებს, რომ კომპლექსურ საზოგადოებაში თავდაპირველი საჯარო მომსახურების

ვარაუდი, რომ სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს შეუძლია ერთმანეთთან ისაუბროს, როგორც ოჯახში, არ არის შესრულებადი. როგორც ცნობილია, შეუძლებელია ყველა მოქალაქემ ერთდროულად გააგზავნოს და მიიღოს ინფორმაცია, თუმცა ამაცდროულად ნებისმიერ დროსა და სივრცეში ზოგიერთი მოქალაქე ჩვეულებრივ ჩუმად ყოფნას არჩევს და მხოლოდ ცალკეული პირები და ჯგუფები გადაწყვეტენ სხვებთან კომუნიკაციას.

**ახალი მედია სისტემის ფორმირება .** 1990-იან წლებში მედია საშუალებების რიცხვი გაიზარდა, არხების განვითარება მოხდა სამი ცალკეული კურსით, რომელიც მოიცავდა საჯარო მედიას, კომერციულ მედიასა და იმავე საჯარო სივრცეში მოქმედ უფრო სპეციალიზებულ არხებს. ამ განვითარების სამი პერიოდი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: პოლიტიკური ცვლილებების პერიოდი (1988-1992), რომლის დროსაც ჩამოყალიბდა ახალი მედია სივრცე და რომლის დროსაც მოხდა მედიის რეგულირების ცვლილება, (1992-2003), და მედია არხების ეკონიმიკური სირთულეების პერიოდი, პროგრამული ცვლილებები და ახალი სტაბილურობა მედია სივრცეში (2003 წლიდან). 1990 წელს, ელექტრონული მედია კვლავ განაგრძობდა ფუნქციონირებას სახელმწიფო გავლენის ქვეშ, და მოიცავდა მხოლოდ 1 სატელევიზიო  და 3 რადიო არხს. როგორც კი ტოტალიტარული რეჟიმის შეზღუდვები გაუქმდა და ცენზურა მოიხსნა, ფართო და კომპლექსურმა სტრუქტურამ, რომლითაც დიდი ოდენობის ხალხი სარგებლობს, შექმნა ჟურნალისტური ავტონომია. ყურადღება სწრაფად იქნა გადატანილი ერთობლივი მოქმედებების ფორმირებაზე, სოციალური გარემოს ანალიზსა და საზოგადოებრივ ასპარეზზე საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაზე. ეს „გახსნა“ შესაძლებელი გახდა ჟურნალისტების მაღალი დონის პროფესიონალიზმის შედეგად, ე. წ. „ხარისხიანი პრესის“ ელემენტებით, რომელიც უკვე არსებობდა ტოტალიტარულ სისტემამდე.**მოქალაქეთა ინიციატივა და მესამე სექტორი.** მოქალაქეთა ინიციატივებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სპონტანურ მოძრაობებს, რომელიც გამოხატავს მოქალაქეთა ინტერესებს და ასტიმულირებს ცვლილებებს, რაც მოსახლეობის მოთხოვნებს ემსახურება. სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით, მოქალაქეთა მოძრაობები გაიზარდა, ინსტიტუციური ფორმები მიიღო და საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

უკანასკნელი ათწეულის განმავლობაში, არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გაიზარდა. საჯარო და ბიზნეს სექტორებთან შედარებით, მოქალაქეთა ასოციაციებმა და ე.წ. „მესამე სექტორმა“ დაამტკიცეს რომ იყვნენ მნიშვნელოვნად მოქნილები ყურადღების გამახვილებისა და პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით. მათი კოლექტიური და რეფლექსური მიდგომები, და რესურსების მიზანმიმართული და ეკონომიკური გამოყენება იყო ძალიან ეფექტური.

**საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოებრივი აზრის კვლევა.** საჯარო დებატებისთვის თემების არჩევა და შეჯამებითი დისკუსიების მანერა, ჩვეულებრივ ასახავს უფრო მეტს ვიდრე უბრალო დამოკიდებულება კონკრეტულ საკითხებზე. უფრო ფართო განვითარება და მათი პოტენციური ზემოქმედება ასევე თამაშობს როლს დებატებისთვის წარმოდგენილ კონტექსტში. სოციოლოგიური კვლევები და გამოკითხვები ტარდება რათა დადგინდეს საზოგადოებრივი მიდგომები სპეციფიური საკითხებისადმი, მომხმარებლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო კომპანიები და პოლიტიკური ორგანიზაციები.

---

გამოყენებული ლიტერატურა


1. Overland, Indra (2018-01-01). Public Brainpower: Civil Society and Natural Resource Management. pp. 1–
2. Hauser, Gerard A. (1999). Vernacular Voices: The Rhetoric of Publics and Public Spheres. Columbia: University of South Carolina Press. p. 61; a similar formulation is found in: *Hauser, Gerard A. (June 1998),* "Vernacular Dialogue and the Rhetoricality of Public Opinion", Communication Monographs, **65** (3): 83–107, doi:10.1080/03637759809376439, ISSN 0363-7751.,
3. Fraser, Nancy *(1990), "Rethinking the Public Sphere: A Contribution to the Critique of Actually Existing Democracy", Social Text,* ***25*** *(26): 56–80,* doi:10.2307/466240, JSTOR 466240. Also published in 1992 in Fraser, Nancy*(1992), "Rethinking the Public Sphere: A Contribution to the Critique of Actually Existing Democracy", in* Calhoun, Craig *(ed.*), Habermas and the Public Sphere, Cambridge Mass.: MIT press, pp. 109*–142.*
4. Asen, Robert *(1999). "Toward a Normative Conception of Difference in Public Deliberation". Argumentation and Advocacy.* ***25*** *(Winter): 115–129.* doi:10.1080/00028533.1999.11951626.
5. Jump up to:[a] [b] Habermas, Jürgen *(1989), The Structural Transformation of the Public Sphere: An Inquiry into a Category of Bourgeois Society, Thomas Burger, Cambridge Massachusetts: The MIT Press, p. 30,* ISBN 978-0-262-58108-0 Translation from the original German, published 1962.
6. Habermas 1989, p. 30-31.
7. Jump up to:[a] [b] [c] [d] Fraser 1990, p. 57
8. Benhabib, Seyla *(1992), "Models of Public Space", in* Calhoun, Craig *(ed.), Habermas and the Public Sphere, Cambridge Mass.: MIT press, pp. 73–98 [87],* ISBN 978-0-262-53114-6

9. Hauser 1998, p. 83 Hauser, Gerard A. (June 1998), "Vernacular Dialogue and the Rhetoricality of Public Opinion", Communication Monographs,
10. Transparency and Accountability in Science and Politics. Authors: Andersson, K.
http://eprints.lse.ac.uk/48964/1/Amended%20_Livingstone_Mass_media_democaracy.pdf
11. Sonia and Lunt, Peter, (eds.) Talk on television audience participation and public debate. London : Routledge, UK, 1994
12. TAYLOR, Charles, Modern Social Imaginaries, Durham, Duke University Press, 2004.
13. WAHL-JORGENSEN, Karin, On the Public Sphere, Deliberation, Journalism and Dignity: An Interview with Seyla Benhabib, Journalism Studies 9: 6, 962-970, 2008
14. http://www.estonica.org/en/Society/Development_of_the_public_sphere_until_the_early_2000s/The_role_of_the_public_sphere_in_society/

# Promoting Active Citizenship

**Contents**

**Topic I. Theory and Practice of Democracy and its Role in Active Democratic Citizenship**

Irma Kurdadze, Samtskhe-Javakheti State University, Professor

**1. Democracy and Active Democratic Citizenship**

Introduction

1.3. Democratic Citizenship and Right to Education

1.4. Teaching about Dimocratic / Active Citizenship and Human Rights – Three Dimensions

1.5 Education for Protecion of Democracy and Human Rights in Active Democratic Society

1.8. Participatory Dimension of Teaching Democratic Citizenship: Learning in Purpose of Protecion of Democracy and Human Rights

1.9. Education for Active Demicratic Citizenship

1.10. Competences for Teaching Democratic Citizenship

1.11. Competencies for Democratic Citizenship and their Identification

**2. Active Citizenship and Civic Engagement** - Elguja Deisadze, Kutaisi A. Tsereteli State University

2.1. Introduction – Democracy in Practice

2.2. What Does Active Citizenship Mean?

2.3. A New Typology of Forms of Participation and Civic Engagement

**Topic II. The Vision of a Democratic Society**

1. **Democratic Society and Civic Responsibility Levels in Democratic Environment** - Davit Malazonia, Professor, Ilia State University

1. 1. Rights and Responsibilities in Democratic State

1.9. Citizenship in Democratic State

2.6. Individual Rights and Public Responsibilities

2.7. The Role of Government in Modern Democracy

3. **Factors Impeding and Motivating Active Citizenship** - Madona Mikeladze, Batumi State University

3.1. Development of Active Citizenship

3.2. Why Should a Person Want to be an Active Citizen?

**Topic III. Diversity**

2. **Education for Diversity: The Right to be Different** - Davit Malazonia, Professor, Shorena Maghlakelidze, Professor, Ilia State University

1.1. Diversity and a Multicultural Society

1.2. Aspects and Levels of Identity

1.3. Promoting Democratic Principles in Multicultural and Diverse Societies

1.4. Paradigm of Multicultural Education: Context and Theories

1.5. Multicultural Education at School

**Topic IV. Media and Democracy**

1. **Media in Democratic Society: Rationality and Goals** – Tamar Taliashvili, Professor, Ilia State University

**2.1.** Development of Medialiteracy Competence

**2.2.** Critical Medialiteracy – Critical Pedagogy

**2.3.** Instruments of Medialiteracy, Core Principles and Questions:

**2.4.** What is Social Media and What Makes it Special?

2. **Medialiteracy and Civic Engagement** – Shorena Maghlakelidze, Professor, Ilia State University

2.1 Development of Medialiteracy

2.2 Medialiteracy as a Basis for Establishing Democratic Citizenship

2.3. Medialiteracy – The Core Competency for Teaching about Democratic Citizenship and Human Rights

## Topic V. Civil Obedience

**1. Civil Obedience: The Role of Teacher in Indroctrination to Obey and in Prevention –** Shorena Maghlakelidze, Prfessor, Ilia State University

1.5. Social Influences, their Factors and Consequences

1.6. Obedience

1.7. Civil Disobedience

1.8. The Role of Teacher in Prevention of Indoctrination to Obey, Interventions.

**VIII. Promoting Active Citizenship**

Isabella Petriashvili, Professor, Ina Baratashvili, Doctor of Education, Tbilisi Ivane Javakhishvili State University

1. Education and Civic Activism

2 .Active Citizenship and Civil Society (Characteristics of a Democratic Society)

**IX. The Role of Public Space**

Lolita Shengelia, Ph.D. Student, Ilia State University

2.4. What is Public Space?

1.2. Participants of Public Space

1.5. Public Service Model

1.6. The Role of Public Space in Society

**Topic I. Theory and Practice of Democracy and its Role in Active Democratic Citizenship**

Irma Kurdadze, Samtskhe-Javakheti State University, Professor

**1. Democracy and Active Democratic Citizenship**

Democracy is based on human rights standards and principles. There are cases where false assumptions are made about human rights and they are perceived as a system in which the individual enjoys absolute freedom. This is, of course, a misinterpretation of human rights.

Human rights and freedoms are not absolute. It is important to protect the rights of others. In some situations human rights may conflict. Democratic processes help to create an environment where individuals or groups of individuals enjoy the granted freedoms and, at the same time, obey certain necessary limitations.

Democratic citizenship and human rights education focuses on student's skills and not on what the teacher should teach them.

Democratic citizenship and human rights education is a key instrument that enables citizens to be constantly involved in important political and social decision-making processes.

Elguja Deisadze, Kutaisi A. Tsereteli State University

**2. Active Citizenship and Civic Engagement**

The development of democracy is directly linked to the existence of active citizens in the country. As more and more citizens are involved in democratic processes, the government is holding the country more responsibly. Consequently, it is a moral obligation of the citizen to make the most of the opportunities granted by the constitution and law and to be actively involved in the management of the state, or at least one's own city or municipality.

In the scientific literature, three components of the concept of citizenship are identified. All three elements are closely related. The first is descriptive in nature, though the second and third concepts actually shape the legal-social nature of the citizen and the citizen's outlook.

The notion of "Civic Engagement" is closely related to active citizenship. It can be defined as participation, partnership and empowerment. It is about how citizens, together with other institutions (including NGOs) can shape their collective actions at national and local levels, how they convey their priorities and protect their interest.

## Topic II. The Vision of a Democratic Society

Davit Malazonia, Professor, Ilia State University

1. **Democratic Society and Civic Responsibility Levels in Democratic Environment**

The fundamental interest of the modern state is to make the country a better place for everyone - where everyone will have a real role to play in their own community; Everyone will be protected and equipped with rights and will know that a person is valued for his or her exceptional contribution to society and unique human dignity.

Active citizenship requires individuals to be aware of social problems, have the opportunity to work together to solve them and achieve common benefits.

Democratic governments are improving the standard and expanding public good.

For their part, by sharing civic responsibility, citizens ensure that democratic values recognized by the constitutions of democratic states and international organizations are upheld. Schools teach students about citizenship so that they can become responsible individuals and active members of society.

Madona Mikeladze, Batumi State University

2. **Factors Impeding and Encouraging Active Citizenship**

In the modern world, civic engagement is of particular importance since the existence of high civic awareness, civic engagement, and active citizenship is a necessary prerequisite for public welfare.

Civil society ensures development of democracy. Establishing democracy in society is not an easy process. For a democracy to exist, joint efforts of whole community are needed to implement its core principles.

Raising motivation for young people is a key factor to make a positive contribution to establishing a civil society and promoting active citizenship.  This will benefit first and foremost the youth and, of course, the community in which they live.

## Topic III.  Diversity

Davit Malazonia, Professor, Shorena Maghlakelidze, Professor, Ilia State University

1. **Education for Diversity: The Right to Be Different**

In modern society, interest in cultural diversity is becoming increasingly relevant. Cultural diversity is one of the main principal characteristics  of the modern world.

In culturally diverse societies, multicultural dialogue is the cornerstone of democratic processes. The basic principle of democracy is that people who are influenced by political decisions must have the opportunity to express their opinions in the process of making such decisions. Accordingly, those decision-makers are obliged to take these considerations into account. Multicultural dialogue is the only and the most important way for citizens to share their views, aspirations, concerns and needs with those who are of a different culture.

The goal of multicultural education is to transform schools so that the syudents of both sexes, who belong to different cultural, linguistic and ethnic groups have an equal chance at success. Accordingly, oone of the main ideas of the reform of multicultural education, which must be implemented urgently, should be the leveling of the practice of dominant groups in educational establishment.

## Topic IV.  Media and Democracy

**1. Medialiteracy and Democracy – Tamar Taliashvili, Prfessor, Ilia State University**

Medialiteracy is the answer to the challenges of the digital age. Medialiteracy involves establishing control over information. The higher the degree of human media awareness, the greater the ability to see the boundary between the real world and the world created by the media.

Developing media literacy skills involves performing specific tasks. In particular, control over the coding of mental processes, which is a necessary condition in the information age in order not to be manipulated by the media.

Communication technologies are becoming increasingly available to young people and ordinary citizens. It can be used as a tool to promote education, democratic self-expression and social progress. Technologies can help develop participatory democracy. It can also be transformed to „media glasses" of politics and space for battle of images. Technologies can make a person a passive consumer, or on the contrary, help them participate actively in democratic debates. (Kellner, 1995).

Shorena Maghlakelidze, Professor, Ilia State University

**2. Medialiteracy and Civic Engagement**

For thousand of years individuals and society have had trouble creating and spreading enough information on important aspects of life. With the development of mass media, especially over the last half-century, the problem has become not the access to information but protection from superfluous information.

Medialiteracy implies the ability to establish control over innumerable information. The higher the degree of media awareness, the greater the ability to see the boundary between the real world and the world created by the media.

Medialiteracy is a core competency of teaching about democratic citizenship and human rights. An uneven level of medialiteracy creates unequal opportunities in society, new forms of engagement and exclusion. Human perception of reality, especially political reality, is based on and governed by the media that reaches us after going through double filtration - the choice made by media leaders and the choice we, media users make.

## Topic V. Civil Obedience

**1. Obedience and Disobedience. The Role of Teacher in Prevention of Indoctrination to Obey, Interventions.**

The individual, as a member of society, must not only share the rules of society, but must also protect his or her individuality.

Any formal social group, organization, or society at large, obeys a system of orders that derive from legal authority. Obedience to command is based on the belief that authority has the right to demand it. Some believe that obedience also has its limit - if the law or decision is not good, then the citizen is not obliged to obey it.
Civil disobedience can be described as a peaceful violation of the law, as a form of protest aimed at drawing public attention to injustice.
When students come up with their own views on the lessons of democratic citizenship and human rights education, and after the lessons everyone agrees with the teacher, this indicates a problem. Students must have the ability to analyze the political situation, be able to identify their interests and find ways to influence and to change the situation in accordance of their own interests. This can only be achieved if indoctrination is unacceptable and dicussions are encouraged.

**Chapter VI. Active Citizenship and Civil Society: Education and Activism**

Isabella Petriashvili, Professor, Ina Baratashvili, Doctor of Education, Tbilisi Ivane Javakhishvili State University

Active citizen engagement implies active participation of citizens in the development of a sustainable and integrated community, which, in its turn, implies teaching democratic citizenship (H.Starkey, 2006, p.5).

Among all the current paths of civic activism development, education plays a leading role. Education for democratic citizenship and human rights education are closely linked and complement each other. They have common goals and scope of use. The priority of education for democratic citizenship is primarily democratic rights and responsibilities, as well as active participation in civil, political, social, economic, legal and cultural processes.

**VII. The Role of Public Space**

**The Role of Public Space in Active Citizenship Development - Lolita Shengelia, Ph.D. Student, Ilia State University**

Public space is an integral part of social life, where individuals can come together to freely discuss and identify social problems and thus influence political action. This kind of discussion is called public debate and is defined as expressing opinions on public issues. Public debates are mainly carried out through the media, but they are also transmitted through manifestations, social media, academic publications and government-produced documents (I., Overland, 2018). The term was originally used by the German philosopher Jürgen Habermas and defined as "a public space, or an imaginary community that does not necessarily exist in any given space."
Sociologists believe that social media offers opportunities to increase political opportunities and provides a democratic opportunity for political discussions in the virtual public space.